საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.net
№33 (76)
15 - 21 სექტემბერი, 2010
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
info@geworld.net

2 რას სთავაზობს ვლადიმერ პუტინი ქართველებს?

ჰამლეტ ჭიპაშვილი:
საქართველოს ტერიტორია ტერორისტების გადასაად-გილებლად თავისუფალია 7

ხელისუფლება მოსახლეობას მიწებს ართმევს 8

მიშას შესაძლო პრემიერობაზე ევრო-პარლამენტშიც საუბრობენ 10

13 აშშ — გაკოტრებული სუპერ-სახელმწიფო?

შავი ზღვა სახიფათო რეგიონად არ უნდა გადაიქცეს 16

ნატოს ახალი კრიზისი 19 სჭირდება?

# კონდოლიზა რაისს სააკაშვილის დანახვაც აღარ უნდა

რაისის ბათუმიდან დემონსტრაციული წასვლა ადასტურებს, რომ ვიდრე სააკაშვილი პრეზიდენტია, მას არამც თუ ხელს აღარ ართმევენ მსოფლიო ლიდერები, არამედ საქართველოსაც იგნორირებას უკეთებენ.


2008 წლის 15 აგვისტო

4

ჰილარი კლინტონის ვიზიტი მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურებოდა – სააკაშვილის მშვიდობიან გადადგომას

## სასკოლო წიგნები 20 პროცენტით გაძვირდა


6

არნო ხიდირბეგიშვილი:
## სწორედ იმიტომ ჩამოჰყავთ ინგლისური ენის 10.000 პედაგოგი, რომ მომავალ მოსამსახურეებს ელემენტარული ინგლისური ასწავლონ!


14

# კონსტიტუციას არ ჰყავს დამცველი და მას კანონმდებლები პატივს არ სცემენ

22

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# რას სთავაზობს ვლადიმერ პუტინი ქართველებს?

გასულ კვირას მსოფლიო მედიაში გახმაურდა ვლადიმერ პუტინის მოსაზრება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემასთან დაკავშირებით, რომელმაც უცხოელი ექსპერტები ერთობ გააკვირვა. მომავლის ხედვა, რომელიც რუსეთის პრემიერმა მათ გაუზიარა, განსხვავდებოდა ოფიციალური მოსკოვის დეკლარირებული პოზიციისგან და ჩვენი ქვეყნის მთლიანობის შესაძლო აღდგენაზე მნიშვნელოვან მინიშნებასაც შეიცავდა.



### პუტინის მეორე სადღეგრძელო

6 სექტემბერს ვლადიმერ პუტინმა სოჭში ყოფნისას უცხოელ სტუმრებს უმასპინძლა. შეხვედრაზე სადისკუსიო კლუბ „ვალდაისთან“, რომელიც დასავლელ ჟურნალისტებსა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებს აერთიანებს, რუსეთის პრემიერი საქართველოს თემასაც შეეხო. გასულ კვირას შეხვედრის მონაწილეები მედიას პუტინთან საუბრის დეტალებს უზიარებდნენ.

**„მას თითქოს უნდოდა ეთქვა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გზები არსებობს“,** — განუცხადა „Wall Street Journal“-ს რობერტ ლეგვოლდმა, კოლუმბიის უნივერსიტეტიდან, და დასძინა, რომ **„პუტინის სიტყვებით საქართველოს შესახებ გაკვირვებული დარჩა“.** ხოლო სემიუელ ჩარალმა, „ამერიკული პროგრესის ცენტრის“ რუსეთისა და ევრაზიის პროგრამების დირექტორმა „ამერიკის ხმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში შემდგარი საუბრის დეტალები დააზუსტა: **„პრემიერ-მინისტრმა საქართველოს შესახებ ისაუბრა. მან თქვა, რომ ოდესმე ამ სამს (აქ ჩარალმა აღნიშნა, რომ არ იცის სამივეს რა „კოლექტიური სახელი“ მოუძებნოს) — საქართველოს, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს მოუწევთ, ერთად გადაწყვიტონ მათი მომავალი ურთიერთობის ფორმა და მან არ იცის, იქნება ურთიერთობები სახელმწიფოთაშორისი თუ არა, ანუ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მარადიულ დამოუკიდებლობაზე არც ერთი სიტყვა არ თქმულა“,** — თქვა ჩარალმა, რომელმაც პუტინის გამოსვლის ეს მონაკვეთი შეაფასა როგორც „ახალი მომენტი“. „ამერიკის ხმის“ კორესპონდენტის კითხვაზე — **ხომ არ გაჩნდა რაიმე ეჭვი რუსეთის მიერ რეგიონში გატარებულ პოლიტიკასთან დაკავშირებით** — სემიუელ ჩარალმა უპასუხა: **„იგულისხმება, რომ პრეზიდენტი არასდროს ცდება. შეცდომებს არავინ აღიარებს, მაგრამ ის, რომ რუსეთის ხელისუფლებამ მიდგომა შეარბილა, უკვე ჩანს,** რადგან თავად რუსეთს ამ ე. წ. დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან ძალიან რთული ურთიერთობები აქვს“.

ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როდესაც ვლადიმერ პუტინი მსგავსი შინაარსის განცხადებას აკეთებს. პირველ მინიშნებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესაძლებლობაზე (ყოველივე ევგენი პრიმაკოვის იუბილეზე ხდებოდა) გასული წლის ნოემბერში, „gazeta.ru”-ს ჟურნალისტი ასე აღწერდა: **„პუტინმა იმთავითვე გაგვაფრთხილა, რომ მას კარგად ესმის, რომ ყოველივე თქმული დარბაზის ფარგლებს გასცდება. მეტიც, სწორედ ამის იმედი აქვს. რის შემდეგაც გაახმიანა თავზარდამცემი განცხადება, რომ საქართველოს გაერთიანების საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია. და არ არსებობს საკითხები, რომლის გადაწყვეტა არ შეგვიძლია. „დაე, მან (პრიმაკოვმა) იზრუნოს ამ საკითხზე“.**

საგულისხმოა, რომ ორივე განცხადება არაფორმალურ გარემოში, სუფრასთან გაკეთდა; ისეთ ვითარებაში, როდესაც თქმულის გადმოცემა მესამე პირებს უხდებათ. ამავე დროს, პუტინის პრესსამსახურს არც ერთ და არც მეორე შემთხვევაში „ამბის გამომტანთა“ განცხადებებზე კომენტარი არ გაუკეთებია, არაფერი უარუყვია, რაც ირიბად თქმულის დადასტურებას ნიშნავს. **პირველ შემთხვევაში პუტინის მესიჯის მთავარი ადრესატი ქართული საზოგადოება იყო, მეორეში კი — დასავლური; თანაც ამ შემთხვევაში, „რეტრანსლატორის“ როლში აკადემიური წრეების წარმომადგენლები მოგვევლინენ, ადამიანები, რომლებიც, როგორც წესი, თითოეულ სიტყვას უფრთხილდებიან და მასზე პასუხს აგებენ.**

ზოგადად, სოჭის შეხვედრას ჩარალმა ასეთი შეფასებები მისცა: **„ცხადი იყო, რომ იქიდან რაღაც სიგნალების გადმოცემა უნდოდათ“, „ასეთი ფორუმები დასავლეთისთვის გარკვეული გზავნილების გადაცემის საშუალებაა“. როგორც** ▶

## გაჟღერებული



**მიხეილ სააკაშვილი,**
**საქართველოს პრეზიდენტი:**

სხვა ქვეყნებს, განსაკუთრებით იმ ქვეყანას, რომელიც პრობლემებს გვიქმნის, ჩვენ მხოლოდ ინტელექტით, განათლებით, ცოდნით, გამჭრიახობით შეიძლება ვაჯობოთ. პატარა ქვეყანამ შეიძლება, ისეთი ინტელექტუალური პოტენციალი შექმნას, რომ ახლო ვერ მივიდეს ნებისმიერი სხვა. სწორედ ცოტნესნაირ ახალგაზრდებზე დგას ჩვენი მომავალი.

*„ინტერპრესნიუსი“*



**ედუარდ შევარდნაძე,**
**ექსპრეზიდენტი:**

ჩემს დროს, ჩემი თხოვნით, გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა ორჯერ შედგა აფხაზეთის საკითხზე, სწორედ ლტოლვილებთან დაკავშირებით. ორივე სხდომაზე სიტყვით პირადად გამოვედი. ამის გარდა, ჩემი მონაწილეობის გარეშე გაერომ რვა რეზოლუცია მიიღო და რვავე საქართველოს სასარგებლო. მაგრამ არც ერთი მათგანი არ შესრულდა.

*„ასავალ-დასავალი“*



**ნანა დევდარიანი,**
**გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრის ექსპერტი:**

მაინტერესებს, სააკაშვილი და მისი ხელისუფლების წევრები რას აპირებენ. ამ ქვეყანაში არ აპირებენ ცხოვრებას? თუ ჰგონიათ, რომ სადმე წავლენ და თავიანთ მიერ გამწარებულ ხალხს დაემალებიან? ტროცკის მექსიკაში მიაგნეს და იქ მოკლეს! არის დანაშაული, რომელსაც ხანდაზმულობის ვადა არ გააჩნია და ამათ სწორედ ასეთი დანაშაულები აქვთ ჩადენილი!

*„ასავალ-დასავალი“*



**გიორგი გუგავა,**
**ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკური მდივანი:**

მაგისტრალი, რომლითაც აზერბაიჯანიდან საქართველოში შემოდის გაზი, არის ძმები ბეჟუაშვილების, თითქოს მის მამას ჩაეყაროს იქ მილები და მისი დამსახურება იყოს, რომ ჩვენ დღეს აზერბაიჯანიდან ვიღებთ გაზს. ბეჟუაშვილი არის სააკაშვილის კარის მთავარი სპონსორი, ამიტომაც მას სააკაშვილი უპრობლემოდ ჩუქნის საქართველოს ქონებას.

*„ასავალ-დასავალი“*



**დიმიტრი შაშკინი,**
**განათლებისა და მეცნიერების მინისტრი:**

საქართველოს პრეზიდენტმა დაგვავალა, წლის ბოლოსთვის საქართველოში ათასი ინგლისურის მასწავლებელი ჩამოსულიყო და ეს დავალება შევასრულეთ. დაგვევალა, რომ ეს რაოდენობა მომავალი წლისთვის გავზარდოთ. დარჩენილი 3 თვე გვაჩვენებს, რამდენი პედაგოგი დაგვჭირდება კიდევ.

*„კვირის პალიტრა“*



**თენგიზ სიგუა,**
**ყოფილი პრემიერ-მინისტრი:**

აჭარის დღევანდელმა ლიდერმა ბრძანა, ძალიან ცოტა გვაქვს ადგილებიო და დაასახელა 7700 საწოლი, ამის შემდეგ პრეზიდენტი აცხადებს, გაისად მილიონ-ნახევარ ტურისტს მივიღებთო. არაფრით არ გამოდის, აქტიური სეზონი საზღვაო კურორტზე არის სამი თვე — ივლისი, აგვისტო და სექტემბერი, ანუ 90 დღე, ხომ? 7700 გავამრავლოთ 90-ზე, თუ დავამრგვალებთ, გამოდის 700 ათასი. ახლა ამიხსენი, 700 ათას საწოლზე მილიონ-ნახევარ ტურისტს როგორ მიიღებ, ქვიშაზე აწვენ?

*„კვირის ქრონიკა“*



**პაატა ჯიბლაძე,**
**ლეიბორისტული პარტიის აღმასრულებელი მდივანი:**

სააკაშვილი და მისი ხელისუფლება საკუთარი ქმედებებით, გლეხობისა და მოსახლეობის პირდაპირ გენოციდს ეწევა. მათ მოსახლეობის ამხელა რაოდენობა არ სჭირდებათ და ყველაფერს აკეთებენ, რომ ისინი შეავიწროონ და ნელ-ნელა გაანადგურონ. მათი სავარგული მიწები კი ხელში ჩაიგდონ.

*„ალია“*

## მოკლედ



### გიორგი ბარამიძის „განზომილება“

**საქართველოს ვიცეპრემიერი გიორგი ბარამიძე პოლონეთში, კრინიცაში, მიმდინარე XX საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმზე თემისადმი „ნატოს ახალი სტრატეგიული კონცეფცია: აღმოსავლეთ განზომილება“ მიძღვნილ სესიაზე სიტყვით გამოვიდა.**

გამოსვლა ორი ნაწილისგან შედგებოდა. პირველი ნაწილი ეძღვნებოდა რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული ეთნოწმენდის აღიარების მნიშვნელობასა და მთელი ევროატლანტიკური სივრცისთვის ამ ქვეყნის აგრესიული პოლიტიკის საშიშროებას. მეორე ნახევარი კი ნათელ ფერებში ასახავდა საქართველოში მიმდინარე წარმატებულ რეფორმებს. ბოლოს ბარამიძემ საზოგადოებას საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის დაჩქარების აუცილებლობა შეახსენა.



### აშშ-ში საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი გრძელდება

**პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ 2001 წლის 11 სექტემბერს მომხდარი ტერაქტებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა კიდევ ერთი წლით გრძელდება.**

ამის თაობაზე წერია უწყებაში, რომელიც ეგრეთ წოდებულ ფედერალურ რეესტრში გაიგზავნა. რეესტრი ამერიკის ხელისუფლების ყველა ოფიციალურ დოკუმენტს ინახავს და აღნიშნული პროცედურის დაცვის გარეშე საგანგებო მდგომარეობა ავტომატურად გაუქმებულად ჩაითვლებოდა. ობამას მიერ კონგრესისთვის გაგზავნილ წერილში ნათქვამია: „ტერორისტული საფრთხე, რომელმაც 2001 წლის 14 სექტემბერს საგანგებო მდგომარეობის შემოღება განაპირობა, ამ დრომდეც არსებობს“. საგანგებო მდგომარეობის პირობებში პრეზიდენტს დამატებითი უფლებები ენიჭება.

**◀ცნობილია, „ამერიკის ხმა“ ამერიკული სახელმწიფოს მიერ კონტროლდება. ის, რომ პუტინის მესიჯები, სემიუელ ჩარალის გადმოცემით, მისი მეშვეობით გავრცელდა, საკმარისად ცხადი სიგნალია იმისთვის, რომ ვაშინგტონმა ეს მესიჯები ადეკვატურად აღიქვა და ცნობად მიიღო.**

თეთრ სახლს მოქმედების ორი ძირითადი ვარიანტი აქვს: ა) შეეცადოს, „გაყინოს“ დღევანდელი მდგომარეობა, რომელიც რუსეთის კრიტიკის შესაძლებლობას აძლევს და სააკაშვილის ხელისუფლების მხარდაჭერა განაგრძოს, სამხრეთ კავკასიაში მყარი პლაცდარმის შექმნის პერსპექტივაზე გათვლით; ბ) გაიზიაროს კრემლის ხედვა საქართველოს მომავალთან დაკავშირებით, შესაბამისად მოხსნას ეს კონფლიქტური თემა დღის წესრიგიდან, რაც შესაძლებლობას მისცემს სხვა, უფრო მასშტაბური საკითხების გადაწყვეტაში რუსეთის მხარდაჭერა მიიღოს. მოსკოვი კი, თავის მხრივ, გათავისუფლდება იმ კრიტიკისგან, რომლის მოსმენა საერთაშორისო ასპარეზზე სეპარატისტული რეგიონების მხარდაჭერის გამო უხდება.

ცხადია, თუ ვაშინგტონი მეორე ვარიანტს აირჩევს, **სააკაშვილის ხელისუფლება, სავარაუდოდ, გაისრისება როგორც ბაყაყი, რომელსაც ერთმანეთის მიყოლებით „T-90A და „M1A2 Abrams-ი გადაუვლის. საქართველოსთვის კი ეს შეიძლება (პუტინის განცხადებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ) ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესაძლებლობას დაუკავშირდეს. ამ ვითარებაში კი ხელისუფლებისა და საზოგადოების გზები დიდი ალბათობით სამუდამოდ გაიყოფა. ვაშინგტონში კარგად აცნობიერებენ, რომ „ნორმალიზაციის“ („ცივი ომის“ დროს ამ ტერმინს გაცილებით მეტი ქვეტექსტი ჰქონდა, ვიდრე დღეს) პუტინის მიერ ნაგულისხმევ სქემაში სააკაშვილის ადგილი არ იქნება, რაზეც მოსკოვმა არაერთგზის მიუთითა.**

სიტუაციის სირთულე ობამას ადმინისტრაციისთვის იმაშიც მდგომარეობს, რომ რუსეთს შეუძლია „ნორმალიზაციას“ დამოუკიდებლად შეუდგეს, ისე, რომ აშშ-ს მისთვის ხელის შეშლის შესაძლებლობა ნაკლებად ექნება, ისევე როგორც 2008-ში. პუტინის მიერ საკითხის აქტუალიზება ორ მთავარ ქვეტექსტს შეიცავს: ის, ერთის მხრივ, სთავაზობს ვაშინგტონს „გადატვირთვის“ სულისკვეთებიდან გამომდინარე ითანამშრომლონ ამ საკითხის გადაწყვეტაში (ისევე ნაყოფიერად, როგორც უკრაინაში). მეორეს მხრივ, ისეთი ფორმულირების გამოყენება, როგორიცაა „მოუწევთ ერთად გადაწყვიტონ“ შეიცავს ქვეტექსტს „ასე იქნება“, რაც, თავის მხრივ, მიანიშნებს, იმაზე, რომ **კრემლს აქვს სამხრეთ კავკასიის მომავლის ხედვა და მის კონსტრუირებას შეიძლება ვაშინგტონთან თანამშრომლობის გარეშეც შეუდგეს, თანაც ხელშესახებ პერსპექტივაში;**

წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთის პრემიერი ამ თემას, ალბათ, არც შეეხებოდა ან კიდევ მომხდარი კონფლიქტის აღწერით და შექმნილ ვითარებასთან (აწმყოსთან) დაკავშირებით რუსეთის ოფიციალური პოზიციის დაფიქსირებით შემოიფარგლებოდა. ამ მიდგომის სერიოზულობა, სავარაუდოდ, არა მხოლოდ ვაშინგტონში, არამედ თბილისშიც იგრძნეს.

## წინაპირობების გარეშე

**„საქართველო მზად არის, ესაუბროს რუსეთს ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერ საკითხზე ყოველგვარი წინაპირობის გარეშე.**

ეს განცხადება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ ესტონელი ჟურნალისტის კითხვაზე პასუხისას გააკეთა“ („ინტერპრესნიუსი“). ამ განცხადებას მინისტრმა შემდეგი პასაჟი მიაყოლა: **„ეს არის განსხვავება დემოკრატიულ და არადემოკრატიულ სახელმწიფოებს შორის. რუსეთი გვეუბნება, რომ არ ისაუბრებს საქართველოს მოსახლეობის მიერ დემოკრატიულად არჩეულ ხელისუფლებასთან“,** თუმცა ეს, ალბათ, უკვე ლირიკაა და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ვინმე დიდად დაინტერესდა ვაშაძის ხედვით იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ და როგორ აირჩია საქართველოს ხელისუფლება (ისე, კარგი იქნება, თუ საბოლოოდ დავადგენთ, ვინ და როგორ აირჩია, საკითხი დღემდე გაურკვეველი ჩანს), რით განსხვავდება ის რუსულისგან, ისევე, როგორც მისი აზრებით კანტის კატეგორიული იმპერატივის, მატერიალიზმისა და განსაკუთრებით ემპირიოკრიტიციზმის შესახებ. მთავარი სხვა რამ იყო: **საგარეო საქმეთა მინისტრმა მკაფიოდ დააფიქსირა ფორმულა „ყოველგვარი წინაპირობის გარეშე“** და ამას ხელისუფლების სხვა წარმომადგენელთა დამატებითი კომენტარი არ მოჰყოლია. ადრე სხვა სქემა მუშაობდა: როდესაც ვინმე, სააკაშვილის ჩათვლით, ახსენებდა მოლაპარაკებებს წინაპირობების გარეშე, სხვები, აკეთებდნენ თანმდევ განცხადებებს, რომლებიც სწორედ რომ წინაპირობებს შეიცავდა; ამჯერად ასე არ მომხდარა.

**სავარაუდოდ, ეს იყო პასუხი დასავლეთში დამკვიდრებულ მიდგომაზე, რომელიც პუტინის განცხდებიდან ორ დღეში ერთ მარტივ ფრაზაში ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე სტუბმა მოაქცია: „საქართველო და რუსეთი მოლაპარაკების მაგიდას უნდა მიუსხდნენ“.**

თავის გამოსვლაში სტუბმა გამოყო ეს მომავალი მოლაპარაკებები, ჟენევის ფორმატისა და გაეროში მუშაობისგან და ერთმნიშვნელოვნად რაღაც ახალი ფორმატი იგულისხმა. თუმცა, ცხადია, **ვიდრე სააკაშვილი და მისი გარემოცვა ხელისუფლებაში რჩება, რუსეთი ამ მოლაპარაკებებზე არ წავა.**

კიდევ ერთი საგულისხმო დეტალი: **პუტინის განცხადებიდან რამდენიმე დღეში რუსულ მედიაში გაჩნდა პუბლიკაციები იმის შესახებ, რომ რუსეთის მოქალაქეები, ეთნიკური რუსები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მნიშვნელოვან პრობლემებს აწყდებიან.** მათ შორის გამოსაყოფია პუბლიკაცია „კომსომოლსკაია პრავდა“-ში სათაურით, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ რუსულ პრესაში, ალბათ, წარმოუდგენელი იქნებოდა: **„დამოუკიდებლობის პირველი ნაყოფი: აფხაზები რუსებს ბინებს ართმევენ“.** თუ ეს ტენდენცია მომდევნო თვეების განმავლობაში შენარჩუნდება, სავარაუდოდ, შესაძლებლობა გვექნება, დავასკვნათ, რომ რუსულ საზოგადოებაში იქმნება საინფორმაციო ფონი იმისთვის, რომ მის ყურამდე შემდეგი შინაარსის მესიჯი მიიტანონ: **„აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი პრობლემურია, სჯობს,** (სემიუელ ჩარალის თქმისა არ იყოს) **„ამ სამმა“ — საქართველომ, აფხაზეთმა და სამხრეთ ოსეთმა — საკუთარი პრობლემები თავად მოაგვაროს,** ჩვენ კი მხოლოდ უსაფრთხოება უზრუნველვყოთ და ზოგადი საკითხების მოდერაციით დავკავდეთ“.

ყველა ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, ჯერჯერობით ცალკეული ძაფებია, თუმცა ნებისმიერი ქსოვილი ოდესღაც ცალკეული ძაფებისგან შედგებოდა. საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება, სავარაუდოდ, აცნობიერებს, რომ „გადატვირთვა“ და აშშ-ისა და რუსეთის შეთანხმებული მოქმედებები რეგიონში მისთვის სასიკვდილო საფრთხეს მოასწავებს, ამიტომ ყველა შესაძლებელი მეთოდით ვაშინგტონისთვის საკუთარი მნიშვნელობისა და საქართველოში პლაცდარმის შენარჩუნების აუცილებლობის დამტკიცებას ცდილობს. ხანდახან ეს ძალისხმევა პარადოქსულ ფორმებს იძენს.

## ინგლისური არ იქნება, არ იქნება ძალადა...

**„ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარების გარეშე სტუდენტი 2011 წლიდან დიპლომს ვერ მიიღებს“,** — ამის შესახებ ბათუმში, მთავრობის გასვლით სხდომაზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა განაცხადა („ინტერპრესნიუსი“). იმავე სხდომაზე მიხეილ სააკაშვილმა შემდეგი რამ თქვა: **„ჩვენ გამოვაცხადეთ, რომ მასწავლებლებისთვის 150-ლარიანი დანამატი იქნება, ვინც ჩააბარებს ინგლისურისა და კომპიუტერის გამოცდას, მაგრამ ვაცხადებ, რომ ეს იყოს 200-ლარიანი დანამატი და ზუსტად იგივე ყველა პილიციელს. ყველა პოლიციელს, პატრულის თანამშრომელს ყველა დონეზე, ვინც ინგლისურსა და კომპიუტერს ჩააბარებს, ექნება 200-ლარიანი დანამატი ხელფასზე“** („GHN);

სააკაშვილის გამოსვლაში იყო კიდევ ერთი საგულისხმო წიაღსვლა, მას შემდეგ, რაც მან აღნიშნა, რომ ყველა უნივერსიტეტდამთავრებული ინგლისურ ენას უნდა ფლობდეს: **„ჩვენ უნივერსიტეტებს ვერ გადავიყვანთ ინგლისურენოვან სწავლებაზე, იმიტომ, რომ ძალიან ბევრმა აბიტურიენტმა და მათ შორის იმათაც, ვინც ჩააბარეს, ქართულიც არ იციან ხეირიანად“. ეს „ვერ გადავიყვანთ“ ძალზე საინტერესოა, სააკაშვილი თითქოსდა ვიღაცის ადრე მოსმენილ შეთავაზებას პასუხობს,** თუმცა გამორიცხული არაა, რომ უმაღლესი განათლების ინგლისურ ენაზე გადაყვანის წარმოუდგენელი იდეა საკუთრივ მის თავში დაიბადა (იქ, პრინციპში, მსგავსი გაქანების სხვა იდეებიც დაბადებულა).

პარალელურად, გრძელდებოდა სკოლებისთვის ინგლისური ენის პედაგოგების მასობრივი ჩამოყვანა (პედაგოგები პირობითად ვუწოდოთ, თორემ მათ უმრავლესობას არანაირი პედაგოგიური გამოცდილება არ გააჩნია). მოკლედ, **ყველაფერი ისე მიდის, თითქოს ინგლისური ენის მეორე სახელმწიფო ენად გამოცხადების მანიაკალური იდეის ხორცშესხმის გზაზე პირველ ნაბიჯებს ვდგამთ.** ნებისმიერ შემთხვევაში, განსაკუთრებით, განათლების მინისტრის განცხადების შემდეგ, **ცხადი გახდა, რომ ხელისუფლება ინგლისურს სხვა უცხო ენებისგან განსხვავებულ, უპირატეს სტატუსს ანიჭებს, რაც მთელ რიგ ნორმებს ეწინააღმდეგება.** ეს, სავარაუდოდ, უნდა შევაფასოთ, როგორც საქართველოს ანგლოამერიკულ სამყაროზე მიბმის აკვიატებული სურვილის ერთ-ერთი გამოვლინება, თუმცა, როგორც ჩანს, ის, ვინც ამ ღონისძიებებს გეგმავს, ძალიან ცუდად იცნობს ქვეყანას, რომელსაც (ჯერჯერობით ასეა) მართავს.

**საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართველები ვერ იტანენ, როდესაც რაიმეს აძალებენ და მსგავსი მცდელობების პასუხად საპირისპიროს აკეთებენ,** ეს რაღაცით მწვავე ალერგიულ რეაქციას ჰგავს. ყოველივე ამის შედეგი, ძალიან დიდი ალბათობით, ისედაც მოზღვავებული ანტიამერიკანიზმის ახალი ტალღა იქნება, უარი ყველაფერზე, რაც ამერიკას უკავშირდება, იქნება ეს პროდუქტი, მაისური თავისუფლების ქანდაკების გამოსახულებით თუ ნებისმიერი სხვა რამ; **მეტიც, თბილისი ისეთი უცნაური ქალაქია, რომ ინგლისურის დაძალებას შეიძლება გერმანულის, ფრანგულის, რუსულის ან სულაც ჩინურის გაძლიერებული სწავლითა და დემონსტრაციული გამოყენებით უპასუხოს.** პირადად მე ესპანურის სწავლას ვაპირებ, ძალიან კარგად ჟღერს, თანაც აქტუალურია: „Patria o Muerte!“, მეტიც — „Viva la Libertad!.

**დიმიტრი მონიავა**

# ყველაფერი ისე მიდის, თითქოს ინგლისური ენის მეორე სახელმწიფო ენად გამოცხადების მანიაკალური იდეის ხორცშესხმის გზაზე პირველ ნაბიჯებს ვდგამთ

## გაბრაზებული



**ბაღათერ არაბული,**
**პოეტი:**

კომუნისტების დროს რომ ვიღაცას ეთქვა, 10 ათასი რუსულის მასწავლებელი უნდა ჩამოვიყვანოთო, მთელი საქართველო დადგებოდა ფეხზე, გარუსებას გვიპირებენო. ვერ გავიგე, ინგლისურის სწავლა ნიშნავს იმას, რომ ქვეყანა განვითარდება? არა, მომსახურე ერად ზრდის სააკაშვილი ქართველებს. ვიღაცა უნდა ჩამოვიდეს და უნდა იცოდე, როგორ გამოსწმინდო, როგორ მოემსახურო.

*„ალია“*



**ნინო ბურჯანაძე,**
**„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერი:**

ვენეციის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა ბუკიკიომ, რომელსაც პირადად კარგად ვიცნობ, ჩემთან სულ რამდენიმე თვის წინ შეხვედრისას გამახსენა, თუ როგორ შეგვპირდა 2004 წელს მე და მას საქართველოს პრეზიდენტი სააკაშვილი, რომ უახლოეს ხანებში შეცვლიდა კონსტიტუციას და დააბალანსებდა ხელისუფლების შტოებს შორის ძალაუფლებას და როგორ დარჩა ჰაერში მისი პირობა.

*„ასავალ-დასავალი“*



**კახა კაციტაძე,**
**სამხედრო ექსპერტი:**

უფროსი ლეიტენანტი შუკვანი ავღანეთის ხელისუფლების ინტერესების დაცვისთვის დაიღუპა, ქაბულის წარმომადგენელს კი გაეროში კენჭისყრისას საჩვენოდ პულტზე თითის მიჭერაც დაეზარა!

*„ასავალ-დასავალი“*



**შალვა რამიშვილი,**
**რადიო „პალიტრას“ წამყვანი:**

სააკაშვილის საკადრო პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტი მაცოფებს. სადავეები ხელში უნიჭოებსა და არაპროფესიონალებს უჭირავთ...

მე მიშასთან ვერასდროს ვიმუშავებ. იცი, რატომ? მას შეუძლია დედა შეაგინოს ხელქვეითს. არ არის საკმარისი მიზეზი, რომ არ მინდოდეს?!

*„კვირის პალიტრა“*



**კახა მიქაია,**
**„დაიცავი საქართველოს“ ზუგდიდის რეგიონული ბიუროს ხელმძღვანელი:**

რომელიმე პიარაქციის დროს სააკაშვილს თვითმფრინავის ან სამხედრო კატარღის ხმა რომ შემოესმას, ისე მოკურცხლავს, ეს ჯიბის ტელევიზიები პირდაპირი ეთერის გათიშვას ვერც მოასწრებენ. ამიტომაც მოვუწოდებ სააკაშვილის იმიჯმეიკერებს: გაუფრთხილდით ამ კაცის იმიჯსა და ნერვებს!

სირცხვილია, რამე რომ მოუვიდეს ამ კაცს, მერე სად მივდივართ?

*„ასავალ-დასავალი“*



**სოსო ცისკარიშვილი,**
**ექსპერტი:**

ანგარიშსწორება ბიზნესინტერესების კუთხით მხოლოდ იმ ადამიანებს ხელეწიფებათ, რომელთაც მთავარი როლი მიუძღვით ქვეყანაში ელიტარული კორუფციის ჩამოყალიბებაში. ამ ადამიანთა ჩამოსათვლელად ერთი ხელის თითებიც საკმარისი იქნება, რომელიც რეალურად გასცემს „ლიცენზიას“ ქვეყანაში კორუფციული საქმიანობისათვის და არ აგებს პასუხს არაფერზე.

*„ალია“*



**ლუიზა შაკიაშვილი,**
**ყოფილი პარლამენტარი:**

ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ისეთ დროში მომიწევდა ცხოვრება, სადაც შევარდნაძის მმართველობა გამიხდებოდა სანატრელი.

შევარდნაძეს თუ „მიწა დაგაყარეს“ ვეუბნებოდი, სააკაშვილისთვის ნაგავსაც ვერ ვიმეტებ დასაყრელად!

*„ასავალ-დასავალი“*

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# კონდოლიზა რაისს სააკაშვილის დანახვაც აღარ უნდა



ბათუმი, 2010 წლის 6 სექტემბერი

**ათი დღის წინათ სტამბულიდან კრიალა ლაინერი გამოვიდა. მასში რამდენიმე „ყოფილი“ პოლიტიკოსი იჯდა, რომლებიც არც თუ ისე დიდი ხნის წინათ მსოფლიოს აზანზარებდნენ. მათ შორის კი პირველი, რასაკვირველია, ჩვენთვის კარგად ნაცნობი ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი იყო. ამ მოგზაურობას გორბაჩოვის ფონდი აფინანსებდა და მათ საქართველოში ლექციები და ბრიფინგები უნდა ჩაეტარებინათ. საბჭოთა კავშირის პირველმა და უკანასკნელმა პრეზიდენტმა გორბაჩოვმა ბოლო წუთს საქართველოში ჩამოსვლაზე უარი განაცხადა. როგორც ქართული პრესა სარკასტულად წერდა, ალბათ, პუპუზას შეპირებული საპროტესტო მიტინგის შეეშინდაო!**

**ჰილარი კლინტონის ვიზიტი მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურებოდა –სააკაშვილის მშვიდობიან გადადგომას, კონდოლიზა რაისის ბათუმიდან დემონსტრაციული წასვლა კი ადასტურებს, რომ ვიდრე სააკაშვილი პრეზიდენტია, მას არამც თუ ხელს აღარ ართმევენ მსოფლიო ლიდერები, არამედ საქართველოსაც იგნორირებას უკეთებენ.**

გემი ზუსტად დილის ოთხ საათზე შემოვიდა ბათუმის პორტში. დამხდურთა შორის მხოლოდ აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარეა, თითქოს ეს მორიგი ტურისტული რეისი იყოს, ასე რომ იწონებს თავს თვითონაც ტურისტი ბატონი პრეზიდენტი. **არსად ჩანს სააკაშვილი და ეს იმ დროს, როდესაც წინა დღეს ამერიკის ელჩმა ჯონ ბასმა განაცხადა, რომ ეს საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი ვიზიტია და კიდევ უფრო განამტკიცებს „სტრატეგიულ პარტნიორობას“.** აი, აქ კი ხდება ყველასთვის მოულოდნელი რამ – **გემბანიდან ჩამოდის ქალბატონი რაისი, ხმის ამოუღებლად ჯდება ამერიკის საელჩოს მანქანაში და პირდაპირ აეროპორტში მიდის, იქიდან კი გოლფის სათამაშოდ ირლანდიაში მიფრინავს. სრული გაუგებრობა და უზარმაზარი სკანდალი!**

**მაინც სად არის საქართველოს სახელოვანი მხედართმთავარი და პრეზიდენტი? მასმედია დუმს. მაგრამ მე მაინც დავადგინე – იგი ანაკლიაში თავისი საპროგრამო სიტყვით შეშლილი სახით გამოსვლის შემდეგ თავისი საყვარელი თვითმფრინავით პირდაპირ ერთ პატარა იტალიურ ქალაქში გაფრინდა და თავის სიცოცხლეში, ალბათ, პირველად დაესწრო საოპერო წარმოდგენას! თან იქ ახალი ქართველი ვარსკვლავი ქალი გამოდიოდა მთავარ როლში, ჩვენ კი სააკაშვილის სუსტი წერტილები კარგად გვაქვს შესწავლილი.**

მაგრამ დავიჯეროთ, რომ ოპერის ვარსკვლავმა, რაოდენ დიდი ტალანტიც იყოს, გადასწონა კონდოლიზას ვიზიტი, რომელიც, როგორც ზევით აღვნიშნეთ, საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი უნდა ყოფილიყო?! ძალიან საეჭვოა. მაშ, რა შეიძლება მომხდარიყო? – ამას ვერ გავიგებთ, ვიდრე ქალბატონი რაისი თვითონ არ იტყვის. ჩვენ კი შეგვიძლია მხოლოდ ვარაუდები გამოვთქვათ.

**თუ გავიხსენებთ სააკაშვილის არეულ სახეს ანაკლიაში, როდესაც ის პოსეიდონის, ზღვათა მპყრობელის პოზაში იდგა, რაღაც მინიშნებები არსებობს. შეიძლება მან სწორედ მაშინ გაიგო, რომ კონდოლიზა რაისი მასთან არამც თუ არ აპირებს შეხვედრას, არამედ საერთოდ არ აპირებს საქართველოში გადმოსვლას და ეს კრუიზი სწორედ სიმბოლური უნდა ყოფილიყო მისი მხრიდან. გამოდის, ვიდრე სააკაშვილი პრეზიდენტია, მას არამც თუ ხელს აღარ ართმევენ მსოფლიო ლიდერები, არამედ საქართველოსაც იგნორირებას უკეთებენ.**

მეტყვიან: – აბა, ივნისის ვიზიტები რას მივაწეროთო? ამაზე მე იმთავითვე დავწერე, მაგრამ ვისაც ეს გამორჩა, კვლავ გავუმეორებ: **ივნისში პარიზში შეიკრიბნენ ევროკავშირში ახლადშექმნილი მძლავრი დაჯგუფების წევრები, ანუ საფრანგეთის, გერმანიისა და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრები და მათ „ვეიმარის სამკუთხედი“ შეარქვეს.** შეხვედრის დეტალები არ გამოქვეყნებულა, მაგრამ მისი შედეგებიდან გამომდინარე, ალბათ, საუბარი საქართველოს პრეზიდენტზე იყო. ფაქტია, რომ ამის შემდეგ **საფრანგეთისა და პოლონეთის მინისტრები, კუშნერი და სიკორსკი, პირდაპირ თბილისში გამოფრინდნენ, ხოლო შემდეგ კუშნერმა საკმაოდ არადიპლომატიური ლექციაც კი წაგვიკითხა ტელევიზიით და პროფესიონალი ანალიტიკოსებისთვის სრულიად გასაგები გახდა ევროკავშირის დამოკიდებულება საქართველოსა და მისი პრეზიდენტის მიმართ.** აი, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი კი ლავროვთან ერთად დასასვენებლად რუსეთში გაემართა და იქ დაელოდა თბილისში სააკაშვილთან ჩატარებული მოლაპარაკებების შედეგებს. ამის შემდეგ თბილისში ექვსსაათიანი ვიზიტით ჩამოდის ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი, რომელიც მთელი წელიწად-ნახევარი პრინციპულად არიდებდა თავს სააკაშვილთან შეხვედრას, ისევე, როგორც მისი „ბოსი“ ბარაკ ობამა.

**მაინც რა შეიძლება ყოფილიყო ჰილარის მხრიდან პოზიციის 180-გრადუსიანი შეცვლის მიზეზი? — მხოლოდ სააკაშვილი და ის ულტიმატუმი, რაც მას ევროკავშირის წამყვანმა წევრებმა რუსეთთან შეთანხმებით დაუდეს — გადადგომა!** ის, რომ მან (ჰილარი კლინტონმა) ზედმიწევნით იცის, თუ რა სიტუაციაა საქართველოში, იქიდანაც გამოჩნდა, რომ მან ოპოზიციის წამყვან ლიდერებთან შესახვედრად ვერ მოიცალა და ამით კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ **ეს ვიზიტი მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურებოდა – საქართველოდან სააკაშვილის მშვიდობიან წასვლას.**

ხოლო სხვა მიზეზი აქ შემოსასეირნებლად მას არ ჰქონდა.

მაგრამ დავუბრუნდეთ ქალბატონ კონდოლიზა რაისს.

ეს უაღრესად განათლებული ქალბატონია და მისი სპეციალიზაცია საერთაშორისო ურთიერთობებში არის რუსეთის პოლიტიკა. ამასთანავე, მან ზედმიწევნით იცის რუსული ენა. სწორედ აქედან ჩანს ბუშის ადმინიტრაციის პრიორიტეტი — რუსეთთან დაპირისპირება. სწორედ კონდოლიზას რატომ შესთავაზეს ჯერ ეროვნული უსაფრთხოების მრჩევლის პოსტი, შემდეგ კი საგარეო საქმეთა მინისტრობა (სახელმწიფო მდივნობა)? აქ იყო პიროვნული მოტივებიც – ბუში დაჩაგრულად გრძნობდა თავს ნეოკონსერვატორების მხრიდან, რომლებიც მას არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ და მხოლოდ კონდი (როგორც მან შეარქვა) უგებდა მას. აქ **კონდის საკუთარი მიზეზებიც ჰქონდა – ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი ღიად აცხადებდა პრეტენზიას საგარეო საქმეებზე, რაც მის კომპეტენციაში საერთოდ არ შედიოდა.**

საერთოდ, ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი იმისთვის არის, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში პრეზიდენტი შეცვალოს, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა; მაგალითად, ეს ბოლოს ჯონ კენედის მკვლელობისა და რიჩარდ ნიქსონის იმპიჩმენტის შიშით გადადგომისას იყო. მაგრამ **დიკ ჩეინი წარმოადგენდა იმდროინდელ სენატში მძლავრი და აგრესიული დაჯგუფების – ნეოკონების ინტერესებს, პირველ ყოვლისა კი, ძალიან გავლენიანი სენატორების — ჯონ მაკეინისა და ლუგარის სახით** (დღეს მაკეინი ოპოზიციაში გამოირჩევა პრეზიდენტ ობამას ლანძღვა-გინებით). გარდა ▶

## მოკლედ



### თანამშრომლობა სომხურად

**პოსტსაბჭოთა სივრციდან მხოლოდ რუსეთმა და სომხეთმა არ დაუჭირეს მხარი გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ რეზოლუციას, რომელიც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და ქართველი დევნილების საკუთარ სახლებში დაბრუნების უფლებებს აღიარებს.** რუსეთში სომხური დიასპორის გამოცემა „ერკამას“ ინფორმაციით, ერევანმა თბილისს „გაეროს გენერალური ასამბლეის მოედნებზე“ თანამშრომლობა შესთავაზა. კერძოდ, ერევანი მხარს დაუჭერდა ქართულ რეზოლუციას, სანაცვლოდ კი ქართულ დელეგაციას ხმა არ უნდა მიეცა მთიანი ყარაბაღის შესახებ აზერბაიჯანის მიერ მომზადებული დოკუმენტის პროექტისთვის, რომელიც უახლოეს მომავალში განიხილება. თბილისმა ამ წინადადებას უარით უპასუხა.



### სუპერპრეზიდენტიდან სუპერპრემიერამდე

**„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერმა დავით გამყრელიძემ პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძესთან შეხვედრის შემდეგ დაასკვნა, რომ კონსტიტუციური ცვლილებების შემდეგ „სუპერპრეზიდენტის ნაცვლად სუპერპრემიერი“ გვეყოლება.** „მემარჯვენეებს“ არანაკლებ ადარდებთ ქვეყანაში ორგანული კანონის ბედიც. მათ მიერ წამოყენებული ინიციატივის მიხედვით, საგადასახადო და შრომის კოდექსების სტატუსი ორგანულ კანონამდე უნდა ამაღლდეს, რის შემდეგაც უბრალო საპარლამენტო უმრავლესობა მათ შეცვლას ველარ შეძლებს. ამით პირველ შემთხვევაში ქვეყანაში ინვესტორების საქმიანობა გამარტივდება, მეორე შემთხვევაში კი დაქირავებულების დამქირავებელთა თვითნებობისაგან დაცვის საშუალებაც გაჩნდება.



### ბაღათურია ეკონომიკურ გუნდს იბარებს

**ჯონდი ბაღათურიამ ფასების ზრდის ტენდენცია შეისწავლა და აღმოაჩინა, რომ „ფქვილისა და პურპროდუქტების ფასების ზრდასთან ერთად ფასი გაზრდილია, პრაქტიკულად, ყველა ძირითად საკვებ პროდუქტზე 10, 30 და 50 პროცენტით“.** ამიტომ დაუყოვნებლივ მოითხოვს პარლამენტში სამთავრობო საათის გამართვას და ეკონომიკური გუნდის დაბარებას. დაბარება პირველი ეტაპია, ამის შემდეგ კი პარლამენტისა და მთავრობის ერთობლივი ძალისხმევით სასწრაფოდ უნდა განხორციელდეს ქმედითი ღონისძიებები — საარსებო მინიმუმის გადაანგარიშება, პენსიების გაზრდა და ასე შემდეგ იმ უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობის გადასარჩენად, რომელსაც, ბაღათურიას პროგნოზით, შიმშილით სიკვდილი ელის.



### გადაანგარიშდეს საარსებო მინიმუმი

**პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენ თვითონ“ ყოველთვის ყველაფერს თვითონ ვერ ახერხებს და ხანდახან პარლამენტის დახმარებაც სჭირდება. ამჯერად პარლამენტს მათი ახალი კანონპროექტი წარედგინება.** პარტიის ინიციატივით, 300 ლარამდე თვიური შემოსავლის მქონე ფიზიკური პირები 2011 წლიდან მინიმუმ ერთი წლით საშემოსავლო გადასახადისგან უნდა გათავისუფლდნენ. პარალელურად უნდა დაიწყოს მუშაობა საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის ხელახალი გადაანგარიშების და მისი ფიზიკურ პირთა შემოსავლების ოდენობის მიხედვით დიფერენცირების მიმართულებით. ასევე, უნდა დადგინდეს შემოსავლის დაუბეგრავი მინიმუმი, რაც საარსებო მინიმუმის შესაბამისად უნდა განისაზღვროს და ცხადია, სასწრაფოდ უნდა გადაანგარიშდეს საარსებო მინიმუმი.

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ამისა, **დიკ ჩეინიმ კონდოლიზა რაისის გასაკონტროლებლად სახელმწიფო დეპარტამენტში დასვა თავისი ქალიშვილი ისეთივე თანამდებობაზე, როგორზეც მეთიუ ბრაიზა იყო,** ოღონდ ის თავის პირდაპირ სამსახურებრივ მოვალეობას — თავის რეგიონში (ახლო აღმოსავლეთი) მივლინებებს რატომღაც არ ეტანებოდა.

**საერთოდ, კონდოლიზა რაისისთვის იმ ადმინისტრაციაში მხოლოდ პირობითად შეიძლებოდა გვეწოდებინა „ქორი", მაშინ, როდესაც ნეოკონებთან შედარებით ის ნამდვილად „მტრედი" იყო.**

**კონდისა და მიშას შორის ურთიერთობა ძალიან დაიძაბა 2007 წლის ზაფხულში. როგორც ჩანს, მას უკვე ყელში ამოუვიდა მათი დასმული კაცის არაპროგნოზირებადობა. ამერიკის დამოუკიდებლობის დღეს სააკაშვილი, როგორც ყოველთვის, დაუპატიჟებლად ჩადის ვაშინგტონში** (დაუჯერებელი ქცევა პრეზიდენტისთვის, რაც ახლახან კიევში გრანდიოზული კონფუზით დამთავრდა – პრეზიდენტ იანუკოვიჩის დაბადების დღეზე დაუპატიჟებლად ჩასვლის შემდეგ იქაურმა პრეს-სპიკერმა შემდეგი განაცხადა: **„ჩვენ, უკრაინელები, ზრდილობიანი ხალხი ვართ და დაუპატიჟებელ სტუმარს ხომ ვერ გავაგდებდით!.."**).

მაგრამ დავუბრუნდეთ ამერიკას. **ჯორჯ ბუშის დაბადების დღე სწორედ 5 ივლისს არის. ჩვენმა ტელევიზიებმა თავის პირველ გამოშვებებში აჩვენეს, თუ როგორ უმღერა სააკაშვილმა ბუშს „ჰეპი ბერთდეი ტუ იუ", მაგრამ შემდეგ, როგორც ჩანს, მიხვდნენ ან უთხრეს და აღარ აჩვენეს. მაგრამ ეს თურმე მხოლოდ დასაწყისი იყო – ბუშმა სააკაშვილი იმ საღამოს თავის ბანკეტზე არ დაპატიჟა!!!** ***სამაგიეროდ, კონდოლიზა რაისმა ის თავისთან დაიბარა და სასტიკად გათათხა*** (დეტალები უცნობია). ამის შემდეგ სააკაშვილი მთელი ათი დღით სადღაც გადაიკარგა და მისი ადგილსამყოფელი მისმა უახლოესმა წრემაც არ იცოდა, რაც საერთოდ სრულიად დაუშვებელი და უპასუხისმგებლო ქცევაა პრეზიდენტისგან (შემდეგში ეს უპასუხისმგებლობა სისტემატური გახდა). მხოლოდ უკან დაბრუნების შემდეგ დაახეთქა ტყუილი – ხორვატიაში ვიყავი საერთაშორისო კონფერენციაზეო. არადა, დღეს ინტერნეტი არსებობს და მე უმალ გადავამოწმე – არც მშვენიერ ხორვატიაში და არც არსად იმ ზაფხულის დღეებში არავითარი საერთაშორისო თუ ადგილობრივი კონფერენცია არ გამართულა. თუ დასასვენებლად იყო, ეთქვა, მაგრამ **იგი სადღაც სწორედ ნერვების დასაწყნარებლად იყო წასული კონდის ლანძღვის შემდეგ. აქედან ჩვენ ადვილად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბუშმა თავის დაბადების დღეზე არ დაპატიჟა და ეს სწორედ კონდოლიზა რაისის რჩევით მოხდა!**

ახლა კი მთავარზე გადავიდეთ. **ჩვენთვის ავადსახსენებელ 2008 წლის მოვლენებში რა როლი ითამაშა კონდოლიზა რაისმა. გაზაფხულზე სააკაშვილისა და მისი გარემოცვისგან ძალიან აგრესიული მილიტარისტული რიტორიკა წამოვიდა.** მაგალითად, ქუთელია გვიმტკიცებდა, რომ რუსებს ჟანგიანი შეიარაღება აქვთო, ხოლო ერთი მასხარა ისტორიკოსი იმასაც ამტკიცებდა, თუ დაგვჭირდა, მოსკოვსაც ავიღებთო. ასე რომ, **ჩვენი ტერიტორიების 20%-ის დაკარგვაში მარტო სააკაშვილს არ მიუძღვის ბრალი. ისინი, ვინც ფონს ქმნიდნენ და ხალხს მილიტარისტული ილუზიებით კვებავდნენ, ანალოგიური დამნაშავეები არიან.**

**ცხადი იყო, რომ სააკაშვილი რუსეთთან აპირებდა ომს, რაც აბსოლუტურად სულელური ავანტიურა იყო და მხოლოდ ქვეყნის დაქუცმაცებას თუ შეუწყობდა ხელს.** ვინაიდან 21 მაისს საპარლამენტო არჩევნები დაინიშნა, თავის ავანტიურას ის არჩევნების წინ ვერ დაიწყებდა, ჯერ მისი გაყალბება იყო საჭირო მილიტარისტული პროპაგანდის ფონზე. არადა, აფხაზეთიდან დევნილმა მოსახლეობამ, სამწუხაროდ, დაუჯერა იმ სისულელეს, რომ სააკაშვილს შეეძლო აფხაზეთის ძალის გამოყენებით გათავისუფლება! ხოლო **ვინაიდან კავკასიაში ომის საწარმოებლად ყველაზე ხელსაყრელი დრო აგვისტოა, კონდოლიზა რაისი ომის პრევენციისთვის საქართველოში ერთი თვით ადრე, ანუ 9 ივლისს ჩამოვიდა. ის კატეგორიულად მოითხოვდა სააკაშვილისგან, რომ აფხაზეთში შეჭრისგან თავი შეეკავებინა და თუ ამას მაინც გააკეთებდა, ამერიკისა და ნატოს დახმარების იმედი არ უნდა ჰქონოდა.**

იმავე დღეს რუსეთის ორმა სამხედრო თვითმფრინავმა ღიად გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი და ცხინვალის თავზე რამდენიმე წრე გააკეთა. კონდოლიზამ მესიჯი კარგად გაიგო და, რასმუსის წიგნის მიხედვით, იმავე საღამოს სადილზე სააკაშვილს მოსთხოვა, აფხაზებთან და ოსებთან ხელი მოეწერა თავდაუსხმელობის პაქტზე, რაზეც სააკაშვილი დღემდე უარს ამბობს (გაუგებარია, მაშ, რისთვის არბენინებენ ბოკერიას ჟენევაში?!). სააკაშვილმა მაშინ ეს ისე გაიგო, როგორც თვითონ უნდოდა, ე.ი. აფხაზეთში შესვლა არ შეიძლება, მაგრამ ცხინვალში — კი.

**1 აგვისტოს ცხინვალიდან გაიყვანეს ქალები და ბავშვები, რამაც ნათელყო, თუ რა მოხდებოდა უახლოეს დღეებში. მაგრამ სააკაშვილი მოულოდნელად ორიოდე დღით იტალიაში გაფრინდა. რა უნდოდა იქ, ძნელი სათქმელია. რადგან საქართველოდან ის ტელეფონით ვაშინგტონს ვერ დაელაპარაკებოდა, იმიტომ, რომ რუსები მის ნალაპარაკევს მაშინვე ჩაიწერდნენ,** ამ საქმეში ჩემი არაკომპეტენტური აზრით, **იტალიიდან სააკაშვილი სწორედ ვაშინგტონს ელაპარაკებოდა!**

მაგრამ — ვის? ბუშმა (ე.ი. კონდოლიზა რაისმაც) რომ არაფერი იცოდა მის გეგმებზე, ეს პეკინის ოლიმპიადის გახსნისას გამოჩნდა მის გაოგნებულ სახეზე, როდესაც მას სწორედ პუტინმა აცნობა ომის დაწყება. ჯორჯ ბუში რომ შეურაცხყოფილად იგრძნობდა თავს პუტინის წინაშე არაინფორმირებულობის გამო, გასაგებია. ამიტომაც მას საქართველოს დასაცავად ორი სიტყვაც არ უთქვამს, გარდა იმისა, რომ „რუსები გადამეტებულ ძალას ხმარობენო!". ხოლო **როდესაც ევროკავშირის მაშინდელმა მოქმედმა თავმჯდომარემ, საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ ომის შესაჩერებლად მოსკოვში გაფრენა გადაწყვიტა, მისივე სიტყვებით, ბუშმა მას დაურეკა, სთხოვა არ ჩარეულიყო, „დაე, რუსებმა თბილისი აიღონო!!!".**

საბედნიეროდ, სარკოზიმ მას არ მოუსმინა და თავისი გასაკეთებელი საქმე გააკეთა, ხოლო რუსული ტანკები თბილისიდან 35 კილომეტრში შეჩერდნენ, მიუხედავად იმისა, რომ არავითარი წინააღმდეგობა არ ხვდებოდათ.

**მაინც რატომ თქვა ბუშმა ასეთი ფრაზა?** ეს ხომ მარტო სააკაშვილზე დაბოღმილი კაცის პოზიცია არ არის, მიუხედავად იმისა, რომ მას საკმარისი მიზეზი ჰქონდა დასაბოღმად – თუნდაც ამერიკის პრესტიჟის შელახვა და მისი უსუსურობის ჩვენება, როდესაც მის პატარა „სტრატეგიულ პარტნიორს" თელავდნენ მოწინააღმდეგის ტანკები?! მაგრამ აქ სხვა პრობლემაც იკვეთება და შეიძლება სწორედ აქ ვიპოვოთ იმ დილემის გასაღები, თუ მის მიერ დაგეგმილ ომამდე ორიოდე დღით ადრე რატომ წავიდა სააკაშვილი იტალიაში და ვისგან მიიღო მან ინსტრუქციები.

**გასაგებია, ვის ინტერესებში იყო ეს ომი:**

რუსები თუ თბილისს აიღებდნენ, პრეზიდენტი სწორედ მაკეინი გახდებოდა, რადგან ობამა სულ მშვიდობაზე ლაპარაკობდა! **მაკეინი ომის პარტიის ლიდერი იყო და რუსების აქ შემოსვლით ის უთუოდ იმარჯვებდა საპრეზიდენტო არჩევნებში.**

სააკაშვილმა კი დაიწყო ეს ავანტიურა, ხოლო მერე შეშინებულმა ორ დღე-ნახევარში, 10 აგვისტოს დილას, კაპიტულაციას მოაწერა ხელი!

გამოდის, რომ მაკეინს სწორედ ჩვენი უბედურების ხარჯზე გაპრეზიდენტება უნდოდა. **დასავლეთის პრესა ერთხმად აღნიშნავს, რომ სააკაშვილი მარტო ვერ გაბედავდა ასეთი დონის ავანტიურის წამოწყებას, მაშინ, როდესაც სახელმწიფო დეპარტამენტი ღიად გამოდიოდა ამის წინააღმდეგი. ეს თქვა კონდოლიზა რაისმა პოსტის დატოვების წინ, ხოლო მეთიუ ბრაიზა ომის დღეებში მოსკოვში გაფრინდა და რადიოსადგურ „ეხო მოსკვის" ეთერში ბოდიში მოუხადა რუს ხალხს, თქვა: „მთელი ოთხი წელი ვაჩერებდი მაგ... (გიჟსო)."** (რამდენად სანდო იყო მისი ეს განცხადება, ეს უკვე სხვა თემაა).

**სააკაშვილი რომ თავისი პატრონების წინააღმდეგ ვერ წავიდოდა, ცხადია. მაშ, ვინ შეაგულიანა ის? ეს, სავარაუდოდ, მხოლოდ მისი მენტორი მაკეინი იქნებოდა, რომელმაც აღმოაჩინა იგი და კარიერა გაუკეთა, ან ჯონის მეგობარი და თანამზრახველი ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი შეიძლება ყოფილიყო, სენატორ ლუგართან ერთად.**

ჩვენ გვახსოვს, თუ როგორი გამეხებული სახე ჰქონდა კონდოლიზა რაისს, როდესაც ავლაბრის რეზიდენციის წინ ერთობლივ ბრიფინგს ატარებდა სააკაშვილთან ერთად ომის დაწყებიდან ერთი კვირის შემდეგ. მათ ერთმანეთს ერთხელაც არ შეხედეს და არ გაუღიმეს, ხოლო სააკაშვილმა ლამის შესტირა – ჩვენ მთელმა მსოფლიომ მიგვატოვაო. აქ კომენტარი ზედმეტია, მაგრამ, ჩემი ანალიზით, სწორედ მაშინ წაიჩხუბეს საბოლოოდ.

ჯორჯ ბუშმა გადაწყვიტა, სააკაშვილისთვის საბოლოო საჩუქარი გაეკეთებინა (მსოფლიოში ერთადერთი „ბუშის ქუჩა" ხომ სწორედ თბილისშია). და აი, ამერიკის პოლიტიკურ პრაქტიკაში უმაგალითო ამბავი მოხდა — **ბუშის გადადგომამდე ათი დღით ადრე, მისი თხოვნით, კონდოლიზა რაისმა სახელმწიფო დეპარტამენტში საიდუმლოების პირობებში** (არც ერთი ამერიკელი ჟურნალისტი არ იყო მიწვეული) **ხელი მოაწერა ბუტაფორიულ „სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიას". წესით, ასეთ დოკუმენტს პრეზიდენტი უნდა აწერდეს ხელს, მაგრამ, როგორც ჩანს, სააკაშვილის დანახვა კონდოლიზა რაისისთვის უკვე იმდენად ძნელი იქნებოდა, რომ სააკაშვილს, ალბათ, უთხრეს, ვაშინგტონში ფეხი არ დაედგა.**

სააკაშვილი ერთ კვირაში ნიუ იორკში მიემგზავრება გაეროს ყოველწლიურ სესიაზე დასასწრებად. შარშან ანალოგიურ სესიაზე ის ერთი კვირით ადრე ჩაფრინდა, ალბათ, აკლიმატიზაცია სჭირდებოდა „მტრული" თბილისის შემდეგ. ერთადერთი, ვისაც მაშინ შეხვდა, თურქმენეთის პრეზიდენტი იყო. ახლა მოდი ვნახოთ, რომელი ქვეყნის ლიდერი გაბედავს და „რუსეთის დამმარცხებელს" (ეს „რუსთავი 2"-ისა და „იმედის" მიხედვით) ჩამოართმევს ხელს...

**რამაზ კლიმიაშვილი**



თბილისი,
2008 წლის 15 აგვისტო

საავტორო სვეტი



# დედიკოს ბიჭი

**ერთხელ მაინც დავეთანხმოთ ამ ადამიანს, თუნდაც მრავალფეროვნებისთვის, კერძოდ კი ბათუმში, მთავრობის სხდომაზე, გაკეთებულ მის განცხადებას, რომ საქართველოში სხვადასხვა დარგების სპეციალისტთა რაოდენობა მწირია, იმ „დედიკოს ბიჭების" რაოდენობა კი, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობებზე სწავლობენ, — გაცილებით დიდი.**

დავიწყოთ იმით, რომ საერთაშორისო ურთიერთობებისკენ მიდრეკილი „დედიკოს ბიჭი" მართლაც რომ განსახიერებული კოშმარია. პირადად მე მხოლოდ ერთს ვიცნობ, ისიც დისტანციურად (თუმცა არა, ე.წ. ვარდების ე.წ. რევოლუციამდე შევხვედრივარ), მაგრამ ვადასტურებ, **ერთი ასეთი ბიჭი თავისი კოშმარულობით და, რაც მთავარია, ნამოქმედარის შედეგებით მარტორქებზე ამხედრებული ბაბუინების დივიზიას ჯიბეში ჩაისვამს.** განსაკუთრებით დაკვირვებული ანთროპოლოგები მიიჩნევენ, რომ ამ მხრივ ფრიად გამოირჩევიან ის „დედიკოს ბიჭები", რომლებმაც კიევში ტარას შევჩენკოს სახელობის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი დაამთავრეს, თანაც წარჩინებით, თანაც ასე, 1992 წლისთვის.

თუმცა ბათუმში მინისტრებთან შეხვედრას წინ უძღოდა შეხვედრა დეპუტატებთან ანაკლიაში (საინტერესოა, რა დაგვიჯდა მთელი ამ შაპიტოს გადაადგილება), სადაც „დედიკოს ბიჭის" თემა საერთაშორისო ურთიერთობებს გადაება. **„წარმოიდგინეთ, რომ რუსეთი არის ძველი ბიჭი, უბნის ყოჩი,** — ღაღადებდა სააკაშვილი და ჩვენს ბედკრულ ქვეყანას ფრიადოსან მოსწავლეს ადარებდა, რომელსაც ხსენებული ძველი ბიჭი ჩაგრავს: **„ერთხელ წამოარტყა, მეორედ წამოარტყა, მესამედ კიდევ ხელი გაკრა, შეაგინა, შეაფურთხა..."**

საგულისხმოა, რომ სააკაშვილმა ზედმიწევნით ზუსტად აღადგინა „დედიკოს ბიჭის" ქცევის მოდელი, თუმცა მხედველობიდან გამორჩა ის, რომ **როდესაც ერთხელ, მითუმეტეს ორჯერ, წამოგარტყამენ და პასუხს არ გასცემ, იმის იქით ისტორიის გაგრძელებას აზრი არ აქვს, რადგან ამის შემდეგ აბსოლუტური ნოლი ხდები. სხვათაშორის, სწორედ იმ მომენტიდან საკუთარი თავის მოტყუება იწყება, რომელიც მიღებული ფსიქოლოგიური ტრავმის კომპენსირების ამაო მცდელობას წარმოადგენს.**

სააკაშვილის შემდგომი ფრაზა კი ძლიერ ჰგავდა იმ ცეცხლოვან ფანტაზიებს, რომელსაც ნაბეგვი „დედიკოს ბიჭები" ცრემლით გაჟღენთილ ბალიშს უზიარებენ: **„ამ ხუთოსანმა შეუბრუნა ხელი და კარგი მაგარი პანღური ამოარტყა. ამასობაში უბანში შემოიხედა პოლიციელმა".** აქ მსოფლიო თანამეგობრობა იგულისხმა, თუმცა მთავარი სხვა რამ არის: წინააღმდეგობის გაწევა, ამ წარმოსახვით სიტუაშიაც კი გარე ძალის მიერ არის დაზღვეული, სხვანაირად „დედიკოს ბიჭებს", უბრალოდ, არ შეუძლიათ. რეალობაში კი ასეთ ვითარებაში კი ისინი სახლში გარბიან და შურისძიებას მოგვიანებით იწყებენ, როგორც წესი, ოჯახის წევრებსა და უმწეო ადამიანებზე, რომლებიც ცხოვრების გზაზე ხვდებიან. **ფსიქოლოგები დაგვემოწმებიან, რომ ბევრი სადისტი და ნაძირალა სწორედ რომ გაბოროტებული „დედიკოს ბიჭია".**

ისე, ალბერტ აინშტაინიც ბუნჩულა და პაციფისტი ბავშვი იყო, თუმცა, საერთაშორისო ურთიერთობების ზოგიერთი სპეციალისტისგან განსხვავებით, ცხოვრებაში სწორი გზა აირჩია. მარტივად რომ ვთქვათ, ის გაიზარდა, ბევრი „დედიკოს ბიჭი" კი ბავშვობაში ჩარჩა. **ძალა, რომელიც ქვეცნობიერის სიღრმეში ბუდობს, მთელ პლანეტაზე შურის საძიებლად უბიძგებს და კომპლექსებისგან გათავისუფლების შესაძლებლობას არ აძლევს. ასეთი ტიპები მთელ ცხოვრებას (თვით)განადგურების გაწელილ, უსარგებლო აქტად აქცევენ ხოლმე; მათ მართვას კი ყველა ახერხებს, ვისაც ამის კეთება არ ეზარება. ყოვლისმომცველი შიში, რომელიც ზოგიერთი „დედიკოს ბიჭისთვის" იწყება შეძახილიდან „მოდი აქ, შე ჰალსტუხიანო!..", მუდამ თან სდევთ, მიუხედავად იმისა, რამდენად მაღალ თანამდებობას იკავებენ ისინი და მისგან გათავისუფლებას მხოლოდ კვალიფიციური ფსიქოთერაპევტის დახმარებით თუ შეძლებენ.**

რაც შეეხება სააკაშვილის მიერ ნახსენებ სხვადასხვა დარგის სპეციალისტების ნაკლებობას, ამ შემთხვევაშიც უნდა დავეთანხმოთ, რადგან კარგი სპეციალისტების უმრავლესობამ ეს ქვეყანა, დიდი ხანია, დატოვა. მაგრამ ეს უკვე ეკონომიკაა და უმჯობესი იქნება, თავშეკავებულად დაველოდოთ იმ მომენტს, როდესაც ავანსცენაზე ქალბატონი ვერონიკა ქობალია გამობრძანდება და ამ ვითარების გამომწვევ მიზეზებს დაწვრილებით განგვიმარტავს. ეს, ალბათ, გაცილებით საინტერესო იქნება, ვიდრე „დედიკოს ბიჭების" ქვითინით აღსავსე ისტორიების მოსმენა იმაზე, თუ როგორ ვერ გახდნენ კაცები.

**დიმიტრი მონიავა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## გაფრაზებული



**თეიმურაზ შაშიაშვილი,**
**„თეთრი მოძრაობის“ („თეთრები“) ლიდერი:**

როგორც „ხსნის არმიამ“ დაანგრია მთელი საქართველო სულიერად, ისე დაანგრევს ეს 10 ათასი ე.წ. ინგლისურის მასწავლებელი ჩვენს ქვეყანას, თუ ისინი აქ ჩამოვიდნენ.

*„კვირის ქრონიკა“*



**თამაზ წივწივაძე,**
**მწერალი, პუბლიცისტი და კრიტიკოსი:**

არ დამითვლია და არ ვიცი, რამდენი პარასკევი აქვს მიშას კვირაში, მაგრამ ის კი დანამდვილებით ვიცი, სააკაშვილის ხელისუფლებას ორიოდე კვირა რომ აქვს დარჩენილი!..

*„კვირის ქრონიკა“*



**ზურაბ აბაშიძე,**
**პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი:**

მეჩვენება, რომ ჩვენს საზოგადოებაში, ზოგადად, და ექსპერტთა შორისაც, კონკრეტულად, მეტწილად მოვლენათა „შავ-თეთრი“ ხედვაა. ერთი ნაწილი ამბობს, რომ ყველაფერი ბრწყინვალედაა და მსოფლიოში მეორე ადგილზე ვართ, მეორე ნაწილი კი ამტკიცებს, რომ მიმდინარეობს ქართველი ხალხის გეგმაზომიერი გენოციდი. ამ ორ პოზიციას შორის კი უზარმაზარი უფსკრულია.

*„კვირის პალიტრა“*



**ფრიდონ თოდუა,**
**პარლამენტის ვიცე-სპიკერი, მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი:**

იმის გამო, რომ შენობის გაყიდვა გინდა, რატომ ანადგურებ უნიკალურ ლაბორატორიას, რომლის არათუ გადატანა, დაძვრაც არ შეიძლება. მთავარი შენობების გაყიდვა კი არა, სამეცნიერო პოტენციალის შენარჩუნება უნდა იყოს და ეს მეცნიერებათა აკადემიამ უნდა ითავოს.

*„კვირის პალიტრა“*



**მარიამ ცაცანაშვილი,**
**იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი:**

თუ კანონი მიშაა, მაშინ ღირსება მაინც შეინარჩუნე და გაეცალე, თუ მოგწონს, შეფასება ასეთია: თქვენ, ბატონებო, ოპოზიციამაც და პოზიციამაც მონათმლობელობა ჩამოაყალიბეთ საქართველოში. ახლა გინდა, ერთი მხარე მოდით სათავეში, გინდა — მეორე, ხალხისთვის რა მნიშვნელობა აქვს?!

*„კვირის ქრონიკა“*

# სასკოლო წიგნები 20 პროცენტით გაძვირდა



**ახალი სასწავლო წლისთვის საკანცელარიო და სასკოლო საქონელი ისე გაძვირდა, ბევრმა, ალბათ, სრული კომპლექტის შეძენა ჯერაც ვერ მოახერხა. საკანცელარიო და სასკოლო წიგნების მაღაზიების მეპატრონეების განცხადებით, აღნიშნული საქონლის ფასმა 18-20%-ით მოიმატა, ახალი წიგნის ფასი 10 ლარიდან იწყება, ძველიც შარშანდელთან შედარებით გაძვირებულია.**

მესამეკლასელის სახელმძღვანელოების მთლიანი კომპლექტი 100-120 ლარი ჯდება. ამას საწერ კალმებსა და რვეულებს თუ დავუმატებთ, გამოდის, რომ ბავშვის სკოლაში წასასვლელად დაახლოებით 150 ლარია საჭირო. უფროსკლასელთათვის ეს თანხა გაცილებით დიდია.

ის, რომ სასკოლო სახელმძღვანელოების ფასი წლიდან წლამდე კატასტროფულად იზრდება, მშობლებისთვის სერიოზულ პრობლემებს ქმნის და სასწავლო წლის დასაწყისში დიდი მოთხოვნა არა ახალ წიგნებზე, არამედ გასაყიდად გამოტანილ ნახმარ სახელმძღვანელოებზეა.

**„ჩვენ არ გვაქვს იმის საშუალება, რომ ახალი წიგნი შევიძინოთ. ასე რომ, სულ „მეორადებში“ დავდივართ. ჩემი შვილიშვილი მე-5 კლასში გადავიდა და წინა წელთან შედარებით წელს უფრო მეტი წიგნი სჭირდება. რა თქმა უნდა, შესაბამისად, უფრო მეტი ფულიც. შარშან 2-3 ლარად ვშოულობდი მეორადებში წიგნებს. ჯერ სულ რაღაც 2 წიგნი ვიყიდე და უკვე 14 ლარი დავხარჯე, ერთი 6 ლარი ღირდა, მეორე — 8. აქ რომ ასეთი ფასებია, წარმომიდგენია, ახალი წიგნები რა ეღირება“,** — თქვა ერთ-ერთი მოსწავლის ბებიამ.

**„ჩემი შვილი მესამე კლასში გადავიდა, ჯერ ყველა წიგნი არ შემიძენია. შარშან 3-4 ლარად ვიყიდე და ძალიან გამიხარდა, იაფი დამიჯდა. წელს კი 5 ლარის ქვევით წიგნს ვერ ნახავ, ისიც მხოლოდ ზოგიერთს თუ იშოვი ამ ფასად“,** — გვითხრა ერთ-ერთმა მშობელმა.

## ქართველი ბავშვების უმრავლესობა სკოლაში «მეორადი წიგნებით» მივიდა

### „კალგოლოჯისტმა“ და „ბლოკ ჯორჯიამ“ ხელისუფლების დახმარებით, საბაჟოებს მცირე მეწარმეების მიერ შემოტანილი სასკოლო ინვენტარი დააკავებინეს

მოვაჭრეებს კი საკუთარი არგუმენტები აქვთ:

**„წინა წლებთან შედარებით წელს ცოტა ძვირად ჩაგვაბარეს წიგნები. ჩვენც ერთ-ორ ლარს ვუმატებთ. აბა, რა ვქნათ, ჩვენც ხომ უნდა დაგვრჩეს რაღაც?! ამით ვირჩენთ თავს“.**

სასკოლო სახელმძღვანელოების ბეჭდვა საქართველოში ერთობ მომგებიან ბიზნესად იქცა. არავინ ფიქრობს იმაზე, რომ სახელმძღვანელოს გარეშე მოსწავლე სკოლაში ვერ წავა. იციან, მშობელი „ტყავს გაიძრობს“ და როგორღაც მაინც უყიდის თავის შვილს წიგნებს. აზრად არავის მოსდის, რომ სოციალურად ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფ მოსახლეობას ყოველი 10 თეთრით გაძვირებული პროდუქციაც კი დიდ პრობლემას უქმნის, რომ აღარაფერი ვთქვათ წიგნების 5-6 ლარით გაძვრებაზე. ამას ემატება ყოველწლიურად განათლების სამინისტროს მიერ ახალ-ახალი სახელმძღვანელოების დამტკიცება. **რასაკვირველია, პროდუქციის დეფიციტსა და გაძვირებას ხელს საბაჟო ტერმინალებზე დატვირთული ტრაილერების კოლონები და საწყობებში განუბაჟებელი საქონელიც უწყობს. მთავრობაში კი ხელოვნურად შექმნილი პრობლემების მოგვარებას არ ჩქარობენ.**

**„ლეიბორისტული პარტია“ სასკოლო ინვენტარის ბაზრის მონოპოლიზაციაში თავდაცვის ყოფილ მინისტრს, დავით კეზარაშვილს ადანაშაულებს და აცხადებს, რომ ამის გამო, ბოლო ორი თვის განმავლობაში სასკოლო ინვენტარის ფასმა 300-400 პროცენტით მოიმატა.**

პარტიის გენერალური მდივან იოსებ შატბერაშვილის განცხადებით, კომპანიებმა — „კალგოლოჯისტმა“ და „ბლოკ ჯორჯიამ“ ხელისუფლების დახმარებით, საბაჟოებს მცირე მეწარმეების მიერ შემოტანილი სასკოლო ინვენტარი დააკავებინეს, რათა მთელი ბაზრის მონოპოლიზაცია თვითონ მოეხდინათ და მათ მიერ იმპორტირებული სასკოლო ინვენტარი და სახელმძღვანელოები სასურველ ფასში გაეყიდათ.

მისივე თქმით, აღნიშნული კომპანიების უკან თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი დგას, რომელიც გაჭირვებული ხალხისთვის ძვირად მიყიდული სასკოლო წიგნებიდან და ინვენტარიდან შემოსულ თანხას სააკაშვილს უყოფს.

**„მოვითხოვთ, ამ საქმეში გენერალური პროკურატურა ჩაერიოს და საბაჟოებს მოსთხოვოს, დაუყოვნებლივ გამოატანონ მცირე მეწარმეებს საბაჟოებზე დაკავებული სასკოლო ინვენტარი. საბაჟოზე დაკავებული საქონლის ბაზარზე გასვლის შემდეგ, აღნიშნულ ნივთებზე ფასები საგრძნობლად დაიკლებს. პროკურატურამ პასუხი უნდა მოსთხოვოს ხელისუფლებას. საინტერესოა, რატომ უქმნიან სასათბურე პირობებს კომპანია „კალგოლოჯისტსა“ და „ბლოკ ჯორჯიას“,** — აცხადებს შატბერაშვილი.

საკანცელარიო საქონლის ერთ-ერთ უმსხვილეს კომპანია „საკანცელარიო სამყაროს“ წარმომადგენლებიც ადასტურებენ, რომ ბოლო პერიოდში განბაჟებასთან დაკავშირებით დიდი პრობლემები შეექმნათ. საბაჟოზე მომატებული ფასებიც თავისთავად პროდუქციის გაძვირებას იწვევს.

ახალი სასწავლო წელი დაიწყო. ბევრი ბავშვი ჯერაც სახელმძღვანელოების გარეშე დადის სკოლაში იმის იმედად, როდის წააწყდება მისი მშობელი უკვე კარგად ნახმარ, მაგრამ მისთვის გამოსადეგ სახელმძღვანელოს ხელსაყრელ ფასად ძველი წიგნების ბაზრობაზე...

**თეო ტაბატაძე**

## მოკლედ



### არგუმენტი შს მინისტრისთვის

**მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ტურისტების მოზღვავება ჩვენი მთავრობის მეტს არავის შეუნიშნავს, ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრისთვისაც კი სწორედ ესაა ქვეყნის სტაბილურობის დამამტკიცებელი ჯერჯერობით ერთადერთი არგუმენტი.** ყოველ შემთხვევაში სხვა არგუმენტები არ ჩამოუთვლია, როცა რუსეთის მხრიდან გამოთქმული ბრალდების — პანკისის ხეობაში ბოევიკების გადამზადების — უარყოფა მოინდომა. მერაბიშვილის განცხადებით, შარშანდელ მაჩვენებელს წელს მხოლოდ რვა თვის მონაცემებით გავუსწარით. რაც შეეხება კრიმინალურ მდგომარეობას, ამ მხრივ საქართველოში „საუკეთესო მდგომარეობაა არა მხოლოდ რეგიონული, არამედ აღმოსავლეთ ევროპის მასშტაბით“.



### გრიგოლ ვაშაძე პრეზიდენტს იცავს

**„ყურადღებით უნდა ვუსმინოთ პრეზიდენტს,“ — დაგვტუქსა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მას შემდეგ, რაც მთელ საქართველოს „მოგვესმა“, რომ სააკაშვილი აზერბაიჯანის პრეზიდენტს კონფედერაციის შექმნაზე ესაუბრებოდა.** როგორც ყოველთვის — პრეზიდენტმა რაღაც თქვა და მთელი მისი გარემოცვა იძულებულია, მის სიტყვებს რაიმე გამართლება მოუძებნოს. ვაშაძის მონდომება ამ საქმეში შემდეგნაირად ჟღერს: „მან არაერთხელ გაიმეორა, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანის ურთიერთობები გასცდა სტრატეგიული ურთიერთობების ფარგლებს და, ფაქტობრივად, მიიღო კონფედერაციაში მყოფი ქვეყნების ურთიერთობების ხასიათი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ დავსხდებით და ერთ სამართლებრივ ბაზას შევქმნით“.



### ნათელაშვილს პარლამენტში შესვლა მოუნდა

**„ჩვენ რომ პარლამენტში შევსულიყავით, შესაძლოა, მიხეილ სააკაშვილს ცხინვალის ავანტიურა ვერ გაებედა. მას მართვადი პარლამენტი არ ეყოლებოდა... ეს დიდი შეცდომა იყო“, — აღიარა დანაშაული „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა.** მაგრამ ეს დანაშაული მეორე წუთშივე გადააბრალა ხელისუფლებასა და ოპოზიციას — ჯერ ერთი არ მიშვებდა პარლამენტში და მერე — მეორეო. მერე იმათაც გადასწვდა, პარლამენტში არშესვლის ინიციატორები რომ იყვნენ და საკრებულოში რომ „შეცუნცულდნენ“. ბოლოს კი დასძინა, რომ დღეს ქვეყანაში მხოლოდ ორი პოლიტიკური პარტიაა — „პარტიის სახელით რეგისტრირებული სახელისუფლო კრიმინალური ბანდა“ და 15 წლის განმავლობაში გაუტეხელი ლეიბორისტული პარტია.



### „ცენტრ პოინტის“ ვანოსია

**„ცენტრ პოინტი“ სამწლიანი მმართველობის უფლებით კომპანია „დექსუსის“ მფლობელობაში გადავიდა.** სააგენტო „პირველის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით „დექსუსის“ მფლობელი შს მინისტრი ვანო მერაბიშვილია. კომპანია 28 მშენებარე ობიექტის, სასტუმროების ქსელ „რჩეულის“ და სხვა აქტივების გადაბარების შემდეგ „ცენტრ პოინტის“ ვალების დაფარვას შეუდგება. რჩეულიშვილის მტკიცებით, ფართებს 6 ათასი ოჯახი ელოდებოდა, კომპანიის ვალი კი 15 მილიონ დოლარს შეადგენს, თუმცა, როგორც ამბობენ, სინამდვილეში ეს თანხა დაახლოებით ათჯერ მეტია. სამ წელიწადში ყველა ვალის დაფარვის შემდეგ ის, რაც „ცენტრ პოინტისგან“ დარჩება, წესით რჩეულიშვილებს უნდა დაუბრუნდეთ.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ჰამლეტ ჭიპაშვილი: საქართველოს ტერიტორია ტერორისტების გადასაადგილებლად თავისუფალია

**9 სექტემბერს ვლადიკავკაზის ცენტრალურ ბაზარში აფეთქება დაახლოებით 11:30 საათზე მოხდა. 40 კგ ტროტილის ექვივალენტური ასაფეთქებელი მოწყობილობა „ვოლგის" მარკის ავტომობილში იყო ჩამონტაჟებული. ტერაქტის შედეგად დაიღუპა 18 ადამიანი, მათ შორის მცირეწლოვანი ბავშვი, 158 კაცი კი დაიჭრა. აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ტერორიზმისა და მკვლელობის მუხლებით.**



რუსულ პრესაში საქართველოსთვის მეტად საგულისხმო და საფრთხის შემცველი ინფორმაციები გავრცელდა. გაზეთ „მოსკოვსკი კომსომოლეცში" გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში ნათქვამი იყო, რომ რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უშიშროების სამსახურები ვლადიკავკაზის ტერაქტის გახსნაზე მუშაობისას ყველაზე დამაჯერებელ ვერსიად ტერაქტში ქართველების მონაწილეობას განიხილავენ.

„მოსკოვსკი კომსომოლეცის" ჟურნალისტი თბილისის ბრალეულობას იმ ვარაუდით ამყარებს, რომ ქართველებს, შესაძლოა, 2008 წლის ომში განცდილი მარცხის გამო შურისძიების მიზნით მოეწყოთ ტერაქტი ვლადიკავკაზში. რუსულ მედიაში წერდნენ იმაზეც, რომ ამდაგვარ განცხადებებს საქართველოს შს სამინისტროს წარმომადგენელმა შოთა უტიაშვილმა აბსურდული უწოდა. „ეხო მოსკვისთან" საუბარში უტიაშვილმა განაცხადა, რომ ეს რუსი ჟურნალისტების მორიგი მონაგონია. მართალია, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები აბსურდულს უწოდებენ რუსული მედიით გავრცელებულ ინფორმაციას, მაგრამ საზოგადოება მაინც ღელავს.

**„მოსკოვსკი კომსომოლეცის" ზემოთ ხსენებულ პუბლიკაციას წინ უსწრებდა ჯერ კიდევ ვლადიკავკაზის ტერაქტამდე რუსულ მედიაში გავრცელებული რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება. ჩრდილოეთ კავკასიის ოლქის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელის მოადგილე ნიკოლაი სიმაკოვი ამ განცხადებაში ამბობდა: „გვაქვს ინფორმაცია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე სპეციალური ბანაკები აქვთ შექმნილი „ბოევიკების" გასაწვრთნელად. იქ ჩადიან ჩრდილოეთ კავკასიის მკვიდრნი, მათ შორის სისხლის სამართლის დამნაშავეები. საქართველოს ტერიტორიაზე მათ წვრთნიან ჩვენ წინააღმდეგ საბრძოლველად".**

გენერალ-მაიორი ასეთ მოსაზრებას გამოთქვამდა იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომლის მიხედვითაც რუსეთ-აზერბაიჯანის საზღვრის გადაკვეთის მცდელობის დროს მესაზღვრეებმა დააკავეს ორი „ბოევიკი", რომელთაც, ნიკოლაი სიმაკოვის თქმით, დაკითხვაზე აღიარეს, რომ ევროპის ქვეყნებში ემიგრაციაში ყოფნის დროს გახდნენ ექსტრემისტული ორგანიზაციების წევრები, ამ ორგანიზაციებმა კი ისინი სამხედრო წვრთნის მიზნით საქართველოში გააგზავნეს და რომ მათი საბოლოო მიზანი იყო ტერაქტების განხორციელება რუსეთის ტერიტორიაზე.

**საქართველოს ხელისუფლებას, ალბათ, ჰყავს შესაბამისი კადრები და აქვს შესაბამისი უწყებები, რომლებიც ამგვარ ფაქტებს უნდა აანალიზებდნენ.**

## ვლადიკავკაზში ტერაქტის მსხვერპლთა სიაში ქართული გვარებიც დაფიქსირდა

ვლადიკავკაზში ტერაქტის მსხვერპლთა სიაში ქართული გვარებიც დაფიქსირდა. რუსული მედიის ცნობით, გარდაცვლილთა სიაში, რომელიც ვლადიკავკაზის ხელისუფლებამ გამოაქვეყნა, 1952 წელს დაბადებული კარლო კაბისაშვილი და 1960 წელს დაბადებული მზია გაზაშვილი არიან. 5 ქართველის გვარი კი დაჭრილების სიაშიც აღმოჩნდა.



გამოძიებამ ტერაქტის შემსრულებლის გვარი უკვე დაადგინა. ვინმე არჩიევი ინგუშეთიდან ჩრდილოეთ ოსეთში აფეთქებამდე ერთი საათით ადრე ჩავიდა. მისი ავტომობილი ბაზართან გავლისას აფეთქდა. ასევე დადგენილია ავტომობილის მფლობელის ვინაობა — დობრიევი, იგი უკვე დაკავებულია. დაკითხვისას მან განაცხადა, რომ წინა დღით ავტომობილი უცნობ პირს მიჰყიდა.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევის განცხადებით, ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რათა დამნაშავეები სათანადოდ დაისაჯონ, წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში კი მათ გაანადგურებენ.

**გიორგი გუგავა, ლეიბორისტული პარტია:**

— ვერ გეტყვით, რამდენად შეესაბამება ჭეშმარიტებას ის ფაქტი, თითქოს ვლადიკავკაზის ტერაქტში საქართველოს რაიმე როლი აკისრია. ამას ინფორმაციის დონეზე არ ვფლობ. **მაგრამ არა მგონია, იმხელა სითავხედე ჰქონდეს ხელისუფლებას, ასეთი საქმით დაკავდეს. არა მგონია საქართველოს კვალი იყოს ამ საქმეში.** ვფიქრობ, უფრო პროპაგანდისტული განცხადებებია, ვიდრე რეალურ ფაქტებზე დაფუძნებული.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი:**

— ასეთი ინფორმაცია პირველი არაა, რასაც რუსეთის უშიშროება ავრცელებს. როგორც რუსული ანდაზა გვეუბნება, „კვამლი უცეცხლოდ არ არსებობს". თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე წინათაც იყო და, როგორც რუსები ამბობენ, დღესაც არის ტერორისტების მიმოსვლა. გავიხსენოთ თუნდაც პანკისის ხეობა და იქ ჩეჩნების ბანაკი. არაა გამორიცხული, რომ მსგავსი რამ საქართველოშიც მომხდარიყო, რადგან საქართველოში მიმოსვლა სრულიად თავისუფლად, უვიზოდ, შეიძლება. გარდა ამისა, რუსეთი ადანაშაულებდა საქართველოს ხელისუფლებას უშუალოდ ტერორისტების მომზადებასა და მათ დაფინანსებაში. ეს ისეთი ბრალდებაა, რომელსაც, ცხადია, ფაქტები სჭირდება. და რადგან ამას ოფიციალურად აცხადებს, შესაძლოა, რაიმე ფაქტები ჰქონდეს ხელთ.

**გადაჭრით და ხელაღებით იმის თქმა, რომ საქართველოში ტერორისტებს, რომლებიც შეიჭრებიან რუსეთში და მოაწყობენ ტერორისტულ აქტებს, ამზადებენ, არ შეიძლება.**

ის, რომ რუსეთი ხაზს უსვამს საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ტერორისტების წახალისებას, ძალიან სერიოზული ბრალდებაა და ფაქტებით დადასტურება სჭირდება. ვერ გეტყვით, რამდენად მართალია ეს ინფორმაცია, მაგრამ ეჭვები არის. რუსეთში ამის შესახებ სისტემატურად საუბრობენ, იწერება რუსულ პრესაში, ვრცელდება ინფორმაცია მსოფლიოში და მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის განცხადება, თითქოს ეს რუსეთის მიერ მოგონილი ზღაპარია, ამას არ შველის. ამას სჭირდება სერიოზული და კვალიფიციური პასუხი, რომელსაც ვერ ვეღირსეთ.

**ჯიმი ჯალიაშვილი, პოლიტოლიგი:**

— რუსეთის ეს განცხადებები ერთადერთ მიზანს ემსახურება, რომ საქართველოს წინააღმდეგ იმოქმედოს. პრინციპში, იმ პირობებში, რაშიც ვცხოვრობთ, ჩრდილოეთის საზღვრებს ვგულისხმობ, არც ესაა გამორიცხული. ორივე მხარე ცილს სწამებს ერთმანეთს. ძნელი დასამტკიცებელია ან ერთი, ან მეორე ვარიანტი. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ პუტინი და სააკაშვილი ერთმანეთს ეჯიბრებიან. მთავარი ისაა, რომ ერთნაირი სისტემაა, ერთი საკუთარი ქვეყნისა და სახელმწიფოს მიმართ, მეორეც ასევე, მაგრამ შედარებით აგრესიულია რუსეთი, რადგან სამხედრო ინტერესებით მოქმედებს.

**ლილი მიროტაძე**

## მოკლედ



### შს სამინისტრო იშლება

**კულუარული ინფორმაციით, რომელსაც ამ ეტაპზე არც არავინ უარყოფს და არც არავინ ადასტურებს, ვანო მერაბიშვილი შს სამინისტროს დათა ახალაიას გაუყოფს.** მართალია, პარლამენტში აღნიშნული ცვლილება ჯერ არ შესულა, მაგრამ, როგორც შსს-ს ინკოგნიტო მაღალჩინოსანი ირწმუნება, უშიშროების სამინისტრო კვლავ ცალკე სტრუქტურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეს პროცესი ინტენსიურად, დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს. ახალი უწყების დაქვემდებარებაში გადავა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი, კონტრდაზვერვა, კონტრტერორისტული ცენტრი და სხვ. შსს-ს დაქვემდებარებაში რჩება საგამოძიებო და კრიმინალური დეპარტამენტები და მას სათავეში კუდ-ის ამჟამინდელი ფაქტობრივი ხელმძღვნელი დათა ახალაია ჩაუდგება.



### მერაბიშვილი კადრებს ირჩევს

**არასამთავრობო ორგანიზაციის „სოლიდარობა უკანონო პოლიტპატიმრებს" თავმჯდომარე ეკა ბესელია აცხადებს, რომ კულუარული ინფორმაციით, შსს-ს უკლებლივ ყველა თანამშრომელი კადრების განკარგულებაში გადავიდა.** გათავისუფლების თაობაზე განცხადება ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე დააწერინეს უწყების ყველა თანამშრომელს, მაგრამ ამ განცხადებებში თარიღი მითითებული არ არის. როგორც შსს-ს თანამშრომლები ვარაუდობენ, ეს ყველაფერი შემცირებებთან და სამინისტროდან უშიშროების მიმართულების გამოყოფასთანაა დაკავშირებული. ამ ვერსიას ბესელიაც ეთანხმება და აცხადებს, რომ ამ გზით ვანო მერაბიშვილის უშუალო დაქვემდებარებაში დასატოვებელი კადრების შერჩევა ხორციელდება.



### ბურჯანაძე მოგვიწოდებს

**„დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერ ნინო ბურჯანაძეს თითო მოწოდება ყველასთვის აქვს. მაგალითად, პარლამენტის ყველა დეპუტატს მოუწოდებს, ხმა არ მისცენ ახალი კონსტიტუციის პროექტს, საზოგადოების ყველა წევრს — არ დაუშვან ქვეყნის კონსტიტუციის მიხეილ სააკაშვილზე მორგება და ამით მისი ხელისუფლების გაურკვეველი ვადით გახანგრძლივება.** მისი აზრით, სწორედ ამგვარ შედეგს განაპირობებს პრეზიდენტს, მთავრობასა და პარლამენტს შორის უფლებამოსილების დაუბალანსებლობა. ახალი კონსტიტუციით, პრემიერ-მინისტრი გახდება არა მხოლოდ ძლიერი პოლიტიკური ფიგურა და ერთპიროვნული მმართველი, არამედ მას შეუძლია აკეთოს თითქმის ყველაფერი, რაც მოესურვება, მისი გადაყენება კი, პრაქტიკულად, შეუძლებელია.



### ჯანდაცვის ახალი მინისტრი

**13 აგვისტოს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილედ დანიშნულმა ანდრია ურუშაძემ კაბინეტის მოწყობაც ვერ მოასწრო, რომ მინისტრობის რამდენიმე კანდიდატურას შორის არჩევანი მასზე შეაჩერეს და ახალ კაბინეტში გადაიყვანეს.** მანამდე ურუშაძის კარიერა ამ ტემპით არ ვითარდებოდა, მაგალითად, უკანასკნელი სამი წელი სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელობდა. 2005–2006 წლებში ის სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტის უფროსად მუშაობდა, შემდეგ კი ჯანდაცვის პოლიტიკის ექსპერტი იყო. შეგახსენებთ, ჯანდაცვის ყოფილმა მინისტრმა ალექსანდრე კვიტაშვილმა თანამდებობა 31 აგვისტოს მას შემდეგ დატოვა, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რექტორის მოვალეობის შემსრულებლად აირჩიეს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## გა[illegible]ზებუღნი



**ვიქტორ ჭელიძე,**
**საზღვაო სარდლის მოადგილე:**

სააკაშვილს იმ დღეს, როცა პარლამენტში შეიჭრა, ჩემ მიერ რუსეთიდან ჩამოტანილი ორი ჯავშანჟილეტი ეცვა. ერთ-ერთი რუსული საწყობიდან წამოვიღე და მიშამ რატომღაც ორივე ერთად ჩაიცვა.

*„კვირის პალიტრა“*



**კობა არაბული,**
**მწერალი:**

წადით, წაბრძანდით, ძმებო რესპუბლიკელებო, დებო მემარჯვენეებო, ცოლ-ქმარო უსუფაშვილებო, ძმებო გაჩეჩილაძეებო და ბერძენიშვილებო, თორთლაძე-დავითაშვილებო! ცოტა ხანს დაისვენეთ, წაბრძანდით სახლში ან სადმე სხვაგან, გამოიცვალეთ საძოვარი. მოასვენეთ ეს ქვეყანა სიცრუისგან, ფსევდოსიკეთისგან, ცრუ დაპირებებისგან.

*„ასავალ-დასავალი“*



**დოდო სიდიანი,**
**ევგენი აფრასიძის ქვრივი:**

ისე, ყველაფერი მინახავს და მსმენია, მაგრამ არსად გადავყრივარ, ქვეყნის პრეზიდენტს ეტრაბახოს, ამა და ამ ოჯახის ამოწყვეტის ბრძანება მე გავეციო. სადამ ჰუსეინსაც კი არ უტრაბახია ასე. ჰააგის ტრიბუნალისთვის მხოლოდ ჩემი ოჯახის ტრაგედიაც იკმარებს, ცხინვალის ომსა და სხვა დანაშაულებზე რომ აღარაფერი ვთქვა.

*„ასავალ-დასავალი“*



**ვანო მერაბიშვილი,**
**შინაგან საქმეთა მინისტრი:**

საქართველო არ დაემსგავსება იმ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, სადაც უშიშროების სამინისტრო ცალკე სტრუქტურად მოქმედებს. უახლოეს მომავალში უშიშროების სტრუქტურების არც ცალკე სამინისტროდ გამოყოფა და არც შსს-ს დაქვემდებარებაში შექმნა იგეგმება.

*„პირველი“*



**ზაზა სოფრომაძე,**
**სოცდაზღვევის სააგენტოს ყოფილი უფროსი:**

ბევრ ქვეყანაში მართლაც არის ამის პრეცენდენტი, როდესაც შრომის სამინისტრო არის ეკონომიკის სამინისტროსთან შეერთებული. ამიტომ ამის გაკეთება, რა თქმა უნდა, შეიძლება. მაგრამ, საქმე ის არის, რომ თვისობრივად არ შეიცვალა მიდგომა და ახლებურად არ იქნა გააზრებული ის პოლიტიკა, რაც ამ სფეროსთან დაკავშირებით არსებობს, მხოლოდ ეკონომიკის სამინისტროში გადატანა ვერაფერს უშველის.

*„რეზონანსი“*



**დავით ბაქრაძე,**
**პარლამენტის თავმჯდომარე:**

საინტერესოა მათი საბოლოო რეკომენდაციები საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტთან დაკავშირებით. კარგი იქნება, თუ პარლამენტი პროექტს მხოლოდ მას შემდეგ განიხილავს, რაც მასში ვენეციის კომისიისა და ევროსაბჭოს იურიდიული კომიტეტის რეკომენდაციები კიდევ ერთხელ აისახება.

*„ინტერპრესნიუსი“*



**დემურ გიორხელიძე,**
**ეკონომიკის საკითხთა ექსპერტი:**

საქართველოსთვის ტურიზმზე ორიენტაცია და მტკიცება, რომ ქვეყნის მომავალი ტურიზმს უკავშირდება, აბსოლუტურად მცდარი და მიუღებელია. ასეა თუნდაც იმიტომ, რომ 21-ე საუკუნეში წარმოუდგენელია ქვეყნის ეკონომიკა დამოკიდებეული იყოს მხოლოდ ტურიზმზე... ხელისუფლებას ტურიზის განვითარების სტრატეგია გათვლი არა აქვს. თუ ტურიზმს ავითარებ, რაღაცით გამორჩეული და კონკურენტუნარიანი უნდა იყო.

*„ინტერპრესნიუსი“*

# ხელისუფლება მოსახლეობას მიწებს ართმევს

**ფოთის მოსახლეობა ფოთი-თბილისის ცენტრალური მაგისტრალის გადაკეტვითა და საპროტესტო აქციებით იმუქრება. ფოთში ნაბადას უბნის მოსახლეობას ის ტერიტორიები წაართვეს, რომლებსაც საძოვრებად იყენებდნენ. აღნიშნული ტერიტორიის ნაწილი არაბ ინვესტორს ინდუსტრიული ზონის ასაშენებლად გადასცეს, ნაწილი კი — ბიზნესმენს ტერმინალის ასაშენებლად. ამ რაიონში მოსახლეობის ერთადერთი შემოსავლის წყარო საქონელია, ფოთის საკრებულოს დადგენილებით კი, ამ ტერიტორიაზე პირუტყვის გაშვება პირველ ჯერზე ერთ სულზე 50-ლარიან, მეორედ 100-ლარიან ჯარიმას ითვალისწინებს, განმეორების შემთხვევაში კი საქონელი ჩამორთმევასა და გაყიდვას დაექვემდებარება. მოსახლეობა საძოვრების გამოყოფას ითხოვს.**

უკანასკნელი წლებია, ხელისუფლება მოსახლეობას არათუ საძოვრებს, არამედ საცხოვრებელ ტერიტორიებს ართმევს. ამ პროცესმა მთელი საქართველო ისე მოიცვა, რომ ზემო სვანეთის განვითარების სახელმწიფო პროგრამას, რომელიც ამ რეგიონში ტურიზმის განვითარებას ითვალისწინებს, ადგილობრივები შიშით უყურებენ. მესტია ხარაჩოებშია ჩასმული, მოსახლეობა კი — პანიკაში, შიშობენ, რომ მამაპაპისეულ მიწებს წაართმევენ, რომლებიც ოფიციალურად დაკანონებული არ აქვთ.

უამრავ სხვა მაგალითთან ერთად, არსებობს ანაკლიის შემთხვევაც. **პრეზიდენტი სააკაშვილი შარშან მოსახლეობას დაჰპირდა, რომ მალე ანაკლია ყველაზე კარგი საზღვაო კურორტი იქნებოდა. „ახალი ანაკლიის“ პროექტზე მუშაობა მართლაც ოპერატიულად დაიწყო. ანაკლიელები ამ პროექტს, ცხადია, სიხარულით შეხვდნენ, თუმცა მოკლე ხანში გაირკვა, რომ ახალი ანაკლია მათ საკუთრებაში არსებულ მიწაზე უნდა გაშენებულიყო. მოსახლეობას ის მიწები ჩამოართვეს, რომლითაც წლების მანძილზე სარგებლობდნენ, მაგრამ გაფორმებული არ ჰქონდათ. მათი კუთვნილი მიწები ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე გადავიდა.** იმ ადამიანებთან, ვისაც მიწა საერთოდ არ ჰქონდათ გაფორმებული, ეს საკითხი ადვილად მოგვარდა, ხოლო ისინი, ვისაც წინა ხელისუფლების დროს აღებული მიწის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი გააჩნდათ, ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნენ, მათ პროკურატურაში ედავებოდნენ მიწების არაკანონიერ გაფორმებასთან დაკავშირებით. საბოლოოდ **მესაკუთრეები მიწების ჩუქებაზე დაითანხმეს. არავინ დაინტერესებულა, რატომ გადაწყვიტა ანაკლიის მოსახლეობამ ერთობლივად საკუთარი მიწების ჩუქება სახელმწიფოსთვის.**

როგორც ადგილობრივები ამბობენ, ანაკლიას ხშირად სტუმრობენ შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი და იუსტიციის მინისტრი ზურაბ ადეიშვილი. **ამ ზაფხულს, ფერიის მთაზე, ყოფილი სამხედრო ბაზის შენობაში მცხოვრები ოჯახებიც გარეთ გამოყარეს. აღნიშნული ტერიტორია უცხოურმა კომპანიამ აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძისგან პირდაპირი მიყიდვის წესით, სიმბოლურ ფასად, 1 ლარად, შეიძინა. აქ „ჰესტოკ ბათუმი“ გასართობი ცენტრისა და საბაგირო გზის მშენებლობას გეგმავს.** ვარშალომიძეს არც იმაზე უზრუნია, რომ ამ კომპანიისთვის, როცა ამხელა ტერიტორიას ერთ ლარად აძლევდა, იმის ვალდებულება მაინც დაეკისრებინა, რომ ბაზის ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახებისთვის საცხოვრებელი ფართები შეეძენა და ისინი თავშესაფრით უზრუნველეყო.

**მიწების წართმევის ტალღამ გადაუარა წალენჯიხასაც. მოსახლეობის კუთვნილი 150 ჰექტარი მიწა ეკონომიკის სამინისტრომ მალულად მიჰყიდა იტალიურ კომპანია „ფერეროს“.** ამ ფაქტთან დაკავშირებით წალენჯიხელებმა ოპოზიციის წარმომადგენლებს მიმართეს, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, წალენჯიხელებს დახმარების ნაცვლად საქმე უარესად წაუვიდათ, რადგან ამის გამო გაბრაზებულმა ჩინოვნიკებმა საქმე დააჩქარეს და სადამსჯელო ღონისძიებებმაც არ დააყოვნა, გლეხების ნაკვეთებში ტექნიკა სასწრაფოდ შეიყვანეს და მუშაობა დაიწყეს.

**მოსახლეობისთვის მიწების წართმევა ხელისუფლებამ დიდი ხნის წინათ დაიწყო, მაგრამ მაშინ მათ პრესტიჟული ადგილები მოსდიოდათ თვალში.** გახსოვთ, ალბათ, „აკადემქალაქში“ არსებული პრობლემები, როცა ბარაკების აღებისას მოსახლეობას საკუთარი სახლების დაკანონების საშუალებას ხელოვნურად არ აძლევდნენ და თბილისის ცენტრში მცხოვრები მოქალაქეები ლამის უსახლკაროდ დარჩნენ. ასევე უცერემონიოდ გაისტუმრეს საკუთარი ტერიტორიებიდან გორის ბაზის მშენებლობისას იმ ადგილას მცხოვრებნი. **ახლა იმის ნაცვლად, რომ მოსახლეობას მისი რაიონის გალამაზება და აღმშენებლობა ახარებდეს, ყოველი ახალი პროექტი შიშის ზარს სცემს, რომ მათაც იმ ასეულობით ადამიანის ბედი არ გაიზიარონ, რომლებიც ხელისუფლებამ სახლ-კარისა და მიწების გარეშე დატოვა.**

# მალე ტანსაცმელიც კატასტროფულად გაძვირდება

## ბიზნესში მონოპოლიების ხელახალი გადანაწილება იწყება

**საქართველოში პროდუქტზე ფასების კატასტროფულ ზრდას, შესაძლოა, ტანსაცმელზე ფასების მომატებაც დაემატოს. ამ ინფორმაციას „ახალი მემარჯვენეების“ წევრი მანანა ნაჭყებია ადასტურებს. ფასების ზრდის საფუძველი კი ამჯერად არა მსოფლიო ბაზარზე განხორციელებული ცვლილებები, არამედ საბაჟოზე შექმნილი ხელოვნური პრობლემები გახდება.**

დაახლოებით ორი თვის მანძილზე შპს „კარგოს“ კონტეინერები, რომლებითაც საქართველოში მოვაჭრეებს პროდუქცია თურქეთიდან შემოჰქონდათ, საბაჟოზე დააკავეს. შემოსავლების სამსახური „კარგოს“ მისი შემოტანის უფლებას არ აძლევდა. გავრცელებული ინფორმაციით, აღნიშნული კომპანია კრიმინალური პოლიციის უფროსის, ირაკლი კოდუას დედას, ლაურა ღაჭავას ეკუთვნის. იგი, უკვე წლებია, ფუნქციონირებს და ფიზიკური პირების მიერ შემოტანილი ტვირთების განბაჟებაზე მონოპოლია აქვს აღებული. როგორც ჩანს, **ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის მონოპოლიების ახალი გადანაწილება დაიწყო,** სწორედ ამიტომ შეექმნა პრობლემები „კარგოს“ შემოსავლების სამსახურთან.

მოსახლეობისთვის მნიშვნელობა არ აქვს, კოდუას დედის ფირმა განუბაჟებს ტვირთს თუ სხვა რომელიმე ჩინოვნიკის, მაგრამ მსგავსი შეფერხებებით ისინი ძალიან ზარალდებიან, რადგან სესხები აქვთ აღებული. იმის გამო, რომ შეძენილი საქონლის განბაჟებასა და რეალიზაციას ვერ ახდენენ, ვეღარც კრედიტების გასტუმრებას ახერხებენ. აღნიშნულმა ფაქტმა, შესაძლოა, ტანსაცმელიც გააძვიროს, რადგან, თუ განბაჟების ორთვიანი „პროცედურები“ არ დასრულდება, ბაზარზე ტანსაცმლის დეფიციტი შეიქმნება, რაც ფასების აწევას გამოიწვევს. ამასთან, „ახალი მემარჯვენეების“ წევრის, მანანა ნაჭყებიას განცხადებით, გაძვირებას ისიც შეუწყობს ხელს, რომ მოსახეობას 2-დოლარიანი შენაძენის განბაჟება 13 დოლარი დაუჯდება.

**მანანა ნაჭყებია:**

— აბსოლუტურად დადასტურებული ინფორმაცია მაქვს იმის შესახებ, რა სიტუაციაცაა ამჟამად საბაჟოებზე, 2 და 5 დოლარად შეძენილი საქონელი 22 და 23 დოლარი რომ ხდება განბაჟების შედეგად.

პირდაპირ გეტყვით, სქემა არის ასეთი: **მონოპოლისტი, საბროკერო კომპანიებს ვგულისხმობ, ჩინეთში, ინდოეთში, თურქეთში წასულ ადამიანებს სთავაზობს, თუ გინდათ, საბაჟოზე არ შეგექმნათ პრობლემა, ისარგებლეთ ჩვენი სასაწყობო მეურნეობით, ჩვენი საბროკერო მომსახურებითო.**

ეს ადამიანები, მხოლოდ შეისყიდიან საქონელს, მერე კი დანარჩენი პროცედურები მინდობილი აქვთ ამ საბროკერო კომპანიისთვის, მაგრამ, თუ თავს აარიდებენ ამას და დამოუკიდებლად ეცდებიან განბაჟებას სერიოზული პრობლემები შეექმნებათ და, შესაძლოა, ველარც შემოიტანონ საქონელი საქართველოში. ამიტომ იძულებულნი არიან, დათანხმდნენ საბროკერო კომპანიებს და შემდეგ, შესაბამისად, უფრო ძვირად გაყიდონ საქონელი.

საქართველოში ყველაფერზე კატასტროფული ფასებია. განბაჟების ახალი ტალღის შემდეგ კი სეზონური საქონელი ძალიან გაძვირდება, იგივე ხდება სხვა სამომხმარებლო საქონელთან დაკავშირებითაც. არა მგონია, იმ ხელფასით, რომელსაც იღებს საშუალო ქართველი, შესაძლებელი იყოს ნორმალური ცხოვრება. ნახევარი საქართველო შიმშილობს, ნახევარ საქართველოს აქვს ავიტამინოზი (შიმშილში არ ვგულისხმობ სომალისნაირ შიმშილს, მაგრამ მოსახლეობის უმეტეს ნაწილს ხილი და ნორმალური საკვები ენატრება). აი, ამ მდგომარეობამდე მივედით ჩვენი ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკით. მივედით იმ დონეზე, რომ **ქვეყანაში არის უკიდურესი პოლარიზაცია. შეიქმნა ძალიან მდიდარი და ძალიან ღარიბი ადამიანების კასტა, რომლებსაც იმის საშუალება არ აქვთ, რომ ადამიანურად იცხოვრონ და შვილებს მომავალი შეუქმნან.**

# აგვისტოში შს სამინისტროს შუშის შენობაში თანამშრომლებმა სატელეფონო საუბრებში 200 242 ლარი დახარჯეს

## რამდენი მილიონი იხარჯება სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახელმწიფო მოხელეების სატელეფონო საუბრებში?

**„საქართველო და მსოფლიო“ დაინტერესდა, თუ რამდენს ხარჯავენ სატელეფონო საუბრებში ქართველი ჩინოვნიკები. იმის გათვალისწინებით, რომ აგვისტოში მათი უმრავლესობა დასასვენებლადაა წასული, ამ დროისთვის მათი დავალიანებები საგანგაშო ციფრს არ აღწევს. თუმცა ნამდვილად საგანგაშო აღმოჩნდა იმ ადამიანების სატელეფონო საუბრებში დახარჯული თანხები, რომლებიც შვებულებაში არ არიან და სამსახურებრივი ტელეფონებით სარგებლობენ.**

მიუხედავად იმისა, რომ ყველა სახელმწიფო უწყება მობილურ ტელეფონებზე კორპორაციული, ანუ უფასო სერვისით სარგებლობს (რაც ბიუჯეტს ასევე მილიონობით ლარი უჯდება), როგორც გაირკვა, საქართველოს ბიუჯეტი მათ სატელეფონო საუბრებში ათობით მილიონს იხდის, რადგან მიმდინარე თვეს, ბევრი უწყების სატელეფონო დავალიანება 200 ათას ლარს აღწევს.

იმ ჩინოვნიკთა ტელეფონის ნომრებს შორის, რომლებზეც დაკვირვებას ვაწარმოებდით (დავალიანებები მოცემულია 5 სექტემბრის მდგომარეობით), ყველაზე მეტი დავალიანება, **სოფლის მეურნეობის მინისტრის, ბაკურ კვეზერელის მიერ, მინისტრის მოადგილეობისას, 2007 წელს, სამსახურებრივი სარგებლობის სატელეფონო ცნობარში მითითებულ სახლის ტელეფონის ნომერზე აღმოჩნდა. დავალიანების თანხა 3 553 ლარია. 620 ლარის დავალიანება ფიქსირდება გენერალური პროკურორის საგამოძიებო ნაწილის უფროსის, დავით ჩხატარაშვილის სახლის ტელეფონზე; 135 ლარი — პარლამენტარ დავით ბეჟუაშვილის, ხოლო 172 ლარი – პრეზიდენტის მრჩეველ ნოდარ გრიგალაშვილის ტელეფონზე, 127 ლარი — უმრავლესობის ლიდერ პეტრე ცისკარიშვილის ნომერზე.**

ის ფაქტი, რომ სხვა ჩინოვნიკების სახლის ტელეფონებზე კოლოსალური თანხა არ ფიქსირდება, შესაძლოა, არამარტო დასვენების სეზონით, არამედ, იმითაც იყოს გამოწვეული, რომ ყველა მათგანს აქვს საშუალება, სამსახურის ტელეფონით ისარგებლოს და მისი ანაზღაურებაც სახელმწიფოს „დაავალოს“. ამ მხრივ რეკორდს შს სამინისტრო ხსნის.

მოგეხსენებათ, შს სამინისტრო თბილისში ათზე მეტ სხვადასხვა შენობაშია განთავსებული. **მარტო იმ შენობაში, სადაც მინისტრი მერაბიშვილი ზის, ამ დროისთვის თანამშრომელთა სატელეფონო საუბრების შედეგად მიმდინარე დავალიანება 200 242 ლარს აღწევს. 111 182 ლარს შეადგენს სატელეფონო საუბრებში დახარჯული თანხა თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში, 149 198 ლარს — ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, 28 593 ლარი დაუხარჯავს იუსტიციის სამინისტროს, 9 551 — ლტოლვილთა და განსახლების, 4 279 ლარი კი — სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა დახმარების სამინისტროს.**










**როგორც აღმოჩნდა, ყველაზე ეკონომიურად სატელეფონო საუბრებში ფულს ენერგეტიკის სამინისტრო ხარჯავს. მისი დავალიანება 5 სექტემბრისთვის 1009 ლარს შეადგენს.**

მოგეხსენებათ, არჩევნებამდე **ცენტრალური საარჩევნო კომისია,** ფაქტობრივად, უფუნქციოა, თუმცა მისი სატელეფონო გადასახადი მიმდინარე თვეში ამ შთაბეჭდილებას ნამდვილად არ ტოვებს, რადგან **აგვისტოში ამ უწყებას 16 036 ლარი დაუხარჯავს. 3 443 ლარია სოფლის მეურნეობის სამინისტროს დავალიანება, 28 593 — თბილისის პროკურატურის, 16 698 ლარი აქვს დახარჯული უზენაეს სასამართლოს, 8 448 — განათლების, ხოლო 2 817 — გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებისა სამინისტროს. 12 090 ლარის დავალიანება ერიცხება თბილისის მერიას, 4 014 კი — საკრებულოს.** თუ გავითვალისწინებთ, რომ თანამშრომელთა 70% შვებულებით აგვისტოში სარგებლობს, აღნიშნული ციფრები წელიწადის სხვა დროს, ალბათ, გაიზრდება.

სხვა ყველა ხარჯს რომ თავი დავანებოთ, **მაშინ, როცა „ნაციონალური მოძრაობის“ დაპირებული ასდოლარიანი პენსია პენსიონერებს, წლებია, ოცნებად ექცათ, საჯარო მოხელეების მხოლოდ ტელეფონზე „ბაასში“ სახელმწიფო თვეში მილიონზე მეტს იხდის.** სატელეფონო საუბრებში გადაყრილი მილიონები, ალბათ, ბევრი თქვენგანის აღშფოთებას გამოიწვევს, თუმცა **ამ ციფრებით ვერ გავაოცებთ საქართველოს პრეზიდენტს, რადგან ჯერ კიდევ 2000 წელს, მისი იუსტიციის მინისტრად მუშაობის პერიოდში, კონტროლის პალატის შემოწმების მასალების შედეგად გაირკვა, რომ სააკაშვილის სამსახურებრივი ტელეფონით სარგებლობის თანხა თვეში 12 000 ლარს შეადგენდა.**

**შევარდნაძის ხელისუფლებისდროინდელმა სახელმწიფო მინისტრმა გია არსენიშვილმა, რომელმაც სააკაშვილის ხელისუფლებასთან რეაბილიტაცია მოახერხა და პარლამენტში ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტიც მიიღო, ცოტა ხნის წინათ პარლამენტის თავმჯდომარე გააკრიტიკა.**

# რატომ დაუპირისპირდა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე პარლამენტის თავმჯდომარეს?

## გია არსენიშვილმა საკუთარი განცხადება უარყო

საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ არსენიშვილი ჩიოდა, ორი წელიწად-ნახევარია, პარლამენტის თავმჯდომარისგან ის უფლება ვერ მივიღე, რაც წინა მოწვევის პარლამენტში ელენე თევდორაძეს ჰქონდაო. ამის შესახებ არსენიშვილმა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომაზე, ციხეებში პარლამენტართა დაუბრკოლებლად შესვლის საკითხებზე საუბრისას ღიად განაცხადა. არსენიშვილმა აღნიშნა, რომ ციხეში შესვლის უფლების დელეგირების მინიჭებასთან დაკავშირებით, მან პარლამენტის თავმჯდომარეს ამ მოწვევის პარლამენტის შეკრებისთანავე მიმართა, თუმცა მისთვის გაუგებარი მიზეზების გამო, ეს უფლება ვერ მოიპოვა.



**ციხეებში არსებული მძიმე მდგომარეობისა და ამ სისტემის აბსოლუტურად ჩაკეტვის გამო ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციებიც ბევრს საუბრობენ, პენიტენციალურ სისტემაში შესვლა დღეს იმაზე ბევრად რთულია, ვიდრე ბაჩო ახალაიას ხელმძღვანელობის პერიოდში იყო.**

ძნელი სათქმელია, ეს ხელისუფლების ახალი კურსის ბრალია, თუ პენიტენციალური სისტემის ახალი ხელმძღვანელობის, თუმცა ერთი რამ ფაქტია: **ელენე თევდორაძე, რომელიც ჟვანიას გუნდის წევრად ითვლებოდა და ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ საკმაოდ შევიწროვებული გახლდათ ხელისუფლების მიერ, ადამიანის უფლებათა დაცვას, მათ შორის ციხეებშიც, უკეთესად ახორციელებდა, ვიდრე მისი ადგილმონაცვლე გიორგი ლონგინოზის ძე არსენიშვილი,** რომელიც შევარდნაძის ხელისუფლებაში, 1995-2000 წლებში გახლდათ პრეზიდენტის რწმუნებული კახეთში, 2000 წლიდან ერთი წლის განმავლობაში, სანამ არსენიშვილს ელჩად გაუშვებდნენ, სახელმწიფო მინისტრის პოსტი უბოძეს, რევოლუციის შემდგომი პერიოდი, 2004-2006 წლები, მან საქართველოს გაერთიანებული ტელეკომის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე გაატარა, შემდგომ კი საქართველოს რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეობდა.

**2008 წელს იგი „ნაციონალური მოძრაობის“ თელავის მაჟორიტარი დეპუტატი გახდა პარლამენტში, ეტყობა, ამიტომაც პარლამენტის თავმჯდომარეზე ცუდი არ ეთქმის. ამაზე, გარდა მისი შესუსტებული უფლებებისა, ისიც მეტყველებს, რომ განცხადების გაკეთებიდან მეორე დღესვე მან პოზიცია შეარბილა. მეტიც, როცა ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარისთვის დავუკავშირდით განაცხადა, რომ ეს ორი წლისწინანდელ ფაქტზე გაკეთებული განცხადება იყო, ხოლო კითხვაზე, თუკი არსენიშვილი ძველ ფაქტზე საუბრობდა, მაშინ რატომ არ აქვს მას დღემდე დელეგირებული ციხეში შესვლის უფლება, პასუხი ველარ მოიფიქრა და ტელეფონი გათიშა.**

როგორც ჩანს, გია არსენიშვილმა ხმის ამოღება გადაწყვიტა, ვინაიდან ციხეებში პატიმრების მდგომარეობა მართლაც უკიდურესად მძიმეა და ამაზე არამარტო დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციები და ადამიანის უფლებათა დამცველები, არამედ თვით ხელისუფლების რჩეული სახალხო დამცველი ტუღუშიც კი ალაპარაკდა, მაგრამ მას „ნაციონალებმა“, როგორც ჩანს, ამაგი შეახსენეს და საკუთარი განცხადებები, რომლითაც პარლამენტის თავმჯდომარეს დაუპირისპირდა, უკან წაიღო. იმ დეპუტატისგან კი, რომელსაც პარლამენტში ადამიანის უფლებათა დაცვა ევალება და რეალურად კი საკუთარი პოზიციის დაცვაც არ შეუძლია, პენიტენციალურ სისტემაში პატიმართა უფლებების დაცვას ნამდვილად არ უნდა ელოდონ.

გვერდები მოამზადა **სოფო გელაშვილმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# სააკაშვილის შესაძლო პრემიერობაზე ევროპარლამენტშიც საუბრობენ

**ახლახან ბრიუსელიდან დაბრუნდა სამხედრო ექსპერტი ირაკლი სესიაშვილი, რომელიც იქ საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა და შეხვედრები ჰქონდა ევროპარლამენტისა და ნატოს წარმომადგენლებთან. „საქართველო და მსოფლიომ“ ცნობილ ექსპერტს ამ ვიზიტის დეტალების გაცნობა სთხოვა.**



## ევროკავშირი მკაცრი შეფასებებისგან თავს იმიტომ იკავებს, რომ ეშინია, ქართული საზოგადოება დასავლეთისგან იზოლირებული არ აღმოჩნდეს

— ბრიუსელში ევროპის ვიზიტორთა პროგრამის ფარგლებში ვიყავი. საშუალება მქონდა, ევროპარლამენტში შევხვედროდი მაღალი თანამდებობის პირებს — დეპუტატებს, ხელმძღვანელებსა და სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებს, ვიყავი ბრიუსელის ციხეში, ასევე, ნატოში. შევხვდი რიგ ოფიციალურ პირებს და პირისპირ ვესაუბრე მთელ რიგ საკითხებზე, როგორც შიდაპოლიტიკურზე, ასევე კონფლიქტებზე, ადამიანის უფლებებზე, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებზე და, რა თქმა უნდა, ნატო-საქართველოს, ნატო-რუსეთის ურთიერთობებსა და პერსპექტივებზე.

ჩემი შთაბეჭდილებით, **ევროკავშირში სწორ და უტყუარ ინფორმაციებს ფლობენ საქართველოსთან დაკავშირებით.** ეს შეეხება დემოკრატიის ხარისხს, მედიის თავისუფლებას, პოლიციისა და შეიარაღებული ძალების პრობლემებს; აქვთ ინფორმაცია პოლიტიკური პლურალიზმის, არჩევნების შესახებ, ახალი კონსტიტუციის კვლევებთან დაკავშირებით. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ **მათ გარკვეულ ეტაპზე იმის განცდა და მოლოდინი ჰქონდათ, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლება რევოლუციის შემდეგ შეძლებდა ქვეყნის რეალურ დემოკრატიზაციას. თუმცა კარგად ხედავენ, რომ ვითარება განსხვავებულია, ქვეყანა დემოკრატიისგან საკმაოდ შორსაა.** ხედავენ იმ პოლიტიკურ რისკებს, რაც შეიძლება წარმოიქმნას, თუკი ეს ხელისუფლება ასე გააგრძელებს მოქმედებას. ამიტომ ადევნებენ თვალს, როგორ მივა ქვეყანა 2012-13 წლამდე, და დიდი სურვილი აქვთ, რომ ევროკავშირის ქვეყნებმა საპრეზიდენტო-საპარლამენტო არჩევნებისთვის ქვეყანა დემოკრატიული არჩევნებისთვის მოამზადონ. აშკარაა, რომ მათთვის საქართველო მნიშვნელოვანია და პრიორიტეტულიც, ამიტომ ცდილობენ, ქვეყნის მომავალ ხელისუფლებასთან კარგი ურთიერთობა ჩამოაყალიბონ. **მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირში თვლიან, რომ საქართველო საკმაოდ არადემოკრატიულ გზას ადგას, ცდილობენ, ხელი შეუწყონ მას სწორი ნაბიჯების გადადგმაში. ფიქრობენ, რომ, თუკი ძალიან მკაცრ შეფასებებს მისცემენ საქართველოში მიმდინარე პროცესებს, სააკაშვილის ხელისუფლება ჩაიკეტება, რაც მას ბიძგს მისცემს, რომ დარჩეს იზოლაციაში დასავლეთისგან.** ამიტომ ჩემს შენიშვნაზე — რატომ არაა პრინციპული ევროკავშირი უკანონო და პოლიტიკური პატიმრების მიმართ ან მედიისა და სასამართლოს საკითხებთან დაკავშირებით — მათი პოზიცია იყო შემდეგი: თუკი ზედმეტად პრინციპულები ვიქნებით, კიდევ უფრო ჩაიკეტება საქართველო და მისი ხელისუფლება, საზოგადოება ხელისუფლების წინაშე პირისპირ შეიძლება აღმოჩნდეს, არადემოკრატიული გარემო კი დიქტატურაში გადაიზრდებაო. სხვათაშორის, კარგად ფლობენ ინფორმაციებს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით და ფიქრობენ, რომ ადგილობივი არასამთავროები ამ მხრივ საკმაოდ კარგად მუშაობენ და ევროკავშირს უტყარ ინფორმაციებს აწვდიან.

**— რა დამოკიდებულება აქვთ ევროკავშირში საქართველო-რუსეთს შორის მიმდინარე პროცესებისადმი?**

— დასავლეთს ძალიან კარგად ესმის, თუ რა რთულ ვითარებაში იმყოფება საქართველო, თუმცა ექსპერტებიც აღნიშნავენ, რომ ესაა გამოუვალი მდგომარეობა, რადგან რუსეთი არანაირ მოლაპარაკებაზე არ მოდის. ფიქრობენ, რომ რუსეთმა ტერიტორიების ოკუპირება მოახდინა და ამით საერთაშორისო სამართალი დაარღვია, თუმცა **ამბობენ, რომ რუსეთთან დიალოგის გარეშე ამ პრობლემის მოგვარება არ მოხერხდება. ამიტომ საქართველოს ურჩევენ, რაიმე ფორმების გამონახვას ურთიერთობის დასარეგულირებლად. ზოგიერთი დეპუტატი ხაზს უსვამდა იმას, თუ როგორ ვითარებაში გაღვივდა კონფლიქტი, სადაც ჩვენს ხელისუფლებასაც გარკვეული ბრალი მიუძღოდა. მათ ასევე აინტერესებდათ, საზოგადოება რამდენად არის ინფორმირებული ტალიავინის დასკვნის შესახებ და რა შეფასებებს აკეთებს.** კონფლიქტებთან დაკავშირებით ვესაუბრე იმ უწყებებსაც, რომლებიც უშუალოდ სადამკვირვებლო მისიებს წარმოადგენენ. ყურადღება გავამახვილეთ პრევენციულ ღონისძიებებზე, რომელიც საჭიროა, რათა მორიგი აგრესიის ალბათობა შევაჩეროთ და მშვიდად ცხოვრების საშუალება შევუქმნათ ადგილობრივ მოსახლეობას.

**— რას ფიქრობენ ევროკავშირში საქართველო-ნატოს ურთიერთობაზე, რაიმე ახალი დეტალები ხომ არაა ცნობილი?**

— შეიძლება ითქვას, რომ საქართველო-ნატოს ურთიერთობა აქტიურ ფაზაშია. საქართველოს ხელისუფლება ცდილობს, რომ ის გარკვეული ვალდებულებები, რაც ნატოში შესასვლელადაა საჭირო, შეასრულოს. ეს არის ერთწლიანი გეგმის ნაწილი, თუმცა მისი შესრულება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ამის შემდეგ ნატოს წევრები გავხდებით და მაპს მივიღებთ. ეს ყველაფერი საქართველო ნატოს წევრობისთვის მოსამზადებლადაა საჭირო, რათა დააკმაყოფილოს სტანდარტები. რაც შეეხება გაწევრებას, ეს დამოკიდებული იქნება 29 ქვეყნის პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე. ეს პროცესი საკმაოდ რთულია. **თუნდაც რომელიმე სახელმწიფომ არგუმენტის გარეშე უარი რომ განაცხადოს საქართველოს ნატოში გაწევრებაზე, გაითვალისწინოს ქვეყანაში არსებული გეოპოლიტიკური მდგომარეობა, რუსეთის ფაქტორი, საქართველოს ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებული რისკები, ნატოს წევრობაზე ვეღარც ვიოცნებებთ. ერთადერთი, რაც დაგვრჩენია, ისაა, რომ აღებული ვალდებულებები პირნათლად შევასრულოთ, ვიმუშაოთ და ვიზრუნოთ ქვეყნის დემოკრატიზაციის საკითხზე.** ბევრი რეფორმაა გასატარებელი, მათ შორის სამართლებრივ სფეროში, ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით, დამოუკიდებელი სასამართლოსთვის.

შეხვედრა მქონდა ნატო-რუსეთის ურთიერთობის კომისიის ერთ-ერთ ხელმძღვანელთან. საუბარი შეეხო „მისტრალის“ საკითხს, ასევე, რუსეთის ურთიერთობას ნატოს ქვეყნებთან და განსაკუთრებით სამხედრო სფეროში თანამშრომლობას. მათი პოზიცია არის ის, რომ ნატო ვერ აუკრძალავს რომელიმე ქვეყანას ითანამშრომლოს რუსეთთან სამხედრო სფეროში, თუმცა მათ კარგად ესმით, რომ რუსეთისთვის რომელიმე ერთი სამხედრო გემის მიყიდვა კი არ არის საშიში, არამედ ლიცენზიების მიყიდვა. ამიტომ მათ აქვთ იმის იმედი, რომ ამ ფაქტორს ნატოს ქვეყნები გაითვალისწინებენ და რუსებს არ მიჰყიდიან ლიცენზიას.

## ევროპარლამენტში ამბობენ, რომ რუსეთთან დიალოგის გარეშე საქართველოს ტერიტორიული პრობლემის მოგვარება არ მოხერხდება. ამიტომ, საქართველოს ურჩევენ, რაიმე ფორმების გამონახვას ურთიერთობის დასარეგულირებლად

**— რა დამოკიდებულება აქვთ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით საქართველოში და თუ საუბრობენ საკაშვილის შესაძლო პრემიერობაზე?**

— როცა ვსაუბრობდი საქართველოში დემოკრატიულობის დაბალ ხარისხზე, მათი ირონიული დამოკიდებულება სწორედ ამ საკონსტიტუციო ცვლილებებმა გამოიწვია. **ევროპარლამენტში საუბრობენ იმაზე, რომ სააკაშვილი შეიძლება ქვეყანას პრემიერ-მინისტრად მოევლინოს, რომელსაც უფრო მეტი უფლებები ექნება, ვიდრე პრეზიდენტს.** ისინი აღნიშნავენ, რომ ყველა რეფორმა, რომელიც რომელიმე სფეროში გატარდება, თვითონ ამ სფეროს გააუმჯობესებს. რეფორმა მხოლოდ იმას არ ნიშნავს, რომ რომელიმე ხელისუფლებამ სისტემა საკუთარ პოლიტიკურ ნიღბებს მოარგოს. და თუ ასე ხდება, რა თქმა უნდა, ისინი შეშფოთებას გამოხატავენ და ეს სერიოზულად შეარყევს საქართველოს ხელისუფლების იმიჯს. ამიტომ ისინი ჯერჯერობით ელოდებიან ჩვენი ხელისუფლების პოზიციებს და იმას, თუ რა იქნება 2013 წლის არჩევნებისთვის.

**ესაუბრა**
**ლილი მიროტაძე**

## მოკლედ



### ბარაკ ობამა 50 მილიარდს ითხოვს

**აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმის განსახორციელებლად კონგრესს 50 მილიარდ დოლარს სთხოვს.** თეთრ სახლში დაასკვნეს, რომ სამუშაო ადგილების შესაქმნელად საავტომობილო გზებისა და რკინიგზის მშენებლობა, ასევე, საჰაერო ნავიგაციის სისტემების განვითარება უნდა დაიწყონ. პრეზიდენტი კი თვლის, რომ ამით ამერიკელებს „ამერიკული ოცნებისადმი“ დაკარგულ რწმენას დაუბრუნებს. რამდენიმე დღის წინათ იგი საკუთარ ხალხს დაჰპირდა: „ყოველდღე ვიბრძოლებ იმისთვის, რომ ეკონომიკა განვითარდეს, რათა ადამიანები სამუშაო ადგილებს დაუბრუნდნენ და მომავალმა თაობებმა კვლავ ირწმუნონ ამერიკული ოცნების ძალა.“



### „რკინის ლედი“ — რუსეთისთვის

**გაზეთ „The Independent“-ს რუსეთის 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის საკუთარი კანდიდატი ჰყავს — სანკტ-პეტერბურგის გუბერნატორი ვალენტინა მატვიენკო.**

გამომცემლობა აღნიშნავს, რომ მატვიენკო თავის დროზე პუტინმა შეამჩნია და მაღალ თანამდებობაზეც მანვე დანიშნა. ამდენად, მას მშვენიერი შანსი აქვს საიმისოდ, რომ რუსეთის ახალი სახე გახდეს. ამასთან, მან ეს დაიმსახურა — 61 წლის მატვიენკოს წყალობით, ბოლო 30 წლის განმავლობაში პირველად პეტერბურგის ქუჩებში ხალხი უფრო თავდაჯერებული და კმაყოფილი ჩანს. უნდა აღინიშნოს, რომ სტატიის სათაურში მატვიენკო „რუსი ტეტჩერის“ სახელითაა მოხსენიებული.



### ჩეჩნეთში დიდი შერიგება იწყება

**ჩეჩნეთის მეთაურმა რაზმან კადიროვმა ჯერ კიდევ მუსლიმანთა წმინდა თვის — რამადანის დასრულებამდე სასულიერო პირებსა და უხუცესებს ყველა მოსისხლედ გადაკიდებული ოჯახის შერიგება დაავალა, შემდეგ კი სისხლის აღების საუკუნოვანი წესის აღმოსაფხვრელად სპეციალური შტაბიც შექმნა.** შერიგების შტაბს უხელმძღვანელებს ჩეჩნეთის მუფტი ვალიტ კურუევი, რომელიც ქვეყანაში საყოველთაო ნდობითა და პატივისცემით სარგებლობს. „იმ შემთხვევაში, თუკი მტრულად გადაკიდებული ოჯახები შერიგებაზე უარს იტყვიან, მზად ვარ, კონფლიქტურ მხარეებს ერთმანეთისთვის მიტევება პირადად ვთხოვო, რათა თავიდან ავიცილოთ ახალი მსხვერპლი“, — განაცხადა კადიროვმა.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# აკაკი დარასელია: ამ ავტორიტარული ხელისუფლების წინააღმდეგ ბოლომდე ვიბრძოლებთ, თუნდაც ეს ბრძოლა სიცოცხლის ფასად დაგვიჯდეს!

**პენიტენციალურ დაწესებულებებში არსებული მდგომარეობისა და პატიმართა მიმართ არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე „საქართველო და მსოფლიოს“ მოძრაობა „არა“-ს ერთ-ერთი ლიდერი და დამფუძნებელი, ერთთვიანი პატიმრობის შემდეგ ციხიდან ახლახანგამოსული აკაკი დარასელია ესაუბრება.**



**— აკაკი, თქვენ და თქვენი მოძრაობა („არა“) დაფუძნების დღიდან აქტიურად იბრძვით იმ უკანონობის წინააღმდეგ, რაც ამჟამად პატიმართა მიმართ ხორციელდება. ერთი თვე წინასწარი დაკავების იზოლატორში გაატარეთ; რა პირობებში გამყოფებდნენ და რამდენად დაცულად გრძნობდით იქ თავს?**

— სანამ პატიმართა უფლებებსა და, საერთოდ, საპატიმროებში არსებულ მდგომარეობაზე ვისაუბრებ, მინდა საზოგადოებას კიდევ ერთხელ შევახსენო, თუ როგორ და რა ვითარებაში დამაკავეს.

14 ივლისს ვესწრებოდი ჩემი მეგობრისა და ერთ-ერთი აქტიური თანამებრძოლის, გიორგი ჟვანიას სასამართლო პროცესს, რომელიც თავის ძმასთან, ლუარსაბ ჟვანიასთან ერთად შეთითხნილი ბრალდებით დააკავეს, თითქოს ისინი თავს დაესხნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილ თანამშრომელს. მოსამართლე ნინო სანდოძემ, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია, როგორც პოლიტიკური ნიშნით დაკავებულთა მიმართ ხელისუფლების ნების პირნათლად აღმსრულებელი პიროვნება, იმის მიუხედავად, რომ არ არსებობდა მსჯავრდებულის ბრალეულობის დამადასტურებელი არანაირი მტკიცებულება, გიორგი ჟვანიას გამოუტანა აბსოლუტურად უსამართლო განაჩენი და ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ხოლო მის ძმას, ლუარსაბ ჟვანიას — ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა.

ამ ყველაფერმა მეც და ჩემი მეგობრებიც, ბუნებრივია, უკიდურესად აღგვაშფოთა, წამოვდექი და მოსამართლე სანდოძეს (ასევე, პროკურორ ხიზანაიძესაც) ვუთხარი, რომ ეს არის უსამართლობა და ამის გამო, ადრე თუ გვიან, თქვენ პასუხს აგებთ-მეთქი და **პროტესტის ნიშნად დავტოვე სასამართლო დარბაზი. გარეთ გამოსვლისთანავე მანდატურებმა დამაკავეს და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე დიდი დიღმის პოლიციის განყოფილებაში გადამიყვანეს, სადაც მოვიდნენ მოსამართლეც და პროკურორიც. მათ გადარეკეს, გადმორეკეს, ერთმანეთში მოილაპარაკეს და შემდეგ სასამართლოს შენობაში დამაბრუნეს;** იქაც კარგახანს ითათბირეს და ბოლოს მოსამართლე მამია ფხაკაძემ, რომელიც ნინო სანდოძის მსგავსად ასევე ცნობილია, როგორც, ასე ვთქვათ, რეკორდსმენი უკანონო გადაწყვეტილებების გამოტანაში, მომისაჯა ერთთვიანი პატიმრობა... ყველაფერი ეს, რასაც გიყვებით, მოხდა აბსოლუტურად კანონდარღვევით, რაც პირადად ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან არსებული რეჟიმის პირობებში მსგავსი რამ გასაკვირი ნამდვილად არ არის...

**— კანონდარღვევაში რას გულისხმობთ, კონკრეტულად რა ნორმები დაარღვიეს სამართალდამცავებმა თქვენ მიმართ?**

— დავიწყოთ იმით, რომ დაკავების დროს არც მანდატურებს და არც პოლიციის სამმართველოში გადაყვანის შემდეგ ე. წ. სამართალდამცავებს ჩემთვის ჩემი უფლებები არ გაუცვნიათ, რასაც მათ კანონი ავალდებულებთ. ასევე არ მომცეს ჩემს ადვოკატთან შეხვედრის უფლება. ამასაც თავი რომ დავანებოთ, **ყველაზე უხეში კანონდარღვევა იყო ის, რომ მთელი ერთი თვე გამატარებინეს წინასწარი დაკავების იზოლატორში, მაშინ, როცა კანონის შესაბამისად, იზოლატორში პატიმრის გაჩერება ორმოცდარვა საათზე მეტხანს არ შეიძლება.** აგრეთვე, კანონის უხეში დარღვევა იყო ისიც, რომ სასამართლოს შენობიდან პირდაპირ გადამიყვანეს პოლიციის სამმართველოში (მოგეხსენებათ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დროს დაკავებული სამმართველოში არ გადაჰყავთ). თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ჩემთვის ეს ყველაფერი მოულოდნელი და, მით უფრო, გასაკვირი ნამდვილად არ ყოფილა, რადგან მსგავსი კანონდარღვევები მერაბიშვილის, სააკაშვილისა და მათნაირი კაციჭამიების ავტორიტარული რეჟიმის ტყვეობაში მყოფ ქვეყანაში სავსებით ბუნებრივია...

**— იზოლატორში რა ხდებოდა, როგორ გექცეოდნენ და, საერთოდ, რა პირობებში გიწევდათ სასჯელის მოხდა?**

— პირობები კონკრეტულად იმ იზოლატორში, რომელშიც ვიმყოფებოდი, გაუსაძლისი იყო. საკანი იმდენად პატარა იყო, რომ ფიზიკურად ძლივს ვეტეოდით... იქვე გვქონდა საპირფარეშო, რომელიც ისე იყო მოწყობილი, რომ ელემენტარულად ხელპირი რომ დაგებანა, თავი ლამის, ბოდიში და, უნიტაზში უნდა ჩაგეყო. ბანაობის უფლებას კვირაში მხოლოდ ერთხელ გვაძლევდნენ, რაც ზაფხულის პაპანაქება სიცხეში კიდევ უფრო გაუსაძლისსა და აუტანელს ხდიდა იქ არსებულ ისედაც საშინელ მდგომარეობას.

**ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენდა წამლები. თუ ვინმე ავად გახდებოდა, რამდენიც უნდა ეყვირა, ყურადღებას არავინ მიაქცევდა და რომც მიექციათ, ერთადერთი მედიკამენტი, რომელიც მთელს იზოლატორში მოიპოვებოდა, იყო ტკივილგამაყუჩებელი საშუალება — კეტონალი. ექიმის მოყვანაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო.** დღესდღეობით საპატიმროებში სამედიცინო მომსახურება რეალურად არ არსებობს და ყველა ის პატიმარი, რომლებსაც ჯანმრთელობის პრობლემები აქვთ, ფაქტობრივად, განწირულები არიან...

**სახალხო დამცველი დღეს რეალურად არის ხელისუფლების მოკავშირე და პატიმართა მიმართ არაადამიანური მოპყრობის, წამების ფაქტებზე თვალს ხუჭავს...**

**— მსჯავრდებულები რას ფიქრობდნენ ადმინისტრაციის მხრიდან მათდამი ასეთ დამოკიდებულებაზე?**

— ბუნებრივია, მათ ყველაფერ ამაზე პროტესტი უჩნდებოდათ, მაგრამ იმდენად შეშინებულები და დატერორებულები იყვნენ, რომ, უბრალოდ, ხმის ამოღებასაც ვერ ბედავდნენ. პირადად მე არაერთხელ მომსვლია მათთან ამის გამო კამათი, მაგრამ უშედეგოდ.

**— რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლებს თუ დავუჯერებთ, პატიმრებს ცემითა და წამებით სულს ხდიან. თქვენი ან თქვენთან ერთად მყოფი რომელიმე მსჯავრდებულის მიმართ თუ იყო მსგავსი არაადამიანური მოპყრობის, ზეწოლის შემთხვევა?**

— პირადად ჩემ მიმართ მსგავსი რამ არ ყოფილა, მაგრამ **მოჰყავდათ სასტიკად ნაცემი პატიმრები, რომელთა ოთხმოცდაათი პროცენტი აბსოლუტურად უდანაშაულოდ დააკავეს ქუჩაში და თითქმის ყველას სამართალდამცავთათვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებას უყენებდნენ.** ერთ-ერთი ასეთი მსჯავრდებული ჩემთან ერთად იზოლატორში მყოფი 18 წლის ვახო ძიძიშვილი იყო, რომელსაც ზუსტად იმ დღეს შეუსრულდა 18 წელი, როცა დააკავეს. იგი სასტიკად, ლამის სულის ამოხტომამდე იყო ნაცემი ე. წ. სამართალდამცავების მიერ მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ მათ შეპასუხება გაუბედა... ასევე ნაცემი და ნაწამები იყვნენ სხვა პატიმრებიც, მაგრამ, როგორც გითხარით, ისინი ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ. ის კი არა, **ზოგიერთი პატიმარი ისე იყო დაშინებული, რომ ტკივილს ითმენდა და იმასაც ვერ ბედავდა, რომ რამე გამაყუჩებელი საშუალება, თუნდაც კეტონალი, მოეთხოვა...**

— თქვენ თქვით, რომ თქვენთან ერთად მყოფი პატიმრების უმეტესობა უმიზეზოდ, უდანაშაულოდ იყვნენ დაკავებულნი. თქვენი აზრით, რა მიზანს ემსახურება სამართალდამცავთა მხრიდან ადამიანების უმიზეზოდ დაპატიმრება?

— მიზანი ამისა არის ის, რომ შეიქმნას ილუზია, თითქოს სამართალდამცავები კარგად მუშაობენ და დაუსჯელს არ ტოვებენ არც ერთ ბოროტმოქმედს, და ისიც, რომ საზოგადოება მუდმივად იყოს დაშინებული, დამფრთხალი, რათა მან ვერასოდეს გაბედოს ხმის ამაღლება იმ უკანონობასა და განუკითხაობაზე, რაც დღეს ქვეყანაში ტრიალებს. ეს არის კლასიკური მაგალითი ავტორიტარული რეჟიმისა, რომელიც ცდილობს, საბოლოოდ ჩაკლას ადამიანებში მოქალაქეობრივი განცდა და რწმენა იმისა, რომ ყველაზე დიდი და მთავარი ღირებულება, რაც კი შეიძლება გააჩნდეს საზოგადოებას, არის თავისუფლება.

**— სახალხო დამცველის წარმომადგენლები თუ იყვნენ თქვენთან იზოლატორში?**

— იყვნენ რამდენჯერმე, მოგვინახულეს, აგვხედეს, დაგვხედეს, დაგვათვალიერეს, გვკითხეს, თავს როგორ გრძნობთო და წავიდნენ. მათ თავიანთი თვალით ნახეს ნაცემ-ნაგვემი პატიმრები, ნახეს, თუ რა მდგომარეობა იყო იზოლატორში; პირადად მე დეტალურად მოვუყევი ყველა იმ კანონდარღვევაზე, რაც იქ ხდება, მაგრამ არანაირი რეაგირება მათი მხრიდან არ მოჰყოლია! მოკლედ, **სახალხო დამცველი დღეს რეალურად არის ხელისუფლების მოკავშირე და ამიტომ პატიმართა მიმართ არაადამიანური მოპყრობის, წამების ფაქტებზე თვალს ხუჭავს...**

**— აპირებთ თუ არა საერთაშორისო სასამართლოში საქმის აღძვრას იმ კანონდარღვევების ფაქტებზე, რაც იზოლატორში ყოფნის დროს საკუთარი თვალით ნახეთ?**

— რა თქმა უნდა, ვაპირებ. ჩვენ ახლა სწორედ ამ საკითხზე ვმუშაობთ, შევიტანთ კიდეც სარჩელს საერთაშორისო სასამართლოში. ასევე ვაპირებთ, დავიწყოთ პერმანენტული აქციები პოლიტპატიმართა გათავისუფლების მოთხოვნით და ყველა საერთაშორისო უფლებადამცველ ორგანიზაციას მხარდაჭერისთვის მივმართავთ...

**— მოკლედ, გაჩერებას არ აპირებთ...**

— რა თქმა უნდა, არა. ამ ავტორიტარული ხელისუფლების წინააღმდეგ ბოლომდე ვიბრძოლებთ, თუნდაც ეს ბრძოლა სიცოცხლის ფასად დაგვიჯდეს.

ესაუბრა
**ჯაბა ჟვანია**

## მოკლედ



### უმუშევრებო, გამაგრდით!

**მსოფლიო სავალუტო ფონდისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ეკონომისტები ამბობენ, რომ უმუშევრობის მხრივ მსოფლიოში შექმნილ კატასტროფულ მდგომარეობას კიდევ დიდხანს არ დაადგება საშველი.** გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგად უმუშევრობის 2007 წლის 30-მილიონიანი მაჩვენებელი 210 მილიონამდე გაიზარდა და ძირითადი დარტყმა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებს მიაყენა. ამ მხრივაც დაეწივნენ და გაუსწრეს განვითარებად-განუვითარებლებს. შეშფოთებულია თავად მსოფლიო სავალუტო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი დომენიკ სტროს-კანიც და მსოფლიო საზოგადოებას უმუშევრობაზე კოლექტიური შეტევისკენ მოუწოდებს.



### წავიდეს ამერიკის ჯარი!

**ჩრდილოეთ კორეა ითხოვს, აშშ-მა სამხრეთ კორეიდან ჯარები გაიყვანოს. ეს მოთხოვნა ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიის იურიდული ინსტიტუტის განცხადებაში წერია.**

იქვე აღნიშნულია, რომ „ამერიკელებმა სამხრეთ კორეის უკანონო ოკუპაცია განახორციელეს და იქ თავიანთი კოლონია შექმნეს“. შეგახსენებთ, კორეის ნახევარკუნძულზე ამერიკელი ჯარისკაცები 1945 წლის 8 სექტემბერს გამოჩნდნენ. განცხადების თანახმად, ამით აშშ-მა „კორეელი ხალხის სუვერენიტეტი, საერთაშორისო სამართლის ნორმები და კორეაზე შეთანხმება უხეშად დაარღვია“, ხოლო ვაშინგტონის პროვოკაციული პოლიტიკის გამო „ომის საფრთხე კვლავ არსებობს“.



### საბერძნეთს ახალი მინისტრები ჰყავს

**საბერძნეთის პრემიერ-მინისტრ გეორგიოს პაპანდრეუს რისხვას მხოლოდ ფინანსთა მინისტრი გადაურჩა. ქვეყნის ყველა სხვა საკვანძო პოზიციას 7 სექტემბრიდან ახალი ხელმძღვანელები ჰყავს.** კარდინალურ ზომებს ორი მიზანი ჰქონდა: ეკონომიკური და სოციალური სფეროს მხარდაჭერა და ეკონომიკის სფეროში გატარებული მკაცრი ზომებით გაღიზიანებული ამომრჩევლების დამშვიდება. თუმცა საეჭვოა, მინისტრების შეცვლამ „საკუთარ ვალებში ჩახრჩობის“ საფრთხის თავიდან ასაცილებლად შემცირებული საბიუჯეტო შტატებითა და ხელფასებით, გაუქმებული სოციალური დახმარებებითა და დახურული ტურისტული ობიექტებით გაღატაკებული მოსახლეობა ანუგეშოს.

15 – 21 სექტემბერი, 2010 წელი. №33 (76)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# «უქვენაესი» კონსტიტუცია – სააკაშვილის კოსტუმი

**იმ ქვეყანაში, სადაც ხალხი და ხელისუფლება დემოკრატიულ სახელმწიფოს ერთად აშენებს, კონსტიტუცია უზენაეს კანონს წარმოადგენს. ამ ქვეყანაში, ანუ საქართველოში, სადაც არც ხელისუფლებამ იცის, „რასა იქმს“ და ვერც ხალხს გაურკვევია, „რა ჰქმნას“, კონსტიტუცია პირადად სააკაშვილისთვის იკერება. კანონპროექტი, რომლის განხილვაც საჯაროდ მიმდინარეობს, ძალიან მაგონებს პრეზიდენტის კოსტუმს თავის ჰალსტუხიანად. თუ რატომ, ამის შესახებ ცოტა მოგვიანებით გიპასუხებთ.**

როცა სააკაშვილი პრეზიდენტად დასვეს, „ნაციონალებმა“ კონსტიტუციის ჭრა-კერვა შესაშური მონდომებით დაიწყეს და მთელი ძალაუფლება ქვეყნის პირველ პირს ხელში ჩაუგდეს. სააკაშვილსაც მეტი რა უნდოდა, „მყისვე“ შექმნა პოლიციური რეჟიმი და შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროები „საქართველოს ხერხემალს“, ივანე მერაბიშვილს დაუქვემდებარა.

აღნიშნულმა სუბიექტმა, რომელსაც მხოლოდ ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული (და კაცმა არ იცის, რა მაქინაციებით მოხვდა 1995 წლის მოწვევის პარლამენტში და მისი გონებრივი და ენობრივი შესაძლებლობების პატრონი, როგორ გახდა დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე), მალე მოსახლეობა ისე დაატერორა, რომ მისი სახელის აუგად ხსენების „ძეხორციელსაც“ კი ეშინოდა. ამასობაში, მიშამ უსაშველოდ გაილაღა: ჯერ ერთხელ გახდა პრეზიდენტი, მერე — მეორედ და ახლა მესამედაც მოინდომა.

**სააკაშვილმა ბევრი იფიქრა თუ ცოტა, გადაწყვიტა, ბედი ეცადა: „ვითომ რით ვარ ბელარუსის პრეზიდენტ ლუკაშენკოზე ნაკლები, კაცი, 16 წელია, ქვეყანას მართავს, სათვალავიც კი აერია, არ ახსოვს, მერამდენედ გაპრეზიდენტდა და ხელისუფლებიდან როდის წავა, არავინ უწყისო“. საბედნიეროდ, ჩვენი ბედოვლათი მმართველი ისევ ამერიკელებმა მოიყვანეს ჭუჭაზე, მაგრადაც დატუქსეს და უთხრეს, სადა ბანაობ, აქ „დემოკრატიას“ ვაშენებთო.**

მოკლედ, ლუკაშენკოს „კუნფუს ილეთმა“ საქართველოში ვერ გაჭრა. ამიტომ „მიხეილ დიდმა“ ჯერ გაპრემიერ-მინისტრება, ხოლო შემდეგ, კვლავ გაპრეზიდენტება განიზრახა. თუმცა მიშას არ დავიწყებია, რომ მოქმედი კონსტიტუციით, პრემიერ-მინისტრი არაფერს წარმოადგენს. სააკაშვილმა უმალვე გასცა ბრძანება: დაწერეთ ისეთი კონსტიტუცია, რომელიც კოსტუმივით მომერგებაო.

**„და იქმნა ბნელი და უკუნი“, ანუ კონსტიტუციის კანონპროექტის მიხედვით მიშა ისევ „მაგარი“ იქნება, ჟანო ისევ „იხერხემლებს“ და პარლამენტი ისევ „განისვენებს“. საინტერესო აქ მხოლოდ ის არის, თუ კონკრეტულად ვინ შეასრულებს შარვლის, პიჯაკისა და წითელი ჰალსტუხის როლს. სავარაუდოდ, სააკაშვილის შარვლის როლზე პარლამენტს დაამტკიცებენ, რომელსაც მიშას „სარცხვინელის“ დაფარვა დაევალება. ხოლო, თუ „მუნ მყოფნი“ დაკისრებულ მოვალეობას თავს ვერ გაართმევენ, შარვლის შესაკრავის, ანუ ელვის ფუნქციას, ეპიზოდურად „ივანე ხერხემლიანი“ შეასრულებს.**

ახალი პრემიერ-მინისტრის ხელში დაბეჩავებულ-დაკნინებული პრეზიდენტი და მთავრობა კოსტუმის როლს ერთად ითამაშებენ. ცხადია, წითელ ჰალსტუხს „ნაცმოელები“ დაეპატრონებიან და „ქვეყანაც აშენდება“. ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ ძნელადპროგნოზირებადმა სააკაშვილმა, შესაძლოა, საკუთარი სამოსელი პერიოდულად ნაწილობრივ ან მთლიანად გამოიცვალოს.

**აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ კანონპროექტში კერძო საკუთრების უფლება „კბილებით არის დაცული“, ოღონდ არა ხალხის საკეთილდღეოდ. ადრე თუ ადმინისტრაციულ ორგანოებს უძრავ-მოძრავი საკუთრების, ხასიათის მიხედვით, ჩამორთმევა შეეძლოთ, ახლა სასამართლოს გარეშე ვერაფერს გახდებიან. როგორც ჩანს, „ნაციონალები“ მოულოდნელი ფინალისთვისაც ემზადებიან და წინ იყურებიან.**

დღევანდელი პოლიციური რეჟიმის შეცვლის შემთხვევაში, „ნაცისტებს“ უკანონოდ მიტაცებულ-გათეთრებულ მილიარდებს აუცილებლად მოჰკითხავენ. ამიტომ, პრეზიდენტმა და მისმა გარემოცვამ საკუთარი ქონება კონსტიტუციით დააზღვია. ვთქვათ, ვინმემ სასამართლოში სარჩელი შეიტანა მოთხოვნით: „მიშას ყველაფერი უნდა წავართვათ!“. მის განხილვას, გადაწყვეტილების მიღებას, მერე სტრასბურგის მოვლას იმდენი დრო დასჭირდება, შეიძლება სააკაშვილმა კიდევ მოასწროს პრეზიდენტობის მინიმუმ ერთი ვადის მოხდა.

ერთი სიტყვით, ქართველებს საწუწუნო არაფერი გვაქვს. მით უფრო, რომ „ძალად მაცხონე“ ოპოზიციონერებმა კონსტიტუციის პროექტი პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთად საჯაროდ „განიხილეს“, ვალდებულების მოხდის მიზნით „შენიშვნებიც“ გაამზადეს და სააკაშვილს ეს ოცრო-ბოდია „გაუპრავეს“. ასე, თვალსა და ხელშუა იქმნება „უქვენაესი“ კონსტიტუცია, ანუ ქვენა აზრებით, ბოროტი და შორსმიმავალი ზრახვებით აღსავსე სახელმწიფოს უზენაესი კანონი.



მთავრობის გასვლითი სხდომა ბათუმის პიაცას მოედანზე

## მიხეილ სააკაშვილი: «მგონი, დროა, სატელევიზიო ეთერიდან გავიდეთ»

**ჩვენი პრეზიდენტი „გენიალური“ პიროვნება რომ არის, ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი მაშინ, როცა ბათუმის პიაცაზე, ახლად გამოქანდაკებული მოცეკვავე ქალის გარშემო ჩატარებულ მთავრობის, უკაცრავად, „მთვარეულების“ სხდომას ვუყურე. მარაზმი — სხვა სახელის დარქმევა მკრეხელობა იქნებოდა ყოველივე იმისთვის, რაც ჩემმა ორმა თვალმა იქ ნახა.**

ზოგმა, შესაძლოა, სიტყვა „მარაზმის“ ნამდვილი მნიშვნელობა არც იცის. ამიტომ თავს უფლებას მივცემ და განვმარტავ: **მარასმოს — ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ადამიანის ფსიქიკური და ფიზიკური მოქმედების სრულ დაქვეითებას მოხუცებულობის ან ხანგრძლივი ქრონიკული ავადმყოფობის შედეგად.**

**პირველი ვარიანტი გამორიცხულია. მთავრობა ახალგაზრდა კადრებით არის დაკომპლექტებული და ასაკის გამო არ სჭირთ ის, რაც სჭირთ. აი, მეორე ვარიანტი კი ზედგამოჭრილია: ადამიანის ფსიქიკური და ფიზიკური მოქმედების სრული დაქვეითება ქრონიკული ავადმყოფობის გამო.** აბა, სხვას რას შეიძლება დავაბრალოთ სააკაშვილის აკვიატება, რომ საქართველო ინგლისურენოვანი ქვეყანა უნდა გახდეს და ეს ენა თუ არ იცი, ადამიანი არ ხარ, მწყემსადაც არავინ გამუშავებს. ისე, მართალია, ცხვარმა ინგლისურად რომ გკითხოს რამე, ხომ უნდა უპასუხო?

თუკი, მიშიკოს ბებიამ უცხო ენა ბოლო ორ წელიწადში მშვენივრად ისწავლა, თქვენ რაღა დაგემართათ, ჩვენო ღვაწლმოსილო ბებიებო და ბაბუებო? კიდევ რომ ჩამოვიდეს ბუში, ბარაკ ობამა ან საქართველოდან უკანმოუხედავად გაქცეული კონდოლიზა რაისი, ქართულად უნდა ესაუბროთ? ნუთუ არ იცით, რომ მშობლიურ ენაზე ლაპარაკი გვეკრძალება? პრეზიდენტმა კაცმა, ინგლისურის ენის მასწავლებლები ყივჩაღებივით ჩემთვის კი არ ჩამოასახლა, თქვენთვის გააკეთა ეს სიკეთე. არ ისწავლით უცხო ენას და იქნებ პენსიაც სანატრებელი გაგიხდეთ.

უნდა ვაღიარო, რომ ყველაზე მეტად, „მთვარეულების“ სხდომიდან მისი ფინალი მომეწონა. შევეცდები, ეს ეპიზოდი მაღალმხატვრული ენით აღვწერო: **„უცებ, ბათუმის პიაცაზე უზარმაზარი საათის ზარების რეკვის ხმა გაისმა, ყველა გაინაბა, რაღაც ახლისა და სასწაულის მოლოდინში. დუმდა თვით პრეზიდენტიც! ეს ხომ ნამდვილი საოცრებაა! სწორედ მან დაარღვია არაფრისმთქმელი სიჩუმე და განაცხადა: „მგონი, დროა, სატელევიზიო ეთერიდან გავიდეთ.“**

წარმოიდგინეთ, ადამიანი ვერ ხვდება, თუ რამხელა ძალაუფლებას ფლობს. რომელი „კერძო და დამოუკიდებელი“ ტელევიზია გაბედავდა პირდაპირი ეთერის შეწყვეტას მანამ, სანამ სააკაშვილი ბრძანებას არ გასცემდა?! სიმართლე გითხრათ, შვებით ამოვისუნთქე. იმის გადმოცემას და გააზრებას, რაც იქ ხდებოდა, ალბათ, სოლომონ ბრძენის ჭკუაც არ ეყოფოდა. რა ვიცოდი, თუ ექსცენტრიულის ხილვის „ბედნიერება“ უახლოეს მომავალში მექნებოდა.



ქუთაისში კადეტთა კორპუსის შენობის გახსნისას

ქუთაისში კადეტთა კორპუსის ახალი შენობის საზეიმოდ გახსნის ცერემონიაზე ღრმად პატივცემულმა სააკაშვილმა ტრადიციული შემართებით დაიწყო და აღარ დაამთავრა. ჯერ თქვა, **„კომუნისტების დროს საქართველო თავკომბალად გადაიქცაო“** (ალბათ, თბილისს გულისხმობდა და საქართველოსგან ვერ გაარჩია), მერე, **„ადამიანებს ყოფდნენ იმის მიხედვით, ვის რბილი „ლ“, ვის მაგარი „ლ“ ჰქონდაო“,** მერე და მერე კი სულ გარეკა: **„თურქეთში უფრო მეტი ქართველი ცხოვრობს, ვიდრე საქართველოშიო“.**

ამ უაზრობას უკომენტაროდ დავტოვებდი, მაგრამ, როცა მიშამ ამაყად განაცხადა: **„იმედის თვალით შემოგვყურებენო“,** მოთმინების ფიალა ამევსო. ალბათ, პრეზიდენტს უმალავენ ჟურნალ „ფორბსის“ მიერ გამოქვეყნებულ რეიტინგს, რომლის მიხედვითაც **128 ქვეყნიდან საქართველო ბიზნესისთვის საუკეთესო ქვეყნების რეიტინგში 61-ე ადგილზეა.** რა გამოდის, თურმე სააკაშვილის იმედი დანარჩენ 67 სახელმწიფოსა და იქ მცხოვრებ ქართველებს ჰქონიათ.

დარწმუნებული ვარ, ჩვენს პრეზიდენტს უფრო ავისმომასწავებელი ამბავი დაუმალეს, თორემ „იმედის თვალით შემოგვყურებენო“, არ იტყოდა. **მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმის მიერ გამოქვეყნებულ მსოფლიოს კონკურენტუნარიანობის რეიტინგში საქართველო 93-ე ადგილზე იმყოფება. რაც მთავარია, პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან მოლდოვას გარდა ყველამ გაგვასწრო.** ესეც დიდი მიღწევაა?! ახლა კი, დამწკრივდით, ძვირფასო ემიგრანტებო, და იმდენ ხანს გვიყურეთ იმედის თვალით, ვიდრე არ მოგწყინდებათ ან ეს ხელისუფლება არ შეიცვლება.

**გიორგი გორგაძე**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# აშშ — გაკოტრებული სუპერსახელმწიფო?

**თომას ფრიდმანის მიმოხილვითი ხასიათის ეს წერილი, რომელიც New York Times-მა 8 სექტემბერს გამოაქვეყნა, საკმაოდ პრეტენზიულია კატეგორიული დებულებების სიუხვის თვალსაზრისით, უფრო მახვილსიტყვაობით იქცევს ყურადღებას, ვიდრე განსჯის სიღრმით, არგუმენტების სიმტკიცითა და ანალიტიკურობით. ამიტომ „საქართველო და მსოფლიომ" სთხოვა კომენტარი ცნობილ მეცნიერსა და მოღვაწეს, პროფესორ დავით იაკობიძეს.**




ამთავითვე ვთქვათ, რომ ფრიდმანის მცდელობა, წარმოაჩინოს დღევანდელი აშშ ძალაგამოცლილ, უპერსპექტივო წარმონაქმნად, რომელმაც თავისი პიკის პერიოდი განვლო, ისეთივე ზედაპირული და ტენდენციურია, როგორც ოცდაათიან წლებში საბჭოთა კავშირში ფართოდ გავრცელებული აგიტპროპი.

ამერიკელებისთვის საბჭოთა კავშირს წარმოადგენდნენ როგორც „კოლოსს თიხის ფეხებზე", ხოლო ჩვენი ქალაქების ქუჩებში დათვები დააბოტებდნენ.

მოკლედ — ორივენი კარგები ვიყავით.

თომას ფრიდმანის წერილი, რა თქმა უნდა, ასეთ სისულელეებზე მაღლა დგას, მაგრამ აგიტპროპის ნაკლოვანება მაინც შლეიფად მიჰყვება.

მაშ, რას წერს ბატონი ფრიდმანი?

**„2008 წლის დიდი რეცესიის დასაწყისშივე ცხადი იყო, რომ ამერიკაში ლიდერობის არსი (პოლიტიკურის თუ კორპორაციულის) იცვლებოდა. თუ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ეპოქაში ლიდერობა (ზოგადად) ხალხისთვის გაღებას ნიშნავდა, დღეს და მომდევნო ათწლეულის განმავლობაში ამერიკაში ლიდერობა (ზოგადად) ხალხისთვის წართმევას ნიშნავს".**

თომას ფრიდმანი დარწმუნებულია, რომ ამერიკელი ლიდერები **„იძულებულები არიან საკუთარ ამომრჩევლებს წაართვან, საგარეო პოლიტიკასა და ომებზე ფული არ დაზოგონ".** ხოლო საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკა დაგვიანებულ ინდიკატორად მიაჩნია.

იგი იმოწმებს ჰოპკინსის ინსტიტუტის საგარეო პოლიტიკის საკითხების სპეციალისტ **მაიკლ მანდელბუმს**, რომელიც ამტკიცებს, რომ არცთუ შორეულ მომავალში სახელმწიფოს მიერ გაღებული ყველანაირი **სოციალური დახმარების წილი, რაც დღეს მთლიანი ამერიკული წარმოების 4 პროცენტს შეადგენს, 18 პროცენტამდე გაიზრდება** (დემოგრაფიული ბუმის გამო).

ე.ი. იზრდება ხარჯი.

იზრდება და მას ემატება ყველა ის ხარჯი, რომლის გაღებაც მოუწევს აშშ-ს რეცესიიდან თავის დასაღწევად. ეს კი **„ფუნდამენტურად შეცვლის აშშ-ის საზოგადოებრივ ცხოვრებას და, შესაბამისად, ქვეყნის საგარეო პოლიტიკას".** და თუ „ბოლო 70 წლის განმავლობაში როგორც საგარეო, ასევე საშინაო პოლიტიკურ ფრონტებზე ყველაზე ხშირად ისმოდა სიტყვა **„მეტი",** 21-ე საუკუნის მეორე ათწლეულის საგარეო პოლიტიკაში მას შეცვლის სიტყვა **„ნაკლები".**

მაშასადამე, ძალა ეცლება აშშ-ს, ხოლო, **„როცა მსოფლიოში ერთადერთი ზესახელმწიფო, რომელიც დამძიმებულია საშინაო და საგარეო ვალებით, სუსტდება, ამას იგრძნობს ყველა"** შინ და გარეთ, რადგან ამერიკა, რომელიც გლობალური კეთილდღეობის მომტანი და „მსოფლიოს სტაბილურობის მთავარი ფაქტორი და მსოფლიოს მართვის მთავარი გარანტი იყო", მართალია, სრულად არ დაკარგავს პირველობას, მაგრამ მისი გავლენა შემცირდება.

ამ დაკნინებას „პენსიაში გასვლას" უწოდებს ავტორი, რაც დიდი სახელმწიფოებისთვის ადრეც იყო დამახასიათებელი. მაგალითად ასახელებს **დიდ ბრიტანეთს, რომელიც ამერიკამ შეცვალა**. ამერიკას ვერავინ შეცვლის, ვერც ერთი ქვეყანა. **მისი წასვლით კი „დანაკარგი პოტენციურად მეტი იქნება, ვიდრე დიდი ბრიტანეთის შემთხვევაში იყო".**

შავი დღეები გველის. აირევა მსოფლიო და ცხოვრება სახიფათო გახდება.

რატომ?

მენდელბაუმი და მისი მოწაფე ფრიდმანი ასეთ სურათს ხატავენ: „ევროპელები მდიდრები არიან, მაგრამ სუსტები. ჩინეთი, როგორც სახელმწიფო, მდიდარია, მაგრამ, თუ ამ სიმდიდრეს ერთ სულ მოსახლეზე გავყოფთ, ღატაკი, არ ღირს გალეტილია, რაც იმას ნიშნავს, რომ მას შიდა და რეგიონულ განვითარებაზე მოუწევს კონცენტრაცია. ნავთობისგან გაბრუებულმა რუსეთმა შეიძლება კუნთები აათამაშოს, მაგრამ რეალური ძალის ჩვენება არ შეუძლია".

არ ყოფილა საშველი და გამოსავალი! ასეთ დროს, როგორც ყოველთვის, მრავლდება მრჩეველთა რაოდენობა. ეს პუბლიკაციაც და მისი ავტორებიც ამათ რიგში ჩამდგარან, რადგან არ დაუშურებიათ „სახელმძღვანელო მითითებების" გაცემა.

მანდელბაუმს სამი მოსაზრება მოჰყავს. პირველი. აშშ მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და **რეინდუსტრიალიზაციის გზას** უნდა დაუბრუნდეს. მეორე. **უნდა გაერკვეს პრიორიტეტებში**. „საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით, — აცხადებს იგი, — მთელი ასი წლის განმავლობაში გვქონდა ისიც, რაც ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო და ისიც, რაც უბრალოდ გვსურდა". და მესამე. **„უნდა განვამტკიცოთ ჩვენი ბიუჯეტი და შევასუსტოთ ჩვენი მტრების ბიუჯეტი, ამის გაკეთების საუკეთესო გზა კი საწვავზე გადასახადის გაზრდაა".**

დაბოლოს: **„იყო დრო, როცა აშშ-ის საგარეო პოლიტიკაზე სერიოზულ ფიქრს ეკონომიკურ პოლიტიკაზე სერიოზული ფიქრი არ სჭირდებოდა. ეს დროც დასრულდა".**

**— ასეა, ბატონო დავით?**

— ყოველ შემთხვევაში, საკამათოა.

ახლახან შეისწავლეს ამერიკის განათლების სისტემა. დადგინდა, რომ ამერიკელებმა ფრაგმენტულად იციან თავიანთი ისტორია. როცა ავტორი ამბობს, რომ ლიდერობა აღარ ნიშნავს გაღებას და ნიშნავს წართმევას, ცოტა მოისუსტებს ამერიკის ისტორიაში.

**— მაგრამ სწორედ ესაა ამ პუბლიკაციის ერთ-ერთი მთავარი თეზისი.**

— სამწუხაროდ, ასეა. მსოფლიოს ახალი წესრიგი, რომელსაც გლობალური გარემო მოითხოვს, განაპირობებს ამერიკის მიერ სხვა ქვეყნების ინტერესების გათვალისწინებას, მათთან თანაცხოვრების ეკონომიკური პირობების შემუშავებას, რასაც საბოლოოდ აშშ-სთვის უფრო მეტი მოაქვს, ვიდრე იმ ქვეყნებისთვის, ვისთანაც ის თანამშრომლობს.

მართალია, თავდაცვითი პოლიტიკა დაგვიანებული ინდიკატორია, მაგრამ იგი აუცილებელი და, აშშ-ის ეკონომიკის თვალსაზრისით, მთავარი მასტაბილიზებელი ფაქტია. სწორედ იგი განსაზღვრავს ამერიკის პრიორიტეტულობას ეკონომიკის სფეროში და განაპირობებს მსოფლიოში ლიდერობის პრეტენზიას, აქცევს მას ფაქტად.

სოციალური დახმარების 4 პროცენტზე საუბრისას, უწინარესად, უნდა განვსაზღვროთ, საკმარისია თუ არა ეს რაოდენობა იმ 13 მილიონი ღარიბი ადამიანის შესანახად, რომლებიც ამერიკაში ცხოვრობენ? ლაპარაკია 5 ტრილიონი დოლარის 4 პროცენტზე, ეს კი, სერიოზული ასიგნებაა. ესე იგი, სოციალურად დაუცველი ჯგუფები არ ზარალდებიან. არ ზარალდება ის ხალხიც, რომელიც ობამას ჯანდაცვის რეფორმას ელოდება, რადგან ამ პროგრამით კიდევ უფრო იზრდება სახელმწიფოს წილი აშშ-ის თითოეული მოქალაქის დასახმარებლად.

არ შეიძლება ლაპარაკი „წართმევაზე საკუთარი ამომრჩევლებისთვის", როცა, ავტორის წინასწარმეტყველებით, სოციალური დახმარების რაოდენობა „მთელი ამერიკული წარმოების 18 პროცენტამდე გაიზრდება".

**— აბა, რა წართმევაზეა ლაპარაკი?**

— თუ განხორციელდება ხისტი პოლიტიკა ბანკირებისა და საბანკო სფეროში დასაქმებული ადამიანების მიმართ და მხოლოდ მათ ჩავთვლით ამომრჩევლებად (რაც ამერიკის ისტორიაში სამჯერ მაინც მოხდა თეოდორ რუზველტის, ვილსონის, ფრანკლინ დელანო რუზველტის დროს და შემდგომ ბუშისა და ობამას პერიოდებში გაგრძელდა), მაშინ დებულება „წართმევაზე" სწორია, მაგრამ ამომრჩეველთა მასისთვის, ანუ ხალხისთვის წართმევაზე აქ ლაპარაკი არ შეიძლება.

**— მაშასადამე, ეს პუბლიკაცია ბანკირების ინტერესებს იცავს?**

— რა თქმა უნდა. შემდეგი დებულება დიდი ბრიტანეთის როლს ეხება მსოფლიოს მართვის საკითხში და, მე მგონია, რომ აქაც მიდგომა ერთგვარად ზედაპირულია.

დიდ ბრიტანეთს არასოდეს ჰქონია ამის პრეტენზია: არც გამოცდილება გააჩნდა, არც უცდია. ევროპა მეოცე საუკუნემდე ძალთა ერთგვარი ბალანსით გამოირჩეოდა, თუმცა არც საომარი და რთული დამოკიდებულებები აკლდა. თანაბარი ძალის ხალხის ერთობა იყო.

**პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, რომელშიც აშშ-მა აქტიური მონაწილეობა მიიღო (დაეღუპა 100 ათასი, დაიჭრა 200 000-მდე ადამიანი), ევროპა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სჭირდებოდა გარეგანი სტაბილიზატორი, ევროპის ქვეყნების დამბალანსებელი ძალა. აქედან იწყება ამერიკელების მსოფლიო ლიდერობა. მიაქციეთ ყურადღება: ამერიკელებმა თვითონ კი არ დაიკისრეს ეს ფუნქცია, არამედ ევროპელების სურვილიდან გამომდინარე გახდნენ ლიდერები.**

აშშ-ს სურდა, რომ პირველი მსოფლიო ომი დამთავრებულიყო გამარჯვებულის გარეშე. ამას რომ ვერ მიაღწია, გააგრძელა თავისი საქმიანობა ამ მიმართულებით და ევროპამაც გზა გაუხსნა, რისი ერთ-ერთი წინაპირობა იყო შიში მზარდი საბჭოთა კავშირის მიმართ.

ამერიკის დახმარება დასავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის, უპირველეს ყოვლისა, გერმანიის მიმართ, ომის შემდეგ განსაკუთრებით გაძლიერდა.

გაძლიერდა მისი გავლენაც.

აქედან გამომდინარე, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის შედარებისა და ჩანაცვლების საკითხი, რომელიც განსახილველ წერილშია წამოყენებული, დასაბუთებულად და სწორად არ მიმაჩნია.

**— ამერიკის როლი მსოფლიოში არ გაქრება, მაგრამ სერიოზულად შესუსტდება?**

— არც ეს უნდა იყოს მართალი. აკი სტატიაშიც მითითებულია, რომ ლიდერობას სხვა ვერც ერთი სახელმწიფო ვერ იკისრებს. ერთი მაგალითი მხოლოდ: ყველა ზარალდება იმით, რომ დოლარით სარგებლობს. დოლარი ამერიკული ფულია, მაგრამ ჩვენი თავის ტკივილია. ისრაელის ბანკის პრეზიდენტი სტენლი ფიშერი პირდაპირ აცხადებს: „მე არ მჭირდება მაგარი შეკელი (ისრაელის ვალუტა. — ა.ს.), მე მჭირდება მაგარი დოლარი". სასურველი არ არის, მაგრამ მისი ასეთი პოლიტიკა ამართლებს. ერთი ჟურნალისტი წერდა: დოლარი საბაჟო შემოწმებასავითაა: არავის მოსწონს, მაგრამ ყველა თანახმააო.

ესეც ლიდერობის საკითხის შემადგენელია.

**— საწვავზე გადასახადის გაზრდის საშუალებით აშშ-ის ბიუჯეტის განმტკიცებასა და „ამერიკის მტრების" ბიუჯეტის შესუსტებაზე რას იტყვით?**

— არ ვიცი, როგორ ესმის მანდელბაუმს რეინდუსტრიალიზაციის საკითხი, რისკენაც მოგვიწოდებს. მაგრამ ამერიკა დღეს პოსტინდუსტრიული საზოგადოებისკენ მიდის, ნანოტექნოლოგიებზე დამყარებულ მრეწველობას ამკვიდრებს.

**— რუსეთიც ამას აპირებს.**

— დიახ, მაგრამ ცოტა სხვაგვარად. საწყის ეტაპზეა... ბიუჯეტს დავუბრუნდეთ. თუ შენი ბიუჯეტი იზრდება, სხვისი ბიუჯეტი მცირდება. ეს პუბლიცისტიკაა. ზრდა-შემცირების ერთადერთი ფაქტორი არ არის ნავთობის პროდუქციაზე ფასების გაზრდა. ერთ-ერთი ფაქტორია. სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის ბევრი მიმართულებაა აქ ჩართული. ამიტომ „მტრების ბიუჯეტის შემცირებაზე" ლაპარაკი ზედაპირულია.

განცხადება, რომ „აშშ-ის საგარეო პოლიტიკაზე სერიოზულ ფიქრს ეკონომიკურ პოლიტიკაზე სერიოზული ფიქრი არ სჭირდება", ჩემი აზრით, მცდარია. პირიქით: წარმოუდგენელია, საგარეო პოლიტიკა განახორციელო ისე, რომ ეკონომიკისკენ არ გაიხედო. გამორიცხულია. ეს შეიძლება დაემართოს ავტორიტარული იდეებით შეპყრობილ ხალხს. ნაპოლეონიც კი ამბობდა, რომ თუ საკუთარ არმიას არ გამოკვებავ, სხვისი არმიის გამოკვება მოგიწევსო.

ერთ რამეში ვეთანხმები ავტორს: დღეს აშშ-ს, როგორც ყველა ქვეყანას, სჭირდება სწორად გააზრებული ეკონომიკურ-პოლიტიკური აქტები.

**მორალი: ბედაურების დახოცვის გამო ვირებისთვის დარჩენილ სარბიელზე ლაპარაკი არაპროფესიულია, უვიცობაა და პრიმიტივიზმი. მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე დგას და მიხტომითი პოლიტიკა, რომლის მოწმენიც ჩვენს ქვეყანაში ვართ, ასეთი პრიმიტივიზმის გამოვლენაა უთუოდ.**

**ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა დადგეს პროფესიონალების დრო საქართველოში?**

**არმაზ სანებლიძე**


HOME PAGE | TODAY'S PAPER | VIDEO | MOST POPULAR | TIMES TOPICS

The New York Times — Opinion

WORLD | U.S. | N.Y. / REGION | BUSINESS | TECHNOLOGY | SCIENCE | HEALTH | SPORTS | OPINION
EDITORIALS | COLUMNISTS | CONTRIBUTORS | LETTERS | THE PUBLIC ED

OP-ED COLUMNIST

## Superbroke, Superfrugal, Superpower?

By THOMAS L. FRIEDMAN
Published: September 4, 2010

SIGN IN TO E-MAIL
PRINT
REPRINTS
SHARE

NEVER LET ME GO
WATCH THE TRAILER

In recent years, I have often said to European friends: So, you didn't like a world of too much American power? See how you like a world of too little American power — because it is coming to a geopolitical theater near you. Yes, America has gone from being the supreme victor of World War II, with guns and butter for all, to one of two superpowers during the cold war, to the indispensable nation after winning the cold war, to "The Frugal Superpower" of today. Get used to it. That's our new nickname. American pacifists need not worry any more about "wars of choice." We're not doing that again. We can't afford to invade Grenada today.

Thomas L. Friedman

Go to Columnist Page »

Ever since the onset of the Great Recession of 2008, it has been clear that the nature of being a leader — political or corporate — was changing in America. During most of the post-World War II era, being a leader meant, on balance, giving things away to people. Today, and for the next decade at least, being a leader in America will mean, on balance, taking things away from people.

And there is simply no way that America's leaders, as they have to take more things away from their own voters, are not going to look to save money on foreign policy and foreign wars. Foreign and defense policy is a lagging indicator. A lot of other things get cut first. But the cuts are coming — you can already hear the warnings from Secretary of Defense Robert Gates. And a frugal American superpower is sure to have ripple effects around the globe.

"The Frugal Superpower: America's Global Leadership in a Cash-Strapped Era" is actually the title of a very timely new book by my tutor and friend Michael Mandelbaum, the Johns

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## არნო ხიდირბეგიშვილი:

# გლობალიზაცია ზარ-ზეიმით შემოდის საქართველოში

**პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უცხოეთიდან საქართველოში 10.000 ინგლისური ენის მასწავლებელი მოიწვია საჯარო სკოლებში ინგლისური ენის სასწავლებლად. მისი განცხადებით, „5-დან 16 წლამდე ასაკის ყველა ბავშვი ინტენსიურად შეისწავლის ინგლისურს, რათა 4 წელიწადში ამ პროგრამამ შედეგები გამოიღოს“. რა შედეგებზეა საუბარი და რა შეიძლება ამას მოჰყვეს? სააკაშვილის დაპირებისამებრ, ეს ნაბიჯი ქართველი საზოგადოების განვითარებაში გაკეთებული ნახტომი და მოდერნიზაცია იქნება? მოიწონებს თუ არა მას თავად ქართველი საზოგადოება?**

## აშშ, რომელმაც იცის, რომ დღეს საქართველოსა და კავკასიისთვის ომი წაგებული აქვს, 10-15 წლისშემდგომი რევანშისთვის ემზადება, როცა ინგლისური ენის მცოდნე თინეიჯერები წამოიზრდებიან, «მაკდონალდსებიდან» ქუჩაში გამოვლენ და თავიანთ სიტყვას იტყვიან!

დავიწყებ ბოლოდან, ანუ ქართველი საზოგადოებიდან, რომელიც ძალზე დაქსაქსულია, ამიტომ ერთგვაროვან თვალსაზრისზე ლაპარაკიც ზედმეტია. ვიმეორებ: **მცირერიცხოვანი ქართველი საზოგადოება ძალზე დაქსაქსულია და რამდენიმე, სავსებით განსხვავებული ინტერესებისა და პრიორიტეტების მქონე კატეგორიებად იყოფა:**

**ნაციონალური უმცირესობანი** (მოსახლეობის ერთი მეოთხედი ნაწილი): დედაქალაქში (თბილისში) — ავტოქტონურ, ქართველ მოსახლეობასთან ასიმილირებული, კომპაქტური ჩასახლების რაიონებში (სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი) განცალკევებით მცხოვრები თავის მონოეთნიკურ სამყაროში, ჩხუბის არმოსურნე და საქართველოში ნებისმიერი ხელისუფლების მუდამ მხარდამჭერი, ვერაფრის გადამწყვეტი, ხმის უფლების არმქონე და შორიახლო არსებული საზღვრის თავისი ისტორიული სამშობლოსკენ, სომხეთისა და აზერბაიჯანისკენ მომზირალი. ამის გამო **გულგრილთა კატეგორიაში** მყოფი;

**ხელისუფალნი** (მთავრობა, პარლამენტი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ძალოვანი სტრუქტურები) — მმართველი კასტის — „ნაცმოძრაობისა“ და პრეზიდენტ სააკაშვილის პოლიტიკის გამტარებლები. ამ კატეგორიის ადამიანებს სტაბილური შემოსავალი, მუდმივი ხელფასი და სხვადასხვა შეღავათი აქვთ (კომუნალური, სამედიცინო, სადაზღვევო). ამიტომაც ისინი **კმაყოფილთა კატეგორიას** განეკუთვნებიან.

იმავე **კმაყოფილთა კატეგორიაშია** ახალგაზრდობის, უდიდესი თუ არა, მნიშვნელოვანი ნაწილი — **თინეიჯერები და სტუდენტები:** სწორედ ისინი არიან მოქმედი ხელისუფლების მომავალი და ყველაზე ერთგული ელექტორატი, ამიტომ პრეზიდენტი სააკაშვილი მათთვის არ იშურებს ათასგვარ შოუსა და გასართობს, პატრიოტულ ბანაკებსა და დაპირებებს! მინისტრებად ნიშნავს სრულწლოვანების ასაკში ახალშებიჯებულ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს და დანარჩენებსაც ამგვარსავე პერსპექტივებს ჰპირდება ინგლისური ენის ცოდნის, საზღვარგარეთ სტაჟირებისა და მისი საგარეო პოლიტიკური კურსის ერთგულების პირობით!

**კმაყოფილთა კატეგორიას** უნდა მივაკუთვნოთ ხელისუფლებასთან დაახლოებული და მათი მატერიალური ინტერესების მომსახურე **ბიზნესმენებიც,** ასევე **მოსამსახურეები,** ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით: პირადი მძღოლები, გუვერნანტი ქალები, მრეცხავები, დამლაგებლები, მოახლეები, მცველები, დარაჯები, ოფიციანტები და სერვისის სფეროში დასაქმებული მთელი პერსონალი.

და, რა თქმა უნდა, **კმაყოფილთა კატეგორიას** განეკუთვნებიან საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მაღალანაზღაურებადი ქართველთა ახალი ტიპი — **ოფის-მენეჯერები** (ბანკების, კომერციული ფირმების და არასამთავრობო ორგანიზაციათა ოფისების, რომლებიც სოროსის ფონდის, თავისუფლების ინსტიტუტის, ევრაზიის ინსტიტუტის, აშშ-ის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტისა და სხვათა უცხოური გრანტების ინექციებით სულდგმულობენ);

**უკმაყოფილოთა კატეგორიას** შეადგენს **საშუალო, ძირითადად, უმუშევარი თაობა,** რომელიც პურის ფულს დროებითი, მძიმე, დაბალკვალიფიციური და დაბალანაზღაურებადი შრომით გამოიმუშავებს, მიუხედავად უმაღლესი განათლებისა (ზოგჯერ რამდენიმე უმაღლესი განათლების მქონე!) და მაღალი კვალიფიკაციისა — ინჟინრები, მეცნიერები, პედაგოგები, ექიმები, კულტურის მოღვაწენი, რომლებიც სამსახურიდან იმიტომ გაათავისუფლეს, რომ მეოთხე ათწლეულს გადააბიჯეს ანდა „შემცირებაში“ მოჰყვნენ, რადგან მათი შეხედულებები არ ემთხვეოდა საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების იდეოლოგიას; მათ იცოდნენ ისტორიული სიმართლე და რუსეთთან, სადაც ნათესავები ჰყავთ და მათი ყოველთვიური მატერიალური დახმარებით სულდგმულობენ, მეგობრობა და მშვიდობა სურდათ.

**უკმაყოფილოთა კატეგორიას** თამამად შეგვიძლია მივაკუთვნოთ **პენსიონერები, ვეტერანები, ინვალიდები, ხელმოკლენი, ლტოლვილები, პატიმრები:** თავიანთი უაღრესად მძიმე მდგომარეობის გამო, სულაც არაფერში არგიათ პოლიტიკური ოინები და ინგლისური ენა, ყოველდღიურად გაცილებით მწვავე საყოფაცხოვრებო პრობლემები აქვთ — რით იკვებონ, სად დაიძინონ, რით გადაიხადონ გაზის, წყლისა და ელექტროენერგიის საფასური, რით იმკურნალონ და შეიძინონ წამლები ანუ ელემენტარულად იარსებონ!



## სწორედ იმიტომ ჩამოჰყავთ ინგლისური ენის 10.000 პედაგოგი, რომ მომავალ მოსამსახურეებს ელემენტარული ინგლისური ენა ასწავლონ!

რაც შეეხება შედეგებს: **პრეზიდენტი სააკაშვილი აქ სავსებით თანმიმდევრულია — მას უნდა აშშ და არ უნდა რუსეთის ფედერაცია. მისი ნება რომ იყოს, საქართველოს ამერიკის კონტინენტზე გადაიტანდა! აშშ კი, რომელმაც იცის, რომ დღეს საქართველოსა და კავკასიისთვის ბრძოლა წაგებული აქვს, 10-15 წლისშემდგომი რევანშისთვის ემზადება, როცა ინგლისური ენის მცოდნე თინეიჯერები წამოიზრდებიან, „მაკდონალდსებიდან“ ქუჩაში გამოვლენ და თავიანთ სიტყვას იტყვიან.**

ამ სტრატეგიის შესატყვისად მოქმედებს მიხეილ სააკაშვილი და თან წარმატებულადაც, განსაკუთრებით ზოგიერთი რუსი ჩინოვნიკის მხრიდან საქართველოში რუსული ენის პრობლემებისადმი სრული უყურადღებობის პირობებში. არადა, ამ ჩინოვნიკებს საშუალებაც აქვთ და სამსახურებრივადაც ევალებათ რუსული ენის მხარდაჭერა საქართველოში! „უპატრონო ფარას ეშმაკები ეპატრონებიან,“ რუსული ენისგან გამოთავისუფლებულ სივრცეს აგრესიულად იკავებს ინგლისური ენა, ხოლო მის კვალდაკვალ — ჩვენთვის სავსებით უცხო მენტალიტეტი.

**გლობალიზაცია, მისი მარტივი და იოლად ხელმისაწვდომი ღირებულებებით ზარ-ზეიმით შემოდის საქართველოში, თავის მშობლიურ (ინგლისურ) ენაზე აქეთ-იქით არიგებს ჰამბურგერებს, ჩიზბურგერებსა და იოლი ცხოვრების დაპირებებს, რითაც ქართველ ახალგაზრდობას ათასგვარ ილუზიას უქმნის ჩვენს ვითომდა ევროპულ წარმოშობაზე, ერთიან ევროპულ ოჯახში მალე გაწევრებაზე, ჩრდილოატლანტიკური კავშირის მიერ უზრუნველყოფილ უსაფრთხოებაზე, ორ წელიწადში ეკონომიკური სასწაულის მოხდენაზე, რის შედეგადაც საქართველო ახალ შვეიცარიად გადაიქცევა!**

**დიახ, სააკაშვილმა საქართველო უკვე თითქმის აქცია ერთ დიდ სასტუმროდ, მოსამსახურეთა ქვეყნად, სადაც დასასვენებლად ჩამოვლენ ტურისტები, ძირითადად, სომხეთიდან და თურქეთიდან, მაგრამ არ იქნება არც ერთი ქარხანა და ფაბრიკა, რათა მათ სუფთა ჰაერი ისუნთქონ! ჩვენ კი, ქართველები, კაცებიცა და ქალებიც, მათ მხოლოდ მოვემსახურებით, რადგან ამ სასტუმროში ცხოვრებას ჩვენი ჯიბე ვერ გასწვდება...**

**და ახლაც სწორედ იმიტომ ჩამოჰყავთ ინგლისური ენის 10.000 პედაგოგი, რომ მომავალ მოსამსახურეებს ელემენტარული ინგლისური ენა ასწავლონ! სულიერი პროდუქტის, მორალური, კულტურული ანდა მატერიალური ფასეულობების შექმნა ხომ მოსამსახურეთა ქვეყნის მოქალაქეებისგან არ მოითხოვება; მთავარია, პრეისკურანტის მიხედვით კლიენტის ყველა მოთხოვნა და ახირება დააკმაყოფილო და მერე იცხოვრე არხეინად, თავს ნურაფერზე აიტკიებ, ნუ იზრუნებ და პასუხს ნუ აგებ საქართველოსა და მის მომავალზე, დაე, სხვებმა იფიქრონ!**

რა თქმა უნდა, არსებობს სხვა რისკებიც:

**ამ 10.000 პედაგოგიდან რამდენია შიდსით ან სხვა სასიკვდილო სნეულებით დაავადებული? მსოფლიოში ხომ ათასგვარი ეპიდემია ბობოქრობს, ჩვენ კი ჩვენს შვილებთან უცხო ხალხი უნდა მივუშვათ, რომლებიც ამავე დროს ჩვენს ოჯახებში იცხოვრებენ?! სსრკ-ში ყველა პედაგოგი უმკაცრეს სამედიცინო შემოწმებას გადიოდა — ვინმემ შეამოწმა ეს უცხოელები საქართველოში ჩამოსვლამდე?**

რა აზრი აქვს უცხოელი პედაგოგების მოწვევას, როცა ქვეყანაში ამდენი უმუშევარია — უცხო ენების ინსტიტუტის, ყოფილი პუშკინის სახელობის ინსტიტუტის, სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები — ლინგვისტები, მაღალკვალიფიციური პედაგოგები და მაღალი კლასის სპეციალისტები, რომლებიც არასაკმარისი ე. წ. საათების გამო გაათავისუფლეს? როგორ ფიქრობთ, მათ სხვა ქვეყნებიდან მასწავლებლების მოწვევა გაახარებთ? რამდენად გამართლებულია უცხოელი მისიონერების (რომელთა პროფესიული დონე აშკარად არცთუ მაღალია) ჩამოყვანაზე, აქ ცხოვრებასა და ხელფასზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან დიდი თანხების ხარჯვას, როცა ქვეყანაში ამდენი უმუშევარი კადრია?!

**როგორ შეძლებენ უცხოელები, რომლებმაც ქართულის ინჩი-ბინჩი არ იციან, ჩვენს ბავშვებს ინგლისური ასწავლონ? რა ენაზე აუხსნიან — ჟესტებით?!**

ვინ შეარჩია ეს მასწავლებლები? უცხოეთის სპეცსამსახურებმა ხომ არა, რომელთა შტატიანი თუ უშტატო თანამშრომელი ბევრი მათგანი თვითონაა?

სადაა გარანტია, რომ თავიანთი მისიის შესრულების შემდეგ ისინი საქართველოს დატოვებენ და აქ სამუდამოდ არ დარჩებიან, როგორც მაგალითად, ჩინელები, რომელთა რაოდენობაც დღითიდღე იზრდება?! ჩვენ კი იძულებული ვიქნებით, ისინი სამსახურითა და საცხოვრებლით დავაკმაყოფილოთ, თითქოს საკუთარი ლტოლვილები და უმუშევრები არ გვყოფნიდეს?!

**რომელი რელიგიური აღმსარებლობისანი არიან ჩვენი სტუმრები? როგორ დამოძღვრავენ ისინი ჩვენს ბავშვებს? რომელმა მისიამ გამოაგზავნა ეს მისიონერები საქართველოში, რამდენია მათ შორის იეღოვას მოწმე ან სხვა სექტის წარმომადგენელი? რა არის ეს, თუ არა ჩვენს უკანასკნელ ბასტიონზე — მართლმადიდებლობაზე იერიშის მიტანა; ბასტიონზე, რომელმაც სპარსების, მონღოლებისა და არაბების შემოტევას გაუძლო?! იქნებ, სინამდვილეში მათ ამ ბასტიონის დანგრევა და მის ნანგრევებზე „პენსილვანიის საგუშაგო კოშკის“ აშენება ევალებათ?!**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# პოლიტიკოსები «გვაბოლებენ»

**დღემდე მეგონა, რომ „წვეტიანი აზრები“ მხოლოდ მე მაწუხებდა, მაგრამ საშინლად ვცდებოდი.**

**თქვენ რომ ქართველი პოლიტიკოსების საჯარო გამოსვლებს ყურადღებით უსმინოთ, მათთან შედარებით ჩემი „წვეტიანი აზრები“ პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიურ ნაშრომებად მოგეჩვენებათ. განსაკუთრებული აგრესიულობით კი იმ ოპოზიციური პარტიების ლიდერები გამოირჩევიან, რომლებმაც, დიდი ხანია, ხალხის ნდობა დაკარგეს და მის დასაბრუნებლად ერთმანეთის ლანძღვასაც აღარ თაკილობენ.**

მაგალითად, გოგი თოფაძემ თემურ შაშიაშვილი ერთ-ერთი გაზეთის საშუალებით „მსუბუქ“ დუელში გამოიწვია, ანუ წაკბინა და „დაზარალებულისგან“ საკადრისი პასუხიც მიიღო.



**თემურ შაშიაშვილი, მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი:**

**„ბატონმა გოგი თოფაძემ ბრძანა: შაშიაშვილი ხალხს აბოლებსო!.. ჯერ ერთი, თოფაძემ ხალხის დაბოლება თავისკენ მოიკითხოს, თემურ შაშიაშვილს არავინ არასოდეს დაუბოლებია... სააკაშვილის იმპიჩმენტს მოვითხოვ ხელმოწერებითა და რეფერენდუმით და ეს, მე მგონი, არ არის ხალხის დაბოლება!..“**

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ თოფაძე და შაშიაშვილი კიდევ კარგა ხანს გააგრძელებენ ერთმანეთის „შებოლებასა“ და ალაგ-ალაგ „წადუელებას“. ეტყობა „თეთრების“ ლიდერი ისე გაალიზიანა „მელუდის“ გამონათქვამმა, რომ დანარჩენ ოპოზიციონერებსაც გადასწვდა.

**„პოლიტიკოსები დღეს საქართველოში საკუთარ თავს აქებენ, სხვებს ლანძღავენ და ერთმანეთთან არ ლაპარაკობენ... ვისაც კი თავი კიტრად მოაქვს, არც ერთს ჩვენთან ურთიერთობა არ უნდა“.**

იბადება კითხვა: რა უნდა ქნას ასეთ დროს შაშიაშვილმა, როცა ირგვლივ ყველა „ეკიტრავება“? სამი სავარაუდო პასუხი: 1) გადაიქცეს პამიდვრად; 2) დათესოს კიტრი; 3) გააკეთოს სალათა.

მოკლედ, ვიდრე ბატონი თემური სწორი პასუხის ძიებაშია, ნინო ბურჯანაძის მორიგ შედევრებს გაგაცნობთ.



**ნინო ბურჯანაძე, „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი:**

**„ხელისუფლება ქმნის სუპერსაპრემიერო რესპუბლიკას, რომელიც არადემოკრატიული არჩევნების პირობებში ქვეყანასა და მოსახლეობას მიხეილ სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმის განუსაზღვრელი ვადით გახანგრძლივებით ემუქრება... სააკაშვილი ცდილობს, ქვეყანა საბჭოთა კავშირში ჩატოვოს“.**

როცა ბურჯანაძეს ვუსმენ, მის მაგივრად **მე** ვწითლდები და მრცხვენია. ლამის დავიჯერო, რომ ნინო კი არა, სააკაშვილის ხელისუფლებაში წამყვანი პოლიტიკური ფიგურა **მე** ვიყავი, არჩევნებსაც **მე** ვაყალბებდი, მილიონებსაც **მე** ვიპარავდი, ხალხსაც **მე** ვატყუებდი და პოლიციური რეჟიმის შექმნასაც **მე** ვუწყობდი ხელს. მოკლედ, ყველაფერში დამნაშავე **მე** და **მიშა** ვართ, რომელსაც, ბურჯანაძის შეფასებით, პარლამენტარები მეფედ გახდომაში ეხმარებიან.

**„მივმართავ საქართველოს პარლამენტის ყველა დეპუტატს, თითოეული თქვენგანი, ვინც მხარს დაუჭერს ამ კონსტიტუციის მოდელს, იქნება პასუხისმგებელი სააკაშვილის მეფედ კურთხევაზე“.**

მერწმუნეთ, მალე დადგება დრო და სააკაშვილთან ერთად პასუხს ბურჯანაძესაც მოსთხოვენ, რომელმაც ოპოზიციონერობანას თამაში დაწყებისთანავე წააგო. ეტყობა, ნინომ ეს ამბავი ჯერ არ იცის და ნურც თქვენ ეტყვით, ცოდოა ქალი.

გაგიკვირდებათ და სააკაშვილის გაპრეზიდენტებასა და დღევანდელ უბედურებაში კიდევ ერთი ყოფილი „ნაცისტი“, გოგა ხაინდრავაც ლამის **მე** მადანაშაულებს, თითქოს „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთი ორგანიზატორი იგი კი არა, **მე** ვიყო. თურმე ხაინდრავას მანამდე არ სცოდნია და ახლა აღმოაჩინა, რომ მიშას კვირაში ცხრა პარასკევი აქვს.



**გოგა ხაინდრავა, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში:**

**„სააკაშვილის სახით, საქმე გვაქვს ჩამოყალიბებულ შიზოფრენიკთან, რომელსაც კვირაში ცხრა პარასკევი აქვს... სააკაშვილი რომ ბოროტმოქმედია, ამას რა ქაღალდი და დოკუმენტი უნდა, არ გადამრიოთ“.**

ნუ გადაირევით, გოგა ბატონო, დაწყნარდით. თქვენისთანა გაქანების კაცს ნერვიულობა კარგს არაფერს მოუტანს. ისე, მაშინ რატომ არ გადაირიეთ, როცა სააკაშვილმა სახელმწიფო მინისტრის სავარძელი შემოგთავაზათ და სიამოვნებით დათანხმდით. ეს ისევ ის მიშაა, არ შეცვლილა, უბრალოდ თქვენი და თქვენისთანების დახმარებით ისე „გაიზარდა და გაივსო“, რომ დღეს „მზე მისგან საწუნარია“. აი, კომბლებით ომს რაც შეეხება, ეგ იდეა აუცილებლად დააპატენტეთ, არავინ მოგპაროთ.

**„თუ პრეტენზია გაგვაჩნია, რომ ეროვნული ძალები ვართ და ქართულ ინტერესებს ვიცავთ, მაშინ კომბალი ხელში და წინ! მართალია, ვინც წინა რიგებში ვიდგებით კომბლებით, ცუდად დავამთავრებთ, მაგრამ ჩვენს შვილებსა და ჩვენს ქვეყანას გადავარჩენთ“.**

რისი გადამრჩენებიც ხართ, ქართველმა ხალხმა უკეთ უწყის. ნაწილობრივ თქვენიც მესმის და იმ ზვიად ძიძიგურისაც, რომელიც კვლავ მუშტებზე იყურება და დამშეულ, ძალაგამოცლილ ადამიანებს მასობრივი პროტესტისკენ მოუწოდებს, მაგრამ, დამიჯერეთ, მაგ საქმისგან არაფერი გამოვა. საკუთარ ტყავს მოფრთხილება რომ უნდა, მოქალაქეებმა თქვენგან ისწავლეს და თავს აღარ მოგატყუებინებენ.



**ზვიად ძიძიგური, „საქართველოს კონსერვატიული პარტიის“ ლიდერი:**

**„ჩვენი ხმალი, თოფი და ყველაზე ეფექტური იარაღი არის ის, რომ ხალხი მასობრივად გამოვიდეს ქუჩაში და თავისი პროტესტი დაუპირისპიროს ამ რეჟიმს... სანამ სააკაშვილი სულ მთლად არ გაშიშვლდება და დედიშობილა არ დაიწყებს ქუჩაში სირბილს, მანამდე ვერ უნდა მივხვდეთ, რა დღეში ვართ?!“**

თქვენ რატომ ვერ მიხვდით ამას მანამდე, ვიდრე „თავისუფლების ინსტიტუტს“ ხელისუფლებაში მოიყვანდით და სახელმწიფოს არსებობას საფრთხეს შეუქმნიდით?! ალბათ, გეგონათ, რომ ბოკერიასთან, ლომაიასთან და ლევან რამიშვილთან „ძმაკაცობით“ შორს წახვიდოდით. ისე არ გამიგოთ, თითქოს ძველ ცოდვებს გახსენებდეთ, უბრალოდ, ვინმემ სიმართლე ხომ უნდა თქვას და სარკეში ჩაგახედოთ. თორემ ჩვენც ვვარაუდობთ, რომ შორს არ არის ის დრო, როცა პატივცემული პრეზიდენტი დედიშობილა ირბენს...

**„ყველა მინისტრი, მერაბიშვილით დაწყებული და ვერიჩკა ქობალიათი დამთავრებული, იძახის, რომ დღეს ჩვენი მთავარი ამოცანა არის, რომ რაც შეიძლება მეტი ტურისტი ჩამოვიდეს საქართველოში“.**

არ მესმის, რას ერჩიან „ვერიჩკა“ ქობალიას. სიმპათიური, ოდნავ მორცხვი გოგოა და ორ სიტყვას ერთმანეთზე ვერ აბამს. რას გიშლით, აცადეთ, ჯერ გაერკვეს ბავშვი, რომელ სტრუქტურას ხელმძღვანელობს, რა უნდა, რატომ ჩამოიყვანეს (ისე, ეგ კი იცის, რატომაც ჩამოაბრძანეს), ვინ არის მიშა, უბრალოდ სახელმწიფოს პირველი პირი თუ პირადი პრეზიდენტი?

აი, როცა ჩვენი „ვერიჩკა“ ამ ყველაფერს „გააიასნებს“, მერე ნახეთ, რა გამოავლინოს და როგორ შებეროს! ხუმრობა საქმე ხომ არ არის, ბოლოს და ბოლოს, ქალი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრია! ეტყობა კიდეც, ისე „მდგრადად ვითარდება“, მტერს თვალებს უბნელებს!

ძიძიგურისგან განსხვავებით, გუბაზ სანიკიძე ისე იყო დაკავებული ერთ-ერთი „იუდა ლტოლვილისთვის“ საქმის გარჩევით, რომელსაც თურმე ამხელა კაცისთვის უკადრებელი უკადრებია, რომ ქობალიასთვის ველარ მოიცალა.



**გუბაზ სანიკიძე, „ეროვნული ფორუმის“ ლიდერი:**

**„მე რომ ლტოლვილს დაველაპარაკები და მერე იმავე ლტოლვილს „რუსთავი 2“ აჩვენებს და ის იტყვის, გუბაზ სანიკიძეს ვინ ეკითხებაო და ჩვენ ხელისუფლების მადლობლები ვართო, ასეთ იუდას ყოველთვის მოძებნიან ესენი“.**

როცა გუბაზმა „ქართველ იუდებზე“ საუბარი გაასრულა, მერე სააკაშვილის შემკობას მიჰყო ხელი და ლამის შვიდივე ბრუნვაში მოიხსენია. „ეროვნული ფორუმის“ ლიდერი ისე შევიდა ლანძღაგინების აზარტში, რომ მოულოდნელად სენსაციური აღმოჩენაც გააკეთა: თურმე ჩვენ გვყავს „ადამიანის მსგავსი პრეზიდენტი“!.. ტაში!.. ბრავო!.. დარწმუნებული ვარ, ეს აღმოჩენა დარვინსაც კი გააოგნებდა.

**„ღალატსა და ანტიქართველობაზე რომ ლაპარაკობს ეს ადამიანის მსგავსი, პრეზიდენტი რომ ჰქვია, რომ დაირქვა თვითონ, უბრალოდ, ადამიანის მსგავსია. როგორი არ უნდა იყოს ადამიანი, ამის საუკეთესო მაგალითი სააკაშვილია. ეს არის ჩვენი ეროვნული სირცხვილი!“**

**გიორგი გორგაძე**

# კორუფციასთან ბრძოლის არასამთავრობო ორგანიზაციას თაღლითობაში ადანაშაულებენ



**კორუფციასთან ბრძოლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ეგიდით 8 თვის წინათ ჯერ თბილისში და შემდეგ ზუგდიდში დაარსდა არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელსაც მისი წევრები თაღლითობაში ადანაშაულებენ.**

2010 წლის 18 იანვარს თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, ზუგდიდელებმა: გოგა დემურიამ, ალფეზ ბულიამ, ლანა დემურიამ, ფოთელმა გია შამუგიამ და სოხუმელმა მალხაზ ბულიამ დააფუძნეს არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირის სახელწოდებით „კორუფციასთან ბრძოლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი“, რომლის მთავარი მიზანი იყო კორუფციასთან ბრძოლის ხელშეწყობა და მხარდაჭერა, ადამიანის უფლებების უზენაესი პრინციპების დაცვა. ამ ორგანიზაციის სხვადასხვა საქმიანობათა შორის ერთ-ერთია ახალი სამუშაო ადგილების შექმნის პროცესის ხელშეწყობა და დასაქმების პროგრამების შემუშავება.

ორგანიზაციის დამფუძნებლებმა თავიანთი ფილიალი ზუგდიდშიც შექმნეს. თუ როგორ დაიწყეს მუშაობა და რა საქმიანობას ეწევიან, ნათლად ჩანს ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრის (ვინაობის გამხელა არ ისურვა) მიერ შს სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროს თენგიზ გუნავას სახელზე გაგზავნილ განცხადებაში:

**„ვარ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი. გადავწყვიტე შეთავსებით სამსახურის დაწყება, რათა სწავლის საფასური გადამეხადა. ჩემი კურსელისგან გავიგე, რომ ზუგდიდში არსებობდა სამსახური „კორუფციასთან ბრძოლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირის ზუგდიდის ორგანიზაცია“.**

**2010 წლის მარტში მივაკითხე აღნიშნულ ორგანიზაციას, სადაც გამესაუბრნენ და მითხრეს, რომ მიმიღებდნენ სამსახურში, თუ გადავიხდიდი 250 ლარს. მეც დავეთანხმე. ამასთან, ჩემივე ხარჯებით უნიფორმები, სპეციალური ტანსაცმელი შემაძენინეს. ხელფასს, სიტყვიერად, 450 ლარს დამპირდნენ. ბანკში თანხის შეტანისა და ქვითრის წარდგენის შემდეგ ჩემთან არავითარი შრომის ხელშეკრულება, არავითარი კონტრაქტი არ გაფორმებულა. იყო მხოლოდ დაპირებები და დროის გაყვანა. როცა მოვიძიე კავშირის წესდება, ნათელი გახდა, რომ მწარედ მომატყუეს — არავითარი ხელფასი, არავითარი შრომის ხელშეკრულება.**

## მწარედ მომატყუეს — არავითარი ხელფასი, არავითარი შრომის ხელშეკრულება

**კავშირის დამფუძნებელთა მოქმედებით მივიღე როგორც ქონებრივი, ისე მორალური ზიანი. მოტყუებული დავრჩი მშობლებისა და უნივერსიტეტის წინაშე. ჩემთან ერთად ასევე მოტყუებულია კავშირის 45 წევრი. დამფუძნებლები სპეკულირებენ შს მინისტრის, ოლქის პროკურატურისა და თქვენი სახელებით. უტიფრად გვიცხადებენ, რომ ზემდგომთან შეთანხმებულები ვართ და ისინი საქმის კურსში არიანო, რაც აშკარად სიცრუეა. მოვითხოვეთ თანხის უკან დაბრუნება, მაგრამ კატეგორიული უარი მივიღეთ.**

**გთხოვთ, დაიწყოთ წინასწარი გამოძიება მათი მიზნებისა და დანაშაულებრივი საქმიანობის გამოვლენის მიზნით“,** — ნათქვამია განცხადებაში.

სინამდვილის დადგენის მიზნით, რამდენჯერმე მივაკითხეთ აღნიშნულ ორგანიზაციას ზუგდიდში, კოსტავას ქუჩაზე, მაგრამ ოფისის კარი ჩარაზული დაგვხვდა. სამართალდამცავთაგან კი მხოლოდ ის შევიტყვეთ, რომ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება.

**ლადო ქირია**, ზუგდიდი

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ჰილარი კლინტონი: ამერიკისთვის ახალი მომენტი დადგა



**გასულ ოთხშაბათს საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭოზე ჰილარი კლინტონის გამოსვლას Washigton Post-ის 10 სექტემბრის ნომერში აანალიზებს მიმომხილველი გლენ კესლერი.**

თავის **ხანგრძლივ გამოსვლაში**, იწყებს კესლერი წერილს, სახელმწიფო მდივანმა **ობამას ადმინისტრაციის საგარეო-პოლიტიკური კურსი დაიცვა.** ჩვეულებრივი, შესავალი წინადადებაა, ერთი, ნემსის ჩხვლეტასავით მწარე დეტალი რომ არა — გამოსვლის ხანგრძლივობისთვის ხაზგასმა.

თავისთავად ხანგრძლივი გამოსვლა ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს, მაგრამ, როცა გაწელილი სიტყვა თუ მოხსენება დამახასიათებელ თვისებად იქცევა, ორატორის ტრიბუნაზე დადგომისთანავე ირთვება მსმენელის თავდაცვითი, არმოსმენის ინსტინქტი, ან, უფრო ზუსტად, ამორჩევითი მოსმენის მექანიზმი.

ჰილარი კლინტონისთვის ხანგრძლივი მოხსენებები ჩვეულებრივი ამბავია, თითქოს აუცილებელი, მაგრამ მაინც გადაჭარბებულად ბევრი დეტალის მოხმობით. შეგნებულად გაურბის მსჯელობის სისხარტეს და მეტი დამაჯერებლობისთვის სათქმელის გაჭიანურებული ლოგიკის ერთფეროვნებით ცდილობს.

Washigton Post-ის ავტორი, მართალია, ამას არ ამბობს, მაგრამ მისი, ვითომ სასხვათაშორისო, შენიშვნა **ხანგრძლივი გამოსვლის** თაობაზე სწორედ ამითაა გამოწვეული.

ფსიქოლოგების დაკვირვებით, ამგვარი გამოსვლები, უწინარეს ყოვლისა, დამახასიათებელია ან ახალბედა პოლიტიკოსისთვის, ან იმ მოღვაწისთვის, ვინც მაინცდამაინც დარწმუნებული არ არის თავის სიმართლეში.

ჰილარი კლინტონი ამათგან რომელს მიეკუთვნება, თავად განსაჯეთ. მე კი სრულად ვიზიარებ ავტორის შეფარულ სარკაზმს, რადგან თავად ვიყავი მოწმე ქალბატონ ჰილარის, მაშინ ჯერ კიდევ აშშ პირველი ლედის, გამოსვლისა ამერიკის ერთ-ერთი პრესტიჟული პრემიის მინიჭების ცერემონიაზე, რომელიც მას და საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს ვაშინგტონში გადასცეს დემოკრატიის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანისათვის.

დამსწრე საზოგადოება, ფრიად მრავალრიცხოვანი, მისი გამოსვლის დროს გაყურსული იჯდა, მაგრამ ვერ გეტყვით, რომ ყურადღებით უსმენდა მრავალსიტყვაობას ქალბატონისას.

მოკლედ, საკმაოდ გესლიანი ჩხვლეტა გამოუვიდა Washigton Posts.

მარტო ეს რომ იყოს!

კლინტონი, გვიყვება ავტორი, **ობამას ადმინისტრაციის საგარეო-პოლიტიკურ პოზიციას იცავდაო.**

ვერ არის კარგი ამბავი, როცა პოზიცია დასაცავი ხდება.

სად არის ის, ვის პოზიციასაც იცავს ეს ქალბატონი? **„პრეზიდენტი ობამა მთლიანად აშშ-ის დაკოჭლებული საშინაო პოლიტიკითა და ნოემბრის შუალედური არჩევნებითაა დაკავებული“.**

დაკოჭლებულა ამერიკა! (კიდევ ერთი გესლიანი ჩხვლეტა გავლენიანი გაზეთის).

და ამ „ჩოლახ“ ამერიკას ქალბატონი კლინტონი ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური ლიდერის როლში ყავარჯნად შედგომია. მერე როგორ შედგომია! „ოთხშაბათის სიტყვაში **იგი ადმინისტრაციის გეგმებზე შეერთებული შტატების მსოფლიო როლის განსამტკიცებლად თავდაჯერებული საუბრობდა“.**

კი იყო კოჭლი თემურ ლენგი, უზარმაზარი იმპერიის მფლობელი, მაგრამ სად ის დრო და სად აშშ-ის მისწრაფება მსოფლიო ლიდერობისკენ, რაშიც, კლინტონის აზრით, მის ქვეყანას **„კონკურენტები არ ჰყავს“.**

თემურ ლენგის იმ დამპყრობლურ მისწრაფებას, ახლა „იდეის რეალიზება“ ჰქვია, რომელსაც სახელმწიფო მდივანმა **„ახალი მსოფლიო არქიტექტურა“** უწოდა.

მაგრამ არაფერი უთქვამს იმის თაობაზე, რომ ამ იდეას სხვა პოლიტიკოსების ხანაში „ახალი მსოფლიო წესრიგი“ ერქვა.




**კლინტონი მხიარულად გამოეხმაურა ქვეყნიდან იმ რუსი აგენტების დეპორტაციას, რომლებიც აშშ-ის ტერიტორიაზე მოქმედებდნენ: „რა თქმა უნდა, როგორც ჩვენ ამ ზაფხულს შეგვახსენეს, ჯაშუშური რომანების ავტორებს ჯერ კიდევ აქვთ მასალა მუშაობისთვის. ასე რომ, სიტუაცია წამგებიანი არ არის“.**

იცვლება სახელწოდება, იდეა რჩება უცვლელი — **მსოფლიო ბატონობისკენ მისწრაფება.** რა თქმა უნდა, შესაფერისი ნიუანსური ცვლილებებითა და შესაბამისად ვუალირებური.

„ერთი წლის წინათ, — შენიშნავს გლენ კესლერი Washigton Post-ში, — ანალოგიურ შეხვედრაზე კლინტონი საუბრობდა **„წონასწორობის შეცვლაზე მულტიპოლარული მსოფლიოდან მულტიპარტნიორულ მსოფლიოსკენ“** და ხაზს უსვამდა ადმინისტრაციის მზადყოფნას მოწინააღმდეგეებთან ნაყოფიერი ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად“.

ახალი ამ დებულებაში არაფერია. ჩვენს მკითხველს კარგად მოეხსენება, როგორ მეორდებოდა მსგავსი დებულებები თუნდაც ერთი თაობის ცხოვრების მანძილზე. ჯერ როდის განაცხადა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ მაო ძედუნმა — **„დე, ყვაოდეს ყველა ვარდი“.** მართალია, ეს უზარმაზარი ჩინეთის შიდაპარტიულ ცხოვრებაზე იყო ნათქვამი, მაგრამ აქ პრინციპია მთავარი — მოწინააღმდეგეებთან თანამშრომლობის პრინციპი თანაბარი უფლებების საფუძველზე.

რა მოჰყვა ვარდების ამ ყვავილობას, არც ესაა დავიწყებული — ვარდების ფურცლების ცვენა, „კულტურული რევოლუცია“ და ერთპარტიული ხელმძღვანელობის არნახული განმტკიცება.

ჩვენს თვალწინ ორპოლუსიანი სამყარო სსრკ-ის დაშლის შემდეგ მრავალპოლუსიანად იქცა, რომელსაც, აღარავინ მალავს, ერთპოლუსიანისკენ მისწრაფების ტენდენცია ახასიათებს.

მალავს კი არა, აშშ სახელმწიფო მდივანი ქალბატონი კლინტონი დაუფარავად აცხადებს, რომ მის მიერ დეკლარირებული **„კოლექტიური ძალისხმევის მობილიზება... პრობლემების მოგვარებისთვის გლობალურ დონეზე“** სხვა არაფერია, თუ არა **„უშუალოდ ჩვენი ინტერესების დასაცავად“** გადადგმული ნაბიჯები.

თუ ვინმეს კვლავ დარჩა ეჭვის ნატამალი, ბოლომდე მოუსმინეთ ქალბატონ კლინტონს: **„შეერთებული შტატებისთვის მსოფლიოს ლიდერობა ერთდროულად არის როგორც პასუხისმგებლობა, ასევე უპრეცედენტო შესაძლებლობა“.**

ვინ დააკისრა აშშ-ს პასუხისმგებლობა ლიდერობისთვის, გაუგებარია, მაგრამ კარტებია გახსნილი — მსოფლიო ლიდერობისკენ მისწრაფება არის მიზანი, რისი უპრეცედენტო შესაძლებლობა მაინცდამაინც დღევანდელ მსოფლიოშია შექმნილი.

ჩვენს მკითხველებს, რა თქმა უნდა, არ დავიწყებიათ, როგორი წყევლა-კრულვა და ქოქოლა დაატეხა რუსეთს ჩვენი ხელისუფლების პროპაგანდისტულმა მანქანამ აშშ-დან რუსი ჯაშუშების გამოყრასთან დაკავშირებით.

ამერიკელებს კი ეს სკანდალი სასაცილოდაც არ ჰყოფნით. აი, რას წერს ამის თაობაზე იგივე ავტორი ქალბატონ კლინტონის გამოსვლის შესაბამისი ფრაგმენტის დამოწმებით: „კლინტონის თქმით, აშშ-რუსეთის ურთიერთობის გაცივებამ ჯორჯ ბუშის მმართველობის ბოლო პერიოდში, „შესაძლოა, შთააგონა კიდეც ჯაშუშური რომანების მწერლები და კაბინეტის სტრატეგები“...

კლინტონი მხიარულად გამოეხმაურა ქვეყნიდან იმ რუსი აგენტების დეპორტაციას, რომლებიც აშშ-ის ტერიტორიაზე მოქმედებდნენ: „რა თქმა უნდა, როგორც ჩვენ ამ ზაფხულს შეგვახსენეს, ჯაშუშური რომანების ავტორებს ჯერ კიდევ აქვთ მასალა მუშაობისთვის. ასე რომ, სიტუაცია წამგებიანი არ არის“.

არავინ დაუხვრეტიათ, კატორღა არავისთვის არ მიუსჯიათ, ხეირიანად არც დაუპატიმრებიათ, ციმციმ გადასცეს რუსეთს — მშვიდობაში მოიხმარეთო.

კვლავ თავი იჩინა საქართველოს პროვინციული დიპლომატიის თავგამოდებამ და ქვეშევრდომლურმა აქტივისტობამ.

The Washington Post

# შავი ზღვა სახიფათო რეგიონად არ უნდა გადაიქცეს

**როცა „ნიუ იორკ ტაიმსს“ უსაფრთხოების პრობლემა სათაურში გამოაქვს, ეს ნიშნავს, რომ შავი ზღვის რეგიონში შეინიშნება ტენდენცია, რომელიც მსოფლიო საზოგადოებრივი აზრისგან და წამყვანი სახელმწიფოებისგან განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.**

ეს შეშფოთება მით უფრო ნიშანდობლივია, რომ ავტორები: **დენის ქორბოი, უილიამ ქორთნი** და **კენეტ იალოვიცი** მაღალი რანგის სპეციალისტები და აღიარებული მიმომხილველები არიან.

მათ კარგად ესმით, რომ შავი ზღვა ცივილიზაციის, ვაჭრობისა და კულტურის აკვანია, მაგრამ იმასაც კარგად ხედავენ, რომ დღეს ეს არეალი გადაუჭრელი კონფლიქტების, მყიფე საზღვრებისა და შუღლის რეგიონად იქცა. ნარკოტრაფიკი, საქართველო-რუსეთის ურთიერთობის გამწვავება, ჩრდილოეთ კავკასიაში მუდმივად არსებული დაძაბულობა, მთიანი ყარაბაღის მინავლებული „ცხელი წერტილი“ და ა.შ. ამ რეგიონს ფეთქებადსაშიშს ხდის.

**ყველა საერთაშორისო სტრუქტურა**, რომელიც აქ არსებობს და ვითარების მოსაწესრიგებლადაა მოწოდებული, **საქმეს თავს ვერ ართმევს, როგორც ავტორები წერენ, მოიკოჭლებს.**

**ნატო**, რომლის წევრი სამი ქვეყანა — ბულგარეთი, რუმინეთი და თურქეთი შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს, **„რეგიონს მწირ ყურადღებას უთმობს“.**

**რუსეთს** 2014 წლის სოჭის ზამთრის ოლიმპიადის უსაფრთხოდ ჩატარების თავის ტკივილი გასჩენია, რადგან ეს ქალაქი ბობოქარ ჩრდილოეთ კავკასიას ემიჯნება.

**უკრაინა** ცდილობს, დაამშვიდოს ყირიმი, სადაც, ძირითადად, ცხოვრობენ რუსები, რომლებიც მოსკოვთან მიერთებისკენ ილტვიან.

**თურქეთი** ქვეყნის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის გამო მღელვარებითაა მოცული. აწუხებს ბოსფორის ყურის, ამ უმნიშვნელოვანესი საწყლოსნო სატრანსპორტო კვანძის მოუგვარებელი პრობლემები.

ამასთან, რუსეთი აძლიერებს თავის სამხედრო ბაზებს აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, სომხეთში; აპირებს უფრო მეტი სამხედრო გემი შემოიყვანოს შავ ზღვაში. ეს მეზობელ ქვეყნებს, უწინარესად, საქართველოს, ფრიად აშფოთებს.

ავტორები მიიჩნევენ, რომ თქმულიდან გამომდინარე, **„რუსეთი ერთდროულად პრობლემაცაა და პრობლემის გადაწყვეტაც. იგი აუმჯობესებს ურთიერთობას თურქეთთან და უკრაინასთან და, მიუხედავად იმისა, რომ „დღემდე ამბობს უარს საქართველოს მთავრობასთან საქმის დაჭერაზე... საქართველოსთან ომის მეორე წლისთავზე თავი შეიკავა შარშანდელი პატრიოტული გზნებისგან“.**



**რუსეთს 2014 წლის სოჭის ზამთრის ოლიმპიადის უსაფრთხოდ ჩატარების თავის ტკივილი გასჩენია, რადგან ეს ქალაქი ბობოქარ ჩრდილოეთ კავკასიას ემიჯნება.**

ავტორების ლოგიკური განსჯა ასეთი დასკვნით მთავრდება: რუსეთმა, თურქეთმა და უკრაინამ, ყველაზე დიდმა ქვეყნებმა შავ ზღვაზე, უნდა ითავონ თანამშრომლობა, რათა შეამცირონ „არსებული საფრთხეები“: **„სოჭის მოახლოებული თამაშების გამო რუსეთი შეიძლება ძალიან საინტერესო პარტნიორი გახდეს“.**

The New York Times

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# საქართველო ავღანეთში პირველ ჯარისკაცს კარგავს

**საერთაშორისო მასმედიას ყურადღებიდან არ გამორჩენია პირველი მსხვერპლი, რომელიც ქართულმა საჯარისო შენაერთმა ავღანეთში განიცადა. „საქართველომ ავღანეთში პირველი ჯარისკაცი დაკარგა, — Eurasiant.org-ის 9 სექტემბრის გამოშვებაში წერს ჯოშუა კუცერა, — ასეულის მეთაური ლეიტენანტი მუხრან შუკვანი გზაზე ნაღმის აფეთქების შედეგად დაიღუპა, მეორე ჯარისკაცი მძიმედ დაიჭრა და ორივე ფეხი დაკარგა“.**


საზეიმო გაცილება


მუხრან შუკვანი

მძიმე დანაკარგია.

მაგრამ, თუ ჩვენთვის ტრაგედიაა, უცხოური პრესისთვის რიგითი ფაქტია: ომი ომია და სიკვდილ-სიცოცხლე იქ ხელჩაკიდებული დადიან. ალბათ, ამიტომ და იმიტომაც, რომ მიმომხილველებს ამგვარი ტრაგიკული შემთხვევების კომენტირება უფრო აინტერესებთ, ვიდრე თანაგრძნობის გამოხატვა, ეს ჯოშუაც აქცენტგადანაცვლებულთა წესითა და რიგით მოქმედებს.

მაგრამ რას ერჩი ვიღაც უცხოელს, როცა საქართველოს ხელისუფლება ავღანეთის მოთუხთუხე ქვაბში არა მარტო წარბშეუხრელად აგზავნის ჩვენს ბიჭებს, არამედ თავს იწონებს სიუზერენი სახელმწიფოს წინაშე თავისი ვასალური მორჩილებით.

კიდევ და კიდევ დასტურდება, რომ ახალგაზრდების სიცოცხლის გაწირვა ქვეყნის სათავეში მყოფთა ავტორიტეტის შენარჩუნების საშუალებაა, თუ რამე დარჩა იმ მოჩვენებითი ავტორიტეტიდან, რომლის პირველი გამპიარებელი ბუში უმცროსი იყო.

ჯოშუა კუცერასაც, როგორც ჩანს, დაჭერილი აქვს მომენტი და საქართველოს ხელისუფალთა განცხადებების ზურგის ქარით ავსებს თავისი ოპუსის იალქნებს: **„საქართველოს ოფიციალურმა პირებმა უმალვე გაუსვეს ხაზი იმას, რომ ეს დანაკარგი მათ მისიას ავღანეთში კითხვის ნიშნის ქვეშ არ აყენებს“.** ამ ზოგად განცხადებას პერსონიფიცირება სჭირდება, და აქვეა ქუთელია — საქართველოს ელჩმა აშშ-ში ჟურნალისტს უნებურად დაუდასტურა, რომ ყველა დიქტატურა თავისი ქვეყნის ახალგაზრდებში, უპირველეს ყოვლისა, საზარბაზნე ხორცის მასას ხედავს.

ახლა შემოგთავაზებთ ქუთელიას განცხადებას და დააკვირდით, როგორ ბუნებრივად შეერწყმის ერთმანეთს თავდაჯარებული კატეგორიულობა და ურცხვი ტყუილი:

**„ამას** (ტრაგედიას, რომელზეც გულისტკივილით ვლაპარაკობთ. — ა.ს.) **არ შეუძლია და არ შეცვლის ჩვენს გადაწყვეტილებას ავღანეთში ჩვენი მისიის აღსრულების შესახებ(!). საქართველოს მთავრობამ და ხალხმა (sic!) გადაწყვიტეს,** ავღანეთის ჰელმანდის პროვინციაში დამატებით 750 სამხედრო გაგზავნონ **აშშ-ის მეთაურობის დაქვემდებარებაში** და ჩვენ ბოლომდე ვაცნობიერებთ(!), თუ რა რისკებს შეხვდება იქ ქართული ჯარი. ქართველი ჯარისკაცები განაგრძობენ თავის ბრძოლას... ამ **სახიფათო რეგიონში ყოველგვარი ეროვნული პროტესტის გარეშე“.**

თუ ეს სიტყვები მართლაც ქუთელიას ეკუთვნის და ჯოშუას „შემოქმედების“ ნაყოფი არ არის (რაც, ალბათ, უნდა გამოვრიცხოთ), ვერ ყოფილა კარგად ჩვენი ხელისუფლების საქმე.

რატომ ხელისუფლების და არა მისი ერთ-ერთი ჩინოვნიკის? იმიტომ, რომ არც ერთი ქვეყნის არც ერთი ელჩი თავს უფლებას არ მისცემს, საკუთარი მოსაზრება, პირადი კომენტარი „გააჟღეროს“ ისეთ საკითხში, რომელიც სახელმწიფო პოლიტიკიდან გამომდინარეობს, და გადაუხვიოს ოფიციოზის მიერ რეკომენდებულ დებულებებს. მაშ, განვიხილოთ აშშ-ში საქართველოს ელჩის განცხადება.

ქუთელიას მტკიცებით, **„საქართველოს მთავრობამ და ხალხმა გადაწყვიტეს“** ავღანეთში ჩვენი ჯარისკაცების გაგზავნა. მამალი ტყუილი! ვინ ჰკითხა ხალხს, როდის მიიღო ხალხის დასტური ხელისუფლებამ? ეგებ, ჩატარდა რეფერენდუმი, ან ჩამოიარეს კარდაკარ ნაცმოძრაობის აქტივისტებმა და მიღებული პასუხების ნაცვლად დამკვეთებს მათთვის სასურველი თანხმობა მიაწოდეს?

ბოლო პერიოდის კომუნისტებს მოსდგამდათ თავიანთი უგნური გადაწყვეტილებების ხალხის მოთხოვნად გასაღება. მაგალითად, ხრუშჩოვის დროს ფასების გაზრდა ფართო მოხმარების საქონელსა და საკვებზე ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში ახსნილი იყო როგორც ხალხის მოთხოვნის შესასრულებლად განხორციელებული მოწყალება.

ამ „მოწყალებას“ არეულობები მოჰყვა, რომლებიც სისხლში ჩაახშეს.

არავინ მოტყუებულა მაშინ, ასეთი „არგუმენტი“ არავის დაუჯერებია. დღეს ცდილობენ, ულტრაბოლშევიკური მეთოდის რეანიმაციას. სასაცილოა, რომ ცდილობენ. **ხალხის მოთხოვნით, ხალხის სახელით მანიპულირება ჯერ საკუთარი ხალხის შეურაცხყოფაა, მერე იმათი, ჩვენი პარტნიორების, ვისთვის თავის მოქონვასაც ცდილობს ამ კონკრეტულ შემთხვევაში ელჩი ბათუ ქუთელია.**

ეს ერთი.

მეორე, **დიდი ტყუილია ის, რომ ეროვნული პროტესტი არ არსებობს.** ხელისუფლების გუნება-განწყობის შესაფერისი დასკვნების მიღებაში გაწაფული საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ორგანიზაციების შეფასებითაც კი, ავღანეთში ქართველი ჯარისკაცების გაგზავნას მხარი დაუჭირა გამოკითხულთა 44,9 პროცენტმა, 43,4 პროცენტი წინააღმდეგი იყო.

ნიშნავს თუ არა ეს მონაცემები, რომ პროტესტი, სურს თუ არა ხელისუფლებას, მაინც არსებობს?

რა თქმა უნდა, ნიშნავს!

მესამე. მაინცდამაინც დალაგებულად მეტყველი არ ყოფილა პატივცემული ბათუ ან წამოსცდა, რომ ჩვენი ჯარისკაცები ტერორიზმთან საბრძოლველად კი არ მიავლინეს ავღანეთში, არამედ **„აშშ-ის მეთაურობის დაქვემდებარებაში“.**

**როგორც ჩანს, სწორედ ესაა მთავარი — ამერიკელ მეთაურთა დაქვემდებარებაში ყოფნა.**

მეოთხე.

ცოტა არ იყოს, დაგვაბნია ელჩის ნათქვამმა, რომ ავღანეთის ჰელმანდის პროვინცია სა**ხიფათო რეგიონი ყოფილა, სადაც „ქართველი ჯარისკაცები განაგრძობენ თავის ბრძოლას“.**

ერთმანეთში მოილაპარაკეთ, ბატონებო, და მერე გვითხარით, სახიფათოა თუ არა ის რეგიონი, რადგან ხელისუფლება ცოტა ხნის წინათ გვიმტკიცებდა, რომ იქ ლამის სასეირნოდ მიდიოდნენ ჩვენი ჯარისკაცები — სამშვიდობო მისიის შესასრულებლად.

თურმე იბრძვიან, თანაც ეს ბრძოლა მათი ბრძოლა ყოფილა.

ვითომ? საეჭვოა.

ერთიც: ვინ დაიჯერებს, რომ პროტესტის ის ძლიერი მუხტი, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში არსებობდა ავღანეთში სამხედრო კამპანიის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის პერიოდში, დღეს ასეთივე კამპანიის მხარდაჭერად ტრანსფორმირდა იმიტომ, რომ აშშ არის მისი „სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი“?!

ეჭვი ეპარება ჯოშუა კუცერასაც, რადგან მისი წერილის დასკვნითი წინადადება, გამოკითხვის შედეგებს უშუალოდ რომ ებმის, სწორედ ამის მაჩვენებელია: პირველი ჯარისკაცის დაღუპვის შემდეგ „ხომ არ შეიცვლება ეს მაჩვენებელი?“

**ცნობისთვის: საბჭოთა ჯარის განსაზღვრული კონტინგენტის ავღანეთში ყოფნის 10 წლის განმავლობაში შეიარაღებულ შეტაკებებში დივერსიების შედეგად და ა.შ. დაიღუპა საქართველოდან გაწვეული 148 ჯარისკაცი, 6 უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლება.**

EURASIANET.org

# დიდი სახელმწიფოები კოსოვოსა და საქართველოს პოლიტიკას ეთამაშებიან

**წელიწადზე მეტია, რაც „საქართველო და მსოფლიო“ ამ თემით დაინტერესდა. ჩვენი პუბლიკაციების კვინტესენცია ასეთია: კოსოვო დღეს არის საქართველო ხვალ. მოვლენებმა, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობებში ამ მიმართულებით განვითარდა, დაადასტურა, რომ ეს დებულება სიმართლეს შეესაბამება. სამწუხაროდ.**

ეს პრობლემა კვლავ ტოპთემად მოგვევლინა მას შემდეგ, რაც 2010 წლის ივლისში გაეროს საერთაშორისო სასამართლომ კოსოვოს მიერ დამოუკიდებლობის დეკლარირება კანონიერად ცნო, „რამაც გლობალური დებატები სუვერენიტეტსა და თვითგამორკვევაზე კიდევ უფრო ინტენსიური გახადა“.

ამ ახალი ტალღის, ანუ პაექტობის გააქტიურების შედეგია Deutsche Welle-ის 10 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული სპენსერ ქიმბელის წერილი, რომლის სათაურს ამ მიმოხილვაში უცვლელად გთავაზობთ.

კამათი, დებატები, სასამართლოს განაჩენი, რა თქმა უნდა, ჭეშმარიტების დადგენაში გვეხმარება, მაგრამ ამ შემთხვევაში და ჩვენს პირობებში ჭეშმარიტება სხვა განზომილებაში დევს: **„კონფლიქტმა საქართველოში ერთი რამ ცხადყო — ქვეყნების ბედს სასამართლოები კი არა, დიდი სახელმწიფოები წყვეტს“,** — ამბობს ქიმბელი, და ვერ შეედავები, რადგან ასეა.

„ამ თავნება სამყაროში, — განაგრძობს მიმომხილველი, — პატივცემული სასამართლოს დაბალანსებული გადაწყვეტილება ძალიან ცოტას ნიშნავს. **ნაციონალური სახელმწიფოები ისევ იმ ხაფანგშია გამომწყვდეული, რომელსაც ინგლისელი ფილოსოფოსი თომას გობსი „ყველა ყველას წინააღმდეგ ომს“ უწოდებდა და სადაც ყველაფერს დიდი სახელმწიფოები აკონტროლებდნენ“.**

ამ დებულებას სპენსერ ქიმბელი უახლესი ისტორიის მაგალითებით ასაბუთებს, უწინარეს ყოვლისა, ბალკანეთის ტრაგიკული ისტორიით, როცა იუგოსლავია „კონფლიქტების მთელ ციკლში გადაეშვა“ და „პატარ-პატარ ეთნიკურ ნამსხვრევად დაიშალა“, რაც საერთაშორისო კრიზისში გადაიზარდა. კოსოვოში ეთნიკური ალბანელების უფლებათა დასაცავად ნატოს ყუმბარებით გაკვალული გზით ეს მხარე ჯუჯა სახელმწიფოდ აქცია დასავლეთის მხარდაჭერამ, რაც 2008 წლის თებერვალში ოფიციალურად იქნა დეკლარირებული.

კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 6 თვეში აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნო რუსეთმა.

**ორივე დაპირისპირებული მხარე — აშშ და რუსეთი — აცხადებს, რომ მათ მიერ აღიარებული ახალი სახელმწიფო წარმონაქმნები კანონიერია.** ეს აღიარება უფრო მეტად მათ პოლიტიკურ მიზნებსა და მისწრაფებებს ეფუძნება, ვიდრე „თვითგამორკვევისა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის რწმენას, რომელიც საერთაშორისო სამართალშია დამკვიდრებული“.

ორივე დაპირისპირებულმა მხარემ თავისი გაიტანა.

კოსოვოც კმაყოფილია და აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის ტანდემიც. „დე ფაქტო ქვეყნები, — განუცხადა Deutsche Welle-ს კავკასიის საკითხებში საერთაშორისო და უსაფრთხოების საქმეების გერმანული ინსტიტუტის ექსპერტმა **უვე ჰალბახმა**, — ყოველთვის ხაზს უსვამენ იმას, რომ დამოუკიდებლობის დეკლარირებასთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება თვითგამორკვევის უფლებას უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე ტერიტორიულ სუვერენიტეტს“.

**რეზიუმე ასეთია: ერთის მხრივ — კოსოვოს, მეორეს მხრივ — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება ხელს აძლევს ყველას.**

**წაგებული და ტერიტორიაჩამოჭრილი საქართველო აღმოჩნდა.**

**საერთაშორისო სამართალი** კი, როგორც ჰალბახი ამბობს, თავისთავად ინდიფერენტულია: იგი **„მხარს არ უჭერს სეპარატიზმს, მაგრამ არც ეწინააღმდეგება მას. საბოლოოდ გადამწყვეტი აქ პოლიტიკაა“.**

განხორციელებულმა პოლიტიკამ კი ყველა მხარის ინტერესები დააკმაყოფილა და საქართველოს პრობლემა, კოსოვოსთან ერთად, სადისკუსიო საკითხად დაუტოვა საერთაშორისო ისტებლიშმენტს.

„მე მგონია, — თქვა Deutsche Welle-თან საუბარში სტრატეგიულ და საერთაშორისო კვლევათა ცენტრის რუსული და ევრაზიული პროგრამის მოწვეულმა სპეციალისტმა **სერგეი მარკედონოვმა**, — რომ ობიექტურ ინტერესებსა და ოფიციალურად გამოხატულ პოზიციას შორის მცირე განსხვავებაა. **რუსეთს კავკასიაში აქვს ტერიტორიები და მას რეგიონში სტაბილურობა სჭირდება. სტაბილურობა სამხრეთ კავკასიაში უშუალოდ მოახდენს გავლენას რუსეთის საშინაო უსაფრთხოებაზე“.**

ინტერესები კონტრასტულია, მაგრამ თვითკმარი: აშშ მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და კოსოვოს დამოუკიდებლობას. რუსეთის პოზიცია ამის სარკისებრი ანარეკლია.

და ორივეს ობიექტური ინტერესები ამოძრავებს. მათი გეოპოლიტიკური მისწრაფება კი განსაზღვრავს დანარჩენი ქვეყნების ბედს.

**„სამყაროში,** — ასკვნის Deutsche Welle-ის მიმომხილველი, — **სადაც მთავარი არქტორები მსოფლიო წესრიგის მთავარ პრინციპებზე ვერ შეთანხმებულან, გაეროს საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება საერთაშორისო ჯუნგლების გნიასში ცივილიზაციის ჩურჩულზე ოდნავ მეტია“.**

DEUTSCHE WELLE

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



## «BrahMos»-ის პოპულარობა იზრდება




**შეიარაღების მსოფლიო ბაზარზე ინტერესი რუსულ-ინდური ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტა „BrahMos"-ის მიმართ იზრდება. ბრაზილია, ჩილე, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა და სხვა ქვეყნები ამ რაკეტების შეძენაზე ჯამში 13 მილიარდი დოლარის დახარჯვას აპირებენ.** „BrahMos"-ის კონსტრუქცია ეფუძნება „П-800 Оникс"-ს (საექსპორტო ვარიანტში „Яхонт-ი), რომელიც სსრკ-ში 80-იან წლებში შეიქმნა. ორსაფეხურიანი ფრთოსანი რაკეტის სიგრძე 10 მეტრია, მოქმედების სიშორე — 300 კილომეტრამდე, სასტარტო წონა (მოდიფიკაციიდან გამომდინარე) — 3,5-4 ტონა, საბრძოლო ნაწილის წონა — 300 კილოგრამამდე. რაკეტა უნივერსალურია, მისი გაშვება შესაძლებელია ხომალდებიდან, თვითმფრინავებიდან და სახმელეთო კომპლექსებიდან.

## რისთვის — ამდენი იარაღი?

**შეერთებულმა შტატებმა და საუდის არაბეთმა უპრეცედენტო შეთანხმებას მიაღწიეს. ერ-რიადი 60 მილიარდი დოლარის შეირაღებას შეიძენს. მათ შორის იქნება 84 გამანადგურებელი-ბომბდამშენი „F-15 SA", 72 მრავალმიზნობრივი ვერმფრენი „UH-60 Black Hawk" და 60 მოირიშე ვერტმფრენი „AH-64D Apache Longbow".** ამ საფრენი აპარატების გადაცემა 10 წლის განმავლობაში მოხდება. შეთანხმება, აგრეთვე, ითვალისწინებს საუდის არაბეთის შეირაღებაში არსებული საზენიტო-სარაკეტო კომპლექს „Patriot"-ების მოდერნიზაციას. ექპერტები აღნიშნავენ, რომ ეს გარიგება რეგიონში არსებულ ძალთა ბალანსში მნიშვნელოვან ცვლილებებს შეიტანს.

## ლიბანელები მშრალზე დარჩნენ



**საფრანგეთმა ლიბანისთვის „100 Hot"-ის მარკის უახლესი ტანკსაწინააღმდეგო რაკეტის მიწოდებაზე უარი განაცხადა. ამით დაირღვა ადრე მიღწეული შეთანხმება; იგულისხმებოდა, რომ ამ რაკეტებით ლიბანის არმიის შეირაღებაში მყოფი ვერტმფერენები „Gazelle"-ები აღიჭურვებოდა.** თუმცა მას შემდეგ, რაც ისრაელ-ლიბანის საზღვარზე შეტაკება მოხდა, რომლის დროს ერთი ებრაელი და რამდენიმე ლიბანელი სამხედრო დაიღუპნენ, ლიბანური გაზეთი „ას-საპირის" ცნობით, აშშ-მა და ისრაელმა საფრანგეთზე ზეწოლა მოახდინეს და ის იძულებული გახადეს, ლიბანთან შეთანხმებაზე უარი ეთქვა.

## ვნახოთ ერთი, რა ბიჭია...

**ყაზახეთში „შანჰაის თანამშრომლობის ორგანიზაციის" ქვეყნების ერთობლივი ანტიტერორისტული წვრთნები მიმდინარეობს. მასზე ჩინეთმა ათასკაციანი კონტინგენტი, მეოთხე თაობის გამანადგურებლები „J-10" და ძირითადი საბრძოლო ტანკები „Type 99" გააგზავნა.** ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ჩინელები სწავლებებზე ქვეყნის ფარგლებს გარეთ „Type 99"-ს აგზავნიან. ასევე პირველად, უცხოელ სამხედროებს შესაძლებლობა ექნებათ „Type 99" საქმეში ნახონ და მისი საბრძოლო პოტენციალი შეაფასონ, რომელიც, ჩინელების მტკიცებით, ძალზე მაღალია.

## კიდევ კარგი, არ გასცურეს



**კომპანია „Bristol Alloys"-ის ხელმძღვანელმა ჯეიმს ბულიკმა აშშ-ის საზღვაო ძალებს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დიდი რაოდენობით უხარისხო ლითონი მიჰყიდა, რომელსაც „Virginia"-ს ტიპის სუბმარინების აგების დროს იყენებდნენ, — წერს „Philadelphia Daily News".** ფლოტის მოთხოვნის თანახმად, ლითონს თერმული დამუშავება უნდა გაევლო, თუმცა ბულიკი შესაბამის სერტიფიკატებს აყალბებდა და სამხედროებს ისეთ ლითონს აწვდიდა, რომელსაც თერმული დამუშავება არ გაუვლია. ამჟამად ბულიკი დაპატიმრებულია, მიყენებული ზარალის ოდენობა დგინდება.

# ირანის შეიარაღება: მითები და რეალობა

**ირანული მედია სულ უფრო ხშირად მოგვითხრობს ახალი შეირაღების თაობაზე, რომელთაც ადგილობრივი კონსტრუქტორები ქმნიან. საინტერესოა, რამდენად გამოსადეგია ეს შეიარაღება.**




ბოლო სიახლე ირანიდან მოიერიშე უპილოტო საფრენ აპარატ „Karrar"-ს ეხება. ეს არ არის უპილოტო საფრენი აპარატი კლასიკური გაგებით, რადგან მის სტარტს რეაქტიული გამშვები დანადგარი უზრუნველყოფს, ხოლო მიწაზე დაბრუნებას — საპარაშუტო სისტემა. ის უფრო რეაქტიული მართვადი ჭურვია, რომელსაც მიზნამდე ბომბი (სავარაუდოდ, Mk 82) მიაქვს. ვიზუალურად იგი საოცრად ჰგავს ვერნერ ფონ ბრაუნის „V2"-ს, რომლის მეშვეობით ფიურერი ლონდონის დაბომბვას ლამობდა; აგრეთვე, „ცივი ომის" დროინდელ ამერიკულ და საბჭოთა სადაზვერვო დრონებს — „Firebee" და „Ту-143.

**„KARRAR-ის უშუალო „მშობელი", დიდი ალბათობით სამხრეთ-აფრიკული „DENEL"-ის წარმოების მაღალსიჩქარიანი საჰაერო სამიზნე „SKUA" არის, რომელიც ირანმა, სავარაუდოდ, ჩინეთიდან მიიღო. ექსპერტების ეჭვს, აგრეთვე, იწვევს ირანული წყაროების მიერ „Karrar-ის მოქმედების გამოცხადებული რადიუსი — „1000 კილომეტრი" და მის ბორტზე დამიზნების სისტემების არსებობის ფაქტი. თუმცა ამ აპარატების მასირებულმა გაშვებამ იგივე ისრაელის მიმართულებით შეიძლება საზენიტო რაკეტების გადახარჯვა და შესაბამისი სისტემების გადატვირთვა გამოიწვიოს, რაც მეორე, „მთავარი" დარტყმისთვის ხელსაყრელ პირობებს შექმნის.**




წელს საბრძოლო მორიგეობას შეუდგა პირველი ესკადრილია, რომელიც ადგილობრივი წარმოების გამანადგურებლებით „Saeqeh (სპარსულად „ჭექა-ქუხილი") დაკომპლექტდა. ის აშკარად ჯერ კიდევ შაჰის დროს შეძენილი „F-5E Tiger II"-ების ოდნავ სახეცვლილ ასლებს წარმოადგენს. დაუზუსტებელი ინფორმაციით, მათი, ისევე, როგორც „Azarakhsh-ის („ელვა") ტიპის გამანადგურებლების აგების დროს, ამ ძველი ამერიკული თვითმფრინავებიდან მოხსნილი დეტალები გამოიყენება.

**ირანული წარმოების ძირითადი საბრძოლო ტანკი „Zulfiqar"-ი ამერიკული „M60-ისა და საბჭოთა „T-72"-ის სიმბიოზის ნაყოფია. ოდნავ სახეცვლილი კორპუსი და სავალი ნაწილი ამერიკული ტანკისგანაა აღებული, 123 მმ. ქვემეხი „2A46" კი — საბჭოთა ტანკისგან. ქვემეხები „Zulfiqar"-ებისთვის მათ შორის ძველი „T-72"-ებიდან იხსნება. კოშკურა ადგი-** ▶

# ვის აძლევს ხელს ახალი ომი ფოლკლენდებისთვის?

**„არგენტინა სამხედრო ხარჯებს გაზრდის", — ასეთი განცხადება ქვეყნის თავდაცვის მინისტრმა ნილდა გარემ გააკეთა. მისი თქმით, ხარჯები მშპ-დან 1,5 პროცენტს მიაღწევს (ამჟამად 0,9%-ია). აღსანიშნავია, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არგენტინის სამხედრო ბიუჯეტი გაორმაგდა.**






ამავე დროს ბოლო თვეების განმავლობაში მნიშვნელოვნად დაიძაბა ურთიერთობა დიდ ბრიტანეთსა და არგენტინას შორის ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულების გარშემო, რომელთა გამო ამ ორმა ქვეყანამ 1982 წელს იომა კიდეც. წელს კუნძულებზე სანავთობო კომპანიებმა დაზვერვითი სამუშაოები დაიწყეს. წინასწარი შეფასებებით, საქმე შეიძლება 60 მილიარდ ბარელ ნავთობსა და 9 ტრილიონ კუბურ მეტრ გაზს ეხებოდეს. ამან ბუენოს-აირესის მწვავე რეაქცია გამოიწვია, გაკეთდა განცხადება, რომ ყველა გემმა, რომელიც კუნძულებისკენ ქვეყნის ტერიტორიული წყლების (ასეთად არგენტინაში კუნძულების მიმდებარე წყლებსაც მიიჩნევენ) გავლით მიემართება, არგენტინის ხელისუფლების სპეციალური ნებართვა უნდა მიიღოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ დააკავებენ.

ინგლისელებმა, თავის მხრივ, განაცხადეს, რომ მსგავს მოქმედებას ალკვეთენ და გემებს სამხედრო ესკორტს გამოუყოფენ. **ბოლო ორ თვეში ბრიტანეთმა კუნძულებზე მყოფი დაჯგუფება გააძლიერა, ამჟამად იქ 4 სამხედრო ხომალდი იმყოფება. არგენტინამ, თავის მხრივ, გაერო-სადმი აპელირება გადაწყვიტა. მისმა რიტორიკამ რეგიონის ქვეყნების, მათ შორის ისეთი მძლავრი სახელმწიფოს, როგორიცაა ბრაზილია, მხარდაჭერა მოიპოვა.**

**ცივი შხაპის როლი ბრიტანელებისთვის აშშ-ის პოზიციამ შეასრულა, მათ აგრძნობინეს, რომ შტატებს ამ პრობლემებში ჩარევა არ სურთ.** აგვისტოში ბრიტანელმა მენავთობეებმა მოულოდნელად განაცხადეს, რომ საძიებო სამუშაოებს წყვეტენ, თუმცა პატრიოტული და მილიტარისტული განცხადებები „ბრიტანელების მიერ ოკუპირებული კუნძულების" თაობაზე არგენტინაში არ შეწყვეტილა; საერთოდ კი ამ თემამ განსაკუთრებული აქტუალობა მას შემდეგ შეიძინა, რაც ხელისუფლების სათავეში 2007 წელს კრისტინა კირშნერი მოვიდა.

**ნავთობის ჰიპოტეტური მარაგის გარდა მალვინებს სტრატეგიული ადგილმდებარეობა გააჩნია; ქვეყანას, რომელიც მათ აკონტროლებს, პრაქტიკულად მთელი სამხრეთ ატლანტიკის გაკონტროლება შეუძლია. ამასთანავე, კუნძულები ანტარქტიკის ასათვისებლად მნიშვნელოვან პლაცდარმს წარმოადგენს.**

ცხადია, არგენტინელები იოლად დაეუფლებიან კუნძულებს, ისევე, როგორც 1982 წელს. იქ მყოფ ბრიტანულ დაჯგუფებასთან შედარებით, მათ 6-ჯერ მეტი ხომალდი და 40-ჯერ მეტი თვითმფრინავი ჰყავთ, ცოცხალ ძალაზე რომ არაფერი ვთქვათ. თუმცა, იმ შემთხვეაში, თუ ბრიტანელები, ისევე, როგორც 1982 წელს, ავიამზიდ დაჯგუფებას შეაკოწიწებენ და მას კუნძულების დასაბრუნებლად გააგზავნიან, ისინი, ისევ მოახერხებენ საბრძოლო მოქმედების ზონის იზოლირებასა და კუნძულებზე მხარდაჭერის გარეშე დარჩენილი გარნიზონის დამარცხებას. ძალთა დღევანდელი ბალანსი სწორედ ამაზე მიუთითებს, თუმცა საინტერესოა, რა გზას აირჩევს არგენტინა იმისთვის, რომ სავარაუდო კონფლიქტში თავისი შანსები გაზარდოს?

**დღეს ბრიტანული ეკონომიკა დაღმავლობის გზას ადგას, არგენტინული კი — პირიქით; ბრიტანული ფლოტი შეიარაღებიდან ოთხიდან ერთ ატომურ წყალქვეშა ნავს ხსნის, არგენტინა კი აპირებს მწყობრში პირველი ასეთი ხომალდის შეყვანას. ბრიტანეთი იძულებული გახდა, ორი „Queen Elizabeth-ის კლასის ახალი ავიამზიდიდან ერთ-ერთის აგებაზე უარი ეთქვა, მეორის ბედი კი გაურკვეველია. გამორიცხული არაა, რომ 2020-სთვის მწყობში მხოლოდ ერთი ავიამზიდი დარჩეს. საერთოდ კი, მკაცრი ეკონომიის რეჟიმი ექსპერტებს აფიქრებინებს, რომ მისი უდიდებულესობის ფლოტის სიძლიერე უახლოეს წლებში მინიმუმ 20%-ს დაიკლებს. ამ თვალსაზრისით, დრო არგენტინაზე მუშაობს.** ▶

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ ლობრივი დიზაინისაა. ტანკს ჭურვების მოწოდების ავტომატური სისტემა არ გააჩნია, ცეცხლის მართვის სისტემა სლოვენიური „EFCS-3“-ია. მართალია, ირანული მედია პერიოდულად იმუქრება, რომ ახალი „Zulfiqar“-3 მსოფლიოს ყველა ტანკს აჯობებს, თუმცა განსაკუთრებული ილუზიები ამასთან დაკავშირებით ექსპერტებს არ აქვთ. რაც შეეხება ირანული წარმოების ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებს, ისინი „9M14M Малютка-ს, „BGM-71A TOW“–სა და „BGM-71C Improved TOW-ს ოდნავ სახეცვლილ ასლებს წარმოადგენენ. ის ტორპედოები კი, რომლითაც ირანული სუბმარინებია შეიარაღებული, საბჭოთა „53-65Kэ-ისა და „ТЭСТ-71-ის ასლებია.

**დიდი ყურადღება ისლამურ რესპუბლიკაში „მოსკიტური ფლოტის“ განვითარებას ეხება, რომელმაც აშშ-თან ომის შემთხვევაში სუბმარინებთან ერთად ამერიკული ხომალდების დაჯგუფებას სპარსეთის ყურეში უნდა შეუტიოს.** ადგილობრივი წარმოების „სერაკ“-ის ტიპის პლასიკური სწრაფმავალი კატარღები (324 მმ.) სატორპედო დანადგარებით აღიჭურვება. „ზულფიკარის“ ტიპის კატარღა უფრო დიდია და შეიძლება ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტებით აღიჭურვოს, მათ შორის — ადგილობრივი წარმოების „კორსარებით“, რომლებიც ჩინური „C-701“-ის კლონს წარმოადგენს და თავის მხრივ ამერიკული „AGM-65 Maverick-ის ასლია. **წელს ირანში უფრო მძიმე ხომალდსაწინაამდეგო რაკეტების წარმოებაც დაიწყეს. „Nasr-1“ ჩინური „C-704“-ის ადგილობრივი ვარიანტია, ‘Nur-ი კი — „C-802“-ის, თუმცა ირანელმა კონსტრუქტორებმა მისი მოქმედების რადიუსი 170 კილომეტრამდე გაზარდეს. ის აღიჭურვა ირანული წარმოების ტურბორეაქტიული ძრავით, რომელიც იტალიური „Microturbo TRI 60“-ის ასლს წარმოადგენს.**




ირანის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს სხვა მიღწევებიც აქვს, თუმცა მათი ჩამოთვლა იმავე სურათს მოგვცემს: **ირანელები, ძირითადად, იმ შეიარაღების ადგილობრივ ვარიანტებს აწარმოებენ, რომელიც ზესახელმწიფოებისთვის და ევროპა-აზიის წამყვანი ქვეყნებისთვის „გუშინდელ დღეს“ წარმოადგენს.** მაგრამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს მონდომება, რომლითაც ირანი ამ საქმეს ეკიდება; გავითვალისწინოთ, რომ განუზომლად დიდი რესურსების მქონე ჩინეთს მსოფლიო მასშტაბით კონკურენტუნარიანი შეიარაღების წარმოებისთვის კოპირებისა და რუტინული შრომის ათწლეულები დასჭირდა. ირანელები ამ გზაზე მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამენ, თუმცა არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ მას გაცილებით სწრაფად გაივლიან.

დღევანდელი მდგომარეობით, ირანის შესაძლებლობები აშშ-თან და მის მოკავშირეებთან შედარებით ძალიან მოკრძალებულად გამოიყურება, სავარაუდო კონფლიქტის მონაწილეები, უბრალოდ, სამხედრო ევოლუციის სხვადასხვა საფეხურებზე დგანან. თუმცა **უკეთესი შეიარაღება, დაზვერვა, კავშირგაბმულობა და ა.შ. ყველაფერს როდი წყვეტს. თუ მაღალი მოტივაცია გაქვს და სწორ სტრატეგიას აირჩევ, სავსებით შესაძლებელია გამარჯვებას არცთუ ულტრათანამედროვე შეიარაღებითაც მიაღწიო; ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითი ვიეტნამის ომია.**



◀ რაც შეეხება ბრიტანელების ხელთ არსებულ ბირთვულ იარაღს (საეჭვოა, რომ საქმე მის გამოყენებამდე მივიდეს), „ბელონა“-ს ცენტრის მკვლევარების შეფასებით, არგენტინა მის შექმნას პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებიდან რამდენიმე თვეში შეძლებს, ყველა საჭირო მასალა, ტექნოლოგია, საწარმო სიმძლავრე და შესაბამისი სპეციალისტი ამისთვის უკვე არსებობს.

**სავარაუდო კონფლიქტში არგენტინის შეიარაღებული ძალების წინაშე ორი სტრატეგიული ამოცანა დგება:**

ა) არ დაუშვან საბრძოლო მოქმედებების ზონის იზოლირება ბრიტანული სუბმარინებისა და ავიაციის მიერ, როგორც ეს 1982 წელს მოხდა, როდესაც არგენტინული ფლოტისთვის ფოლკლენდების მიმდებარე წყლებში შესვლა თვითმკვლელობის ტოლფასი გახდა, ხოლო კუნძულებზე მყოფი ძალები ბლოკადაში მოექცნენ;

ბ) უზრუნველყონ ბრიტანული ესკადრის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ეფექტური გარღვევა, მისი ავიამზიდი ხომალდების განადგურებისთვის, რაც მის საბოლოო დამარცხებას მნიშვნელოვნად გააიოლებს. 1982-ში არგენტინელებს სულ ხუთი „Exocet“-ის ტიპის ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტა ჰქონდათ, თუმცა მათი მეშვეობით ბრიტანული დაჯგუფებებისთვის ორი ძალზე მნიშვნელოვანი ხომალდის ჩაძირვა მოახერხეს. მართალია, ხომალდების თავდაცვითი პოტენციალი ამჟამად გაზრდილია, თუმცა აბსოლუტური თავდაცვა, როგორც ცნობილია, არ არსებობს; იმ შემთხვევაში, თუ ბრიტანელები კუნძულებთან დაახლოებით ისეთივე შემადგენლობის დაჯგუფებას გაგზავნიან, როგორც 1982-ში, გეოპოლიტიკური პრობლემების აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, პირველი რანგის კაპიტნის კონსტანტინე სივკოვის აზრით, მისი გარანტირებული განადგურებისთვის არგენტინას 200-მდე „სრყემი“-ის ტიპის რაკეტის მომარაგება დასჭირდება.

**დამატებითი სიგნალი იმისა, რომ არგენტინა მოქმედებისთვის ემზადება, შეიძლება მის მიერ ახალი გამანადგურებელი-ბომდამშენების შეძენა გახდეს, მოქმედების დიდი რადიუსით, რომელიც არგენტინის კონტინენტური ბაზებიდან ეფექტურ მოქმედებას უზრუნველყოფს, აგრეთვე, ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტების დიდი პარტიებისა და ევროპაში ეკონომიის გამო ჩამოწერილი (მაგალითად, გერმანული) სუბმარინების შეძენა.** ჯერჯერობით, საუბარი უმეტესწილად ტანკებისა (230 ძირითადი საბრძოლო ტანკი „TAM“) და ვერტმფრენების პარკის მოდერნიზაციაზე მიდის, თუმცა არავინ იცის, რა იგეგმება მომავალი საფინანსო წლისთვის.






**მართალია, უახლოეს ათწლეულში ბრიტანეთსა და არგენტინას შორის ომის დაწყება, ერთი შეხედვით, ნაკლებად სავარაუდო ჩანს, თუმცა, როგორც ცნობილია, ბევრი ომი სწორედ მაშინ იწყებოდა, როდესაც ნაკლებად სავარაუდო ჩანდა. არც ისაა გამორიცხული, რომ გადამწყვეტ მომენტში სცენაზე სამშვიდობო რიტორიკითა და გულწრფელი ღიმილით ძია სემი შემოვა, მოჩხუბრებს გააშველებს და როგორმე მონახავს საშუალებას, ენერგომატარებლებით მდიდარი, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი კუნძულები გააკონტროლოს.**

# ნატოს ახალი კრიზისი სჭირდება?

**კითხულობს დევიდ ბოსკო Foreing policy-ის 8 სექტემბრის პუბლიკაციაში. ეს შეკითხვა მიმომხილველს გაუჩნდა იმ რეალობასთან შეხების შედეგად, რომელიც ავღანეთში ამ ბოლო პერიოდში ჩამოყალიბდა.**



ვითარება კი ისეთია, როცა ნატოს ხელიდან ეცლება მასშტაბური პრობლემა (ეგებ, უკანასკნელი?), რომელიც მის არსებობას ახანგრძლივებდა. ავღანეთზეა ლაპარაკი.

უწინ თავზე საყრელად იყო. გავიხსენოთ:

ცივი ომის დამთავრების დღიდან ნატოს რაღაც მასშტაბური პრობლემა ყოველთვის ჰქონდა. ჯერ იყო ცენტრალური და აღმოსავლეთ-ევროპისკენ გაფართოვება. 1990-იანი წლების დასაწყისში ალიანსი დაკავდა კონფლიქტის მოგვარებით ხორვატიასა და ბოსნიაში და გაფართოვების საკითხების განხილვით. 1998 წლის ბოლოს ყურადღება კოსოვოზე გამახვილდა, ხოლო 11 სექტემბრის შემდეგ ავღანეთს მიჰყო ხელი. რადგან ნატოს წამყვანი წევრები ამ კონფლიქტში საკუთარ მონაწილეობას ზღუდავენ, ხოლო ავღანეთისთვის კონტროლის გადაცემა მხოლოდ მომავალ წელს დაიწყება. ალიანსი, შესაძლოა, ძალიან უცნაური და სახიფათო პრობლემის წინაშე აღმოჩნდეს სახელწოდებით **„ფარდობითი უმოქმედობა“.**

დღეს კი რა ხდება: ნიდერლანდების სამეფომ, რომელიც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ერთ-ერთი უერთგულესი წევრია, ავღანეთიდან ჯარი გაიყვანა; კანადა, რომელიც ყოველთვის ნატოს პოზიციას იზიარებდა, იმავეს გაკეთებას აპირებს.

**გადაფარავს ვითომ ევროპულ „დეზერტირობას“ საქართველოს მოხალისეობა ავღანეთში?! საეჭვოა, ვინმემ დადებითად უპასუხოს ამ, არცთუ რიტორიკულ შეკითხვას.**

ავღანეთშივეა დამარხული მეორე ძაღლის თავიც, რომელსაც, როგორც ვთქვით, „ფარდობით უმოქმედობას“ უწოდებენ და რომელიც მაშინვე დადგება დღის წესრიგში, როგორც კი ავღანეთს გადაეცემა კონტროლის უფლება. ეს გაისად მოხდება. დევიდ ბოსკო ცოტა გაუმართავად, მაგრამ ჭეშმარიტებასთან მიახლოებულად გადმოგვცემს „პოსტავღანური სიტუაციის“ გავლენას ნატოს მომავალზე: **„რაღა თქმა უნდა, წვრთნა და სწავლება, ასევე სამიტები და კონფერენციები არსად გაქრება, მაგრამ პოსტავღანური ნატო შეიძლება ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდეს, როცა მასში არც ერთი გაცოცხლებული მისია აღარ იქნება და ბლოკი საკუთარი საქმიანობის რამენაირი არსებითი არქიტექტურული ცვლილების გარეშე დარჩება“.** ოსტაპ ბენდერის კანტორის „Рога и копыта“-ს მსგავსად დარჩება უფუნქციო დაწესებულებად. ნატო, რომელიც მსოფლიო მოვლენების ცენტრში იდგა ყოველთვის, შეიძლება პერიფერიულ მიყრუებულობაში გადაგდებული აღმოჩნდეს.

თუ ასეთი პერსპექტივის რეალობაში ექსპერტებს ეჭვი არ ეპარებათ, მით უფრო მიამიტობა იქნება, ვიფიქროთ, რომ ნატოს ჩინოვნიკები ვერ ხედავენ მოახლოებულ საშიშროებას: **„ნატოს ჩინოვნიკებს ეშინიათ**, — წერს დევიდ ბოსკო, — **რომ ორგანიზაცია დაიშლება“. შიში კი არამარტო სიყვარულს შეიქმს, არამედ კრიტიკული სიტუაციიდან გამოსვლის გზებსა და საშუალებებზე დაგაფიქრებს.**

გადაფარავს ვითომ ევროპულ „დეზერტირობას“ საქართველოს მოხალისეობა ავღანეთში?! საეჭვოა, ვინმემ დადებითად უპასუხოს ამ, არცთუ რიტორიკულ, შეკითხვას.

დასხდნენ და იფიქრეს ნატოს მმართველ წრეებში და ალიანსის პირობებთან შეხამებულ ახალ როლთან დაკავშირებული ახალი იდეები შეიმუშავეს.

ყოველ შემთხვევაში, განსახილველად მოამზადეს. ეს იდეები გადმოცემულია Foreing policy-ის 8 სექტემბრის მასალაში.

**პირველი. ალიანსი გლობალურ პოლიციურ ძალად უნდა გარდაიქმნას:** ნატო შეიძლება შეეცადოს იმ მასტაბილიზებელი როლის განმტკიცებას, რომელსაც იგი ავღანეთში თამაშობდა. ყველაზე მეტად ეს იდეა აშშ-ს იტაცებს, რადგან მიჩვეულია საერთაშორისო აპარეზზე პირველობას ნებისმიერ სიტუაციაში. მისი მოკავშირეები კი სურვილით არ იწვიან, ეძებონ თავმოსაკვეთი ახალი ურჩხულები.

**მეორე. დათვის მოფერება**: გაფართოების პროცესში ალიანსმა უკვე მოასწრო ყოფილი საბჭოთა კავშირის ზღურბლის გადალახვა. მაშ, **რატომ არ შეიძლება ბლოკში რუსეთის მიღება და „ცივი ომის“ საბოლოოდ დასრულება?**

**მესამე. დემოკრატული სახელმწიფოების ალიანსი:** აშშ-ში ბოლო საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის დროს, ჯონ მაკეინმა დემოკრატიული სახელმწიფოების მსოფლიო ლიგის შექმნის იდეა წამოაყენა. მათ, ვისაც ეს მოსაზრება ხიბლავს, ნატო ყოველთვის ბუნებრივ საწყის პუნქტად მიაჩნდა. შევთავაზოთ წევრობა იაპონიას, ავსტრალიას, სამხრეთ-აფრიკას და ა.შ. და მთელი მსოფლიოს დემოკრატიზაციის აქტიურ ძალად ვიქცეთ, — აცხადებენ ისინი.

ალიანსისთვის კიდევ ერთი ალტერნატივა (რაც უახლოეს მომავალში მისი ყველაზე რეალური კურსია) **ჭრილობების მოშუშება, კონსოლიდაციისა და თავდაცვითი ხარჯების შემცირების მიმდინარე რაუნდის გადაგორება, შემდეგ კი საკუთარი სარგებლისთვის მორიგი შესაძლებლობის ლოდინი.**

ექსპერტების აზრით, ამ გზისკენ ალიანსს უბიძგებს ის მოვლენები, რომელთა კონტროლი მის ძალას აღემატება, მაგრამ ახალი კურსის არჩევაში მას სწორედ ეს რეალობა დაეხმარება.

ერთი სიტყვით, ნატოს ახალი კრიზისი სჭირდება, ყველა სხვა შემთხვევაში იგი ფუყე წარმონაქმნიდან გადაიქცევა კიდევ ერთ პარაზიტულ საერთაშორისო ალიანსად, რომელიც არავის არ სჭირდება, უქმია.

აბსოლუტურად გაუგებარია, რატომ ებღაუჭებიან დასავლეთში „ცივი ომით“ ნაშობ გაერთიანებას, რომელიც დღევანდელ ვითარებაში სულ უფრო ააშკარავებს თავის აგრესიულ მუხტს, რომელიც ყოველთვის მისი მამოძრავებელი ძალა იყო და რომელსაც დღეს ყავლი გაუვიდა.

**არმაზ სანებლიძე**

**ნატო ოსტაპ ბენდერის კანტორის „РОГА И КОПЫТА“-ს მსგავსად უფუნქციო დაწესებულებად დარჩება, რომელიც მსოფლიო მოვლენების ცენტრში იდგა ყოველთვის და შეიძლება, პერიფერიულ მიყრუებულობაში გადაგდებული აღმოჩნდეს.**

## გაჟღერებულნი



**ვლადიმერ პუტინი, რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრი:**

ვლადიკავკაზში განხორციელებული ტერაქტის მიზანი რუსეთის მოქალაქეებს შორის მტრობის დათესვაა... ჩვენ ამის დაშვების უფლება არ გვაქვს... დარწმუნებული ვარ, მუსლიმანები რუსეთში ექსტრემიზმთან ბრძოლაში გადამწყვეტ წვლილს შეიტანენ. მე ვგრძნობ მათ მხარდაჭერას, განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში და მადლიერი ვარ მათი. ვიცი, როგორი დამოკიდებულება აქვთ მათ ექსტრემიზმის მიმართ და ვთვლი, რომ ყველა სირთულეს ერთად დავძლევთ...

*vesti.ru*



**ალექსანდრ შტუბი, ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი:**

ჩვენი წარმომადგენელი გაეროში ყველაფერს აკეთებს, რათა საქართველოს კონფლიქტის მოგვარებაში დაეხმაროს. არსებობს, აგრეთვე, ძალიან მნიშვნელოვანი ჟენევის ფორმატიც. საქართველომ უნდა გააგრძელოს ეკონომიკური მოდერნიზაცია, რითაც შეძლებს, უფრო დაუახლოვდეს ევროკავშირს, გახდეს ევროკავშირის წევრი. და ბოლოს, საქართველო და რუსეთი აუცილებლად უნდა მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას.

*„ინტერპრესნიუსი“*



**ბარაკ ობამა, აშშ-ის პრეზიდენტი:**

თუ არჩევნებს განვიხილავთ, როგორც რეფერენდუმს, რომელზეც ხალხი ეკონომიკაში მიმდინარე სიტუაციას შეაფასებს, მაშინ ჩვენი საქმე არც თუ ისე კარგად ყოფილა, რადგან ყველას მშვენივრად ესმის, რომ ახლა სიტუაცია მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს... ჩემი, ისევე, როგორც დემოკრატების ნებისმიერი სხვა კანდიდატის, ამოცანაა, დავანახოთ ხალხს, რომ არსებული სიტუაციის ალტერნატივა გვაქვს.

*newsru.com*



**ჰილარი კლინტონი, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი:**

როდესაც ქვეყანას ჩვენი ადმინისტრაცია ჩაუდგა სათავეში, რუსეთთან ურთიერთობები განუხრელად განაგრძობდა გაციებას და გვაიძულებდა, ცივ ომთან დაბრუნებაზე გვეფიქრა... ისეთ საკითხებში, როგორიცაა ადამიანის უფლებების დაცვა ჩინეთში ან რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია, უთანხმოებები გარდაუვალია... როდესაც ეს ქვეყნები არ აღიარებენ პასუხისმგებლობას, რომელიც მათ მზარდ გავლენასთანაა განუყოფელ კავშირში, ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს, რომ ისინი საკუთარი პოლიტიკის შეცვლის აუცილებლობაში დავარწმუნოთ.

*newsru.com*

# მილიარდი გვიწყალობე, ჯო!

**პიარის აგრერიგად მოყვარულ ჩვენს მთავრობას ძველი სტილის გასტრონომებისა და საზკვების დაწესებულებების მიბაძვით გამოხმაურებისა და წინადადებების საჯარო წიგნი რომ შემოელო, აქ ჩამოსული „ამხანაგები“ შიგ ბევრ რამეს ჩაწერდნენ; და, რალა თქმა უნდა, მაჟორული ტონით, რასაკვირველია, საჭირო ადგილებში მრავალწერტილებითა და აღფრთოვანების შორისდებულებით იმის ხაზგასასმელად, თუ როგორ კარგად, სწორად და მეგობრულად ცხოვრობენ დღეს პატარა დემოკრატიულ ღვინის რესპუბლიკაში. აღარ დავაზუსტებ, ვისი მმართველობის ხანაში, ისედაც ნათელია, ისევე, როგორც ის, რომ ჩვენი მოკრძალებული ადგილობრივი წარმატებების „ტირაჟირება“ უკვე ერთობ სერიოზულ შემოქმედებით ხასიათს იძენს, თანაც საერთაშორისო ცენტრალიზაციისა და გარკვეული გამოცემების დაჟინებულ „იდეოლოგიურ“ ქმედებათა ჭრილში.**



ზოგიერთი უკრაინელი კოლეგა უკვე ჩამოვიდა კიდეც მოწინავე გამოცდილების გადასაღებად და მისი ფართოდ გამოყენების წინადადებაც კი წამოაყენა თავის სტეპებიან სამშობლოში. მას უწინ, უბრალოდ, აგიტაცია ერქვა. ახალ დროებაში მის მამამთავრად (ქართული სინამდვილის ჭრილში), სავარაუდოდ, აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი, ბატონი ჯო ბაიდენი უნდა მივიჩნიოთ, რომელმაც, საქართველოში ინსპექციური ჩამოსვლისას საჯაროდ ათასგვარი საამო სიტყვა თქვა. იმის ჩათვლით, რომ ყველა მიმართებით მიმზიდველი უნდა შევიქნეთ, როგორც დემოკრატიული, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით, კერძოდ კი — ჩვენი დაკარგული ტერიტორიებისათვის.

ჰოდა, **დაიწყო მასშტაბური აგიტაცია-პროპაგანდა სცენარით, რომელიც... გამოიცანით, სად დაიწერა? დიახ, იქ, ოკეანის გაღმა, სწორედაც რომ პოტომაკის სანაპიროზე. რა უშავს მერე, რომ ჩვენს ქვეყანაში, რომელიც ვერა და ვერ გახდა ჯორჯია და უწინდებურად უბრალოდ საქართველოდ რჩება, ისევ ის მოძველებული, მწვავე პრობლემებია.**

მწირი პენსიები და შეღავათები გადაადგილებულ პირთათვის, ხოლო პედაგოგები ყოველთვიურად იმდენს გამოიმუშავებენ, რამდენსაც მათი ამერიკელი კოლეგები ორ-სამ დღეში. თუმცა ამ სამსახურის დაკარგვაც იოლია, რასაც ჩვენი მრავალტანჯული განათლების სფეროში ჭკუის სასწავლებელი უახლესი სიუჟეტებიც მოწმობს. აგერ, მასობრივად ჩამოდიან ქართველ პედაგოგთა ინგლისურენოვანი კოლეგები იმისთვის, რომ ბავშვებს შექსპირის ენა ასწავლონ. ამბობენ, საბოლოო ჯამში, ამ პროფილის „გასტარბაიტერთა“ რიცხვი 10.000-საც მიაღწევს. თავისთავად, ეს კარგია და საკმაოდ პროგრესულიც — მსოფლიო, უკვე დიდი ხანია, ინგლისურად ლაპარაკობს. მაგრამ ამ პროექტების გამო ხომ არ გამოთავისუფლდება საბიუჯეტო თანხები და კადრებიც მცირდება ჩვენს მრავალისმნახველ განათლების სისტემაში?

ამბობენ, ზამთრის პირს შემცირებები მასობრივ ხასიათს მიიღებს. განგაშის პირველი ზარები ამის თაობაზე უკვე გაისმა. **მიამიტობა იქნებოდა, გვეფიქრა, რომ ეს ხალხი მხოლოდ ჩვენი ახალგაზრდა თაობის სიყვარულითა და რევოლუციური ენთუზიაზმით გამოეშურა შორეულ მოგზაურობაში. ალბათ, უფრო პრაგმატული მოტივებიც არსებობს.** მაგალითად, ახალ ადგილზე, საცხოვრებელი და კვების ხარჯების გარეშე ორიოდე ათასი დოლარის გამომუშავება. ურიგო როდია ოჯახური დანაზოგის შექმნისა და იმ დიდ სამყაროში დასამკვიდრებლად, სადაც ეგზოტიკური ქართული შთაბეჭდილებების შემდეგ ინგლისურენოვან მასწავლებელს გული გაუწევს.

**ოღონდ, რა ვუყოთ ჩვენს პედაგოგებს, მომავალ შემცირებულებს, დამსახურებულებსა და სხვებს?**

მათ უბრალოდ განდევნიან ცხოვრებიდან, ყოველგვარი სერიოზული მოტივისა და პერსპექტივის გარეშე.

ნუთუ ეს პერიფერიული გამოცდილება ფართო რეზონანსს გამოიწვევს? სავარაუდოდ, არა, რადგან ვთქვათ, უკრაინის ანგლოფიცირებისთვის 200.000 მოხალისე პედაგოგი მაინც იქნება საჭირო. ხოლო ყაზახეთსა და თურქმენეთში, ისევე, როგორც აზერბაიჯანში, ამისთვის ნიადაგი ჯერ არ შეუმზადებიათ.

ჩვენს ცხოვრებაში კი დასაფიქრებელი საკმარისზე ბევრია. მაგალითად, მოსალოდნელი საინვესტიციო შიმშილი. საქართველოში შემოსული ინვესტიციების დონე მთავრობის ოპტიმისტური პროგნოზების საბაბს აშკარად არ წარმოადგენს. **ბოლოს და ბოლოს, გააცნობიერეს, რომ კატასტროფა გველის.**

პირველ კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტში ამ კუთხით 70 მლნ დოლარზე ცოტა მეტი შევიდა. ეს პროგნოზირებული 1.2-მილიარდდოლარიანი წლიური საინვესტიციო მოცულობის მხოლოდ 6 პროცენტია. სანუგეშო არაფერი გქვონდა მეორე კვარტალშიც, თუმცა მდგომარეობა ცოტა გამოსწორდა — საინვესტიციო მაჩვენებელმა 196 მილიონს მიაღწია. მიუხედავად ამისა, საკონტროლო ჯამურ ციფრამდე ბევრი გვიკლია, ხოლო **არასასურველ მოვლენათა „თაიგული“ დიდხანს როდი დააყოვნებს.**

ამიტომაც ჩვენი ხელისუფლება სასწრაფოდ (და აშკარად, არა კარგი ცხოვრებისგან) დაფაცურდა. შეუკვეთა გამოსაჯანსაღებელი ამბასადორიალი, რომელიც ყველა მაჩვენებლით, ქვეყნის მთელი დიპლომატიური ამალისთვის „ზემოდან“ გაკეთებულ „ნემსოთერაპიას“ ჰგავს. ერთი ვერსიით, ხელისუფლებამ განიზრახა, საკუთარი მარცხი ნაწილობრივ დიპლომატიურ კორპუსს გადააბრალოს.

მედიის მახვილგონივრული შენიშვნით, **გასულ ხუთშაბათს სააკაშვილმა უბრალოდ „საინვესტიციო გადასხმების საათი“ ჩაუტარა ქართულ დიპლომატიურ კორპუსს** და მთელი ამ ხნის განმავლობაში, ელჩებთან ერთად, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საკითხს განიხილავდა კონკრეტული დავალებების მიცემით. თუმცა რეალურ ცხოვრებაში ასეთი სახელდახელო სასწავლო სემინარები და საათები არ ამართლებს, რადგან, როგორც ჩანს, დიპლომატიური სამსახურის ფიგურანტებმა ყველა უწინდელი საოფისე დავალება არ შეასრულეს.

ეგებ არც იცოდნენ, რა მდგომარეობაა ქვეყანაში ინვესტიციების მხრივ და რომ ამასთან დაკავშირებით სასწრაფო ზომების მიღებაა საჭირო? **ეკონომიკის საკითხებში ავტორიტეტული ექსპერტების შეფასე-** ▶

## მოკლედ



### უკრაინის ოფიციალური ენა — რუსული

**უკრაინის უმაღლეს რადაში განსახილველად შეტანილი კანონპროექტის მიხედვით, ქვეყანაში უკრაინული და რუსული ენების უფლებები გათანაბრებულია.** რუსულისთვის ქვეყნის ოფიციალური ენის სტატუსის მინიჭება პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩის წინასაარჩევნო დაპირება იყო და ახლა ამ დაპირების აღსრულება-არაღსრულება საკანონმდებლო ორგანოს ხელშია. კანონპროექტი სახელწოდებით „უკრაინის ენები“ დეპუტატებს რეგიონების პარტიის, კომუნისტებისა და სახალხო პარტიის წარმომადგენლებმა წარუდგინეს. დოკუმენტის მიხედვით, ქვეყანაში არა მხოლოდ რუსულის სტატუსი, არამედ სხვა ენების მდგომარეობაც შეიცვლება — კანონპროექტი მათი უფლებების გაფართოებას ითვალისწინებს.



### სოროსი მილიონებს არიგებს

**ახლახან ფინანსისტმა ჯორჯ სოროსმა გადაწყვიტა, სიკვდილამდე მთელი თავისი დანაზოგი ქველმოქმედებას მოახმაროს.** მერე ესეც გადაიფიქრა და შედეგად ბედმა და სოროსმა საერთაშორისო უფლებათადამცველი ორგანიზაცია „human Rights Watch“-ს გაუღიმეს — ის 100 მილიონი დოლარის ოდენობის გრანტს მიიღებს. ეს შესაწირი ყველაზე დიდია მათ შორის, რაც კი ოდესმე სოროსს გაუღია, და ოდესმე ამ ორგანიზაციას მიუღია. ეს მსოფლიოში მსგავსი მიზნებით გაცემულ გრანტებს შორის სიდიდით მეორე გრანტი იქნება. პირველი ადგილი კვლავაც იმ უცნობს ეკუთვნის, რომელმაც ტეხასში მდებარე ბეილორის უნივერსიტეტს სამედიცინო პროგრამებისთვის 200 მილიონი დოლარი აჩუქა.



### საკინეს გადასარჩენად

**ირანელი საკინე მოჰამედ აშტიანის ვაჟმა დედის გადასარჩენად დახმარება ითხოვა. ქალს ქმრის გარდაცვალების შემდეგ სხვა მამაკაცთან კავშირის ბრალდებით ქვებით ჩაქოლვა აქვს მისჯილი.** თეირანს არაოფიციალურად უკვე სთხოვეს ქალის მიმართ გულმოწყალების გამოჩენა, ვატიკანი მის გადასარჩენად დიპლომატიური კავშირების გამოყენებასაც აპირებს. მაგრამ ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელ რამინ მეხმანპარასტის რკინის ლოგიკა აქვს: „თუ ყველა სიკვდილმისჯილის გათავისუფლების საკითხი ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით განიხილება, მაშინ ევროპის ქვეყნებმა თავიანთი ციხეებიდან ყველა მკვლელი უნდა გაათავისუფლონ“.



### კასტრო რევოლუციის იდეებს უარყოფს?

**„კუბის მოდელი ჩვენთვისაც კი აღარ გამოდგება,“ — ეს სკანდალური განცხადება კუბის რევოლუციის ლიდერმა, 84 წლის ფიდელ კასტრომ ამერიკულ ჟურნალ „ატლანტიკის“ ჟურნალისტთან საუბრისას გააკეთა.** კითხვა კუბის ეკონომიკური მოდელის საზღვარგარეთ ექსპორტს შეეხებოდა და პასუხმა ჟურნალისტი იმდენად გააოგნა, რომ განმარტებებისთვის თარჯიმანს სთხოვა დახმარება. ამ უკანასკნელმაც არ დაიზარა და აუხსნა, რომ კასტროს აზრადაც არ მოსვლია კუბის რევოლუციის იდეების უარყოფა, უბრალოდ, აღნიშნა, რომ, მის ქვეყანაში მოქმედი ეკონომიკური მოდელის მიხედვით, სახელმწიფო გადაჭარბებულად დიდ როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკაში.

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ **ბით, უახლოეს ხანებში ეკონომიკური უძრაობა და ვალების ზრდაა მოსალოდნელი, რაც სოციალურსა და ეკონომიკურ სფეროებს ნაცარტუტად აქცევს.**

ისმის კითხვა: **როგორ მოხდა, რომ ასე უცებ დავკარგეთ საინვესტიციო მიმზიდველობა?** რთული საკითხია, რომლის ფესვებიც არა მარტო საბაზისო მოვლენებშია საძიებელი, არამედ საშინაო და საგარეო პოლიტიკის მოდელირებაშიც. თუმცა მავანს აშკარად შეუძლია ივარაუდოს: **ომი ხომ არ გველის?** და მართალიც იქნება, რადგან **სწორედ არასტაბილურობა და უწესრიგობა განაპირობებს ფინანსური თუ სხვა ინტერესების გადატანას უფრო მშვიდ ტერიტორიებზე, რომლებსაც საკარნავალო შეშლილობა და ფეთქებადსაშიშროება არ ემუქრება.** ლოგიკა გვკარნახობს: **ვინც ერთხელ მაინც გადადგა შლეგური ნაბიჯი, მეორისგანაც არ არის დაზღვეული.**

თუმცა კრიზისისგან „აყვავებულ" ქვეყანაში აქტიური ცხოვრება, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც გრძელდება. კახეთის რეგიონში ასევე ოპტიმისტურად გაისმა სოფლის მეურნეობის მინისტრის განცხადება იმის თაობაზე, რომ ყურძენს აქ რვა ღვინის ქარხანა იბარებს (თვითმხილველთა თქმით — 20) და არც ერთი კილოგრამი მტევანი ჩაუბარებელი არ დარჩება.

რასაკვირველია, ეს ყველაფერი ერთ ნაწილს განაწყობს და მობილიზებას უკეთებს, სხვებმა კი უკვე თავი ჩაქინდრეს, რადგან **უწინდებურად არ არსებობს პასუხი კითხვაზე, რა ვუყოთ არარეალიზებულ ღვინის მარაგს და ვინ აანაზღაურებს გადამამუშავებელთა ზარალს, ღვინის პროდუქციის ხელახალი, მოსალოდნელი ჩაწოლის გამო.**

რასაკვირველია, ამ სიტუაციას ვერც ახალი საორგანიზაციო გარდაქმნები — ღვინის მწარმოებელ რეგიონში საკოორდინაციო შტაბების შექმნა შეცვლის, რასაც ერთობ საკანცელარიო და ბიუროკრატიული იერი აქვს. მით უფრო, რომ ჩვენი საწარმოო და იდეოლოგიური შტაბების ისტორიული ფესვები ყრუ საბჭოთა ხანაშია საძიებელი. ამით გატაცებული იყვნენ გენმდივნებიცა და საქართველოს პირველი მდივნებიც. მაგრამ არაფერი გამოვიდა... ამასთან ერთად, **ჩვენში უწინდებურად ვერ გაუგიათ და ვერც აღუქვამთ, რომ თავად რეალური საბაზრო ურთიერთობების გამოხატვის სისტემაში თვითრეგულირების უზარმაზარი რესურსი ძევს და ამიტომ კანცელარიაც არ ესაჭიროება.**

არსებულ ვითარებაში სახელმწიფო, ყურძნის ჩაბარების ოპტიმიზაციის მიზნით, 6 მილიონის სუბსიდიას გაიღებს. მწვავე ფინანსური კრიზისის პირობებში მართლაც რომ მეფური ჟესტია. თუმცა ძნელი განსაჭვრეტია, როგორ განვითარდება მოვლენები შემდგომში. უკმაყოფილო მევენახეები ჩაბარებული პროდუქციის საზღაურის მისაღებად ღვინის ქარხნების ოფისებზე იერიშს ხომ არ მიიტანენ? თუ გადამმუშავებლები თავის დაძვრენას ყურძნის უხარისხობის მომიზეზებით შეძლებენ, რათა უკეთეს შემთხვევაში ცენტრალიზებულად მიღებული სახსრების ხარჯზე საკუთარი პრობლემების გადაჭრას შეეცადონ?

**როგორც მოსალოდნელი იყო, „ყურძნის ფრონტზე" ყველა მაჩვენებლით, ერთიანი ადმინისტრირების ჭრილში წარსულის ნამდვილი პროექცია წარმოიქმნა. სახეზეა არა თავისუფალი ბაზრის ელემენტები, არამედ განვითარებული სოციალიზმის ეპოქის საწარმოო გამოვლინებანი, მეორე ილიჩითა და მისი ერთგული სატრაპებით სათავეში.** კულისებში კი, რეგიონული მედიის ცნობით, კონფლიქტები და სკანდალი მწიფდება. ცალკეული, ეკონომიკურად შევიწროებული მეღვინეები ცენტრალიზებულ წამოწყებებს ეურჩებიან, რადგან არასტანდარტული ყურძნის მიღებას მათ ზეწოლით აიძულებენ. ეს გასაგებიცაა: **ფული მეღვინე-ბიზნესმენებს გაცილებით მეტი აქვთ. ჰოდა, სახელმწიფოც ცდილობს, თავისი სოციალური პრობლემის ნაწილი (გლეხობის ნეიტრალიზაციის მიზნით) მათ გადაულოცოს.**

ფაქტია ისიც, რომ ღვინის ექსპორტით ეკონომიკისთვის ამჟამინდელი რეალური დახმარება ახლოსაც ვერ მოვა იმ მცირე ხნის წინანდელ პერიოდთან, როცა რუსეთის საზღვრებზე ქართულ პროდუქციას ემბარგო არ ბლოკავდა და ღვინის რეალიზაციისგან მიღებული შემოსავალი 100 მილიონ დოლარზე მეტს უდრიდა. მას შემდეგ ექსპორტი მკვეთრად შემცირდა და უკრაინისა და ყაზახეთის, ნაწილობრივ კი ბელარუსის ბაზრების ხარჯზე სულდგმულობს.

ახლა კი მთავარ საკითხს შევეხოთ. პენსიონერებისა და ხელმოკლეთა სხვა კატეგორიისთვის განმსაზღვრელ და უმთავრეს ამოცანად თავის რჩენის საკითხი რჩება, განსაკუთრებით, ზამთრის პირას, როცა ხარჯები ენერგომატარებლებზე ფასების სეზონურ ზრდასთან ერთად ორმაგდება. **ეკონომიკური ჟანრის წესებისამებრ, 2009 წელს ფასების ორმაგი და წლეულს 70 პროცენტით ზრდის შემდეგ, აუცილებელია მოქალაქეთა მიერ მიღებული ფიქსირებული თანხების შესაბამისი კომპენსაცია ანდა ინდექსაცია.** ამაზე ჯერჯერობით არავინ ფიქრობს, ინიციატორი ოპოზიციონერი დეპუტატის — ბატონი ბაღათურიას გარდა, რომელსაც „პენსიონერთა ფულადი სარგოს" გაზრდა 150 ლარამდე სურს. არადა, **ამგვარი პრევენციით, ახალი ლექსიკის თანახმად, სწორედ ჩვენი ხელისუფლება უნდა გამოსულიყო, რადგან მათი დირიჟორობით ჩვენ დამანგრეველი ომისა და ორი სოციალური კატასტროფის მომსწრენი შევიქენით.** მნიშვნელობა არ აქვს, ამ ყველაფრის მიზეზი სუბიექტურია თუ ობიექტური. მნიშვნელოვანია, რომ არსებული ცხოვრებისეული სტანდარტი ზუსტად იმდენი პროცენტით გაუარესდა, რამდენითაც ფასებმა აიწია (და გაცილებით მეტადაც!) მედიკამენტებისა და მკურნალობის ხარჯების გათვალისწინებით.

**საინტერესოა, ამ სიტუაციაში რას მოიმოქმედებს ხელისუფლება საკუთარი მოსახლეობის გადასარჩენად, რომელსაც არც სუბიექტური და არც ობიექტური კავშირი არ აქვს შექმნილ კატასტროფულ სიტუაციასთან. არაოფიციალური გათვლებით, აშკარა სიღატაკის დასაძლევად (პენსიონერთა და გადაადგილებულ პირთა მილიონიანი არმიის, ასევე, მომრავლებული ლუმპენების გათვალისწინებით) წლიურად მილიარდი ლარი იქნება საჭირო.** ოღონდ საიდან უნდა მოვიტანოთ ეს მილიარდი? განა ჩვენს ხელისუფლებას ასეთი მასშტაბის მსხვერპლის გაღება და იმ ამოცანის გადაჭრა ძალუძს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება სიცოცხლის გაგრძელებასა ან მის იძულებით დასრულებას?

გადარჩენის პროგრამა კოლექტიურად, განშტოებულ დიპლომატიურ კორპუსთან, დონორებთან და სტრატეგიულ პარტნიორებთან, ასევე, ჩვენს კეთილმოსურნეებთან, უპირველესად კი, აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტთან, ჯო ბაიდენთან ერთად უნდა განხორციელდეს, რომელიც, ყველა თვალსაზრისით, დღემდე ჩვენი მთავარი პროკურატორია. **საკითხავი ისაა, მოისურვებს პრაგმატული ამერიკა ან იგივე ევროპა, უგულებელყოს მითები ჩვენს წარმატებებსა და მიღწევებზე და დახმარების სახით მორიგი მილიარდი გადმოგვიგდოს,** არა ბუნდოვნად გაწერილი ხარჯების მუხლით, არამედ მიზნობრივი დანიშნულებით — **სოციალური კატასტროფის თავიდან ასაცილებლად, რომელიც, სხვათაშორის, მეპატრონეთა დირექტივების გარეშე როდი დაგვატყდა თავს.**

დასასრულ, საგულისხმოა კიდევ ერთი საკითხი. მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა ახლახან მსოფლიოს ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ყოველწლიური გლობალური რეიტინგი გამოაქვეყნა. მისი მონაცემებით, **საქართველო 93-ე ადგილზეა და მნიშვნელოვნად ჩამორჩება ყაზახეთს, ლატვიას, აზერბაიჯანს, აღარაფერი რომ არ ვთქვათ ევროპასა და ამერიკაზე ანდა ლატვიასა და ესტონეთზე.** კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლით, ყველაზე ახლოს გუამ-ელ კოლეგებთან — უკრაინასთან (89-ე ადგილი) და მოლდოვასთან (94-ე ადგილი) ვდგავართ. ესეც ფაქტი განსჯისთვის ჩვენი კეთილდღეობის მეხოტბე „პიარშიკებს".

**საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო**
**საქინფორმი**

**უახლოეს ხანებში ეკონომიკური უძრაობა და ვალების ზრდაა მოსალოდნელი, რაც სოციალურსა და ეკონომიკურ სფეროებს ნაცარტუტად აქცევს.**

## გამონათქვამები



**ვიქტორ იანუკოვიჩი,**
**უკრაინის პრეზიდენტი:**

ქვეყანაში გამჭვირვალე და სამართლიანი არჩევნების ჩატარებით ყველაზე მეტად ვარ დაინტერესებული... თუ ჩვენ ქვეყანაში გამჭვირვალე და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას შევძლებთ, ამით ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისკენ მორიგ ნაბიჯს გადავდგამთ.

*newsru.com*



**რამზან კადიროვი,**
**ჩეჩნეთის პრეზიდენტი:**

რუსეთის პრემიერმა ჩეჩნეთის რესპუბლიკაში მშვიდობის დამყარების საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანა... ჩეჩნებს ბრძოლა მობეზრდათ. სინამდვილეში ბრძოლა არც გვინდოდა, ეს ომი თავს იმ ადამიანებმა მოგვახვიეს, რომლებსაც საბჭოთა კავშირისა და რუსეთის ფედერაციის ნგრევა სურდათ. ვლადიმერ ვლადიმიროვიჩის დამსახურებით ეს ყველაფერი დასრულდა. იგი ჩეჩენ ხალხსა და ჩეჩნეთის პირველ პრეზიდენტს აჰმად ხაჯი კადიროვს ენდო, რითაც გადაგვარჩინა. მე რუსეთის ფედერაციის მჯერა. პუტინი ჩემი კერპია, რომელმაც ყველაფერი მოგვცა. ის რუსიც არის და ჩეჩენიც. მადლობა მაღალ უფალს, რომ ასეთი ადამიანი მოგვივლინა. მან ომი შეაჩერა და მოგვცა იმის შესაძლებლობა, რომ რესპუბლიკა აღგვედგინა.

*rosbalt.ru*



**ალექსეი არბატოვი,**
**მოსკოვის კარნეგის ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრი:**

ჰილარი კლინტონის გამოსვლისას რუსეთის მიმართ ზოგიერთი ფორმულირების გამკაცრება სავსებით გასაგებია. ამერიკის პოლიტიკურ კლასში მოსკოვთან ურთიერთობების გადატვირთვით უკმაყოფილო ბევრია. აშშ-ის სახელმწიფო მდივანი იძულებული გახდა, მათთვის ეამებინა... მნიშვნელოვანი ისაა, რომ დღეს ეს საკითხები აღარაა მიბმული უშიშროების საკითხების პრობლემებზე ან საქმიან ურთიერთობებზე, როგორც ეს პრეზიდენტ ბუშის დროს ხდებოდა. პოზიტივი, რომლის დემონსტრირებასაც ობამას ადმინისტრაცია ახდენს თავის პოლიტიკაში რუსეთის მიმართ, არის მაქსიმუმი იმისა, რისი იმედიც შეიძლება გვქონდეს მოსკოვისა და ვაშინგტონის ურთიერთობებში.

*newsru.com*



**როზა ოტუნბაევა,**
**ყირგიზეთის პრეზიდენტი:**

თუ ქვეყნის მთლიანობისა და ერთიანობის შენარჩუნების საკითხი დადგება დღის წესრიგში, ჩვენ საგანგებო მდგომარეობას შემოვიღებთ და არჩევნები შეჩერდება. არჩევნებში მონაწილე სუბიექტების მხრიდან სიტუაციის დესტაბილიზაციის ნებისმიერ მცდელობას ხელისუფლება კანონის ფარგლებში ადეკვატურ ზომებს დაუპირისპირებს.

*news.km.ru*

## მოკლედ



### რუსეთს წლეულს მეორედ გაუზარდეს რეიტინგი

**საერთაშორისო რეიტინგულმა სააგენტო „Fitch Ratings"-მა რუსეთს წელს უკვე მეორედ გაუზარდა გრძელვადიანი რეიტინგი უცხოურ და ეროვნულ ვალუტაში და სტატუსიდან „სტაბილურ" სტატუს „პოზიტიურზე" გადაიყვანა.** თავად რეიტინგი „ვვვ" დონეზე დაფიქსირდა. მიმდინარე წლის იანვარში ამავე სააგენტომ კრედიტების რეიტინგი რუსეთს „ნეგატიურიდან" „სტაბილურამდე" აუწია. სააგენტოს წარმომადგენლის ედვარდ პარკერის განმარტებით, „Fitch Ratings"-ის ანალიტიკოსები დარწმუნებულნი არიან, რომ კრიზისისგან სერიოზულად დაზარალებული ქვეყნის ეკონომიკის თანმიმდევრული აღდგენა განუხრელად გაგრძელდება. მიმდინარე წელს რუსეთის საერთო შიდა პროდუქტის 4,3%-ან მატებას ელიან, ეკონომიკა კი 3,1%-ით გაიზრდება.



### აშშ-ში ახალი კრიზისის ალბათობა 40%-ია

**კრიზისების მთავარი წინასწარმეტყველის, ეკონომისტ ნურიელ რუბინის პროგნოზით, აშშ-სთვის კრიზისის გამეორების შანსი 40%-ს უტოლდება და ახალი ვარდნა უახლოესი 12 თვის განმავლობაში დაიწყება.** ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორი რუბინი, რომელმაც თავის დროზე აბსოლუტური სიზუსტით იწინასწარმეტყველა იპოთეკური და ფინანსური კრიზისები, აცხადებს, რომ ეკონომიკური მაჩვენებლები კატასტროფული რჩება. 2008 წლის მესამე კვარტლიდან აშშ ტექნიკურ რეცესიაშია, ამასთანავე ეკონომიკური ვარდნა რეკორდული დროით – 4 კვარტალის განმავლობაში გაგრძელდა. საერთო შიდა პროდუქტის მატება უკიდურესად მცირეა, უმუშევრობა კი თითქმის 30-წლიანი მაქსიმუმის ზღვარს აჭარბებს.



### ამერიკელთა სადამსჯელო რაზმი ავღანეთში

**რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნდა სამხედრო დოკუმენტები, რომელთა მიხედვითაც ამერიკელ ჯარისკაცთა ერთი ჯგუფი ავღანეთის მშვიდობიან მოქალაქეებს უსწორდებოდა, მათ ძვლებსა და კბილებს კი ალაფად იტოვებდა.** დოკუმენტების მიხედვით, რამდენიმე მშვიდობიანი ავღანელის სასტიკი მკვლელობა ამერიკული არმიის მე-5 ბრიგადის „სტრაიკერის" ხუთმა ჯარისკაცმა – უფროსმა სერჟანტმა კალვინ გიბსმა, კაპრალმა ჯერემი მორლოკმა, რიგითმა ენდრიუ ჰოლმსმა, სპეციალისტებმა მაიკლ უეგნონმა და ადამ უინდფილდმა ჩაიდინეს, შვიდმა კი სამხედრო დანაშაული დაფარა. სერჟანტი გიბსი მოკლული ავღანელების თითებს, ძვლებსა და კბილებს სახსოვროდ ინახავდა.




### მკვლელობა სამსახურიდან გათავისუფლების გამო

**საკვები პროდუქტების მწარმოებელი აშშ-ის უმსხვილესი ფირმიდან „The Philadelphia Inquirer" გაგდებულმა თანამშრომელმა საწარმოს ღობე საკუთარი მანქანით შელეწა, ტერიტორიაზე შეიჭრა და ყოფილ თანამშრომლებს ცეცხსასროლი იარაღიდან სროლა აუტეხა.** სროლის შედეგად ორი ადამიანი გარდაიცვალა, ერთი კი მძიმედ დაიჭრა. როდესაც შემთხვევის ადგილზე პოლიცია და სპეცრაზმი მივიდა, დამნაშავე დამალვას შეეცადა, შემდეგ კი პოლიციელებსაც ცეცხლი გაუხსნა. სამართალდამცავებს არ უსვრიათ — უამისოდაც მოახერხეს გამოუცდელი დამნაშავის დაპატიმრება. ჯერჯერობით პოლიცია არ ჩქარობს, დანაშაულის მოტივად ქალის სამსახურიდან გათავისუფლება მიიჩნიოს, მაგრამ არც სხვა მოტივი იძებნება.

# კონსტიტუციას არ ჰყავს დამცველი და მას კანონმდებლები პატივს არ სცემენ

**საქართველოს კონსტიტუციის ახალი პროექტის საჯარო განხილვა უკვე დასრულდა. ამ განხილვაში მონაწილეთა კვალიფიციურობაზე საუბარიც ზედმეტია, ხოლო ავტორთა თავდაჯერებულობა სერიოზულ ეჭვს იწვევს. ნათელია, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის სურვილისამებრ „შეკერილი“ ქვეყნის უზენაესი კანონი კიდევ არაერთხელ გახდება განსჯის საგანი. პოლიტიკური სპექტრის ნაწილი და არასამთავრობო ორგანიზაციები პროექტის განხილვის ვადის 2011 წლამდე გახანგრძლივებას ითხოვენ, თუმცა ხელისუფლება ჩქარობს და, ალბათ, არცთუ უსაფუძვლოდ.**

**მალე პარლამენტი პროექტს განიხილავს და, ბუნებრივია, მიიღებს კიდეც. თუმცა, ალბათ, არც ისე შორსაა ის დრო, როცა მას კვლავ დაუბრუნდება და მნიშვნელოვან შესწორებებსაც შეიტანს. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს სამხედრო საქმის სპეციალისტის, ბატონ ალექსანდრე ტოლსტოის ვრცელი წერილი, რომელიც მან პარლამენტის თავმჯდომარეს, დავით ბაქრაძესა და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარეს, ავთანდილ დემეტრაშვილს გაუგზავნა. მაგრამ, რაკი მათი „მაღალი“ ყურადღების იმედი ნაკლებად აქვს, „საქართველო და მსოფლიოს“ სთხოვა მისი გამოქვეყნება.**

**ბატონმა ალექსანდრემ პარლამენტის თავმჯდომარეს შარშან ორჯერ მიმართა საგანგებო წერილებით და საკანონმდებლო ხარვეზების გამოსწორების მიზნით კვალიფიციური შენიშვნებიც ახლა. მაგრამ, რაკი მაშინაც ვერ „მოიცალეს“ ამ წერილების წასაკითხად, გაზეთმა „საქართველო და მსოფლიო“ მასთან ვრცელი ინტერვიუები გამოაქვეყნა და კანონმდებლებს საჯაროდ შესთავაზა დაუშვებელი ხარვეზების აღმოფხვრა, მაგრამ...**

**ამ გამოცდილების ფონზე, ნაკლებად სარწმუნოა, რომ ამჯერად მაინც გაითვალისწინებენ კვალიფიციური ექსპერტის მოსაზრებებს, თუმცა იმ იმედით, რომ „იქ, მაღლა“ ვიღაც მაინც წაიკითხავს და ეგებ გონება გაუნათდეთ, გთავაზობთ ბატონი ალექსანდრე ტოლსტოის წერილს.**


ალექსანდრე ტოლსტოი

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, **„საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას“** და იმისათვის, რომ არ გაგვიჭირდეს სხვა დოკუმენტების შედგენა, კონსტიტუციის მოთხოვნები უნდა იყოს კონკრეტულად, მოკლედ, მკაფიოდ და ზუსტად ჩამოყალიბებული და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს. აზრის გასაგებად არ უნდა გიხდებოდეს კონსტიტუციის სხვა მუხლების ან კანონების (ან სხვა დოკუმენტების) მოშველიება. წინადადებები არ უნდა იყოს ორაზროვანი ან გაუგებარი და, როგორც იტყვიან, უნდა იკითხებოდეს კარგი ლექსივით, ყოველი წინადადება და სიტყვა უნდა იყოს აწონილ-დაწონილი და არ უნდა ბადებდეს კითხვებს.

კონსტიტუციის შესწავლისას იმ დასკვნამდე მივედი, რომ ეს დოკუმენტი კომისიის წევრებსაც არ აქვთ ბოლომდე შესწავლილი, მის შედგენაში ნაკლებად მონაწილეობდნენ ქართული ენისა და სხვა დარგის სპეციალისტები, ბევრი მუხლი გაუმართავია, ზოგი გაუგებარია და რიგ შემთხვევებში ეწინააღმდეგება ერთმანეთს.

კონსტიტუციისა და სამხედრო კანონმდებლობის შესწავლისას მივეი დასკვნამდე, რომ კონსტიტუციას არ ჰყავს დამცველი და მას კანონმდებლები პატივს არ სცემენ.

ვეცდები დაგიმტკიცოთ:

**მ.69,პ.2: „საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი“;**

**მ.98,პ.2: „ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, აგრეთვე, საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად საქართველოს ჰყავს სამხედრო ძალები“.**

გავარკვიოთ, თუ რას წარმოადგენენ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვის სტრუქტურაში „სამხედრო ძალები“?

მოვიშველიოთ კანონი „საქართველოს თავდაცვის შესახებ“, სადაც წერია: **„საქართველოს სამხედრო ძალები შედგება საქართველოს შეიარაღებული ძალებისაგან, ხოლო საომარი მდგომარეობის დროს, აგრეთვე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებისაგან — საქართველოს სასაზღვრო პოლიციისაგან“. (მ.8,პ.1).**

ხომ „კარგი“ ქართულით არის დაწერილი?

ამ განმარტებით გამოდის, რომ „სამხედრო ძალები“ არსებობენ მშვიდობიანობის დროსაც, მაგრამ გაურკვეველია, თუ როდის გადადის სასაზღვრო პოლიცია სამხედრო ძალების განკარგულებაში.

შეგახსენებთ, რომ სამხედრო ტრადიციების მქონე ბევრ ქვეყანაში სახელმწიფო შეიარაღებულ? ორგანიზაციის, გარეშე მტრებისაგან დაცვის ძირითად საშუალებას? და დასაყრდენს საგარეო პოლიტიკის გატარებისას წარმოადგენენ შეიარაღებული ძალები.

გარდა ამისა, ცნობილია, რომ სახელმწიფო ქვეყნის დაცვას აკისრებს იმ უწყებას, რომელსაც მშვიდობიანობის დროსაც კი ასწავლიან ბრძოლას. ასეთ უწყებას კი წარმოადგენს შეიარაღებული ძალები. სხვა უწყებების სამხედრო (თუ გასამხედროებული) ფორმირებები ავტომატურად შედიან შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში საყოველთაო მობილიზაციის ან საომარი მდგომარეობის გამოცხადებისთანავე (აშშ-ში — ნაციონალური გვარდია, თურქეთში — ჟანდარმერია).

**საკითხავია, რა ძალები და საშუალებები გააჩნდა სასაზღვრო პოლიციას (რომელიც კანონში მოხსენიებულია როგორც დაწესებულება), რა სამხედრო ცოდნა და გამოცდილება ჰქონდათ მის თანამშრომლებს (და არა სამხედრო მოსამსახურეებს), რომ შეიარაღებულ ძალებთან ერთად, თანაბრად, როგორც თანასწორ სტრუქტურას, დაავალეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა 2008 წლის აგვისტოში? სად იყვნენ მაშინ სამხედრო ძალების გენერალური შტაბი და მისი უფროსი? სად არის დღეს განლაგებული „სამხედრო ძალების“ მართვის ორგანოები და ვინ არის მათი უფროსი? არის თუ არა „სამხედრო ძალები“ თავდაცვის სამინისტროს მიერ მართვადი ორგანო და ვინ არის პასუხისმგებელი მის საბრძოლო მზადყოფნაზე?**

ტერმინმა „სამხედრო ძალები“ და თანამდებობებმა: „სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი“, „სამხედრო ძალების გენერალური შტაბის უფროსი“, „მხედართმთავარი“ ადრეც და 2008 წლის აგვისტოშიც არ გაამართლა.

რეალურად, 2008 წელს ქვეყნის დაცვა მოუხდა შეიარაღებულ ძალებს (სამხედრო ძალების შემადგენელ ნაწილს), რომელსაც ორგანიზაციული სტრუქტურით ხელმძღვანელი (მთავარსარდალი) არ გააჩნია. გაერთიანებული შტაბის უფროსი, კანონით „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ (მ.9,პ.6), ითვლება პრეზიდენტის — სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მთავარ სამხედრო მრჩევლად და არა უმაღლეს სამხედრო პირად, რითაც მას მიეცა თავის მართლებისა და პრეზიდენტზე პასუხისმგებლობის გადაბრალების საშუალება, წარუმატებლობის შემთხვევაში.

დღეისათვის სამხედრო ძალების (და შესაბამისად სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლს თანამდებობის) არსებობა ეჭვქვეშაა, რადგან მისი ორგანიზაციული სტრუქტურა ბუნდოვანია, ხელმძღვანელობა კი — უცნობი. არ არსებობს დებულება უმაღლესი მთავარსარდლის შესახებ.

ტერმინ „სუვერენიტეტის“ შესახებ:

ეს სიტყვა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით სახელმწიფოს სრულ დამოუკიდებლობას ნიშნავს, რაშიც, ალბათ, ეკონომიური დამოუკიდებლობაც იგულისხმება.

როგორ უნდა დაიცვას ჯარმა ეკონომიური დამოუკიდებლობა?

თუ ამ განმარტებას კონსტიტუციის 98-ე მუხლის მე-2 პუნქტში სიტყვა „სუვერენიტეტის“ მაგივრად ჩავსვამთ, გამეორდება სიტყვა „დამოუკიდებლობა“, და თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სამხედრო ბლოკში გაწევრება, გარკვეულწილად, ნიშნავს ქვეყნის ინტერესების დათმობას ორგანიზაციის ინტერესებისთვის, ალბათ, ეს სიტყვა ამ პუნქტისთვის მიუღებელი იქნება და უფრო მისაღები — პრეზიდენტის ფიცისთვის.

**მ.72,პ.1: „1. თანამდებობის დაკავების წინ საქართველოს ახლადარჩეული პრეზიდენტი წარმოთქვამს საპროგრამო სიტყვას და დებს ფიცს:**

**„მე, საქართველოს პრეზიდენტი, ღვთისა და ერის წინაშე ვაცხადებ, რომ დავიცავ საქართველოს კონსტიტუციას, ქვეყნის დამოუკიდებლობას, ერთიანობასა და განუყოფლობას, კეთილსინდისიერად აღვასრულებ პრეზიდენტის მოვალეობას, ვიზრუნებ ჩემი ქვეყნის მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის, ჩემი ხალხისა და მამულის აღორძინებისა და ძლევამოსილებისათვის“.**

**კონსტიტუციის შესწავლისას იმ დასკვნამდე მივედი, რომ ეს დოკუმენტი კომისიის წევრებსაც არ აქვთ ბოლომდე შესწავლილი**

რატომ აკეთებს ახლადარჩეული პრეზიდენტი განცხადებას ფიცის დადების მაგივრად, ამას ხომ მუხლის შესავალიც ავალდებულებს?

არ შეიძლება, განცხადებას ფიცი დაერქვას, მითუმეტეს, რომ საქართველოში (და სხვა ქვეყნებშიც) ისტორიულად ფიცის დადებისას წარმოთქვამდნენ სიტყვას „ვფიცავ“, ხოლო ფიცის შინაარსი და მისი მიღების წესები ყოველთვის გამოხატავდა ხალხისა და ჯარის ნაციონალურ ტრადიციებს და წარმოადგენდა მნიშვნელოვან სამართლებრივ და მორალურ-პოლიტიკურ აქტს, რომელშიც გათვალისწინებული იყო პიროვნების პასუხისმგებლობა და ძირითადი ვალდებულებები.

**გამოდის, რომ კონსტიტუციამ და კანონმაც „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ პრეზიდენტი — ქვეყნის შეიარაღებული ძალების უმაღლესი ხელმძღვანელი დატოვა ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე. იქნებ, სხვა რომელიმე დოკუმენტშია ეს გათვალისწინებული?**

**კონსტიტუციაში სიტყვის „ვფიცავ“ სიტყვით „ვაცხადებ“ შეცვლით შესაძლებელი გახდა, გაუფასურებულიყო სამხედრო ფიცი და მისი მიღების წესიც.**

ასე, მაგალითად:

წინა პრეზიდენტის დროს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამით მომზადებული სამხედროები მხედრული ვალის პირნათლად მოხდაზე ფიცს დებდნენ არა „საქართველოს წინაშე“, როგორც ამას მოითხოვს სამხედრო ფიცი, არამედ „უმაღლესი მთავარსარდლის წინაშე“, და არა ინდივიდუალურად, როგორც ამას მოითხოვს კანონი, არამედ კოლექტიურად: ერთი კითხულობს და დანარჩენები იმეორებენ; ხოლო 2008 წლის აპრილში ქ. საჩხერეში სამხედროებმა ფიცი დადეს „ახლადარჩეული პრეზიდენტის წინაშე“ იგივე წესით.

სამხედრო ფიცი გახდა მლიქვნელობის საგანი.

ცნობისთვის: აშშ-ში ახლადარჩეული პრეზიდენტი ფიცის დადებისას წარმოთქვამს სიტყვას „ვფიცავ“.

გარდა ამისა, განცხადების ტექსტში მოყვანილი სიტყვები „ერთიანობა და განუყოფლობა“ ერთი და იმავე მნიშვნელობისაა, ხოლო ფრაზიდან „ჩემი ხალხისა და მამულის აღორძინებისა და ძლევამოსილებისათვის“ სიტყვები „ჩემი ხალხისა“ ამოსაღებია, ვინაიდან სიტყვები „აღორძინებისა და ძლევამოსილებისათვის“ ეკუთვნის „მამულს“ და არა „ხალხს“, თანაც „ხალხზე“ ლაპარაკი წინა წინადადებაში უკვე იყო: „...ვიზრუნებ ჩემი ქვეყნის მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის...“

**მ.73,პ.4: „საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებს, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან გადააყენებს საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსს, სხვა მხედართმთავრებს“.**

**მ.73',პ.2მ: „2. კონტრასიგნაციას არ საჭიროებს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანება და ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც უკავშირდება**

**მ) ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრების დანიშვნას, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის, სხვა მხედართმთავრების დანიშვნას და გადაყენებას...“**

თქვენ, ალბათ, შეამჩნევდით, რომ კონსტიტუციის შესწორებებში გაჩნდა ახალი თანამდებობები:

**„საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსი“ (მ.73,პ.4); „საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი“ (მ.73',პ.2მ),** რომლის მიხედვითაც შეიარაღებულ ძალებში არსებობენ ერთდროულად გაერთიანებული და გენერალური შტაბები თავიანთი უფროსებით.

ამ ორი შესწორებით კიდევ უფრო ბუნდოვანი გახდა სამხედრო ძალების არსებობა და მისი ორგანიზაციული სტრუქტურა; ვერ გაიგებ, რომელი მათგანია ზემდგომი და რომელი — ქვეშევრდომი, ვისი ნომენკლატურაა სამხედრო ძალების ხელმძღვანელობა.

დასახელება საქართველოს „შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი“ შემოღებულია 2007 წლის აგვისტოს №462 პრეზიდენტის ბრძანებულებით. საქართველოს შეიარაღებული ძალების შემადგენელ ნაწილებს: სახმელეთო ჯარებს, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალებს თავიანთი შტაბები დარჩათ.

მაშინ რაღას აერთიანებს „გაერთიანებული შტაბი“?

თუ შესაცვლელი იყო შტაბის დასახელება, უფრო ლოგიკური იქნებოდა, მისთვის „მთავარი შტაბი“ დაერქმიათ.

ტერმინი „გაერთიანებული შტაბი“ არ ასახავს შეიარაღებულ ძალებში მის რეალურ მდგომარეობას — დამგეგმავ და მაორგანიზებელ ორგანოს.

აშშ-ში „გაერთიანებული შტაბი“ წარმოადგენს შტაბების უფროსების კომიტეტის მუშა (და არა განმკარგულებელ) ორგანოს.

ნატოში ხელმძღვანელ სამხედრო ორგანოდ ითვლება სამხედრო კომიტეტი, ხოლო მის აღმასრულებელ ორგანოდ — „საერთაშორისო გაერთიანებული შტაბი“.

ტერმინ „მხედართმთავრის“ შესახებ:

გაუგებარია, ვინ იგულისხმება ამ ტერმინში:

— ქვეყნის შეიარაღებული ძალების უმაღლესი ხელმძღვანელი (უმაღლესი მთავარსარდალი)?

— უმაღლესი სამხედრო თანამდებობის პირი რომელიმე სამხედრო მოქმედების თეატრზე ან სტრატეგიულ მიმართულებაზე (მთავარსარდალი)?

— გაერთიანების, ჯარების სახეობის ან გვარეობის ხელმძღვანელი (სარდალი)?

დღეისათვის არც ერთ სახელმწიფოში „მხედართმთავრის“ თანამდებობა არ არსებობს. ის არაკონკრეტულია. ეს ტერმინი გამოი- ▶

◀ ყენება წარსულში ჯარის საერთო ხელმძღვანელის მიმართ.

მინდა განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილო ჩვენთვის ყველაზე მტკივნეულ და საჭირბოროტო საკითხზე: საქართველოს ტერიტორიულ მოწყობაზე.

როგორც მოქმედ კონსტიტუციაში, ასევე მის ახალ ვარიანტში ჩემთვის გაუგებარია საქართველოს ტერიტორიული მოწყობის საკითხი. ნახსენებია აჭარის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკები, აგრეთვე, „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“.

**ეუთოს ეგიდით წარმოებულ მოლაპარაკებებში ვინ მონაწილეობს:**

**— სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი?**

**— საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეული?**

**— სამაჩაბლო?**

**— შიდა ქართლი?**

**— ცხინვალის რეგიონი?**

**სად ვეპატიჟებით სამხრეთის ოსებს: დასახელებულ ტერიტორიებზე თუ სიბნელეში? რის დაბრუნებას ვაპირებთ?**

**შემომაქვს წინადადება ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს დაერქვას ცხინვალის ავტონომიური რესპუბლიკა.**

გადავდივარ კონსტიტუციის 73-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ზ) და თ) ქვეპუნქტების განხილვაზე, სადაც ლაპარაკია საგანგებო და საომარი მდგომარეობების გამოცხადების პირობებზე.

კონსტიტუციაში (და არც კანონებში) ერთი მეორისგან არ არის გამიჯნული საგანგებო და საომარი მდგომარეობები, მათ შორის — არც ჩასატარებელი ღონისძიებები. თვით კანონებიც „საგანგებო მდგომარეობისა“ და „საომარი მდგომარეობის“ შესახებ განსხვავდება მხოლოდ პირველი პუნქტებით.

დავიწყოთ განხილვა.

**მ.73,პ.1: საქართველოს პრეზიდენტი:**

**„ზ) საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში აცხადებს საომარ მდგომარეობას, სათანადო პირობების არსებობისას დებს ზავს და არა უგვიანეს 48 საათისა შეაქვს ეს გადაწყვეტილებები პარლამენტში დასამტკიცებლად“.**

ლოგიკურია, რომ ქვეყანაზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში ცხადდება საომარი მდგომარეობა, მაგრამ არალოგიკურია, როდესაც ეს გადაწყვეტილება შედის პარლამენტში დასამტკიცებლად არა დაუყოვნებლივ, არამედ 48 საათის განმავლობაში.

სახელმწიფოს ნებისმიერი წერტილიდან ქ. თბილისში ჩამოსვლას სჭირდება არა უმეტეს 8 საათისა.

საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა ამოქმედდეს საბრძოლო და სამობილიზაციო მზადყოფნის გეგმები და ჩასატარებელ ღონისძიებათა შორის უნდა იყოს აუცილებლად აღნიშნული პარლამენტში დასამტკიცებლად შესატანი გადაწყვეტილებაც.

**„დ) ომიანობის თუ მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალებისა და შეიარაღებული ამბოხის, ეკოლოგიური კატასტროფებისა და ეპიდემიების დროს ან სხვა შემთხვევებში... აცხადებს საგანგებო მდგომარეობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში და ეს გადაწყვეტილება არა უგვიანეს 48 საათისა შეაქვს პარლამენტში დასამტკიცებლად...“**

აქ საქმე გვაქვს „საგანგებო მდგომარეობის“ გამოცხადებასთან, რომელშიც შეცდომით შეტანილია „საომარი მდგომარეობის“ გამოცხადების პირობები: „ომიანობისა“ და „ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის“.

ეს ფრაზები ამოსაღებია ამ ქვეპუნქტიდან.

უმჯობესი იქნება, თუ „ეკოლოგიურ კატასტროფებს, ეპიდემიებს ან სხვა შემთხვევებს“ ვუწოდებთ სტიქიურ უბედურებებს. „სხვა შემთხვევებში“ რა იგულისხმება?

## შემომაქვს წინადადება, ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს დაერქვას ცხინვალის ავტონომიური რესპუბლიკა

ეს მუხლი დასაზუსტებელია იმიტომაც, რომ მისმა არაკონკრეტულობამ შესაძლებლობა მისცა კანონებს „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“:

**„...საგანგებო შედეგების ლიკვიდაციის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნენ საქართველოს სამხედრო ძალები“ (მ.9),** ე.ი. საზოგადოებრივი წესრიგის აღსადგენად შეიძლება გამოყენებულ იქნენ შეიარაღებული ძალებიც, როგორც სამხედრო ძალების შემადგენელი ნაწილი, რაც ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 98-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნას.

ჯარისთვის ეს ამოცანა მიუღებელია, ავტორიტეტის შემლახველია მოსახლეობის თვალში. მას ხომ კონსტიტუციამ დააკისრა ყველაზე საპატიო და საპასუხისმგებლო დავალების შესრულება — ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა.

**უნდა გვახსოვდეს, რომ თავმოყვარე, ფიცისა და კონსტიტუციის ერთგული, ბრძოლისუნარიანი და დისციპლინირებული ჯარი არის ქვეყნის იმედი, მოსახლეობის ნუგეში, უმაღლესი მთავარსარდლის სიამაყე, ანგარიშგასაწევი და მასტაბილიზირებელი ფაქტორი სხვადასხვა ძალოვან სტრუქტურებს შორის.**

განვიხილოთ სხვა მუხლებიც.

**მ.46,პ.1: „1. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს ქვეყანაში ან მის რომელიმე ნაწილში შეზღუდოს კონსტიტუციის მე-18, მე-20, 21-ე, 22-ე, 24-ე, 25-ე, 30-ე, 33-ე და 41-ე მუხლებში ჩამოთვლილი უფლებანი და თავისუფლებანი. საქართველოს პრეზიდენტი ვალდებულია, არა უგვიანეს 48 საათისა ეს გადაწყვეტილება შეიტანოს პარლამენტში დასამტკიცებლად“.**

თუ პრეზიდენტს კონსტიტუციით უფლება აქვს, რაიმე შეზღუდოს, მაშინ რაღა საჭიროა პარლამენტის მიერ ამ გადაწყვეტილების დამტკიცება, ამით ხომ ირღვევა კონსტიტუციის მოთხოვნები ჩამოთვლილ მუხლებში?!

კონსტიტუცია ამტკიცებს, რომ,

**„1. ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია“ (მ.18,პ.1).**

პარლამენტმა შეიძლება ამტკიცოს, რომ ადამიანის თავისუფლება შეუვალიაო? პარლამენტის გადაწყვეტილებაზე მაღლა ხომ კონსტიტუციის მოთხოვნა დგას და ასე სხვა ჩამოთვლილ მუხლებთან დაკავშირებით.

**მ.50,პ.3':**

გაუგებარია ამ პუნქტის აზრი, სადაც წერია:

**3'. „პარლამენტი საქმიანობას წყვეტს პარლამენტის დათხოვნის შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულების ამოქმედებიდან... და იკრიბება მხოლოდ პრეზიდენტის მიერ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დამტკიცების, ანდა საგანგებო, ან საომარი მდგომარეობის საკითხის გადასაწყვეტად...“,** ე.ი. საქმიანობა შეიძლება არ შეწყვიტოს. და იქვე ქვევით ვკითხულობთ:

**„4. პარლამენტის უფლებამოსილება წყდება ახლადარჩეული პარლამენტის პირველი შეკრებისთანავე“.**

პარლამენტის უფლებამოსილებაში თუ შედის პარლამენტის საქმიანობა და ხელფასების მიღება? ხომ არ ეწინააღმდეგება ეს პუნქტები ერთმანეთს?

კონსტიტუციაში მრავლადაა ნახმარი ასეთი ფრაზები: „კანონის შესაბამისად“, „კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში“; „კანონით დადგენილი წესით“; „კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში“ და ა.შ., რომლებიც მუხლებს აზრს არ უკარგავს და არც არაფერს მატებს, მაგრამ ბადებს კითხვას: სად ვეძებოთ დადგენილი წესები, განსაზღვრული ფარგლები, შემთხვევები, შესაბამისი კანონები? ამ ფრაზებით კონსტიტუციას ხარისხი ეკარგება. ამ ფრაზებს ვერაფერში ვერ გამოიყენებ.

ახლა, როგორ მოგწონთ წინადადება:

**მ.73,პ.6: „საქართველოს პრეზიდენტი ახორციელებს კონსტიტუციით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს“.**

ამ პუნქტისადმი კითხვაც კი ძნელი მოსაძებნია.

გთავაზობთ ჩემ მიერ განხილული მუხლების შემდეგ ვარიანტებს:

**მ.69,პ,2: „საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი“.**

**მ.98,პ.2: „ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, აგრეთვე, სტიქიური უბედურებების დროს მოსახლეობისათვის დახმარების აღმოსაჩენად და საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად საქართველოს ჰყავს შეიარაღებული ძალები“.**

**მ.71,პ.1: „1. თანამდებობის დაკავების წინ საქართველოს ახლადარჩეული პრეზიდენტი წარმოთქვამს საპროგრამო სიტყვას და დებს ფიცს:**

**„მე, საქართველოს პრეზიდენტი, ღვთისა და ერის წინაშე ვფიცავ, რომ დავიცავ საქართველოს კონსტიტუციას, ქვეყნის დამოუკიდებლობასა და ერთიანობას, კეთილსინდისიერად აღვასრულებ პრეზიდენტის მოვალეობას, ვიზრუნებ ჩემი ქვეყნის მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის, მამულის აღორძინებისა და ძლევამოსილებისათვის“.**

**მ.73,პ.4: „საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებს, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან გადააყენებს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს, სარდლებს“.**

**მ.73,პ.4მ: „ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრების დანიშვნას, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის, სარდლების დანიშვნას და გადაყენებას...“**

**მ.73,პ.18: „ზ) საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში აცხადებს საომარ მდგომარეობას, სათანადო პირობების არსებობისას დებს ზავს და ეს გადაწყვეტილებები დაუყოვნებლივ შეაქვს პარლამენტში დასამტკიცებლად“.**

**„თ) მასობრივი არეულობის, შეიარაღებული ამბოხისა და სტიქიური უბედურებების დროს... აცხადებს საგანგებო მდგომარეობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში და ეს გადაწყვეტილება არა უგვიანეს 48 საათისა შეაქვს პარლამენტში დასამტკიცებლად...“**

**მ.101,პ.1,2: „1. სამშობლოს დაცვა საქართველოს ყოველი მოქალაქის ყველაზე საპატიო მოვალეობაა.**

**2. ქვეყნის დაცვა და სამხედრო ვალდებულებების მოხდა საამისო უნარის მქონე ყველა მოქალაქის ვალია“.**

ფიცის დადებით მხოლოდ სამხედრო მოსამსახურე იღებს ვალდებულებას, შეგნებულად და ნებაყოფლობით თავი გასწიროს სამშობლოსათვის:

**„მტკიცედ დავდგე საქართველოს სადარაჯოზე და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ვიბრძოლო მტერზე გამარჯვებისათვის“,** და ეს მზადყოფნა თავგანწირვისთვის მშვიდობიანობის დროსაც სათანადოდ უნდა იყოს დაფასებული სახელმწიფოს მიერ, რომელიც უნდა გამოიხატებოდეს პრივილეგიებშიც სხვა ძალოვან სტრუქტურებთან მიმართებაში.

**ალექსანდრე ტოლსტოი**

## ტერმინი „გაერთიანებული შტაბი“ არ ასახავს შეიარაღებულ ძალებში მის რეალურ მდგომარეობას — დამგეგმავ და მაორგანიზებელ ორგანოს

## გაფრთხილებულნი



**შალვა ხაჭაპურიძე,**
**პარტია „ჩვენი საქართველოს“ ლიდერი:**

ჰააგის ტრიბუნალის მიერ სააკაშვილის გასამართლება, მინდა გითხრათ, რომ დაკავშირებულია გარკვეულ სიმამაცესთან... სახელმწიფოში გვყავს გაუწონასწორებელი ადამიანი, რომლისგანაც ყველაფერია მოსალოდნელი, არ არის გამორიცხული, იმ პოლიტიკურ ძალას, ადამიანსა თუ ადამიანთა ჯგუფს, რომელიც სააკაშვილის წინააღმდეგ ჰააგაში საჩივარს გაგზავნის, მიშამ სისხლიანი ანგარიშსწორება და სასაკლაო მოუწყოს.

*„ალია“*



**მანანა ნაჭყებია,**
**„ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიერი:**

რევოლუცია არის ის, როცა ქვეყანაში რადიკალურად იცვლება ბევრი რამ. სააკაშვილის მოსვლის შემდეგ ქვეყანაში არაფერი არ შეცვლილა, იყო ერთი კლანი და ჩაანაცვლა სხვა კლანმა.

*„ალია“*



**ზურაბ ტყემალაძე,**
**„მრეწველების“ ერთ-ერთი ლიდერი:**

პარლამენტიც ძლიერი უნდა იყოს, პრეზიდენტიც, მთავრობაც და ქვეყანაც. დაბალანსებული უნდა იყოს ხელისუფლება. მე არ მჭირდება დაჩმორებული პარლამენტი, როგორიც დღეს არის.

*„ალია“*



**ირმა ინაშვილი,**
**ჟურნალისტთა კავშირ „ობიექტივის“ დამფუძნებელი, ჟურნალისტი:**

ქართველმა ერმა გამოიჩინა უმაღლესი კულტურა პროტესტისა, აჯანყებისა და ზნეობისა და ამ ხალხისგან რას ითხოვენ ლიდერები? რამდენჯერაც მოუწოდეს ხალხს, იმდენჯერ გამოვიდა გარეთ, რამდენჯერაც დაშლისკენ მოუწოდეს, იმდენჯერ დიდსულოვნად დაიშალა! ზოგიერთი ფეხითაც წავიდა თავის რაიონში და რომელიმე ლიდერს უკითხავს მათი მდგომარეობა?

*„ასავალ-დასავალი“*



**თამაზ ბაკურიძე,**
**საერთაშორისო ორგანიზაცია „ევრაზია მედიაცენტრის“ ხელმძღვანელი:**

სააკაშვილს ჭკუა რომ ჰქონდეს, თავისი მთავრობის წევრებთან ილაპარაკებდა აჭარის პრობლემებზე და არა იმაზე როგორ უნდა ჩამოიყვანოს 10 მილიონი ტურისტი. ავიდეს სოფლებში, შეხვდეს გლეხებს, ნახოს, რატომ ვერ მოჰყავთ იქ კარტოფილი ოჯახებისთვისაც კი. სოფელი გაჩერებულია აჭარაში, მარტო ბულვარისა და ბათუმის ცენტრის გალამაზება რას გვიშველის?

*„კვირის ქრონიკა“*



**ნანა კაკაბაძე,**
**არასამთავრობოთა კოალიციის წევრი:**

როცა ყველაფერი მინავლებულია, ფაქტობრივად, ოპოზიციური პარტიები უმოქმედობის რეჟიმში არიან და ბოგინობს ერთმმართველური დიქტატურა, ბუნებრივია, ჩვენ, არასამთავრობოებს გვაქვს რიგი კითხვები პოლიტიკურ პარტიებთან, ოპოზიციურ სახეებთან, გვაინტერესებს მათი სამოქმედო პროგრამები, როგორ აპირებენ არსებული სიტუაციიდან გამოსვლას, გამოსავალს რაში ხედავენ?

*„ალია“*



**გიორგი გაჩეჩილაძე,**
**„მწვანეთა პარტიის“ ლიდერი:**

აგვისტოს დასაწყისში ამერიკისა და რუსეთის ერთობლივი საიდუმლო შეთანხმების თანახმად გადაწყდა, რომ მიხეილ სააკაშვილი გავა ჰააგის ტრიბუნალზე. ეს არის უკვე გადაწყვეტილი და ეს იცის ძალიან კარგად მიხეილ სააკაშვილმა. მას ამის შესახებ შეატყობინეს. მეტიც, ეს იცის არა მარტო სააკაშვილმა, ეს იცის მისმა გარემოცვამაც.

*„ალია“*

15 — 21 სექტემბერი, 2010 წელი. №33 (76)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# კიმ ირ სენი — სამოთხე დედამიწაზე

**„თაყვანი სცე ხალხს, როგორც ზეცას“ — ეს იყო ცხოვრებისეული კრედო კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის — კიმ ირ სენისა, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე პარტიისა და რევოლუციის, სამშობლოსა და თავისი ხალხისთვის ილვწოდა და 1994 წლის 8 ივლისს, ღამის ორ საათზე, თავისსავე სამუშაო კაბინეტში მოულოდნელად გარდაიცვალა. ერთპარტიული რეჟიმის პირობებში მას პატივს მიაგებენ იმ საზოგადოების შექმნისთვის, რომელსაც კორეული ტიპის სოციალიზმი, სხვაგვარად კი „სამოთხე დედამიწაზე“, ეწოდა.**



ძნელი სათქმელია, რას საქმიანობდა ფხენიანის ახლოს, პატარა სოფელ მანგენდეში, მცხოვრები ვინმე კიმ ხენ ჩჟიკი, რომელსაც, სავარაუდოდ, 1912 წლის 15 აპრილს ვაჟი — ქვეყნის მომავალი პრეზიდენტი შეეძინა. იაპონური კოლონიალიზმის მიმართ მტრული განწყობისა და სილატაკისგან თავის დაღწევის მიზნით ოჯახი საცხოვრებლად მანჯურიაში გადავიდა და პატარა კიმ ირ სენმაც ჩინურ სკოლაში მიიღო განათლება (შესაბამისად, სრულყოფილად დაეუფლა ჩინურ ენას).

**14 წლის ასაკში დაობლებული კიმ ცონ ჩჟუ (ასე ეძახდნენ კიმ ირ სენს ბავშვობაში) უფროს კლასებში სწავლისას პეკინის მარქსისტულ წრეში გაწევრდა, მაგრამ წრეს ხელისუფლებამ მიაგნო და 1929 წელს 17 წლისა 6 თვით ციხეში მოხვდა. ციხიდან გამოსვლის შემდეგ მისი ცხოვრება მთლიანად შეიცვალა.** როგორც ჩანს, სკოლაც არ დაუმთავრებია, ისე გაწევრდა ჩინეთის კომპარტიის ერთ-ერთ პარტიზანულ რაზმში და იაპონელი ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაერთო.

დეტალები ცნობილი არაა, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ სამსახურებრივად წინ საკმაოდ სწრაფი ტემპით მიიწევდა, ცუდი მებრძოლი არ უნდა ყოფილიყო. ცოტა ხანში იაპონიის ხელისუფლებამ მისი ადგილმდებარეობის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის სანაცვლოდ ჯილდო დააწესა.

30-იანი წლების მიწურულს კიმ ირ სენი თავის მომავალ მეუღლეს კიმ ჩჟონ სუკს შეხვდა, ცხადია, პარტიზანულ რაზმში. **30-იანი წლების დასასრულს მანჯურიელი პარტიზანების მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. 1940 წლის დეკემბერში კიმ ირ სენი და მისი 13 მეომარი ჩრდილოეთისკენ გაიჭრნენ, ამური გადალახეს და საბჭოთა კავშირში მისი ემიგრანტობაც ამით დაიწყო.**

ცოტა ხნის შემდეგ 28 წლის კიმ ირ სენი ხაბაროვსკის ქვეითთა სასწავლებლის მსმენელი გახდა. სწავლა 1942 წლის გაზაფხულამდე განაგრძო და საბჭოთა არმიის კაპიტანიც გახდა. მასა და კიმ ჩჟონ სუკს ვაჟი იურა ეყოლათ, მათ მეორე ვაჟსა და ერთადერთ ქალიშვილსაც რუსული სახელები ერქვათ.

**მალე კიმ ირ სენი და მისი ჯარისკაცები მანჯურიისა და კორეის გათავისუფლებულ ქალაქებში საბჭოთა მეთაურების დამხმარეებად გაგზავნეს. საბჭოთა ჯარის მიერ დაკავებული ქალაქებიდან უდიდესი ფხენიანი იყო, ყველაზე მაღალჩინიანი კორეელი ოფიცერი — კიმ ირ სენი. შესაბამისად, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ სწორედ ის დაინიშნა ჩრდილოეთ კორეის მომავალი დედაქალაქის კომენდანტის თანაშემწედ. 1945 წლის 14 ოქტომბერს ფხენიანის სტადიონზე განმანთავისუფლებელი არმიის საპატივცემულოდ სიტყვით გამოვიდა 25-ე ჯარის სარდალი გენერალი ი. მ. ჩისტიაკოვი, რომელმაც შეკრებილთ კიმ ირ სენი „ეროვნულ გმირად“ და „სახელგანთქმულ პარტიზან ბელადად“ წარუდგინა. ამით დაიწყო მისი აღმასვლა ხელისუფლების მწვერვალისკენ.** მომდევნო წლის თებერვალში, საბჭოთა სამხედრო მთავრობის გადაწყვეტილებით, ის უკვე ჩრდილოეთ კორეის დროებით სახალხო კომიტეტს — ქვეყნის ხელისუფლებას ხელმძღვანელობდა.

მიუხედავად ამისა, კიდევ რამდენიმე წლის მანძილზე მას ქვეყნის მმართველს ძნელად თუ უწოდებდა ვინმე; ქვეყნის ცხოვრებას საბჭოთა სამხედრო მთავრობა და მრჩეველთა აპარატი განსაზღვრავდა. ეს მდგომარეობა გაგრძელდა მანამ, ვიდრე კორეის ჩრდილოეთით 1948 წელს სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა არ გამოცხადდა. კიმ ირ სენი თავისი ოჯახით ფხენიანის ცენტრში, იაპონელი ოფიცრების ბინაში, დასახლდა. ამ სახლს მისთვის ბედნიერება არ მოუტანია — 1947 წელს მეორე ვაჟი, შურა, დაეხრჩო; 1949 წელს კი — მეუღლე, რომელმაც კიმ ირ სენის ცხოვრების ურთულესი 10 წელი გაიზიარა, მშობიარობას გადაჰყვა.

**პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილებით, კორეა 38-ე განედზე საბჭოთა და ამერიკული ოკუპაციის ზონებად გაიყო. სამხრეთში ხელისუფლებაში ლი სინ მანი**

**ცხოვრების წესით კიმ ირ სენი მესამე მსოფლიოს სხვა დიქტატორებისგან რადიკალურად განსხვავდებოდა**

**მოვიდა. ფხენიანიცა და სეულიც გამწარებით ირწმუნებოდა, რომ სწორედ მისი რეჟიმი იყო ერთადერთი კანონიერი ხელისუფლება ნახევარკუნძულზე. ყველაფერი ომისკენ მიდიოდა. როგორც ყველაფრიდან ჩანს, ომის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება 1950 წლის გაზაფხულზე კიმ ირ სენის მოსკოვში ვიზიტისა და სტალინთან მისი შეხვედრისას მიიღეს.**

ომი 1950 წლის 25 ივნისს, გამთენიისას, დაიწყო. 1951 წლის გაზაფხულისთვის მოწინააღმდეგის პოზიციები ზუსტად იგივე იყო, რაც ომის დაწყებისას.

ამასობაში კიმ ირ სენი დახვეწილ პოლიტიკოსადაც ჩამოყალიბდა, მაგრამ მის მთავარ ნაკლოვანებად საერთო განათლებისა და მომზადების დეფიციტი რჩებოდა.

**უპირველესად იმ ფრაქციის ლიკვიდირება იყო საჭირო, რომელიც ჩრდილოკორეულ ხელისუფლებაში კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების დღიდანვე არსებობდა. ჩრდილოკორეული ელიტა ოთხი დაჯგუფებისგან შედგებოდა და ყველა ყველას ფარული მტერი იყო. კიმ ირ სენს კი მთელი ძალაუფლება, ანუ, საკუთარი დაჯგუფების გარდა, ყველას განადგურებაც სჭირდებოდა და საბჭოთა და ჩინური კონტროლიდან გათავისუფლებაც. ერთის მხრივ, დამოუკიდებელი პოლიტიკური კურსის გატარება უნდა მოეხერხებინა; მეორეს მხრივ კი, ეს ისე უნდა გაეკეთებინა, რომ არც მოსკოვს, არც პეკინს მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ეკონომიკური და სამხედრო დახმარებები არ შეეწყვიტა. მისი ნეიტრალური პოზიციის გამო მოსკოვიც და პეკინიც პერიოდულად უკმაყოფილებას გამოხატავდნენ, მაგრამ კიმ ირ სენმა მოახერხა, სიტუაცია ისე ემართა, რომ მის ქვეყანას ამ ორი მონსტრისგან ეკონომიკური და სამხედრო დახმარება ერთხელაც არ შეწყვეტოდა.**

**50-იანი წლების ბოლოს კიმ ირ სენმა დახოცა ან განდევნა „საბჭოთა დაჯგუფების“ აბსოლუტურად ყველა წევრი და ქვეყნის ყველა მთავარი თანამდებობა მისმა მომხრეებმა დაიკავეს, თავად კი ქვეყნის სრულფასოვანი მმართველი გახდა. ამით ჩრდილოეთ კორეის ცხოვრებაში „ჩუჩხე“-ს („თვითმყოფადობა“) იდეის პროპაგანდა და ყველაფერი კორეულის უცხოურზე უპირატესობა მკვიდრდება.**

წარმოებაში დამკვიდრდა სისტემა, რომელიც აბსოლუტურად გამორიცხავდა მატერიალურ დაინტერესებას. ეკონომიკა გასამხედროვდა, ცენტრალიზებული დაგეგმვა ყველაფერს მოედო, სამხედრო სტილზე გადაეწყო მთელი მიმართულებები და განშტოებები. მაგრამ **კიმ ირ სენის მიერ მოფიქრებული ეკონომიკური მოდელი წინამორბედზე გაცილებით ნაკლებ ეფექტური აღმოჩნდა. ამით მისი უმთავრესი ნაკლი გამოვლინდა — ის ძლიერი იყო ხელისუფლების მოპოვებაში, მაგრამ არა — სახელმწიფოს მართვაში. 70-იანი წლებიდან ეკონომიკა უმძიმეს სტაგნაციაში აღმოჩნდა, არანაირი ზრდა აღარ შეინიშნებოდა, ადამიანების უმეტესობისთვის ცხოვრების დონე დღითიდღე უარესდებოდა როგორც რეპრესიული ორგანოების ქმედითობის, ასევე, მასებზე იდეოლოგიური ზემოქმედების მხრივ; კიმ ირ სენის რეჟიმს მსოფლიოში ბადალი არ ჰყავს.**

ქვეყნის მთელი მოსახლეობა ერთ კვარტალში მცხოვრები რამდენიმე ათეული ოჯახისგან შემდგარ ჯგუფებად დაიყო. ეს ადამიანები აბსოლუტურად ყველაფერში ერთმანეთზე იყვნენ მიბმულნი. საქმე იქამდე მივიდა, რომ ჯგუფის უფროსის ნებართვის გარეშე ვერც ერთი მათგანი ვერ გაათევდა ღამეს სხვასთან და სტუმარს ვერ მიიღებდა.

**კატეგორიულად იკრძალებოდა ქვეყანაში თავისუფალი გადაადგილება. ნებისმიერი ასეთი გამგზავრება, თუნდაც უახლოეს დასახლებაში, უშიშროების სამსახურის წერილობითი ნებართვის გარეშე გამორიცხული იყო. საკონცენტრაციო ბანაკების კოსმოსური ფოტოების მიხედვით, ქვეყანაში 120 ათასამდე პატიმარი იყო. 50-იანი წლების ბოლოდან ფართოდ გავრცელდა სახალხოდ სიკვდილით დასჯის პრაქტიკა — დახვრეტა სტადიონებზე.** 1972 წელს, როდესაც „დიადი ბელადი, ერის მზე, ყოვლისმძლეველი რკინის სარდალი, უძლიერესი რესპუბლიკის მარშალი, კაცობრიობის გათავისუფლების გარანტი“ 60 წლის გახდა, მსოფლიოში ის უდავოდ ყველაზე სახელგანთქმული ხელისუფალი გახლდათ.

**ყველა სრულწლოვანი ჩრდილოკორეელი ვალდებული იყო, მისი სურათი გულზე დაებნია, მისი პორტრეტი გააკრეს ყველა საცხოვრებელ და სამსახურებრივ შენობაზე, მეტროს ვაგონებსა და მატარებლებში. კლდეებზე მრავალმეტრიანი ასოებით ამოჭრეს მისი სახელი, მთელ ქვეყანაში მხოლოდ მისი და მისი ოჯახის წევრების ძეგლები იდგმებოდა. ყველა კორეელის წმინდა ვალი იყო, ბელადის დაბადების დღეზე ერთ-ერთი ასეთი ძეგლი თაიგულით შეემკო. ბავშვები საბავშვო ბაღიდან იწყებდნენ მისი ბიოგრაფიის სწავლას და უმაღლესი სასწავლებლის დასრულებამდე სწავლობდნენ. კორეელები სპეციალურ შეკრებებზე იზუთხავდნენ მის ყველა ნაშრომს.**

ყველგან, სადაც ოდესმე კიმ ირ სენს დაედგა ფეხი, ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას მემორიალური დაფა ეძღვნებოდა. სკამი, რომელზეც პარკში სეირნობისას ჩამოჯდა, ეროვნულ სიმდიდრედ გამოცხადდა.

პრაქტიკულად, მისი სახელი მოიხსენიებოდა ყველა სიმღერაში, მისი სიყვარულით შთაგონებული ფილმების პერსონაჟები კი არნახულ გმირობებს სჩადიოდნენ.

**ცხოვრების წესით კიმ ირ სენი მესამე მსოფლიოს სხვა დიქტატორებისგან რადიკალურად განსხვავდებოდა. ვინაიდან ფრენა არ უყვარდა, მისი მდიდრული მატარებელი მრავალრიცხოვანი ერთგული დაცვით ხან სად გამოჩნდებოდა და ხან სად. დადიოდა ქალაქებსა და სოფლებში, ესწრებოდა ღონისძიებებს, სკოლების გახსნას.**

მეუღლის გარდაცვალებიდან 15 წლის შემდეგ კიმ ირ სენი კვლავ დაქორწინდა, მაგრამ მის მორიგ მეუღლეს პოლიტიკაზე მინიმალური გავლენაც კი არ მოუხდენია. **განსაკუთრებული როლი ელოდა მისი და კიმ ჩჟონ სუკის ცოცხლად დარჩენილ ერთადერთ ვაჟს, იურის, რომელსაც კორეულ სახელად კიმ ჩენ ირი ეწოდა. სამოცდაათიანი წლების დასაწყისიდან კიმ ირ სენს იდეა მოუვიდა — შვილი თავის მემკვიდრედ ექცია. ამის მოწინააღმდეგე ჩინოვნიკები, როგორც მოსალოდნელი იყო, სადღაც უკვალოდ გაქრნენ.**

**1980 წელს კომუნისტური პარტიის VI სხდომაზე კიმ ჩენ ირი მამის მემკვიდრედ გამოცხადდა, პროპაგანდამ მისი ზეადამიანური სიბრძნის იმ ძალით ქება დაიწყო, რომლითაც აქამდე მხოლოდ მამამისს ასხამდა ხოტბას.**

**1994 წელს კიმ ირ სენის გარდაცვალებისა და სამწლიანი გლოვის შემდეგ ხელისუფლება მის ვაჟს — „უსაყვარლეს მმართველს, დიადი რევოლუციური საქმის დიდ გამგრძელებელს, კორეული ბუნების დიდებას, დაუმარცხებელ მარად ბელადს კიმ ჩენ ირს“ გადაეცა.**

კიმ ირ სენს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალისიმუსის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გმირის (სამჯერ) და შრომის გმირის ტიტულები მიენიჭა. მან 70 ათასზე მეტი უცხოელი სტუმარი მიიღო, მათ შორის სხვა ქვეყნების მეთაურები, 54-ჯერ განახორციელა ვიზიტები მსოფლიოს 87 ქვეყანაში. მიღებული ჰქონდა 180-ზე მეტი უმაღლესი ჯილდო 70-ზე მეტი ქვეყნისა და საერთაშორისო ორგანიზაციისგან; 30-ზე მეტი ქალაქის საპატიო მოქალაქეობა, 20-ზე მეტი ცნობილი უცხოური უმაღლესი სასწავლებლის საპატიო პროფესორის წოდება; 165.920 საჩუქარი სახელმწიფოთა და პარტიების მეთაურებისგან. მსოფლიოს მასშტაბით დაწესდა კიმ ირ სენის საერთაშორისო პრემია, 100-ზე მეტ ქვეყანაში 480-ზე მეტი ქუჩა, ორგანიზაცია და დაწესებულება მისი სახელობისაა. ჩინეთსა და მონღოლეთში ბრინჯაოსგან ჩამოსხმული მისი ძეგლები იდგა. 110 ქვეყანაში 24.570.000 ეგზემპლარადაა დაბეჭდილი 60-ზე მეტ ენაზე ნათარგმნი მისი კლასიკური ნაშრომები.



ახალგაზრდა კიმ ირ სენი (მარჯვნივ) არმიას ხელმძღვანელობს



ფიდელ კასტრომ კიმ ირ სენი კუბის უმაღლესი, ხოსე მარტინის სახელობის, მედლით დააჯილდოვა

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# მოჰამად ატეფი — მესამე ალ-ქაიდასა და ბენ ლადენის გარემოცვაში

**სიმაღლე — 195 სანტიმეტრი, გამხდარი აღნაგობის, თვალები — ყავისფერი, თმა — მუქი, მშობლიური ენა — არაბული. მისი ადგილსამყოფელის დასადგენად სასარგებლო ინფორმაციისთვის ჯილდო — 25 მილიონი დოლარი.**
**როდესაც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა და გამოძიების ფედერალური ბიუროს ერთობლივი ნაშრომი — 80-90-იან წლებში განხორციელებული ხუთი უდიდესი ტერორისტული აქტისთვის ბრალდებული ყველაზე საშიში საერთაშორისო ტერორისტების 22-კაციანი სია — გამოქვეყნდა, მოჰამად ატეფმა უსამა ბენ ლადენისა და აიმან ზავაჰირის შემდეგ მესამე ადგილი დაიკავა.**


ბენ ლადენი და ატაფი


„ტკბილი სიკვდილი“ ისლამისთვის

ტერორისტულ სამყაროში მოჰამად ატეფის (იგივე აბუ ჰაფსი, იგივე აბუ ჰაფს ალ-მისრი, იგივე ალ-კაბირი, იგივე ტაისირი, იგივე შეიხი ტაისირ აბდულა, იგივე აბუ ჰადიჯა) სახელით ცნობილი სუბჰი მუჰამად აბუ სიტა 1957 წელს ეგვიპტის პროვინცია მინიაში დაიბადა. **სწავლას თავი ახალგაზრდობაშივე დაანება და ეგვიპტის რადიკალური ისლამური ორგანიზაცია ჯიჰადის საქმიანობაში ჩაერთო.** ექსტრემისტული დაჯგუფება, რომელმაც აქტიური „მოღვაწეობა“ 1970-იანი წლებიდან დაიწყო, ორ ფრაქციად იყოფოდა. ერთს აიმან ალ-ზავაჰირი ედგა სათავეში, მეორეს — ახმად ჰუსეინ აგიზოი. **ეს ის აიმან ალ-ზავაჰირი გახლდათ, რომელიც შემდეგ ავღანეთში საკვანძო ფიგურა გახდა და ტერორისტულ ფინანსურ ორგანიზაციას „უსამა ბენ ლადენის მსოფლიო ისლამურ ფრონტი“ ედგა სათავეში.**

**ალ-ჯიჰადის საწყისი ამოცანა ეგვიპტის ხელისუფლების დამხობა და მისი ისლამურ სახელმწიფოდ ქცევა იყო, ამიტომ მისი წევრების ყოველდღიურ სამსახურებრივ მოვალეობას უმაღლეს სახელმწიფო მოხელეებზე შეიარაღებული თავდასხმები წარმოადგენდა. სწორედ ალ-ჯიჰადია პასუხისმგებელი 1981 წელს ეგვიპტის პრეზიდენტის ანვარ სადათის მკვლელობაზე, 1993 წელს შინაგან საქმეთა მინისტრ ხასან ალ-ალფისა და პრემიერ-მინისტრ ატაფ სედკიზე თავდასხმებზე.**

თუმცა ამის შემდეგ ალ-ჯიჰადს ეგვიპტეში რაიმე ტერორისტული აქცია აღარ ჩაუტარებია, სამაგიეროდ, ალბანეთში, აზერბაიჯანსა და ბრიტანეთში დაკავებული თავისი წევრების გამო მუდმივად ანგარიშსწორებით ემუქრებოდა აშშ-ს. **ეგვიპტის ხელისუფლება იმთავითვე თვლიდა, რომ ამ ორგანიზაციას მნიშვნელოვანი მხარდაჭერა ჰქონდა შემდგომში მსოფლიოს ნომერ პირველ ტერორისტად გამოცხადებული უსამა ბენლადენისგან.**

პრეზიდენტ სადათის მკვლელობის შემდეგ ეგვიპტის ცენტრში მდებარე ქალაქ ასიუტაში სამხედრო და სამოქალაქო ობიექტებზე განხორციელებულ მთელ რიგ თავდასხმებში მუჰამად ატეფი პირადად მონაწილეობდა. **ქალაქში ალ-ჯიჰადს მკაცრად გაუსწორდნენ, მაგრამ ატეფმა გაქცევა მოახერხა, ქაიროს შეაფარა თავი და სწორედ იქ დაუახლოვდა ეგვიპტის რადიკალური დაჯგუფების „ალ-ჯამაა ალ-ისლამიას“ ერთ-ერთ ლიდერსა და ჯიჰადის ყოფილ წევრს ახმად რიფაი ტახას, რომელიც „ავღანური ჯიჰადის“ მონაწილეც იყო.**

ქაიროში ატეფის „კარიერას“ განვითარება არ დასცალდა. მალე ის პოლიციამ დააკავა და ხუთი წლით ციხეში იყო გამოკეტილი.

1980-იანი წლების დასასრულს სასჯელმოხდილი ატეფი ჯერ ლიბანში გაემგზავრა, შემდეგ — საუდის არაბეთში, ბოლოს კი — ავღანეთში.

**1989-1990 წლებში პაკისტანში ყოფნისას ატეფმა უსამა ბენ ლადენი პირადად გაიცნო და 1991 წლიდან ალ-ქაიდას სამხედრო ლიდერი გახდა.**

არა მხოლოდ ორგანიზაციაში, არამედ უსამა ბენ-ლადენის ყველაზე ერთგულ და მასთან დაახლოებულ გარემოცვაშიც მუჰამად ატეფი რიგით მესამე პირად ითვლებოდა. **შაჰიდობის მსურველებს პირადად მასთან უნდა გაევლოთ შემოწმება.**

შაჰიდების მომზადება რთული და ხანგრძლივი პროცესია. კანდიდატებს ალ-ქაიდას მესვეურები მთელ მსოფლიოში არჩევენ და საწყის ეტაპზე თავიანთი იდეების ქადაგებით ადამიანებში ემოციების გამოწვევას, ისლამური ფუნდამენტალიზმის მომხრეთა გამოვლენას იწყებდნენ. **შემდეგ დაინტერესებულთა ახალგაზრდულ წრეებში ჯიჰადის კონცეფციების ახსნა იწყება და ისლამისთვის თავის შეწირვის უმთავრესი იდეა ნელნელა ინერგება მსმენელთა ცნობიერებაში ქარიზმატული, ემოციური და განათლებული ადამიანების მიერ. საბოლოოდ შერჩევის უმთავრესი კრიტერიუმი თვითმკვლელობის ჩადენის სურვილია.**

არჩეულებს ალ-ქაიდას ბანაკებში მიყვანამდე დეტალურ დაკითხვას უტარებდნენ, ეკითხებოდნენ ყველაფერს — ცხოვრებისეული ინტერესებიდან დაწყებული, საკუთარი შესაძლებლობებით დამთავრებული. **სწორედ ამგვარი დაკითხვის შედეგად გამოვლინდა ხანი ხანჯურა, მფრინავი, რომელმაც საბოლოოდ პენტაგონისკენ მიმართა თავისი თვითმფრინავი. იგი 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტისთვის მოსამზადებელი პერიოდის ბოლო ეტაპზე ჩაიყვანეს ავღანეთში და დაუყოვნებლივ ჩართეს ოპერაციაში.**


ალ-ჯაზირა აცხადებს ქორწინების შესახებ.
ცენტრში ბენ ლადენის შვილი მოჰამადი, მარჯვნივ — ატეფი

ამ შემთხვევის მიუხედავად, შერჩევისას კანდიდატის ბედი სულაც არაა დამოკიდებული მის განსაკუთრებულ ნიჭსა თუ ცოდნაზე, მთავარი თვითმკვლელობის მტკიცე სურვილია. თანაც შაჰიდობის მაძიებელს სულით ხორცამდე უნდა ჰქონდეს გამჯდარი სურვილი, რომ თვითმკვლელობა ბენ ლადენის ბრძანების შესაბამისად განახორციელოს.

**ყველა კანდიდატი, რომელიც მრავალი ეტაპის გავლის შემდეგ მტკიცედ აცხადებდა ნაბრძანები სუიციდისთვის მზადყოფნას, საბოლოო შემოწმებას მოჰამად ატეფთან გადიოდა.**

მას უნდა გადაეწყვიტა, გამოდგებოდა თუ არა იგი ალ-ქაიდას გრძელვადიანი გეგმებისთვის და შეიძლებოდა თუ არა მასზე დაყრდნობა. ეს შემოწმება მხარეებს შორის ემოციური და ფსიქოლოგიური კონტაქტის სახით საერთო ინტერესის, სუიციდის, საფუძველზე ხორციელდებოდა. მოწმდებოდა ისიც, თუ რამდენად გამძლე აღმოჩნდებოდა კანდიდატი ზეწოლის მიმართ.

1993 წელს მოჰამად ატეფი სომალში განაგრძობდა ტერორისტებად გამოსადეგი კანდიდატების შერჩევასა და მათ აღზრდას. იმ პერიოდში სომალელები აღშფოთებულნი იყვნენ ქვეყნის შიდა საქმეებში გაეროს ჩარევით და მთელი ძალით ცდილობდნენ, წინ აღდგომოდნენ ამას. **სომალში გაეროს მშვიდობისმყოფელთა ოპერაციისას აშშ-ის სპეცდანიშნულების ძალებსა და სომალის საველე მეთაურის მოჰამედ აიდიდას ბოევიკებს შორის მოულოდნელად მომხდარი შეტაკებისას 18 ამერიკელი რეინჯერი დაიღუპა. ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მონაცემებით, მოჰამედ ატეფს სომალში ანტიამერიკული მოღვაწეობა ჰქონდა გაჩაღებული და ამერიკელ ჯარისკაცებზე თავდასხმის უშუალო მონაწილეც გახლდათ.**

**იგი 1993 წლიდან უშუალოდ იყო დაკავებული სომალელების მხრიდან გაეროს ძალებზე თავდასხმის მზადებით.**

ამის შემდეგ ატეფი ბენ ლადენთან ერთად სუდანში წავიდა და იქ 1996 წლამდე იმყოფებოდა, ვიდრე იძულებული არ გახდა, ქვეყნიდან გაქცეულიყო და თავი ავღანეთისთვის შეეფარებინა. ამ დროს **ეგვიპტეში ჯიჰადისა და „ალ-ჯამაა ალ-ისლამიას“ წევრებს ასამართლებდნენ. პროცესს „ალბანეთიდან დაბრუნებულთა სასამართლო“ ეწოდა და ატეფი განსასჯელთა სიაში მეხუთე ნომრად დაუსწრებლად ჩართეს.** განაჩენი, ცხადია, სისრულეში ვერ მოიყვანეს გასაგები მიზეზების გამო — მსჯავრდებულის ადგილსამყოფელიც კი ვერავინ დაადგინა.

**ამ დროს იგი ბენ ლადენთან ერთად ავღანეთში იმყოფებოდა და ჩვეულ საქმიანობას განაგრძობდა — სათავეში ედგა ალ-ქაიდას სამხედრო სტრუქტურას და მისი ტერორისტული საქმიანობის კოორდინირებას ახორციელებდა. მალე ბენ-ლადენის შვილმა მოჰამედმა ატაფის ქალიშვილი შეირთო ცოლად. ქორწილი ავღანეთში, კანდაგარში, გადაიხადეს.**

იმავე 1996 წელს ავღანეთში ჩავიდა ალ-ქაიდას კიდევ ერთი მეთაური და ბენ ლადენსა და ორგანიზაციის ოპერატიული შტაბის უფროს ატეფს 11 სექტემბრის ტერაქტების გეგმა გააცნო. მეთაურებმა გეგმა უარყვეს მისი გადაჭარბებული სირთულის გამო.

მაგრამ არსებობდა ნაკლებად რთული გეგმებიც, რომელთა განხორციელებაზეც ორგანიზაცია უარს არასდროს ამბობდა. **ერთ-ერთი ასეთი გეგმა 1998 წელს კენიასა და ტანზანიაში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოებზე თავდასხმა გახდა. მაშინ ტერაქტებს 224 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა და, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის მონაცემებით, მოჰამედ ატეფი ამ ტერაქტების უშუალო ორგანიზატორი იყო.** მაშინ სამართალდამცავებმა სამი ტერორისტი დააკავეს, ფედერალურმა სასამართლომ სამივეს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. ატეფი გადარჩა.

**1999 წელს ბენ ლადენმა ადრე შემოთავაზებული და სირთულის გამო დაწუნებული გეგმისადმი დამოკიდებულება შეიცვალა და მას კიდევ ერთხელ მიუბრუნდა. მალე მან და ატეფმა ერთად დააზუსტეს 11 სექტემბრის ტერაქტების სამიზნეები — თეთრი სახლი, პენტაგონი და მსოფლიო სავაჭრო ცენტრი.**

ვინაიდან ორგანიზაციაში სამხედრო და ტერორისტული ოპერაციების ორგანიზება და განხორციელება ატეფის მოვალეობა იყო, მან თავისივე მომზადებული კადრებიდან სათანადო კანდიდატები აარჩია და ორწლიანი მზადების შემდეგ, **2001 წლის 11 სექტემბერს, მისმა გამოზრდილებმა ოთხი სამოქალაქო ავიალაინერი გაიტაცეს. სამი მათგანი ნიუ იორკში მსოფლიო სავაჭრო ცენტრისკენ და ვაშინგტონში პენტაგონისკენ გაემართა. ამ ტერაქტებს 2974 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.**

ამ ტრაგედიის შემდეგ თეთრ სახლში „ტერორის წინააღმდეგ ომზე“ ალაპარაკდნენ. **2001 წლის 20 სექტემბერს კი ამერიკის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში სიტყვით გამოვიდა კონგრესის წინაშე და ოფიციალურად გამოუცხადა ომი ტერორისტებს, უპირველესად, ალ-ქაიდას.** დასაწყისში ბუშმა თალიბანის ხელმძღვანელობას ალ-ქაიდას მეთაურების გადაცემა მოსთხოვა, უარის მიღების შემდეგ კი ავღანეთში სამხედრო ოპერაციის დაწყების შესახებ გამოაცხადა.

**იმავე წელს ავღანური კამპანიის შედეგად თალიბანის ძალაუფლება ავღანეთის უმეტეს ნაწილში დაემხო, განადგურდა ალ-ქაიდას რამდენიმე მეთაურიც — მათ შორის 11 სექტემბრის ტერაქტების მთავარი ორგანიზატორი მოჰამად ატეფიც.**

გვერდები მოამზადა **მაია სვიანაძემ**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# გორგასალი, სნო და შიოლა

**თუ რამ სასიკეთო ხდება ამ ჩვენს დაღლილ, დაჭრილ და გაჭირვებულ მამულში, ეს, უწინარეს ყოვლისა, ეკლესია-მონასტრების შენება-აღდგენა და მრევლის მატებაა. ამ მხრივ როგორ შეიძლება ხევი იყოს გამონაკლისი, როცა ამ უდიდესი საქმის სულისჩამდგმელისა და მოთავის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II შიოლაშვილ-ღუდუშაურის საგვარეულო ბუდე სნოა. აქ დგას სწორედ ღუდუშაურთა ძველი ციხე-კოშკი.**



სნოს ციხე, ანუ იგივე ღუდუშაურთა ციხე-კოშკი

სნოში ხშირად შემივლია, ზოგჯერ ავტომანქანით, ზოგჯერ ცხენით, და მასპინძლობა ყოველთვის აქაურ მინდიას — იორამ ღუდუშაურს გაუწევია. „უცნაური" კაცია იორამი — კარგი მწიგნობარი და პოეტი, კარგი მებაღე და კარგი მონადირე. მონადირე კია, მაგრამ ნადირთა მცველი უფრო ეთქმის. ერთხელ მთაში დაობლებული მგლის ლეკვი იპოვა, სახლში ჩამოიყვანა და ზრდიდა. უკვირდა იორამს — მგელს, მგონი, მგლობა მოვაშლევინე, ღორებს კი ვერაფერი მოვუხერხე, მე რომ არ ვიყო, ამ საცოდავ მგელიკას აუცილებლად შემიჭამდნენო. საბჭოთა პერიოდში იორამი ისე ჰყავდათ ათვალწუნებული, რომ ერთხანს ტყეშიც კი იმალებოდა. ახლა მშვიდად ზის თავის კერაზე და ლექსებს წერს...

...მაგრამ ამჯერად მე და ჩემს მეგობრებს მასპინძლობას გვიწევს სტეფანწმინდახევის ეპარქიის მწყემსმთავარი, მეუფე იეგუდიელი, ძალზე მშვიდი და კეთილშობილი კაცი. ეპარქიის ცენტრი და რეზიდენცია სწორედ სნოშია. იგი ეპარქიის პირველმა მწყემსმთავარმა, მეუფე პეტრე ცაავამ ააგო და იქვე შიოლა ღუდუშაურის კულტურის ცენტრი დააარსა. ამავე პერიოდში დაიწყო მშენებლობა და უკვე ამოქმედდა წმ. მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის ჯვარ-გუმბათოვანი მოხდენილი ეკლესია, რომელიც აქვე დგას.

...ვახტანგ გორგასალი, სნო, ღუდუშაურ-შიოლაშვილები ერთმანეთზე გადაჭდობილი ის სახელებია,ურომლისოდაც ხევის ისტორია წარმოუდგენელია.

მატიანეებიდან ცნობილია, რომ მცირეწლოვანი გორგასლის მეფობისას, ალან-ოვსებმა დრო იხელთეს, დარიალი გამოარღვიეს, იბერიაში შემოიჭრნენ, ქვეყანაც ააოხრეს და ვახტანგის დაც გაიტაცეს. როგორც კი წამოიზარდა, თექვსმეტი წლის გორგასალი ჩრდილოეთ კავკასიაში შეიჭრა, მტერი მიმოფანტა, **„დაიმორჩილა ოვსნი და ყივჩაღნი და შექმნა კარნი ოვსეთისანი, რომელთა ჩვენ დარიანისად უწოდთ. და აღაშენა მას ზედა გოდოლნი მაღალნი და დაადგინა მცველად მახლობელნი იგი მთეულნი..."** ამ „მახლობელ მთეულნში" სწორედ მოხევეები იგულისხმებიან, რომელთაც ვახუშტი ბატონიშვილი ასე ახასიათებს: **„კაცნი მბრძოლნი, ძლიერნი, ახოვანნი, ჰაეროვანნი ვითარცა მთეულნი, გარნა უმჯობესი ყოველთა".**

**გადმოცემა გვეუბნება, რომ იმ მხნე მთიელთა შორის, რომლებიც გორგასლის უერთგულესი თანამებრძოლები იყვნენ, ერთ-ერთი გამორჩეული ყოფილა გმირი სნო. როცა იბერთა ლაშქარი ჩრდილოეთ კავკასიიდან წამოსულა, გორგასალს სნოს მამულში შეუვლია და მისი ორი ვაჟი ღუდუშა და კაიშა მოუნათლავს. დრო რომ გასულა, სნოს უფროს ძეს, ღუდუშას მამის ადგილი და მამული დაუკავებია, კაიშა კი წამოსულა და მთიულეთის არაგვის სათავეებში დასახლებულა. ასე შეიქმნა ღუდუშაურთა და კაიშაურთა გვარები.**


წმ. ვახტანგ გორგასლის ეკლესია

გამოხდა ხანი და ღუდუშაურთა შორის გამოჩნდა ახალი გმირი — შიოლა, რომელიც ისტორიულად ცნობილი პიროვნება, XVII საუკუნის დასაწყისის მოღვაწეა. დედის მხრით იგი ბაგრატიონებს ენათესავებოდა. ზურაბ არაგვისერისთავის დროს მას არა მარტო სნო, არამედ სხვა რამდენიმე ციხეც სჭერია ხევში, — ერთი სიტყვით, ხევის მეციხოვნე აზნაური გამხდარა. სწორედ შიოლამ დაუდო სათავე ღუდუშაურთა გვარში შიოლაშვილების განშტოებას. ჩემი მეგობრის, იორამ ღუდუშაურის თქმით, შიოლას თურმე 8 ობოლიც გაუზრდია, რომელთაც შემდეგ რვა გვარი შეუქმნიათ. რაც შეეხება შიოლას ღვიძლ შვილ შარამბალს, ვაჟკაცობით იგი მამას არ ჩამორჩებოდა, თურმე, რასაც ერთი ხალხური ლექსიც ადასტურებს.


შიოლას ხმალი

**„შარამბალ ღუდუშაურო,**
**კაცი გამოხველ რა ხელი,**
**შენ მოჰკალ ლეკის ბელადი, კარზე გეკიდა თავ-ხელი".**

შიოლა ღუდუშაურის კულტურის ცენტრში რომ შიოლას ხმალი ინახება, ის ხმალი, იორამ ღუდუშაურის ეჭვით, შარამბალისა უფრო უნდა იყოს.

* * *

სნოს შემოგარენის გადაღებას ორ დღეს ვანდომებთ. სოფელ აჩხოტთან, მარჯვნივ, ბორცვზე, ნათლისმცემლის ნიშია, ხოლო მის ქვევით, ლამის ზედ გზაზე, არსებული კლდის მცირე ფრიალო წმინდა ალაგადაა მიჩნეული. თერგისა და სნოსწყლის წყალგამყოფის მწვერვალზე, რომელიც ზღვის დონიდან 4000 მეტრის სიმაღლემდეა აზიდული და „ყურო" ჰქვია, მოთავსებულია ხევის მთავარი სალოცავი „სპარსანგელოზი". იგი გუდამაყრელთა სალოცავიცაა. „სპარსანგელოზობას" მოხევეები „ათენგენობასაც" უწოდებდნენ და ხატობას ზაფხულობით მართავენ. აქამდე ამ დღესასწაულს წარმართობის ელფერი დაჰკრავდა, მაგრამ სინამდვილეში „ათენგენობა" წმიდა მოწამე ათენეგენიოს სახელს უკავშირდება და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის კურთხევით, მან პირვანდელი სახე დაიბრუნა. „სპარსანგელოზში" ინახებოდა ხევის მეთემეთა მიერ ათასწლეულის მანძილზე შეგროვილი სიწმინდეები: განძი, სარიტუალო ინვენტარი, დროშები და ა.შ. სწორედ სპარსანგელოზისათვის შეუწირავს მიხეილ ყაზბეგს ირემი ვაჟიშვილის, ალექსანდრე ყაზბეგის, დაბადების აღსანიშნავად. ერთი ხალხური ლექსი გვეუბნება:


ქვაჯვარი სნოში

**„ყუროზე ნისლი ატირდა,**
**ლოცვით ზეცაში ადისა —**
**დაზარდე ხევში მოყმენი სპარსანგელოზის ხატისა,**
**ხელში მიეცი ფრანგული,**
**დამჯერე იყოს კაცისა,**
**მტერზედა ისე მივიდნენ,**
**სთქვან გრგვინვამ დაიარაო,**
**კარია საქართველოსი ტიალი დარიალაო".**

თავად სნოში ყველაზე ძველი ეკლესია ის უნდა იყოს, რომელიც სამების სახელს ატარებს და სასაფლაოს თავზე, მაღალ კლდეზეა მიკრული, თავად სასაფლაოზე კი ახლახან აღდგენილი და ამოქმედებული წმიდა გიორგის მოზრდილი, დარბაზული საყდარი დგას. იგი ღვინისფერი ბაზალტის ქვითაა შემოსილი.

სნოდან მდინარის აყოლებაზე, კილომეტრ-ნახევარში სოფელი ახალციხეა, სადაც ქერაშვილები, გოგბაიძეები და ბუჩუკურები ცხოვრობენ. ახალციხეში, ძველ სასაფლაოზე დგას IX საუკუნის ტაძარი — სამნავიანი ბაზილიკა, რომელსაც წარწერები არ შემორჩენია. სანაცვლოდ ეკლესიაში დაცულია რამდენიმე საინტერესო ხატი და, როგორც ამბობენ, ხევში შემონახული უძველესი, მოჭედილი ჯვარი. ტაძართან ახლოს ძველისძველი ქვაჯვარიც დევს.

ახალციხიდან კვლავ სნოსწყალს მივუყვებით და კარგად ნაცნობ პატარა სოფელ კარკუჩაში შევდივართ, სადაც მარსაგიშვილები და ყამარაულები ცხოვრობენ. აქაური მოხევეები და ართხმოელი ხევსურები ყოველ 29 ივლისს ღალანგურის წმიდა გიორგის ხატობას ზეიმობდნენ. ეს სალოცავი ორ სოფელს შუა, მაღალ მთაზე, მდებარეობდა. მას დღეს აღარავინ აკითხავს ან კი ვინ უნდა ავიდეს იქ, როცა სტიქიამ და უგზოობამ ართხმო ნასოფლარად აქცია, კარკუჩა კი ისე დააპატარავა, რომ უმეტესად მოხუცების ანაბარა დარჩა. ამ სოფლის მკვიდრის საველ მარსაგიშვილის ძალისხმევით ღალანგურის წმ. გიორგის თავად სოფელ კარკუჩის ახალაგებული წმიდა გიორგის მცირე, კოხტა საყდარი ჩაენაცვლა.

კარკუჩადან აღმოსავლეთით, ჯუთის მიმართულებით ვაგრძელებთ გზას. ჯუთა ხევსური არაბულების სოფელია. ეს უკვე სუბალპური ზონაა, ქაფქაფა ნაკადულებისა და ყვავილების მხარეა.

სადღაც ამ მიდამოებში შეხვდა თავის დროზე შიოლა ღუდუშაურს ხევსური მთრეხელი. ამის თაობაზე ერთი მოზრდილი ხალხური ლექსიც არის შექმნილი.

ზუსტი ინფორმაცია იმაზე, მიეხმარა თუ არა შიოლა ღუდუშაური არაგვის ერისთავს ფშავ-ხევსურეთის აწიოკებაში, არ გვაქვს. მოხევეები ამ ფაქტს უარყოფენ, ხევსურები კი ადასტურებენ. ისე, ძნელი წარმოსადგენია, სხვა რა მიზეზით უნდა გადაეწყვიტათ ხევსურებს შიოლას მოკვლა და ვინმე თრეხელის გამოგზავნა. შიოლას, თურმე, ხევსურთა თავყრილობის განჩინება შეუტყვია და გზებიც შეუკრავს. და აი, როცა ის ჯუთის მიმართულებით მიემგზავრებოდა მოდარაჯეებთან ერთად, გზად მთრეხელს გადაჰყრია. შიოლას მთრეხელის განიარაღება უბრძანებია და ფარ-ხმალიც აუყრიათ, მაგრამ, როცა მშვილდზე მიმდგარა საქმე, ხევსურს კაპარჭიდან ერთი ისარი ამოუღია და ხელით უძგერებია შიოლასათვის შიგ გულში. ხევსური გაქცეულა და როგორღაც შიოლას დის ოჯახისათვის შეუფარებია თავი. მთის ადათ-წესზე, ქალი, თურმე, მოხევეებისათვის სტუმრის გადაცემას არ აპირებდა, მაგრამ სახლში შევარდნიან, მთრეხელი გამოუყვანიათ და აუკუწავთ. ასე დაუსჯიათ შიოლას მკვლელი.

ჯუთაში, 25 წელია, არ ვყოფილვარ... გავცქერი სოფელს, ჭიუხების დაკბილულ, დათოვლილ მწვერვალებს და მახსენდება, როგორ გადავდიოდით 9 მხედარი საძელიღელის უღელტეხილით აქედან როშკაში და პირიქითა ხევსურეთში. ნუთუ მეოთხედი საუკუნე გავიდა მას შემდეგ?! ყველაფერი ისევ ისეა, ან კი ამ მთებს ადგილიდან რა დაძრავდა. მხოლოდ სოფლის შესასვლელში აღუმართავთ დიდი, თეთრი ქვაჯვარი.




ახალციხის ქვაჯვარი და სამნავიანი ეკლესია

**გელა ქოქიაშვილი**
**ავტორის ფოტოები**

# რუსეთ-ოსმალეთის ომი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №32

**1809 წლის კამპანია. ჯონსმა მოახერხა სპარსეთ-ოსმალეთის შეთანხმება რუსეთის წინააღმდეგ საერთო მოქმედებისთვის. შაჰისა და სულტანის მოწოდებები მთელს კავკასიას მოეფინა. მოწოდებებს თან ახლდა უხვად გაღებული ინგლისური ფული და კიდევ უფრო — ხმები იმის შესახებ, რომ ინგლისმა ზღვა ფული მოაყარაო. ხმები გავრცელდა, აგრეთვე, რომ ინგლისის ფლოტი შავ ზღვაში შემოვიდაო.**

სპარსეთის შაჰი გაზაფხულზე შემოჭრას იმუქრებოდა. ტორმასოვს თავდაცვითი ომი უნდა ეწარმოებინა, რადგან შეტევისთვის საკმარისი ძალა არ გააჩნდა. სპარსელებს კი შეტევით ომში ის უპირატესობა ჰქონდათ, რომ მათი ლაშქარი მხედრობა იყო, რუსთა ჯარი კი უპირატესად ქვეითისგან შედგებოდა. **მტერი რუსთა ჯართან პირდაპირ შებმას ერიდებოდა, დაუცველ სოფელ-ქვეყანას აოხრებდა და სწრაფად გარბოდა. რუსთა ქვეითობა მას ვერ ეწეოდა და მტერი დაუსჯელი რჩებოდა.**

23 ივლისს 10000 მხედრისაგან შემდგარი რაზმი შაჰის შვილის მაჰმად ალი-ხანის მეთაურობით ბამბაკში შემოიჭრა, მაგრამ დამარცხდა და ერევანს უკუიქცა. ტორმასოვი დმანისს დაადგა იმ მიზნით, რომ პასუხი გასაცემად მზად ყოფილიყო, ოსმალეთიდან შემოიჭრებოდა მტერი, თუ სპარსეთიდან.

ამ დროს აბას-მირზა ნახჭევანის გზით განჯაზე წამოვიდა. ტორმასოვმა დროზე შეუტია და მტერს შამქორს გაეგება. აბას-მირზამ ბრძოლა არ მიიღო და უკუიქცა. სპარსელები მცირე გუნდებად დაიყვანეს და ასაოხრებლად სოფლებს მოედვნენ. რუსი ქვეითობა ასეთ მტერს ეფექტიანად ვერ სდევნიდა, ხოლო საკმაო მხედრობა ტორმასოვს არ ჰყავდა.

**ფოთის ომი.** 1809 წლის 17 ივლისს მთავარმართებელმა გენერალ ორბელიანს ამის შესაფერისი დავალება მისცა. ორბელიანი ყულევს უნდა წასულიყო. ამავე დროს ორბელიანს თვალი უნდა სჭეროდა იმერეთზედაც, სადაც ზურაბ წერეთელი და მისი მომხრეები მეფის ორგულებს გაამრავლებდნენ და სხვა მხრივაც ეცდებოდნენ, რათა შემოდგომისთვის საქმე ყოველმხრივ შემზადებულიყო.

ორბელიანი ყულევს წავიდა, ხოლო — ტორმასოვი განჯა-ყარაბაღის მხარეში სპარსელთა მორიგ შემოსევას იგერიებდა.

ოსმალეთს უმთავრესი ყურადღება ამ დროს მიქცეული ჰქონდა ბალკანეთის ფრონტისადმი, საიდანაც რუსთა ჯარი სტამბოლს ემუქრებოდა. ამიტომ ამიერკავკასიაში ოსმალეთი რუსეთის წინააღმდეგ დივერსიებით კმაყოფილდებოდა. სპარსეთთან სამხედრო შეთანხმებით, კავკასიის ხალხებში აჯანყებათა გამოწვევით ოსმალეთი ცდილობდა, მტრისთვის გართულებანი შეექმნა, რომ ამ გზით აქ თავისი ნაქონევი შეენარჩუნებინა. **ამიერკავკასიის შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ფოთი ცენტრალური პუნქტი იყო, საიდანაც ოსმალეთი მოსაზღვრე ქვეყნების ურთიერთობაში ერეოდა და აქ თავის გავლენა-მფლობელობის შენარჩუნებას ცდილობდა. ამდენადვე ფოთის დაპყრობა რუსეთის დიდმნიშვნელოვანი წარმატება იქნებოდა.**

ორბელიანი მალე დარწმუნდა, რომ უომრად ფოთის აღებას ვერ მოახერხებდა. ამიტომ 12 აგვისტოს გენერალი ყულევიდან წავიდა და ფოთის ციხეს ალყად შემოადგა.

ფოთისთვის ბრძოლამ სამ თვეს გასტანა. მეციხოვნეთა დასახმარებლად ოსმალებმა ტრაპიზონის შერიფ-ფაშა გამოგზავნეს 9000 კაცით. როცა ეს ჯარი მდინარე სუფსას პირად, გრიგოლეთს დადგა, მას ზურგიდან დაეცნენ გურულები ვახტანგ ერისთავისა და სიმონ გუგუნავას სარდლობით, ხოლო პირისპირ ორბელიანი დაუდგა თავისი ჯარითა და მეგრელ-აფხაზთა რაზმებით. ორმხრივ ბრძოლაში იმედგადაწურულმა ციხისთავმა 1809 წლის 15 ნოემბერს ფოთი ორბელიანს ჩააბარა.

**ვიდრე ორბელიანი ფოთის ციხეს ალყად ადგა, ხოლო ტორმასოვი სპარსელებს ეომებოდა, სოლომონ მეფე მოვლენათა განვითარებას ფხიზლად თვალყურს ადევნებდა და შესაფერის თადარიგს იჭერდა. იმერეთ-ახალციხის საზღვარზე მან საიდუმლოდ მოციქულები გაგზავნა ახალციხის ფაშასთან და სპარსეთის შაჰთან. როგორც ტორმასოვი პეტერბურგში ხელმწიფის კარს არწმუნებდა, სოლომონ მეფე ყველა ამათ საქართველოში სალაშქროდ იწვევდა და თავის მხრივ ენერგიულ დახმარებას ჰპირდებოდა.**

**ამავე დროს, ლეღოვანს, იმერეთის საზღვრებს შიგნით, თბილისიდან ორბელიანისთვის გაგზავნილ სამხედრო საჭურველის ტრანსპორტს დაეცნენ. სოლომონი უარყოფდა ამ საქმეში მონაწილეობას, თუმცა ტორმასოვი ბრალს მაინც იმერეთის მეფეს სდებდა.**

**ენერგიულად საქმობდა ზურაბ წერეთელიც და საქართველოს რუსულ ხელისუფლებას დიდ სამსახურს უწევდა. ის ახალციხის ფელიმ ფაშას ხიმშიაშვილს ემოციქულებოდა და მას ხელმწიფის ქვეშევრდომობაში შემოსვლას ეპატიჟებოდა.** ვიდრე ეს მოციქულობა გრძელდებოდა, ახალციხის მხრიდან ქართლში ლეკ-ოსმალთა შემოჭრის შიში არ იყო. მეორე მხრივ, ზურაბ წერეთელი იმერეთში და მის გარეთ სოლომონ მეფის ორგულთა გამრავლებას ცდილობდა. მართალია, იმერეთში მისმა ამ მხრით მოღვაწეობამ თითქმის უქმად ჩაიარა, სამაგიეროდ, მნიშვნელოვანი წარმატება ხვდა გურიაში.

ამ ხანებში გურიელის სახლში ბრძოლა-შფოთი გრძელდებოდა. სოლომონი მხარს უჭერდა მამია გურიელს, რომელსაც ბიძამისი ვახტანგი ებრძოდა. იმერეთის მეფის დასუსტების მიზნით საქართველოს რუსული ხელისუფლება გურიის საქმეებში ერეოდა და ვახტანგს ექომაგებოდა. ახლა ზურაბმა მამიას გადმობირება იკისრა. ცბიერმა თავადმა ადვილად დაარწმუნა ახალგაზრდა გურიელი, რომ ის ხელმწიფის საფარველს ქვეშ დადიანოვით იმერეთის მეფისგან დამოუკიდებელი მთავარი შეიქნებოდა, თუ სოლომონ მეფეს გადაუდგებოდა. წერეთელმა გურიელის თანხმობა მიიღო და ეს თავისი წარმატება ტორმასოვს აცნობა.

**1809 წლის 24 სექტემბერს ტორმასოვი უკვე ატყობინებდა ჯერ კიდევ ფოთის ალყად მდგომ ორბელიანს, რომ მან პეტერბურგიდან უკვე მიიღო უმაღლესი ნებართვა იმერეთში საჭირო დამატებითი ჯარის წაყვანისა და სამხედრო ძალის გამოყენებით სოლომონ მეფის ტახტიდან ჩამოგდების შესახებ, როცა ყველა მშვიდობიანი საშუალება უშედეგოდ ამოიწურებოდა.**

ზურაბ წერეთლის რჩევით ტორმასოვმა ამ საქმის შემსრულებლად პოლკოვნიკი სიმონოვიჩი შეარჩია და გეგმა დააწყო. ფოთს ორბელიანისთვის მიშველების საბაბით, იგი ერთ პოლკ ჯარს პოლკოვნიკ სიმონოვიჩის სარდლობით დასავლეთ საქართველოში გაგზავნიდა. სიმონოვიჩს საიდუმლო განკარგულება ჰქონდა, რომ ფოთის დაპყრობის უმალ იმერეთში წამოსულიყო და სოლომონ მეფის საქმის წარმატებისთვის ტორმასოვი სიმონოვიჩს თან დაატანდა დავით თარხნიშვილს — ზურაბ წერეთლის სიძეს და მის განზრახვათა მოზიარეს. დავით თარხნიშვილი რუსული ხელისუფლების ერთგულ კაცად ითვლებოდა და ჯერ კიდევ გუდოვიჩს გაენდო მისთვის საიდუმლო გეგმები, სოლომონ მეფის ტახტიდან ჩამოგდებას რომ შეეხებოდა. აი, ამ სამეულს — სიმონოვიჩს, ზურაბს და დავითს უნდა შეემუშავებინა ადგილზე კონკრეტული სამოქმედო გეგმა. ამავე დროს, ტორმასოვმა სოლომონ მეფეს წერილი მისწერა და შეატყობინა, რომ ის ფოთში ორბელიანს უგზავნის მაშველ ჯარს. საქართველოს მთავარმართებელი აქვე განმარტავდა ფოთის დაპყრობისა და ოსმალეთის განდევნის დიდ მნიშვნელობას იმერეთისთვის და იმედს გამოთქვამდა, რომ ეს ჯარი სოლომონის ქვეყანაზე, მეფის ხელისშეწყობით, მშვიდად გაივლიდა.

ნოემბერში პოლკოვნიკმა სიმონოვიჩმა თავისი ჯარით იმერეთი გაიარა და ფოთს ჩავიდა. ამასობაში ორბელიანს ციხე უკვე აეღო.

* * *

## აფხაზეთი

ამ ხანებში დამოკიდებულება რუსეთსა და ოსმალეთს შორის თანდათან უარესდებოდა. პ.დ. ციციანოვიც მოკლეს და რუსეთის მთავრობის საქმეები ამიერკავკასიაში საფრთხის ქვეშ დადგა. ქელაიშ-ბეგი გადვირფასდა. **ახლა რუსეთის მთავრობა იმასაც დიდ მიღწევად თვლიდა, თუ აფხაზეთის მთავარი დადიანის წინააღმდეგ სოლომონ იმერთა მეფეს არ შეუკავშირდებოდა. პეტერბურგიდან ადგილობრივ რუსულ ხელისუფლებას საგანგებოდ უბრძანებდნენ, რათა ყოველი ღონე ეხმარათ აფხაზეთის მთავრის გულის მოსაგებად.**

რაც შეეხება ქელაიშ-ბეგის ხელმწიფის საფარველში მიღებას, ეს თუმცა ფრიად სასურველი იყო, მაგრამ, ვიდრე რუსეთ-ოსმალეთს შორის ზავი გრძელდებოდა, მოუხერხებელი ჩანდა. თანაც რუსეთის მთავრობა არც იმაში იყო დარწმუნებული, რომ ქელაიშბეგი ამ ნაბიჯით თავის მთავრობასთან პოლიტიკურ თამაშს არ ეწეოდა და რომ ამ მაჰმადიან მთავარსა და ოსმალეთის სულტნის დიდმოხელეს ქრისტიანი ხელმწიფის ხელქვეშ შემოსვლა გულწრფელად სურდა.

ქელაიშ-ბეგი კი ამ თავისი გადაწყვეტილების გულწრფელობის არა ერთ საბუთს იძლეოდა. ის არ შეუკავშირდა სოლომონ იმერთა მეფეს, არამედ, პირიქით, კეთილმეზობლობის ხელწერილი დაუდო დადიანის სახლს. ასევე ფიცით მოურიგდა სამურზაყანოელ ლევან შარვაშიძეს. ამავე რიგის იყო ქელაიშ-ბეგის პასუხი ოსმალეთის მთავრობის ღონისძიებაზე.

**1806 წელს, ივლისში, ქელაიშ-ბეგის დასასჯელად აფხაზეთის სანაპიროს ტრაპიზონიდან ოსმალეთის ფლოტილია მოადგა. ოსმალებმა ძველებურ ხერხს მიმართეს. მთავრობის სახლის შიგნით არსებული ფეოდალური ქიშპის გამოყენება სცადეს: ქელაიშ-ბეგის პირად მტერს მანუჩარ შარვაშიძეს მთავრის წინააღმდეგ ლაშქრობაში მოუწოდეს. გენერალმა რიკჰოფმა მანუჩარი დააჯერა ასეთი ნაბიჯის არასასურველობაში.**

აფხაზეთის მთავარი ოსმალურ დამსჯელ ექსპედიციას საგანგებოდ მომზადებული დაუხვდა. აფხაზებს გარდა მას დამხმარებ ჩერქეზები მოსვლოდნენ. ქელაიშ-ბეგის 25000-იანი ლაშქრის წინააღმდეგ ოსმალთა ექსპედიცია უღონო იყო და მას უშედეგოდ უკან დაბრუნების მეტი არაფერი დარჩენოდა. დამსჯელი ექსპედიციის გაწბილებულმა უფროსმა უხერხული მდგომარეობიდან ვითომ გამოსავალი ნახა. მან განაცხადა, რომ ფლოტილია გამოგზავნილი იყო მხოლოდ ტაიარ ფაშას წასაყვანად, ხოლო რაკი ეს მოღალატე ფაშა აფხაზეთიდან წასულა, მას აქ სხვა საქმე არა აქვს რა.

რა თქმა უნდა, ამ განცხადებისა არავის სჯეროდა და ყველაზე უფრო არა სჯეროდა ქელაიშ-ბეგს, რომელმაც სულტნის კარის თვისებები მეტად კარგად იცოდა.

ამის შემდეგ ქელაიშ-ბეგს რუსეთის მთავრობამ კიდევ უფრო მეტი ყურადღება მიაქცია. მით უფრო, რომ ახლა 1806 წელი იყო, როცა ოსმალეთთან ომს დღე-დღეზე მოელოდნენ. ბოლოს, **1806 წლის მიწურულს, რუსეთ-ოსმალეთს შორის ომიც დაიწყო. უკუმდგარი მთავრის დასალუპავად ოსმალეთის მთავრობა საშუალებებს ეძებდა, ქელაიშ-ბეგი კი რუსთხელმწიფის წყალობას მოუთმენლად ელოდა და საქართველოს მთავარმართებელისგან შემწეობას ითხოვდა. რუსეთის მთავრობა საქმეს სწავლობდა, ფრთხილობდა და გადაწყვეტილების მიღებას აგვიანებდა. საქართველოს რუსული ხელისუფლება ქელაიშ-ბეგისგან პოლიტიკური გულწრფელობის უეჭველ საბუთს — ოსმალთა წინააღმდეგ ომში აქტიურ მონაწილეობას მოითხოვდა.**

ამ დროს დიდ შიშში იყვნენ, რომ ოსმალთა ჯარი ყულევს დაეცემოდა. ქელაიშ-ბეგს შეეძლო, წარმატებით მოეგვარებინა რუსთა მიერ ფოთის ღალატით აღება, რომლის ციხისთავი ამ მთავრის დადგენილი იყო. ერთი სიტყვით, აფხაზეთის მთავარს შემთხვევა ეძლეოდა, თავისი პოლიტიკური პოზიცია საბოლოოდ გამოერკვია. ასე მსჯელობდა რუსეთის მთავრობა.

ხელმწიფის მფარველობის მიღების საქმეში რუსეთის მთავრობის ასეთი ხელგვიანობა ქელაიშ-ბეგს აეჭვებდა და მიმდინარე ომში მას განსაკუთრებულ სიფრთხილეს უკარნახებდა. **აფხაზეთის მთავარი იძულებული იყო, სახიფათო ნეიტრალური პოზიცია აერჩია. ამიტომაც იყო, რომ ქელაიშ-ბეგი არც ყულევის ოსმალოთაგან დასაცავად გამოსულა და არც რუსეთისთვის ფოთის შოვნას ცდილა. 1807 წლის 14 ივლისს საქართველოს მთავარმართებელი გარკვევით აყვედრიდა აფხაზეთის მთავარს, რომ მას, ხელმწიფის მფარველობაში შესვლის მაძიებელს, მთელი ამ ომის დროს ხელმწიფისთვის რაიმე სამსახური არ უჩვენებია.**

ოსმალეთი კი ქელაიშ-ბეგს, თუ აქამდე სულტნის ურჩობას აბრალებდა, ამიერიდან იგი მას სახელმწიფოსა და რჯულის მოღალატედაც თვლიდა.

გაგრძელება იქნება




გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» მეცხრე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ყველაზე უცნაური ვარცხნილობები

**1916 წელს გამოცემულ წიგნში „ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია ფსიქოლოგიის თანხლებით“ წერია, რომ „ადამიანის თმა ორგვარია — კაცისა და ქალისა. პირველს ჩვეულებრივ სიმელოტე ჰქვია, მეორეს — ვარცხნილობა“.**

ყველაზე მოუხერხებელი ვარცხნილობები სუსტი სქესის წარმომადგენლებს **მარია-ანტუანეტას** ეპოქაში ჰქონდათ. მაშინ სილამაზე მართლაც უდიდეს მსხვერპლს მოითხოვდა და ბალიშზე თავის დადების თანამედროვე გაგება მათთვის არაამქვეყნიური ნეტარება იყო. ვარცხნილობის შესანარჩუნებლად თავი, ფაქტობრივად, ჰაერში უნდა ჰქონოდათ გადაკიდული, თაგვებისგან თმის დასაცავად კი ძილის წინ რკინის ბადეს იხურავდნენ ქუდივით. თავად მარია-ანტუანეტას ვარცხნილობის შესახებ შემორჩენილ ცნობებში აღნიშნულია, რომ ბუმბულების, არშიებისა და სხვა მორთულობების დახმარებით მისი სიმაღლე 91,5 სანტიმეტრს აღწევდა. იმისათვის, რომ ამგვარ შედევრებს ერთი თვე მაინც გაეძლოთ, თმას ქონით პოხავდნენ.

მე-18 საუკუნის ყველაზე რთულ ნამუშევრად თავზე აფრიანი გემებისა და ხილით სავსე კალათების დამაგრება ითვლებოდა, ყველაზე დიდ გმირობად — მათი რამდენიმე თვის განმავლობაში შენარჩუნება. ევროპელი ქალებისაგან განსხვავებით, იაპონელ გეიშებს ვარცხნილობის შესანარჩუნებლად წიწიბურით სავსე ტომრებზე ეძინათ. სამურაებს კი ჰქონდათ დაახლოებით 20 სანტიმეტრის სიგრძის თმის სარჭები, რომელთაც საჭიროების შემთხვევაში დანებადაც მშვენივრად იყენებდნენ.

დღეს ყველაზე თამამ ვარცხნილობას ბერლინის საპარიკმახეროში „საკეისრო კვეთა“ წარმოადგენს. ამ დაწესებულების ლოზუნგი „თუნდაც წარღვნა“ ზუსტად ამართლებს ამ დაწესებულების საქმიანობას. მხოლოდ მოითხოვეთ და წარღვნა თქვენს თავზეც იქნება. და არა მხოლოდ წარღვნა, შეგიძლიათ სვანური კოშკი, საყვარელი ადამიანის პორტრეტი ან ზემოხსენებული საკეისრო კვეთა ისურვოთ — ყველაფერი დასაშვები და შესრულებადია.

გერმანელებს არც ბულგარელები ჩამორჩებიან. სტილისტმა ტანია მიხაილოვამ თავის შედევრს „ინტერნეტი“ დაარქვა. ამ ვარცხნილობის მთელი არსი შემდეგშია: მარჯვენა საყურეში დამონტაჟებულია მიკროელემენტი, მარცხენაში — ჩამრთველი. თმა კი სავსეა ბოჭკოვანი კაბელებითა და უამრავი ნათურით.

მაგრამ მთელ მსოფლიოში ყველაზე მოხერხებული ვარცხნილობა მაინც მელოტებს აქვთ. ახლა მათი უფლებების დამცველი ინგლისური კლუბის ლოგოზე ჩერჩილის ფოტოა გამოსახული.

გინესის რეკორდების წიგნში კი ყველაზე ძვირადღირებული ვარცხნილობის ადგილი მილიონერი ლატეოს თავზე ცნობილი ადამიანების უცვლელი პარიკმახერის — ფილიპსის მიერ შექმნილ შედევრს უჭირავს. არავინ იცის, როგორი იყო ეს შედევრი, მაგრამ ცნობილია, რომ კლიენტს იტალიაში დასვენებისას მოუნდა პირადი პარიკმახერის მომსახურებით ესარგებლა. ეს უკანასკნელი კი პირველი კლასით ფრენის შემდეგ დანიშნულების ადგილზე მისასვლელად ლიმუზინში გადაჯდა და ლატეოს თავისი ახირება 16 000 დოლარი დაუჯდა.

იაპონელი დიზაინერის — ნაგი ნოდას ცხოველთა თავების კოლექცია დღემდე ყველაზე ორიგინალურად ითვლება.









# ყველაზე მდიდრები

**ჟურნალმა „Forbes“-მა პირველად გამოაქვეყნა რეიტინგი „ძალაუფლება და ფული“ და მასში თანამდებობის პირთა 100 ყველაზე შემოსავლიანი ოჯახი ჩამოთვალა. სიაში დანიშნული და არჩეული თანამდებობის პირები — პრეზიდენტები, დეპუტატები, სენატორები და სახელმწიფო კორპორაციების მეთაურები მოხვდნენ. რეიტინგი შედგენილია თანამდებობის პირთა ოჯახების მთლიანი შემოსავლის მიხედვით 2009 წლის განმავლობაში. ოჯახის წევრების ქონება ჟურნალისათვის მნიშვნელოვანი იმიტომ გახდა, რომ მთელ მსოფლიოში თანამდებობის პირები თავიანთ ქონებას სწორედ მათზე აფორმებენ ხოლმე.**



პირველი ადგილი მოსკოვის მერ იური ლუჟკოვს ერგო. მისი ოჯახის შემოსავალმა მილიარდ დოლარს გადააჭარბა. ამ თანხის ძირითად ნაწილს მერის მეუღლე ელენე ბატურინა გამოიმუშავებს. თავად ლუჟკოვის ანაზღაურება სულ რაღაც 7,98 მილიონი რუბლი აღმოჩნდა. ოჯახის საკუთრებაშია უძრავი ქონების ცხრა ობიექტი და შვიდი ელიტური ავტომანქანა. მოსკოვის ქონების გარდა, მერს მიწის ნაკვეთი და სახლი აქვს ავსტრიაში, ბრიტანეთსა და ესპანეთში.



ლუჟკოვის სახლი ლონდონში



მორიგი რეიტინგის შედგენისას ჟურნალი რეპერებით დაინტერესდა. ყველაზე ძვირადღირებულის ადგილი ამ კატეგორიაში და ჰიპ-ჰოპის მეფის ტიტული მომღერალ ბეიონსის შეყვარებულმა Jay-Z–მა მოიპოვა. რეიტინგი კონცერტების, ალბომების გაყიდვითა და შოუებში მონაწილეობით მიღებული შემოსავლების მიხედვით შედგა. გამარჯვებულის (მისი ნამდვილი სახელი შონ კარტერია) ერთი წლის შემოსავალმა 63 მილიონი დოლარი შეადგინა. ბრუკლინელი ბიჭისათვის, რომელმაც, კრიტიკოსთა აზრით, ჰიპ-ჰოპის სახე შეცვალა, ყოველი კონცერტი მილიონის მომტანი იყო. ის ფულს, ძირითადად, ღამის კლუბებსა და მიუზიკლებში აბანდებს. ასევე ცნობილია, რომ რუს მილიარდერ მიხაილ პროხოროვთან ერთად ის „New Jersey Nets“-ის თანამფლობელია.



JAY-Z და ბიონსი



კადრი ფილმიდან „წინადადება“



ყველაზე ძვირადღირებული მსახიობი ქალის ტიტული ოსკაროსან სანდრა ბალოკს ხვდა წილად. მისი უკანასკნელი ფილმი „წინადადების“ შემოსავალმა ფილმის 40-მილიონიან ბიუჯეტს ზუსტად რვაჯერ გადააჭარბა და 320 მილიონს მიაღწია. 30-მილიონიანი ბიუჯეტის მქონე ფილმის „უკანა მხარე“ შემოსავალმა კი 310 მილიონს გადააჭარბა და სანდრას ოსკარი მოუტანა. საერთო ჯამში ბალოკმა ერთი წლის მანძილზე 56 მილიონი დოლარი გამოიმუშავა.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ყველა დროის ყველაზე საშინელი საშინელებათა ფილმები

კინემატოგრაფის ისტორიის მანძილზე შექმნილი საშინელებათა ფილმების საუკეთესო ასეულს სათავეში სტენლი კუბრიკის მიერ 1980 წელს გადაღებული ფილმი **„ნათება“** მოექცა. ფილმი სტივენ კინგის ამავე სახელწოდების რომანის ეკრანიზაციაა. ამერიკის კინოს ინსტიტუტის 2001 წლის რეიტინგში ამ ფილმმა მეოცე საუკუნის 100 ყველაზე საშიში ფილმის სიაში 29-ე ადგილი მოიპოვა. 2003 წელს ფილმის პერსონაჟმა ჯეკ ტორანსმა 25-ე ადგილი დაიკავა რეიტინგში „100 წელი... 100 გმირი და 100 ბოროტმოქმედი“; ამავე წელს „ნათება“ ყველა დროის ყველაზე საშიში ფილმების ასეულის სათავეში მოექცა და ამ პოზიციას ბოლო დრომდე ინარჩუნებს. მასში მთავარ როლს ჯეკ ნიკოლსონი ასრულებს. მისი გმირი მწერალია, რომელიც ქკუიდან შეიშალა და საკუთარი ოჯახის ამოხოცვას ცდილობს.



**კადრი ფილმიდან „ნათება“**

რეიტინგის მეორე ადგილი **„როზმარის ბავშვს“** ერგო. ის რომან პოლანსკიმ აირა ლევინის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით გადაიღო და „საბინაო ტრილოგიის“ მეორე ნაწილია. ტრილოგიაში შედის ფილმები „ზიზღი“ და „ბინადარი“. ეს რომან პოლანსკის პირველი, ჰოლივუდში გადაღებული, ფილმი და ლიტერატურული ნაწარმოების ეკრანიზაციის მისი პირველი მცდელობაა. სიუჟეტის მიხედვით, ახალგაზრდა როზმარი და მისი მეუღლე ნიუ იორკში რამდენიმე უცნაური ადამიანის მეზობლად გადადიან საცხოვრებლად. წყვილს შვილი უნდა, სიზმრად ქალი ხედავს, რომ რაღაც დემონური არსება აუპატიურებს, მალე კი აღმოაჩენს, რომ ნამდვილად ორსულადაა.



მესამე ადგილზე ფილმი **„დაწნული კაცი“** გავიდა. რეჟისორ რობინ ჰარდის 1973 წლის ნამუშევარს 1979 წელს პრემია სატურნი მიენიჭა, როგორც საუკეთესო საშინელებათა ფილმს. სიუჟეტის მიხედვით, შოტლანდიის მახლობლად მდებარე კუნძულზე ინსპექტორი გოვი არასრულწლოვანი გოგონას გაუჩინარების გამოსაძიებლად ჩადის, მაგრამ მალე აღმოაჩენს, რომ კუნძულის მთელი მოსახლეობა უძველესი რიტუალების მიმდევარია.




**პირველი ათეულის მომდევნო პოზიციებზე განლაგდა ფილმები:**




„ფრანკენშტეინის საცოლე“ (1935)




„ფსიქო“ (1960)



„უცხო“ (1979)




„ცოცხალი მიცვალებულების ღამე“ (1968)




„ტეხასური ხოცვა-ჟლეტა ბენზოხერხით“ (1974)




„ჰელოუინი“ (1978)




„ყბები“ (1977)

# ყველაზე სულელური გამოგონებანი

### გორგოლაჭებიანი ტრენაჟორი

ახალბედა სკეიტერისთვის ყველაზე ძნელი წონასწორობის შენარჩუნებაა. ამიტომაც გორგოლაჭებიანი ტრენაჟორის გამომგონებელმა გადაწყვიტა, პირველი და მეორე გასეირნების ტრავმულსაშიში პროცესი მხიარულ თამაშად ექცია და პატარა ციგურებისთვის ველოსიპედის საჭე მიემაგრებინა. არადა, გაუგებარია, როდის უნდა მართოს სკეიტერმა საჭით ტრენაჟორი, რომელიც, სხვათაშორის, არცთუ იაფი ღირს. გამომგონებლის სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ გამოიძებნა ერთი ექსცენტრიკოსი მილიონერიც კი, რომელიც თავის პირმშოს ან შვილიშვილს ამ გორგოლაჭებიან საოცრებას შეუძენდა.

### პრეზერვატივი კოცნისთვის

ეს უცნაური ფარი კოცნისთვის ამერიკელმა გამომგონებელმა შექმნა. ეტყობა, თვითონ ისეთი უშნო იყო, რომ არც ერთმა ქალმა არ მოისურვა მისი კოცნა... გამომგონებელი ირწმუნება, რომ მისი ფარი, უპირველესად, პოლიტიკოსებს გამოადგებათ, რომლებსაც ხშირად უწევთ მავანთა გადაკოცნა, რაც ძალზე სახიფათოა, გარშემო ხომ უამრავი მიკრობი და ბაქტერიაა. სხვათაშორის, ეს „ორიგინალური“ ფარი თითქმის არაფრით განსხვავდება ტრადიციული დამცავის — პრეზერვატივისგან, ოღონდ ის... თავზე უნდა ჩამოიცვა!



### თავის მისაყრდნობი

ეს სასარგებლო ნივთი 1979 წელს მათთვის გამოიგონეს, ვისაც მჯდომარე სამსახური აქვს და კისერი და ზურგი ეძაბება. სამუშაოს შესრულებისას შესაძლებელია შუბლის მიყრდნობა რბილ ბალიშზე, რომლის სადგარიც უშუალოდ მაგიდაზე მაგრდება.



### ველოსიპედი-გაზონის საკრეჭი

ეს მუდმივი პრობლემის არატრივიალური გადაწყვეტაა: საით უნდა მიიმართოს ბავშვის დაუოკებელი ენერგია, რომ მშობლებმა ამით რაღაც სარგებელი ნახონ? გამომგონებელმა გადაწყვიტა, სამბორბლიანი ველოსიპედი და გაზონის საკრეჭი მანქანა გაეერთიანებინა, რათა ბავშვს ტყუილ-უბრალოდ არ ესეირნა სახლის გარშემო. თვითმხილველთა თქმით, „ველოსიპედი,“ რომელსაც უკანა ბორბლებს შორის რაღაც ხმაურიანი საგანი მიუმაგრეს, მხოლოდ იმ ბავშვებს მოეწონებათ, რომლებსაც ნაკლოვანი სმენა აქვთ, რადგან მანქანა ისე ღმუის, რომ მისი ხმა მეზობელ ქუჩებში ისმის. გამოგონების პატენტი 1984 წელს გაიცა, მაგრამ ბოლო ათწლეულების განმავლობაში ამ ჰიბრიდის მასობრივი წარმოება არავინ მოისურვა.

# ყველაზე ეკონომიური და ეკოლოგიური სახლი

**ბრიტანელმა არქიტექტორებმა ეკოლოგიური სახლები შექმნეს იმის დასამტკიცებლად, რომ ადამიანს ბუნებასთან სრულ ჰარმონიაში ცხოვრება შეუძლია.**

მართალია, ეს სახლები ხეზე არ მაგრდება და ლითონის მაღალ საყრდენებს ებჯინება, მაგრამ მაინც ვარჯებს შორისაა განთავსებული. კედლები მთლიანად გამჭვირვალე აქვს, პანორამული ფანჯრები კი მზის ენერგიის მაქსიმალურ გამოყენებაზეა გათვლილი. სამზარეულოს ფანჯრები აღმოსავლეთით გადის, საძინებლიდან კი მზის ჩასვლის ცქერით შეგიძლიათ დატკბეთ.

ღამით განათებას აკუმულატიური ბატარეები უზრუნველყოფს, რომლებიც დღისით მზის ენერგიით იმუხტება, ხოლო გაქიანურებული წვიმის სეზონისთვის ქარის წიქვილებიელექტროგენერატორებია გათვალისწინებული. გამოიყენება წვიმის წყალიც: ის სახურავის პერიმეტრზე დიდ ცისტერნებში გროვდება, საიდანაც ონკანებში მოედინება. ასეთ „მწვანე სახლებში“ 1-5 ოთახია.



გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## რესტორანი კაციჭამიებისთვის



**აგვისტოს ბოლოს გერმანული ორგანიზაცია „Flime"-ის საიტზე გაჩნდა ინფორმაცია, რომ ამავე დასახელების რესტორანი დონორებს ეძებს. ბერლინელებს და ნებისმიერ სხვა მსურველსაც სთავაზობდნენ, რომელიმე ორგანო გაეღოთ მსხვერპლად და ამით რესტორნის მენიუ გაემრავალფეროვნებინათ. დონორებს წინასწარ მხოლოდ ჯანმრთელობის ცნობის წარდგენა მოეთხოვებოდათ. გარდა ამისა, რესტორანი ვაკანსიას აცხადებდა „უკომპლექსო" ქირურგებისთვისაც.** საიტზე მითითებული არ იყო რესტორნის მისამართი და არც ის, თუ რა ხორცით დამზადდებოდა მენიუში ჩამოთვლილი კერძები. სამაგიეროდ, მითითებული იყო კაციჭამიების რესტორნის გახსნის თარიღი და სწორედ ამ ღირსშესანიშნავ დღეს გაირკვა, რომ ეს ყოველივე ვეგეტარიანელთა მწარე ხუმრობა იყო. ახლა აღნიშნულ საიტზე ადამიანის ორგანოებს აღარ ითხოვენ. ამ განცხადების ნაცვლად, დიდი ასოებით წერია, რომ ცხოველებით კვება იგივეა, რაც კაციჭამიობა.

## 47-კილოგრამიანი ჩემპიონი ჭამაში



**ბაფალოში გამართულ ტრადიციულ, ყოველწლიურ ჩემპიონატზე ქათმის ფრთების ჭამაში ამერიკელმა სონია ტომასმა გაიმარჯვა. საოცარი ისაა, რომ ეს ქალბატონი 47 კილოგრამზე ოდნავ მეტს იწონის და მისი სიმაღლე 152 სანტიმეტრია.**

სონიამ 12 წუთში ქათმის 181 ფრთა (დაახლოებით 2,2 კილოგრამი ხორცი) შეჭამა და თავის მთავარ კონკურენტს 12 ფრთით აჯობა. ჭამის კონკურსების პროფესიონალმა მონაწილემ ჯოი ჩესტნატმა მოცემულ დროში მხოლოდ 169 ფრთა გადასანსლა. უნდა აღინიშნოს, რომ მისი წონა 104 კილოგრამს აღემატება. 46 წლის სონია ტომასმა ამ გამარჯვებით ახალი რეკორდი დაამყარა, წინა რეკორდი 2005 წელს დამყარდა და ისიც მას ეკუთვნოდა; მაშინ მან 12 წუთში 174 ფრთა შესანსლა. გარდა ამისა, ქალს მწარე წიწაკებისა და მოხარშული კვერცხების ჭამაშიც აქვს რეკორდები დამყარებული.

## სან-ფრანცისკოელი ადამიანი-ობობა




**ალპინისტი დენ გუდვინი მთებში სიარულით დაიღალა და შენობებს დაერია. მის მიერ დაპყრობილი უკანასკნელი მწვერვალი სან-ფრანცისკოს 58-სართულიანი ცათამბჯენია. საბრალო დენი შენობის კედელზე აფორთხების სიხარულს რიგიანად ვერც ეზიარა, რადგან მიწაზე დაბრუნებისთანავე ადამიანი-ობობა პოლიციის კლანჭებში აღმოჩნდა საზოგადოებრივი წესრიგისა და პირადი საკუთრების საზღვრების დარღვევის ბრალდებით.** ალპინისტმა „Millennium Tower"-ზე ასვლას 3 საათი და 15 წუთი მოანდომა. გუდვინი ადრეც მიმართავდა ხოლმე მსგავს გართობებს; მაგალითად, 1986 წელს ტორონტოს სატელევიზიო ანძაზე აძვრა, ორი წლით ადრე — ტოკიოს „Nippon Television"-ის შტაბბინაზე, 1983 წელს კი მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ტყუპი შენობებიდან ერთ-ერთზე. დიდი წარმატებით იპყრობდა მრავალსართულიან შენობებს კარაკასში, ჩიკაგოსა და ლოს-ანჯელესში. რაც უნდა უცნაური იყოს, ამ მეთოდით ალპინისტი ონკოლოგიურ ავადმყოფებს ამხნევებს, რადგან თავად სიმსივნის მეოთხე სტადიის შემდეგ განიკურნა.

# კლიმატური იარაღი: მითი თუ რეალობა?

**კაცობრიობა იარაღის მორიგი რევოლუციის ზღვარზე დგას. თუ ნამდვილად რეალური აღმოჩნდება ის, რაზეც სულ უფრო ბევრს საუბრობენ, წინ შეიარაღების მხრივ შეჯიბრის გაცილებით დაძაბული ბრძოლები გველის, ვიდრე ეს ჩვეულებრივი იარაღიდან ბირთვულზე გადასვლისას იყო. მაგრამ იქნებ ეს ყველაფერი მხოლოდ პოლიტიკური ფანტასტიკის სფეროდანაა?**


„HAARP"-ი

საკმარისია, რომელიმე მნიშვნელოვან დღეს ღრუბლიანობამ საქმის ჩაშლის საფრთხე შექმნას, რომ მსოფლიო მშვიდად და აუღელვებლად მიმართავს ამინდის შეცვლის უკვე მრავალჯერ ნაცად ხერხს — ღრუბლების გაფანტვას. ამ მიზნით, გამოყენებადი ტექნოლოგია, როგორც სპეციალისტები ამბობენ, კლიმატური იარაღის ერთ-ერთი ყველაზე „მარტივი" სახეობაა და კაცობრიობისთვის რაიმე განსაკუთრებულ საშიშროებას არ წარმოადგენს. მაგრამ სიმშვიდის საფუძვლად ეს არ გამოდგება. **არსებობს გაცილებით უფრო კარდინალური ალგორითმები, რომლებიც ატმოსფერულ მოვლენებს — ქარიშხლებს, გვალვებს, გადაუღებელ წვიმებსა და წყალდიდობებს დამანგრეველ, ადამიანის მიერ მართვად იარაღად აქცევს.** ქაღალდზე ეს ისე გამოიყურება, როგორც დედამიწის მახლობელ სივრცეში უძლიერესი ლაზერების გაშვებით მაღალი წნევის გიგანტური ზონების შექმნა. **როგორც მთელი რიგი პუბლიკაციებიდან ჩანს, აშშ-ისა და საბჭოთა კავშირის ლაბორატორიებში ინტეგრალური გეოფიზიკური იარაღის შესაქმნელად მუშაობა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში დაიწყეს.**

უკანასკნელი წლების განმავლობაში განუწყვეტლივ საუბრობენ კლიმატის გლობალურ ცვალებადობაზე. ამის ფაქტობრივი დადასტურებებიც უკვე საკმარისზე მეტია. მაგალითად, რუსეთსა და უკრაინაში ექსტრემალური სიცხის, არგენტინისა და პერუს დიდთოვლობის, პაკისტანის კატასტროფული წყალდიდობების გახსენებაც კმარა. ამ კატასტროფებს ერთი რამ აერთიანებს — ხსენებულ რეგიონებში მანამდე მსგავსი არაფერი მომხდარა. მეცნიერთათვის აღნიშნული მოვლენების დაფიქსირება, შესაძლოა, დაკვირვებათა გრძელ სიაში მხოლოდ მორიგი სტრიქონი იყო, პოლიტიკოსებისთვის კი პიარის ნოყიერი ნიადაგი აღმოჩნდა. აგორებული ტალღის ცალსახად ბოდვად შერაცხვა დაუდევრობა იქნებოდა.

დავიწყოთ რამდენიმე ფაქტით. **არც თუ დიდი ხნის წინათ მსოფლიო პრესაში დაიბეჭდა აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების ანალიტიკოსთა მოხსენება სათაურით „ამინდი, როგორც ძალის კოეფიციენტი: ამინდის დამორჩილება 2025 წელს". სკეპტიკოსები იტყვიან, რომ ეს ჩინოვნიკების მორიგი ხრიკია მთავრობისგან სოლიდური დაფინანსების მისაღებად. მაგრამ დოკუმენტის ზედაპირული ანალიზიც კი ირიბად ადასტურებს ეჭვს, რომ გარკვეული სამუშაოები მიმდინარეობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამხედროები არ მიანიშნებდნენ „გარემოზე სამხედრო ზემოქმედების ამკრძალავი კონვენციიდან" აშშ-ის გასვლის მიზანშეწონილობაზე.** როგორც ჩანს, მათთვის ისიც არ კმარა, რომ სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ ამინდზე ზემოქმედების მხრივ სამუშაოების რეგლამენტირებისთვის არანაირი დოკუმენტი არ არსებობს.

**მნიშვნელოვან საფუძვლებზე დაყრდნობით (და ამას არაერთი სამეცნიერო სტატია მიეძღვნა, წერდა ამაზე „საქართველო და მსოფლიოც"), შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამერიკული პროგრამა „HAARP"-ის ფარგლებში მიმდინარე ექსპერიმენტები, რომლებიც კიდევ ბევრ სხვა რამესთან ერთად აშშ-ში, პუერტო-რიკოსა და ავსტრალიაში ელექტრომაგნიტურ ტრანსლაციას მოიცავს, სხვა არაფერია, თუ არა კლიმატის მართვის თაობაზე ფაქტიური მონაცემების შეგროვება.**

პროგრამის ტექნიკური საფუძველი ელექტრომაგნიტური გამომსხივებლების სისტემაა, რომელიც 360 რადიოგადამცემისა და 180 ერთეული 22-მეტრიანი ანძისგან შედგება. ყველაფერი მიმართულია იონოსფეროში მიმდინარე პროცესების შესწავლისკენ. ასხივებს რა 3600 კილოვატ ენერგიას, ის იონოსფეროზე ზემოქმედების მსოფლიოში უძლიერეს მექანიზმად იქცა.

**პროგნოზი, რომ „გლობალური გეოფიზიკური სამკუთხედის" რყევა შესაძლოა მსოფლიოში კავშირგაბმულობის სამხედრო და კომერციული სისტემების სრული ან ნაწილობრივი რღვევის, მეორეს მხრივ კი, ნებისმიერი ქვეყნის ტერიტორიაზე ამინდის კონტროლის საშუალება გახდეს, ადრე თუ გვიან გამართლდება.**

## სულაც არაა გამორიცხული, კლიმატური იარაღი ღიად გამოიყენონ არა მხოლოდ სახელმწიფოებმა, არამედ ტერორისტებმაც

პოლიტიკოსებს, ვნებათაღელვის გამოვლების ნაცვლად (მაგალითად, ჟირინოვკის მსგავს მუქარას ბუშის მიმართ, დედამიწის მაგნიტური ველის ხელოვნურად შეცვლისა და ამის შედეგად ამერიკის ჩაძირვის თაობაზე), შეეძლოთ საკუთარი ენერგია მშვიდობიანი მიზნებისთვის მოეხმარათ. მაგალითად, მითების მოყოლასა და მუქარას სჯობდა, იმ დოკუმენტის შექმნაზე ემუშავათ, რომელიც „ქარიშხლის ზარბაზნების" იდეას უკანონოდ გამოაცხადებდა. მაგრამ საამისოდ ერთი მცირე რამ აკლიათ: გლობალური აზროვნება. **გეოფიზიკური იარაღის არსებობის ფაქტის დაჯერებასთან ერთად შეუძლებელია არ ვაღიაროთ, რომ მისი ლოკალური გამოყენების უზრუნველყოფა უმაღლესი რანგის ამოცანაა.**

იონოსფეროში, რომლის გათბობაც კი საკმარისია მოწინააღმდეგის კავშირების გასაწყვეტად, ლობეების მშენებლობა ჯერ არ უსწავლიათ. კლიმატური იარაღის არსებობის დამადასტურებელი ფაქტების მოგროვება შეიძლება, მაგრამ ძნელად მოიძიება შემთხვევა, როცა ადამიანთა ლოკალურ ქმედებებს გლობალური და ხშირად შეუქცევადი შედეგებიც არ მოჰყოლოდეს.

სასურველია, გავიხსენოთ მიჩურინის სიტყვები: **„მას შემდეგ, რაც ჩვენ ჩავიდინეთ მის მიმართ, ბუნებისაგან მოწყალებას არ უნდა ველოდოთ". შეგვიძლია, კიდევ დიდხანს დავცინოთ უგო ჩავესს, რომელიც ჰაიტის მიწისძვრას სწორედ „HAARP"-ის ამოქმედებას უკავშირებს, მაგრამ, როდესაც საქმეს პოლიტიკოსები და სამხედროები ჰკიდებენ ხელს, შედეგი ყოველთვის „ფეთქებადი ნაზავია".**

დავუშვათ, 2002 წლის არნახული წყალდიდობები ევროპაში ამერიკიდან მართული აგრესია იყო და ევროპის ეკონომიკის განადგურებას ისახავდა მიზნად ამერიკულის სასარგებლოდ, მაგრამ ამერიკის ეკონომიკა მაინც განადგურდა — მსოფლიო კრიზისის ხელით. დავუშვათ, რომ მრავალი პოლიტიკოსი არ ტყუის და რუსეთის წლევანდელი არნახული გვალვა აშშ-დან იმართებოდა, მაგრამ ამას მარცვლეულის ექსპორტზე ემბარგო მოჰყვა და ამერიკასთან ერთად სხვა მრავალ ქვეყანას გაუჩნდა თავის ტკივილი. ამდენად, ჯერჯერობით ამ იარაღის სავარაუდო მომხმარებლები სათანადო პასუხს იღებენ და ამ ეტაპზე კლიმატური იარაღი მოქმედების შედეგების მიხედვით ვერ უტოლდება ბირთვულს, რომლის შემდეგაც აღარაფერი რჩება. მაგრამ, **ვინაიდან არ არსებობს არც ერთი მსოფლიო რეგლამენტი ამ პრობლემის დასარეგულირებლად, სულაც არაა გამორიცხული, კლიმატური იარაღი ღიად გამოიყენონ არა მხოლოდ სახელმწიფოებმა, არამედ ტერორისტებმაც.** ტერორიზმთან ბრძოლა კი ნებისმიერი პოლიტიკოსის ოცნებაა.

inosmi.ru


„HAARP"-ი



საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# აშშ-ის ახალი სტრატეგია — ქონების კონფისკაცია

**რაც უნდა უცნაურად ჟღერდეს, აშშ-მა შეიმუშავა სტრატეგია, რომლის თანახმადაც სახელმწიფო აგენტებსა და სასამართლო აღმასრულებლებს ევალებათ, მოძებნონ და დასაჯონ ადამიანები, რომლებმაც წარმატებებს მიაღწიეს. ეს ბრძანება პირდაპირ ეწინააღმდეგება ამერიკის კონსტიტუციას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ახლა უკვე სახიფათოა, იყო მდიდარი და წარმატებული ბიზნესმენი. ნებისმიერი ადამიანი, რომელმაც მოახერხა წარმატების, გამდიდრებისა და დამოუკიდებლობისთვის მიღწევა, სამიზნეა, რომელსაც თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფო ჩინოვნიკები ესვრიან.**




ამერიკული სასამართლოები ინტენსიურად გადაერთნენ „ღრმა ჯიბის“ პრინციპით ფუნქციონირებაზე. თუ ვიღაც განაცხადებს, რომ დაზარალდა რაღაცის გამო, აუცილებლად მოიძებნება ვიღაც სხვა, ვინც ამ ზარალს აანაზღაურებს. **დღევანდელ ამერიკაში განქორწინებულ ქმარს შეუძლია სასამართლოში უჩივლოს ფემინისტური წიგნის ავტორს იმ „ემოციური ზარალისთვის“, რომელიც მას ყოფილმა ცოლმა მიაყენა ამ წიგნში შოვინისტ ქმართან განქორწინების აუცილებლობის შესახებ წაკითხვით.**

თუ აშშ-ის სასამართლოში ვინმემ გიჩივლათ, ეს ნიშნავს, რომ ან თავი უნდა დაიცვათ და ამისთვის კოლოსალური თანხა დახარჯოთ, ან დამნაშავედ გცნობენ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მრავალწლიანი განხილვების შემდეგ ყველა უსამართლო ბრალდება მოგეხსნებათ, აღმოაჩენთ, რომ თქვენი დარჩენილი ქონების დიდი ნაწილი მთლიანად ადვოკატისთვის გაქვთ გადასახდელი. როგორც წესი, **სასამართლოსთვის მიმართვა შეუძლია ნებისმიერ ადამიანს, ნებისმიერ დროს და ნებისმიერი მიზეზით. მთავრობა ამას ყოველდღიურად აკეთებს დისიდენტების „მოსატეხად“, კორპორაციები — ფულის გასაკეთებლად, ცალკეული პირები და კონკურენტები — ერთმანეთისთვის ზიანის მისაყენებლად. ეს დაუსრულებელი თამაშია, რომელშიც მხოლოდ ადვოკატები იმარჯვებენ, ადვოკატები, რომლებიც ცალსახად დაინტერესებულნი არიან, რომ არა მხოლოდ მდიდარი, არამედ ნებისმიერი, ოდნავ შეძლებული, ადამიანიც კი „ღრმა ჯიბის“ თეორიის მსხვერპლად აქციონ.**

მრავალი წლის მანძილზე ამერიკელებს უცხოური ანგარიშების დეკლარირება და მათ გამო გადასახადების გადახდა არ უწევდათ. შემდეგ **ნარკოტიკების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის გამოცხადებამ აშშ-ის ხელისუფლებას მშვენიერი მიზეზი მისცა საიმისოდ, რომ კანონმდებლობა შეეცვალა. შედეგად ადგილობრივ მცხოვრებთა და უცხოელთა აქტივები და საბანკო ანგარიშები უმარტივესად შეიძლება „გაიყინოს“ ან კონფისკაციას დაექვემდებაროს.** ამისთვის სავსებით საკმარისი იქნება, თუ რომელიღაც მოზარდი გამოთქვამს ეჭვს, რომ რომელიღაც იახტა, თვითმფრინავი, მანქანა, სახლი ან საბანკო ანგარიში გარეულია ბუნების დაცვის კანონის დარღვევის, ორგანიზებული დანაშაულის, გადასახადების დაფარვის, ნარკოტიკებით ვაჭრობის ან უსასრულო სიის რომელიმე სხვა პუნქტის მიხედვით აკრძალულ საქმეში. ამგვარი დავის მოგების შანსი მინიმალურზე მინიმალურია, ამდენად, **აშშ ამჟამად ძალზე სახიფათო ზონაა ინვესტირების, ბიზნესის წარმოების ან თუნდაც ტურიზმის თვალსაზრისით. ქონების კონფისკაციის მასშტაბების მიხედვით, აშშ ახლა მესამე მსოფლიოს ქვეყნებს ტოლს არ უდებს და, ზოგიერთ შემთხვევაში, ჯობნის კიდეც.**

ამერიკის სამართალდამცავი სისტემა ახლა გულდაგულ არჩევს მსხვერპლს, ოღონდ, როგორც სასამართლო აღმასრულებლებს არაერთხელ უთქვამთ, არა ბრალდებულის დამნაშავეობის, არამედ მისი სოციალური სტატუსისა და სიმდიდრის მიხედვით. მისი დამნაშავეობა ხანდახან სერიოზულადაც კი არ განიხილება. **უცხოელი, რომელიც აშშ-ში რაიმე საქმეში მნიშვნელოვან კაპიტალს აბანდებს, საუკეთესო სამიზნეა არა მხოლოდ ქუჩის სამართალდამცავთათვის, არამედ სახელმწიფო აპარტამენტების ბინადართათვისაც.**

ამერიკაში მშვენივრად ესმით, რომ უცხოელები ხშირად საერთოდ არ ერთვებიან სასამართლო პროცესში თავიანთი ფულის დასაბრუნებლად, მაგრამ, თუ რომელიმე მათგანი მაინც იმდენად სულელი აღმოჩნდება, რომ ამ ქვეყნის სასამართლოში მოინდომებს საკუთარი ფინანსური ინტერესების დაცვას, მისთვის ბრალდების წარდგენასა და განაჩენის გამოტანას დიდი ძალისხმევა არ დასჭირდება.

განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, თუ ნაღდი ფულის გამოყენება გიწევთ. **დავუშვათ, სხვა ქვეყანაში მიფრინავთ, თვითმფრინავის ბილეთის შესაძენად ანგარიშსწორების სამი ვარიანტი არსებობს: საკრედიტო ბარათი, ჩეკი და ნაღდი ფული. სამივე სახიფათოა. ამერიკის ხელისუფლება თვლის, რომ, ვინაიდან ნაღდი ფული კვალს არ ტოვებს, მას ნარკომოვაჭრეები და ფულის გამთეთრებლები იყენებენ. ამიტომ დიდი თანხის ნაღდი ფულით გადახდისას თქვენით აუცილებლად დაინტერესდებიან. თუ საკრედიტო ბარათს ან ჩეკს გამოიყენებთ, საგადასახადო ინსპექტორი აუცილებლად გამოიძიებს, რატომ გაემგზავრეთ საზღვარგარეთ და ათას შარს ვერ ასცდებით.**

რას ვიზამთ, მსოფლიოს სახელმწიფოთა მთავრობები დღითიდღე აცნობიერებენ, რომ ფული ელევათ და ბიუროკრატებიც იძულებულნი არიან, ყოველდღიურად არა მხოლოდ ფულის, არამედ ქონების კონფისკაციის ახალ-ახალი მეთოდები შეიმუშაონ.

**აშშ-ში 1985 წლის 10-მილიონიანი მაჩვენებლიდან ქონების კონფისკაცია 1991 წლისათვის 644 მილიონამდე გაიზარდა. მომდევნო წელს ეს თანხა თითქმის გაორმაგდა და ხელისუფლების მიერ ხალხისთვის ჩამორთმეული ქონების საერთო ღირებულებამ მილიარდ დოლარს გადააჭარბა.**

იმ დანაშაულებათა ჩამონათვალი, რომლის გამოც აშშ-ში ქონებას ართმევენ, უსწრაფესი ტემპით იზრდება. ამჟამად სიაში ასზე მეტი დანაშაულია გადასახადების დაფარვის, ფულის გათეთრებისა და ბუნების დაცვის კანონთა დარღვევების ჩათვლით.

ხელისუფლებას ერთადერთი მიზანი აქვს — რაც შეიძლება მეტი ფული წაართვას ხალხს.

ამერიკელი სახელმწიფო აგენტების კიდევ ერთი საყვარელი ტაქტიკა იმის გამოცხადებაა, რომ თქვენი საკუთრება უკვე „საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობს“. ამ შემთხვევაში დამნაშავე თქვენ კი არა, თქვენი ქონებაა და ყველაფერი ზუსტად იგივე შედეგით — კონფისკაციით მთავრდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **თუ თქვენი ქონება რაიმე დანაშაულშია ბრალდებული, მას „დააპატიმრებენ“, მიუხედავად იმისა, იცოდით თუ არა თქვენ მისი „დამნაშავეობრივი საქმიანობის“ შესახებ.**

ამგვარი მაქინაციისგან ერთადერთი გამოსავალი არსებობს — თუ მაინცდამაინც კერძო საკუთრების შეძენა გსურთ ამერიკაში, ეს საკუთრება აუცილებლად უნდა ჩადოთ ბანკში კრედიტის უზრუნველყოფის სახით. ამის შემდეგ თუ ქონების კონფისკაციაზე მიდგება საქმე, ბანკი ამ ქონების ღირებულების 70%-ს იზარალებს, მესაკუთრე კი — მხოლოდ 30%-ს.

**gloffs.com; warandpeace.ru**



## დუბაელი შეიხი აბრამოვიჩს ეჯიბრება



**დუბაელმა შეიხმა მოჰამედ ბინ რაშიდ ალ-მაკტუმ გადაწყვიტა, თავისი იახტა „დუბაი“ დააგრძელოს და ამით კერძო პირის საკუთრებაში არსებულ ყველაზე გრძელ გემად აქციოს. აქამდე ყველაზე გრძელ კერძო გემად ითვლება იახტა „ეკლიპსი“, რომელიც რომან აბრამოვიჩს ეკუთვნის. მისი სიგრძე 162 მეტრსა და 46 სანტიმეტრს უდრის.** იახტა „დუბაის“ 2011 წელს მაინც გეგმიური რემონტი უწევს. გემზე დამონტაჟდება რადარი, რომელიც ცხვირიდან წინ იქნება გაშვერილი და მას „ეკლიპსზე“ 15 სანტიმეტრით მეტ სიგრძეს მიანიჭებს. გარდა ამისა, შეიხის იახტაზე, უახლესი მოდის შესაბამისად, ორმეტრამდე სიგანის პლაჟიც მოეწყობა. „დუბაი“ წყალში 2006 წელს ჩაუშვეს. თავდაპირველად ის ბრუნეის სულთნის ძმისთვის იყო განკუთვნილი, მაგრამ მას ფინანსური პრობლემების გამო იახტაზე უარის თქმა მოუხდა. შედეგად „დუბაი“ ალ-მაკტუმს ერგო. ის მსოფლიოში ყველაზე გრძელ იახტად 2009 წლის 12 ივნისამდე ითვლებოდა, ვიდრე რომან აბრამოვიჩის „ეკლიპსს“ წყალში ჩაუშვებდნენ.

## „Facebook“-ი მინისტრს დაქორწინებას უშლის



**საფრანგეთის იმიგრაციის საქმეთა მინისტრი ერიკ ბესონი იძულებული გახდა, „Facebook“-ის გამო საკუთარი ქორწილი გადაედო. ცოტა ხნით ადრე მინისტრის ქორწილის ჩასაშლელად მსოფლიოს უდიდეს სოციალურ ქსელში სპეციალური ჯგუფი შეიქმნა.** ამ ჯგუფის წევრები მინისტრის ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებების გამო იყვნენ მასზე გაბრაზებულნი. საქმე ისაა, რომ აგვისტოში ქვეყნიდან უკანონო ემიგრანტების, კერძოდ, ბოშების მასობრივი დეპორტაცია დაიწყო. სულ ხელისუფლება ბულგარეთიდან და რუმინეთიდან ჩასული 700-მდე ბოშის გაძევებას გეგმავდა. ამის გამო ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობა აღშფოთებას გამოხატავდა, 4 სექტემბერს 135 ქალაქში ერთდროულად გაიმართა აღნიშნული გადაწყვეტილების საწინააღმდეგო დემონსტრაციები. მინისტრს სურდა, რომ მის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს მისსავე პირად ცხოვრებაზე გავლენა არ მოეხდინა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, 16 სექტემბრისთვის პარიზში დაგეგმილი ქორწილის გადადება თავადვე ამჯობინა, ვიდრე მას უკმაყოფილო მოსახლეობა ჩაუშლიდა. 52 წლის მინისტრი, რომელიც ერთხელ უკვე იმყოფებოდა ქორწინებაში და 3 შვილიც ჰყავს, ცოლად 24 წლის ტუნისელ სტუდენტ იასმინა ტორჯმანს ირთავს.

## ცხრაასზე მეტი გამოცდა მართვის მოწმობისთვის



**კომპანია „Hyundai“-ს ახალი სარეკლამო კამპანიის სახე 69 წლის ჩხე სა სუნი გახდა. ეს კორეელი ქალბატონი მთელმა მსოფლიომ 2009 წლის ბოლოს იმის წყალობით გაიცნო, რომ მან 959 წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, როგორც იქნა, ჩააბარა გამოცდა მართვის მოწმობის მისაღებად. პირველად ამ საქმეს ხელი 2005 წელს მოჰკიდა და მას შემდეგ ტესტის შევსების არც ერთი შესაძლებლობა არ გამოუტოვია.** 2009 წლის 5 ნოემბერს მან მოაგროვა ქულების სავალდებულო მინიმუმი — 60 ქულა 100-დან. საბედნიეროდ, პრაქტიკაში გამოცდის ჩაბარებისთვის მას ამდენი წვალება არ დასჭირვებია. ჩხე სა სუნმა, რომელიც წვრილმანებით ვაჭრობითა და ბოსტნეულის მოყვანით ირჩენდა თავს, მართვის მოწმობის ასაღებად სულ 4200 დოლარი დახარჯა. მთელი ამ მრავალწლიანი წვალების მიზანი კი ის იყო, რომ შვილიშვილები ზოოპარკში მანქანით ეტარებინა.

# საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო

საქინფორმი

www.saqinform.ge



# წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:
ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937; ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება —
წმ. ანდრია პირველწოდებულის
სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ
ფონდის დირექტორს,
დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru





# უნივერსალური წყალი „ისიდა“



## მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა

სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

J იოდი — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

F ფტორი — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

Mn მანგანუმი — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

Ca კალციუმი — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

K კალიუმი — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

Mg მაგნიუმი — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

Na ნატრიუმი — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

Zn თუთია — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგეგნლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საერთო მინერალიზაცია შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

**მსურველებმა დარეკეთ თბილისში: 899-16-30-21.
890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.**



# აქ ყველაზე დაბალი ფასებია!




## «ტექნო ბუმში» ნამდვილი ბუმი დაიწყო

ტექნიკის მაღაზიათა ქსელ **„ტექნო ბუმში“** ნამდვილი ბუმი დაიწყო და პირველად საქართველოში **„ტექნო ბუმის“** საბითუმო ცენტრი საზეიმოდ გაიხსნა, სადაც მსოფლიო ბრენდების უახლესი ტექნიკის შეძენას საბითუმო ფასად შეძლებთ.

მენეჯმენტის ინფორმაციით, **საბითუმო ცენტრი განსხვავებული სისტემით იმუშავებს და სრულიად განსხვავებული ფასწარმოქმნის პოლიტიკა ექნება.**

გარდა იმისა, რომ **„ტექნო ბუმში“** საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე: კონდიციონერებზე, ტელევიზორებზე, ფოტოაპარატებზე, კომპიუტერებზე, მობილურ ტელეფონებსა და ნებისმიერ ტექნიკაზე — **ყველაზე დაბალი ფასებია**, „ბუმის ცენტრში“ ნებისმიერ მომხმარებელს ტექნიკის შეძენა საბითუმო ფასად შეეძლება.

ამისთვის მომხმარებელი **„ტექნო ბუმის“ ცენტრში** უნდა მობრძანდეს, გააკეთოს შენაძენი თავად ან მეგობრებთან ერთად. ნივთების რაოდენობა დაჯამდება და, ორი ან მეტი ნივთის შეძენის შემთხვევაში, მომხმარებელს მათი შეძენა საბითუმო ფასად შეეძლება.

**თბილისი, ვაჟა-ფშაველას №21, წერეთლის №1, აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ (საბითუმო ცენტრი)**



# მსოფლიოში პირველი რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრი — ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი



## გთავაზობთ სამედიცინო დახმარებას

- უნაყოფო წყვილების სრულყოფილ გამოკვლევასა და მკურნალობას უახლესი, თანამედროვე მეთოდებით;
- ჰორმონულ, გენეტიკურ, იმუნოლოგიურ, ექოსკოპიურ, ენდოსკოპიურ გამოკვლევებს;
- სასქესო ინფექციების დადგენას, მათ შორის, დნმ-დიაგნოსტიკით;
- სპერმის კომპიუტერულ ანალიზს;
- ხელოვნურ ინვიტრო განაყოფიერებას; რეპროდუქციული მასალის გაყინულ მდგომარეობაში შენახვას;
- ქალებსა და მამაკაცებში სასქესო ორგანოების ანთებითი დაავადებების სქესობრივი და ენდოკრინული დარღვევების დადგენასა და მკურნალობას, მათ შორის, ენდოსკოპიური მეთოდებით;
- ორივე სქესის მოზარდებში ენდოკრინული და გინეკოლოგიური პათოლოგიების დიაგნოსტიკასა და მკურნალობას;
- სქესობრივი ანომალიების დიაგნოსტიკას, ქირურგიულ კორექციას;
- კლიმაქტერული დარღვევების მკურნალობასა და პროფილაქტიკას;
- ორსულობის თვითნებური შეწყვეტის მიზეზების დადგენას; შობადობის რეგულაციას — მედიკამენტურ კონტრაცეფციას;
- ულტრასონოგრაფიულ, ბიოქიმიურ, ჰორმონულ, ციტოგენეტიკურ გამოკვლევებს.

**მისამართი: კოსტავას ქ. 43. ტელ. 93-11-45; 99-61-97; 99-54-77**


საქართველო და მსოფლიო — **ესტუმრეთ ჩვენს საიტს**

**http://www.geworld.net**

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 34-32-95; e-mail:info@geworld.net